

ရုပ်တ္ထုလွှဲ မြောက်လျှောက်
ခုချော့လွှဲခုချော့လွှဲ
အကြောင်း

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature**

Irma Ratiani

**GEORGIAN LITERATURE
AND
THE WORLD LITERARY
PROCESS**

**Tbilisi University Press
2018**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

ირმა რატიანი

ქართული მწერლობა
და
მსოფლიო ლიტერატურული
პროცესი



UDC(უაკ) 821.353.1.091.821.111/922
რ-262

წიგნში „ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“ გამოკვლეულია თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერებისათვის აქტუალური პრობლემა, როგორიცაა ნაციონალური მწერლობის, კონკრეტულად, ქართული მწერლობის, და მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ურთიერთმიმართების საკითხი.

რედაქტორი

ფ. მ. დ. თეიმურაზ დოიაშვილი

რეცენზენტები:

პროფ. მაკა ელბაქიძე

ფ. დ. გაგა ლომიძე

კორექტურა

მირანდა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თინათინ დუგლაძე

ყდის დიზაინი

მარიამ ეპრალიძე

მეორე შევსებული გამოცემა

პირველი გამოცემა, 2015, ISBN 978-9941-13-422-7

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2018

ISBN 978-9941-13-670-2

შინაარსი

წინათქმა.....9

ნაცილი პირველი თეორიული პრეამბულა

თავი პირველი

მსოფლიო ლიტერატურა, კანონი და
მისი ნაცილნალური იმპლიკაციები.....15

1.1. “*Weltliteratur*”.

ტერმინის ისტორია და ფუნქცია.....15

1.2. კანონი, ლიტერატურული ისტორია და

ქართული მწერლობის პერიოდიზაციის

საკითხი.....30

თავი მეორე

ქართული ლიტერატურული ისტორია
და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი.
შუასაუკუნეებიდან რომანტიზმამდე.....60

2.1. შუასაუკუნეები.

ქართული ქრისტიანული მწერლობა და

ქართული იდენტობის ფორმირება.....60

2.2. XVI-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობა.

დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და – უკან:

ევროპული კონცეპტის რეკონსტრუქცია.....80

თავი მესამე

ძართული რომანტიზმი და რეალიზმი.
ბრძოლა ახალი ეართული იდენტობისათვის
და მისი ფორმირება.....103

3.1. რომანტიზმის ხანა.....103

3.2. რეალიზმის რეალიზმი.....114

თავი მეოთხე

XX საუკუნის ეართული მცირება:
მსოფლიო ლიტერატურული პროცესის
ციალში და მის მიღმა.....134

4.1. საბჭოთა ტოტალიტარიზმის სათავეებთან.
ბოლშევიკური რევოლუცია და ლიტერატურა:
ინტეგრაციდან იზოლაციისაკენ.....134

4.2. ბოლშევიზმი და „მარგინალები“:
საბეჭისწერო ბრძოლა ცენზურისა და
იზოლაციის წინააღმდეგ.....145

4.3. სამამულო ომიდან „ოტტეპელამდე“:
ქვემენები, მარლბორო, ტვისტი...167

4.4. თანამედროვე ქართული მწერლობა:
ფორმირება და გზა.....181

თავი მეცნობე

აოსტისაპშოთა ქართული მცენლობა:
ტრანსფორმაციის, გადაცაცვლების და
იღენტობის კვლავალმოჩენის რთულ გზაზე ..202

- 5.1. პოსტსაბჭოთა რეალობა, გარესამყარო
და ქართული პოსტმოდერნიზმი.....202
- 5.2. ტრანსფორმაციისა და
გადანაცვლების სირთულეები.....213

ნაწილი მეორე ინტერპრეტაციული ცდები

ტექსტის ინტერპრეტაციული
შესაძლებლობები.....228

ტემპორალური ალტერნატივა
მიხეილ ჯავახიშვილის რომანში
„ჯაყოს ხიზნები“.....237

ქართველი ტრაგიკოსი –
მსხვერპლის თეორია და ალექსანდრე ყაზბეგის
პროზა („ხევისბერი გოჩა“).....261

ვაჟა ფშაველა –
„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.
მტკიცება თუ გაფრთხილება?.....289

ნოველის ხიბლი. უანრის ქართველი
კლასიკოსი – რევაზ ინანიშვილი.....300

ბოლოთქმა.....	310
დამოწმებული ლიტერატურა.....	311
ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.....	321
Irma Ratiani	
Georgian Literature and the World Literary Process.....	323
პირთა საძიებელი.....	340

წინათქმა

დღეს, ინტერკულტურული კომუნიკაციების მზარდი განვითარებისა და გაღრმავების ეპოქაში, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ნაციონალური ლიტერატურების, როგორც აზროვნების ორიგინალური მოდელების რეცეფცია, მათი გამოყვანა კულტურული იზოლაციის მდგომარეობიდან და ფასეული ჩართვა ფართომასშტაბიან კულტურათაშორის დიალოგში. გამონაკლისი, ცხადია, არც ქართული ლიტერატურაა და, ამ თვალსაზრისით, უპირველეს საჭიროებას წარმოადგენს ქართული ლიტერატურული პროცესის როგორც სწორი ინტერპრეტაცია, ისე მისი ადგილის განსაზღვრა საერთო-ლიტერატურულ პროცესში. შეკითხვა „რატომ?“ აქ ნამდვილად უადგილოა, ვინაიდან ლიტერატურა საქართველოში ყოველთვის ასრულებდა და დღესაც ასრულებს ინტელექტუალური ლიდერის ფუნქციას: სწორედ ლიტერატურაა ის მყარი ბერკეტი თუ დასაყრდენი, რომლის მეშვეობითაც ქვეყანა ოდით-განვე საიმედოდ იყო ჩართული საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობებში და მსოფლიო ლიტერატურულ-კულტურული პროცესის ძალზე მნიშვნელოვან ფრთას წარმოადგენდა. ვფიქრობთ, ჩვენი ეპოქაც ამ გზას მისდევს და თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ისეთივე არსებითი რგოლია, როგორიც წარსულ ეპოქებში იყო. ამის მიზეზად შემდეგი ობიექტური გარემოებანი მიგვაჩინა:

- თანამედროვე ქართული მწერლობა თხუთმეტ-საუკუნოვანი ქართული ლიტერატურული ტრადიციის ნაწილია და განეკუთვნება იმ ერთეულ ლიტერატურულ მოდელთა რიგს, რომელშიც მოდერნისტული ტენდენციები მუდმივად იკვეთება ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ ცნობიერებასთან;

- ქართული მწერლობა, როგორც უძველესი, ისე – თანამედროვე, გახსნილ კულტურულ კონსტრუქციას წარმოადგენს, რომელიც ღია იყო და არის მსოფლიო თუ ევროპულ ლიტერატურულ სივრცეში მიმდინარე პროცესებისათვის;

- ქართული მწერლობა, თავსდება რა საერთო ლიტერატურულ კონტექსტში, ამავე დროს, ინარჩუნებს ორიგინალური სააზროვნო არეალის სტატუსს, რომელიც, თავის მხრივ, აფართოებს საერთაშორისო ლიტერატურული პროცესის ჰორიზონტებსა და მასშტაბებს.

წინამდებარე წიგნი, რომელიც ორი წანილისაგან შედგება და მოიცავს საკითხის ანალიზს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკული სიბრტყეზე, ამ მოსაზრებათა დასაბუთების მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს.

წიგნის პირველი პუბლიკაცია განხორციელდა 2015 წელს, რისთვისაც ავტორი მადლობას მოახსენებს წიგნის რედაქტორს – ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ თემიურაზ დოიაშვილს; რეცენზიებს – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ მაკა ელბაქიძეს და ფილოლოგის დოქტორს, ბატონ გაგა ლომიძეს; მთარგმნელს – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელს, ან განსვენებულ ბატონ არიანე ჭანტურიას.

წინამდებარე გამოცემა წიგნის მეორე, შევსებული გამოცემაა და სრულად გამოხატავს ავტორის წებას. როგორც პირველი, ისე – მეორე გამოცემისთვის ავტორი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოუხატავს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საგამომცემლო სამსახურს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობასა და სტამბას.

ირმა რატიანი

დედას

ნაცილი პირველი

თეორიული პრეამბულა

თავი პირველი

მსოფლიო ლიტერატურა, კანონი და მისი ნაციონალური იმპლიკაციები

1.1. “*Weltliteratur*”.

ტერმინის ისტორია და ფუნქცია

1827 წელს, იოჰან ვოლფგანგ გოეთემ, ეკერმანისადმი მიწერილ წერილში პირველად გამოიყენა ტერმინი “*Weltliteratur*” ანუ „მსოფლიო ლიტერატურა“ (ეკერმანი 1986) და პოეზია გაიაზრა როგორც სამყაროს შემეცნების უნივერსალური მოდელი: „ნაციონალური ლიტერატურა მნიშვნელობადაკარგული ცნებაა, – წერდა გოეთე, – ახლა მსოფლიო ლიტერატურის ეპოქა დგას და ყველა ვალდებულია ისწრაფვოდეს მისკენ“ (დამროში 2003).

როგორც სამართლიანად შენიშნავს ადრიან მარინო, გოეთე დაეყრდნო ნოვალისისა და ფრ. შლეგელის შრომებს, განავითარა ამ შრომებში გამოკვეთილი იდეები და თავისი „დიდი სახელი მიანიჭა“ მათ (მარინო 2009: 31). მაგრამ, აქ თავს იჩენს კითხვა, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან აუცილებლად მოითხოვს პასუხს: რას გულისხმობდა გოეთე ტერმინში “*Weltliteratur*” და რამდენად ფართო იყო გოეთესეული ცნების გეოგრაფია?

მიუხედავად იმისა, რომ გოეთეს მიზანს მის მიერ დამკვიდრებული ახალი ცნებისთვის გლობალური მნიშვნელობის მინიჭება წარმოადგენდა, მიზანშენო-

ნილად გვეჩვენება სლოვენიელი მეცნიერის, მარკო იუვანის მოსაზრება, რომელიც გამოკვეთს განსხვავებებს გოეთესეული ტერმინის საფუძვლებსა და მიზნებს შორის. წიგნში „რეკონსტრუირებული ლიტერატურათმცოდნეობა“ მარკო იუვანი აღნიშნავს: „გოეთეს შემთხვევაში ლიტერატურის მსოფლიო მოდელის ისტორიულ ცნობიერებას, მიუხედავად მისი კოსმოპოლიტური გარსისა და უნივერსალიზმზე გაცხადებული პრეტენზიისა, უფრო პერიფერიული, ნანილობრივ ნაციონალური წარმომავლობით განსაზღვრული საფუძველი აქვს. იდეის ინტელექტუალურ ბაზას უდავოდ წარმოადგენს პოსტ-განმანათლებლური მნიშვნელობა კოსმოპოლიტიზმისა, რწმენა იმისა, რომ „პრინციპში“ ადამიანები არიან თანასწორნი, მიუხედავად მათი ნაციონალობისა, ენობრივი, რელიგიური, კლასობრივი ან კულტურული კუთვნილებისა. XVIII საუკუნის შემდგომ კოსმოპოლიტიზმი ეზიარა ქალაქის ინტელექტუალური ელიტისა და კონცეპტუალურად შთაგონებული მორალისტების ცხოვრების წესს, აგრეთვე, საერთაშორისო სამართალს, თავისუფალი ბაზრის ეკონომიკურ თეორიებს, პოლიტიკურ მეცნიერებებს, ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ აზროვნებას. ამკვიდრებდა რა ცნებას „*Weltliteratur*“, გოეთე, ისევე როგორც მოგვიანებით მარქსი და ენგელსი, – მოელოდა, რომ „მსოფლიო ლიტერატურა“, კოსმოპოლიტური კულტურული ურთიერთგაცვლების მეშვეობით, გადალახავდა ნაციონალურ ახლომხედველობას... გოეთე ფიქრობდა, რომ სხვა ენებისა და ლიტერატურების ცოდნა, მათი სიღრმისეული გაგება, მათი გავლენების ქვეშ მოქცევის მზაობა სხვადასხვა ქვეყნების ხალხებს მიიყვანდა საერთო გაგებასა და მშვიდობასთან. პოსტ-ნაპოლეონურ ევროპაში მსოფლიო ლიტერატურის იდეოლოგებმას უნდა აეცილებინა იმპერიალიზმის და სხვადასხვა ნაციებს შორის გა-

ჩაღებული კულტურული ომებისა და ეკონომიკური შეჯიბრებების საშიშროებანი. თუმცადა, გოეთეს კოს-მოპოლიტური იდეა ნაციონალისტური შიშებითა და მიზნებით საზრდოობდა; საბოლოო ჯამში, „*Weltliteratur*“ მიზნად ისახავდა ტრანსნაციონალურ აღზევებას გერმანული ლიტერატურისა, რომელიც განიცდიდა დიდ საერთაშორისო კონკურენციას და მუდმივად ეჯახებოდა ბრიტანული და ფრანგული კულტურების ჰეგემონიას. ფრთაშესხმულს მისი შრომების საერთაშორისო წარმატებით და მოხიბლულს თავისი გავლენიანი პოზიციით კულტურულად დაწინაურებულ ვაიმარში, გოეთეს სჯეროდა, რომ: „ყალიბდება მსოფლიო ლიტერატურა, რომელშიც საპატიო ადგილი შენახულია გერმანელებისათვის. ყველა ხალხი ეცნობა ჩვენს შრომებს; ისინი გვადიდებენ, გვაკრიტიკებენ, გვიღებენ და უარგვყოფენ, გვბაძავენ, და ხშირად არასწორად, გვიღებენ ან გვიკეტავენ თავიანთ გულებს“ (იუვანი 2011: 45-46).

თუკი გავაფართოვებთ მარკო იუვანის მოსაზრებას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გოეთეს მიერ გერმანული ლიტერატურის როლისა და ფუნქციის ხაზგასმა ნიშნავდა მის ერთგულებას ეროვნული ლიტერატურისადმი, თუმცადა, ეროვნული ლიტერატურა ფასდება უნივერსალურ ინტერკულტურულ სივრცეში. გოეთეს კოსმოპოლიტური ექსპერიმენტის მთავარ სამიზნეს განსხვავებული ლინგვისტური და ცნობიერებითი მოდელების ცირკულაცია წარმოადგენს, სადაც მოვლენათა ეპიცენტრი ევროპული კონტექსტი და მისი კულტურული ჰეგემონიურობაა.

ადრიან მარინოს დაზუსტებით, „უნივერსალურობა“ გოეთეს ეპოქაში, უპირველეს ყოვლისა, მართლაც „ევროპულ ლიტერატურას (მაძინი, ვილმენი) გულისხმობდა, რომელიც ყველაზე მეტად ცნობილი და მისაწვდომი იყო“ (მარინო 2009: 31), ანუ „უნივერსალურობა“

უდრიდა ევროპაცენტრიზმს. ამ თვალსაზრისით, ევროპაცენტრულ ტენდენციას ექვემდებარებოდა გოეთეს პოზიციაც, თუმცალა, გოეთეს კოსმოპოლიტური ესთეტიკა¹, გლობალური შემოქმედებითი ხედვა და თავად ტერმინის კონცეპტუალური მასშტაბურობა სავსებით დასაშვებს ხდიდა მისი გეოგრაფიის გაფართოებას. ადრე თუ გვიან, ეს ისტორიულ-გეოგრაფიული რევიზია უნდა შემდგარიყო და შედგა კიდევაც ჯერ რენე უელეკისა და ოსტინ უორენის, შემდგომ კი – რენე ეტიამბლის ნააზრევში. მიუჟედავად იმისა, რომ გოეთესეული ტერმინისა და განმარტების ადრეულ ადაპტირებას ვხვდებით მარქსისა და ენგელსის შრომებში, კერძოდ, „ზიარი საკუთრების“ თეორიაში, მის ლიტერატურათ-მცოდნეობით ინტერპრეტაციას სწორედ ამერიკული „ახალი კრიტიკის“ ფუძემდებლები (რენე უელეკი და ოსტინ უორენი) და ფრანგული კომპარატივიზმის ერთ-ერთი ლიდერი (რენე ეტიამბლი) გვთავაზობენ².

„უნივერსალური ლიტერატურა არ შეიძლება დარჩეს იქ, სადაც ის გოეთემ დატოვა. მან უნდა მოიცვას ხუთი კონტინენტი, ახალი ზელანდიდან ისლანდი-ამდე – მოკლედ, მთელი ლიტერატურა“, ვინაიდან, „უნივერსალური ლიტერატურა აგებულია ეროვნული ლიტერატურების ერთობლიობისაგან, ყველა ლიტერატურისაგან, რომელთა წერილობითი, ან მხოლოდ ზეპირი ფორმები შემოგვრჩა. ამასთანავე, ყველაფერი ეს უნდა მოხდეს ენობრივი, პოლიტიკური და რელიგიური

1 ამის დადასტურებაა გოეთეს საეტაპო ნაშრომი „აღმოსავლურდასავლური დივანი“, რომელიც დაწერა 1814-1819 წლებში, 1827 წელს კი გამოქვეყნებული იქნა მისი დასრულებული ვერსია.

2 როგორც ჟანგ ლონგესი შენიშვნავს: „მარქსის იდეა არ წარმო-ადგენდა გოეთეს იდესი ანტიპოდს, თუმცალა, ის გაიაზრებდა მსოფლიო ლიტერატურის უფრო როგორც წარმოების ფირმის კულტურულ ასპექტს გლობალური კაპიტალიზმის პირობებში, ვიდრე მსოფლიოს სხვადასხვა კულტურული ტრადიციების წიაღში შექმნილი დიდი ტექსტების პუმანისტურ სულისკვეთებას“ (ლონგესი 2014: 516).

ჩაგვრის გარეშე” (მარინო 2009: 33), – წერდა უელეკი; (მარინო 2009: 33), – წერდა უელეკი; ეტიამბლი კი შენიშვნავდა: “მე კიდევ ერთხელ უნდა დავასკვნა, რომ გოეთეს მიერ მსოფლიო ლიტერატურაზე თქმული არცერთი სიტყვა არ გვაძლევს ჩვენ უფლებას ვუწოდოთ მას იმპერიალიზმის აგენტი, ნებსითი თუ უხებლიერ. საპირისპიროდ ამისა, მსოფლიო ლიტერატურის მის მიერ მოწოდებული იდეა გმობს გერმანულ ნაციონალიზმს და საერთოდ ყველა ტიპის ნაციონალიზმს... მოდით გამოვაცხადოთ, რომ ამიერიდან ლიტერატურა შეიძლება აღნიშნავდეს მხოლოდ ყველა ლიტერატურას, ცოცხალს თუ მკვდარს, წერილობითს თუ ზეპირს, ენობრივი, პოლიტიკური ან რელიგიური დისკრიმინაციის გარეშე” (ეტიამბლი 2014: 87,88).

გოეთესულმა ტერმინმა მეთოდურად იწყო ისტორიულ-გეოგრაფიული მასშტაბების გაფართობა – ეპროპული სიბრტყიდან მსოფლიო სიბრტყეზე გადაინაცვლა და მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობით დაიტვირთა: „მსოფლიო“ აღარ ნიშნავდა მხოლოდ „ევროპულს“, არამედ – „საყოველთაოს“, „ყოვლის მომცველს“ და „უნივერსალურს“.

მართლაც, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში „უნივერსალური ლიტერატურა“ განუწყვეტლივ აფართოვებს თავის საზღვრებს, თუმცალა პროცესს „უმტკივნეულოს“ ვერ ვუწოდებთ. აღმოსავლეთის „აღმოჩენა“, რაც XVIII საუკუნიდან დაფიქსირდა ევროპულ ფილოლოგიურ სივრცეში, და შემდგომ – „მიღება“, რაც უკვე XIX საუკუნის მიწურულიდან გახდა საცნაური, არაერთ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ სირთულესთან იყო დაკავშირებული. თუ ევროპაცენტრიზმის მომხრენი ჯიუტად უარყოფდნენ აღმოსავლეთის გავლენას მსოფლიოს კულტურის ისტორიაზე, აზიაცენტრიზმის მომხრენი, პირიქით, მტკიცედ იცავდნენ აღმოსავლური მოდელის პრივილეგირებულობის პოზიციას. ნებისმიერ შემთხვევაში, პროცესი

იყო აუცილებელი და გარდაუვალი: „XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, – წერს ნიკოლაი კონრადი, – ლიტერატურულმა ურთიერთობებმა მსოფლიო მასშტაბი შეიძინა და იქცა თითოეული ცალკეული ხალხის ლიტერატურის ფაქტად და, მასთან ერთად, მსოფლიო ლიტერატურის ფაქტადაც. ამ ეპოქაში მსოფლიო ლიტერატურული კავშირების ორბიტაზე ჩაერთო აღმოსავალეთიც“ (კონრადი 1972: 319-320).

ზოგიერთი სკეპტიკოსის ეჭვების საწინააღმდეგოდ (მაგალითად, ე. კურციუსი და მისი სკოლა), აღმოსავალეთმა და დასავლეთმა ერთურთი აღიარეს და, შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად, ეფექტურ თანამშრომლობასაც მიაღწიეს. აქ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მერაბ მამარდაშვილის პოზიცია: „აღმოსავალეთი და დასავლეთი – ორი მარადიული მხარე თუ მომენტი კაცობრიობისა. ისინი, მათი განსაზღვრებიდან/დანიშნულებიდან გამომდინარე, ვერ გადაიკვეთებიან და ვერ შევლენ ერთმანეთთან გეოგრაფიულ კონფლიქტში. მაგრამ, შესაძლოა არსებობდეს გარკვეული მრავალგანზომილებიანი სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება, რომ ეს ორი მხარე თანაფარდობაში მოვიდეს ერთმანეთთან – შეხვდნენ ერთმანეთს და კონფლიქტშიც შევიდნენ“ (<http://geoeconomy.acade-mic.ru>). „არაგეოგრაფიული კონფლიქტი“, როგორც ჩანს, მერაბ მამარდაშვილის მიერ ამ ურთიერთობის აუცილებელ პირობად მიიჩნევა.

ცნების მეთოდოლოგიურ ტრანსფორმაციას გვთავაზობს მიხაილ ბახტინი: კულტურის თავისთავადობის გამოვლენის საუკეთესო გზად მას ერთი კულტურის სხვა კულტურასთან დიალოგი ესახება. დიალოგური კრიტიკის ფუძემდებელი წერს: „უცხო კულტურა მხოლოდ სხვა კულტურის თვალში წარმოაჩენს თავის თავს უფრო სრულყოფილად და ღრმად... ერთი აზრი/არსი სხვა, უცხო აზრთან/არსთან შეხვედრისა და

შეხების შემდეგ წარმოაჩენს თავის სიღრმეებს: მათ შორის თითქოს დიალოგი იწყება, რომელიც სძლევს ამ აზრების/არსის, ამ კულტურების ჩაკეტილობასა და ცალმხრივობას... ორი კულტურის დიალოგური შეხვედრისას, ისინი არ ერწყმიან ერთურთს, არამედ თითოეული მათგანი ინარჩუნებს თავის ერთიანობასა და ღია მთლიანობას, ისინი ამდიდრებენ ერთმანეთს“ (ბახტინი 1979: 334-335). სრულიად ცხადია, რომ კულტურის ქმნილება, ბახტინის აზრით, არ განეკუთვნება მხოლოდ იმ კულტურას, რომლის წიაღშიც ის შეიქმნა, არამედ – გაშლილ კულტურათაშორის სივრცეს, რომელიც ისტორიის „დიდი დროის“ ტოლფასია და საშუალებას აძლევს კულტურის ნებისმიერ ნიმუშს, განიცადოს მრავალჯერადი რეკონსტრუქცია და განახლება (როგორც აზრობრივი, ისე აღქმითი) კულტურის ისტორიის ყოველ ეტაპზე. მიუხედავად იმისა, რომ ა. გურევიჩი ხედავს გარკვეულ საფრთხეებს კულტურათშორისი დიალოგის პროცესში („ყოველ პროგრესს გააჩნია მეორე მხარეც – მას თან ახლავს დანაკარგები. როდესაც ერთი კულტურის წარმომადგენელი სწავლობს მეორე კულტურის ძეგლებს, ის გამოავლენს ახალ აზრს/არსს, ხშირად დაფარულს თავად შემქმნელისათვის, თუმცადა, ამავდროს, კარგავს პირვანდელი შინაარსის გარკვეულ ასპექტებს“) (გურევიჩი 1988: 60), ბახტინის მეთოდოლოგია რჩება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პოზიციად თანამედროვე კულტუროლოგიაში. და თუ ამ პოზიციაზე შევჯერდებით, მაშინ კიდევ ერთ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი: უნივერსალური ლიტერატურის ცნების საზღვრების გაფართოების პირობებში, როგორია ახალი ყალიბის შიგთავსი, ანუ რა ახალი შინაარსობრივი ინტენციითაა დატვირთული ტერმინის – “*Weltliteratur*” – სტრუქტურული მოდელი, რომელიც, ევროპული და ამერიკული ლიტერატურების გარდა, დღეს სრულად ფარავს აზიისა და აფრიკის ზონებს?

უელეკი და უორენი, მსჯელობდნენ რა ცნების – „მსოფლიო ლიტერატურა“ შესახებ, მის სამ განსხვავებულ განმარტებას აყალიბებდნენ: 1. „მსოფლიო ლიტერატურა“ მოიცავს ყველაფერს, რაც დასაბამიდან დღემდე დაწერილა მსოფლიო კულტურის მასშტაბით; 2. ცნება „მსოფლიო ლიტერატურა“ გულისხმობს მხოლოდ ე.წ. „დიად წიგნებს“, რომელთაც შესწევთ უნარი, გადალახონ და დაარღვიონ საზღვრები (მაგალითად, თარგმანის მეშვეობით) და გავლენა მოახდინონ სხვა-დასხვა ნაციონალურ ლიტერატურაზე; 3. „მსოფლიო ლიტერატურა“ არის ლიტერატურა თავისთავად, როგორც ხელოვნება.

პირველი განმარტების თანახმად, „მსოფლიო ლიტერატურა“ არის ყველა ლიტერატურული პროდუქტის ერთობლიობა, რაც კი მსოფლიო ხალხებს შეუქმნია; მეორე განმარტება აზუსტებს პირველს და ლიტერატურის უნივერსალურ ბუნებას აკავშირებს ე.წ. „დიად წიგნებთან“, შედევრებთან, ანუ აქცენტს აკეთებს არა რაოდენობაზე, არამედ თვისობრიობაზე, ხარისხზე; მესამე განმარტება მეტად უახლოვდება გოეთესეულ ხედვას, გაიაზროს ლიტერატურა როგორც „ერთი“, კოსმოპოლიტური მოდელი.

უელეკისა და უორენის ამ ინტერპრეტაციული ექსპერიმენტების შედეგად, 50-იანი წლებიდან, ცნება „მსოფლიო ლიტერატურა“ ფართო დებატებისა და მსჯელობის ობიექტად იქცა. კრიტიკოსთა ნაწილს მიაჩნდა, რომ ლიტერატურული პროცესი უნდა დაპრუნებოდა შეფასების გოეთესეულ მოდელს, რათა ეხსნა „ნაციონალური ლიტერატურები“ ე.წ. „ნაუკითხაობის“ ენობრივი დილემისაგან; კრიტიკოსთა ნაწილი კი, პირიქით, თვლიდა, რომ გოეთეს იდეას არასოდეს ეწერა განხორციელება იმ მიზეზის გამო, რომ „ლიტერატურის ნაციონალურობის“ გაგების დაძლევა ერთ-დროულად შეუძლებელიცაა და მიზანშეუწონელიც:

მწერალი უცვლელად ეკუთვნის ლიტერატურული სივრცის ორ განსხვავებულ მოდელს – ნაციონალურსა და საერთაშორისოს. „ყოველი მწერლის პოზიცია, – წერს პასკალე კასანოვა, – ორგემაგეა, ორჯერადადა განსაზღვრული. მწერალი ჯერ იდენტიფიცირდება ნაციონალურ სივრცეში“ (კასანოვა 2005: 81). ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მკვლევრის მოსაზრებას, რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, სულაც არ მოდის წინააღმდეგობაში გოეთეს იდეის პირველსაფუძვლებთან, და დაბეჯითებით მიგვაჩნია, რომ ნაციონალური ლიტერატურების იდეა დომინანტურია ამ დუალურ სტრუქტურაში: მწერალი უერთდება საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესს საკუთარი კულტურული მეხსიერებით და, ამავე მეხსიერებისა და იდენტობის ფარგლებში, ახდენს მსოფლიო ლიტერატურული პროცესის რეცეფციას. ამ თვალსაზრისით, თავის აქტუალობას ინარჩუნებს უელეკისა და უორენის იდეაც, რომ „მსოფლიო ლიტერატურა“ გულისხმობს ე.წ. „დიად წიგნებს“, რომელთაც შესწევთ უნარი, გადალახონ თუ დაარღვიონ საზღვრები (თარგმანის ან სხვა უნივერსალური მეთოდების მეშვეობით) და გავლენა მოახდინონ სხვადასხვა ნაციონალურ ლიტერატურებზე, მხოლოდ იმ კორექტივით, რომ გავლენა ორმხრივია.

დღესდღეობით, როგორც დევიდ დამროში აღნიშნავს: „ჩინეთიდან ვიეტნამამდე და თურქეთიდან ბრაზილიამდე, მეცნიერები და პედაგოგები ფიქრობენ ახალ-ახალ გზებზე, როგორ ახსნან და წარმოაჩინონ მსოფლიო ლიტერატურების თანამედროვე ურთიერთობა. გლობალიზაცია ხელს უწყობს როგორც კონტაქტების გაფართოებას, ისე – კონფლიქტების გამწვავებას მსოფლიოს ხალხებს შორის, და მსოფლიო ლიტერატურების კურსიც ფართოვდება უფრო მეტად, ვიდრე ეს იყო ტრადიციული ორიენტაცია დასავ-

ლეთ ევროპაზე ან ყოფილი კოლონისა და ერთ დროს კოლონიზატორის ურთიერთობა. თუ წარსულში სწავლების დაბალ საფეხურზე განიხილებოდა ეს საკითხი, ახლა ახლა მსოფლიო ლიტერატურის მიმოხილვა და დებატები მსოფლიო ლიტერატურის შესახებ შედარებითი ლიტერატურათმცოდენობის სასწავლო პროგრამის ნაწილია სწავლების ყველა საფეხურზე“ (დამროში 2014: 2). დღესდღეობით, „უნივერსალური ლიტერატურის“ კონცეფციას აღარ შეუძლია მხოლოდ „დიდი“ დასავლური ლიტერატურების (ევროპულისა და ამერიკულის) თარგზე გამოჭრილი დარჩეს. აქედან მომდინარეობს „პატარა“ ლიტერატურების აღიარება იმ, ასე ვთქვათ, თეორიული განსხვავებების გაუქმებით, რომელიც მათ აშორებს „დიდ“ ლიტერატურებს“ (მარინო, 35); „პატარა ლიტერატურები“ უნივერსალურ განზომილებაში ექცევა, სადაც ერთმანეთს ავსებს დასავლეთი და აღმოსავლეთი, თავ-თავისი „დიდი“ და „პატარა“ ლიტერატურებით¹.

„დიდი“ და „პატარა“ ლიტერატურებისა და მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე მათი შესაბამისობის გასარკვევად, აუცილებელია ისეთი მნიშვნელოვანი ტერმინების შემოტანა და ინტერპრეტაცია, როგორიცაა: „ცენტრი“ და „პერიფერია“, „სიმეტრია“ და „ასიმეტრია“. ამ საკითხებზე სხვადასხვა ნაშრომში და ძალზე კვალიფიციურად მსჯელობენ დევიდ დამროში, პასკალე კასანოვა, ფრანკო მორეტი, იტამარ ევენ-ზოპარი, შანგო ლოკომო და სხვანი. მათი მიდგომები განსხვავებულ მეთოდოლოგიებს ეფუძნება: წინა პლანზე გამოდის სემიოტიკური თეორია (კასანოვა), ეკონომიკური თეორია (მორეტი, ევენ-ზოპარი), გლობალიზა-

1 აქ აუცილებელად მიგვაჩნია მითითება, რომ „პატარა“ ლიტერატურა არ ნიშნავს „მცირე“ ლიტერატურას, რომელსაც არ შესწევს კულტურული ზემოქმედების ძალა, არამედ – პატარა ქვეყნის მწერლობას, რომელსაც, გარკვეულ პერიოდებში, შეუძლია უკუეფექტის მოხდენა საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესზე.

ციის თეორია (დამროში) და ყველა მათგანი გასათვალისწინებელ არგუმენტებს ემყარება.

თავის ბრნყინვალე ესეში „მოსაზრებები მსოფლიო ლიტერატურაზე“ ფრანკო მორეტი აღნიშნავს: „სანყის პიპოთეზას დავესესხები ეკონომიკის ისტორიის მსოფლიო სკოლას, სადაც საერთაშორისო კაპიტალიზმი წარმოადგენს სისტემას, რომელიც ერთდროულად არის ერთი, და არათანაბარი: თავისი ცენტრით და პერიფერიით (და ნახევრადპერიფერიით), რომლებიც გადაჯაჭვულია ერთმანეთზე მზარდი არათანაბრობის პრინციპით. ერთი და არათანაბარი: ერთი ლიტერატურა (*Weltliteratur*; მხოლობითი, როგორც გოეთესთან და მარქსთან) ან, შესაძლოა, უფრო უკეთესად თუ ვიტყვით, ერთი მსოფლიო ლიტერატურული სისტემა (ერთმანეთთან დაკავშირებული ლიტერატურებისაგან შემდგარი); მაგრამ სისტემა, რომელიც განსხვავდება იმისაგან, რისკენაც ისწრაფვოდნენ გოეთე და მარქსი, ვინაიდან ის პრინციპულად არათანაბარია... იტამარ ევენ-ზოპარი, განიხილავს რა ებრაულ ლიტერატურას, წერს: „ჩარევა არის ლიტერატურებს შორის ურთიერთობის ფორმა, სადაც... პირველწყარო შეიძლება იქცეს პირდაპირი ან ირიბი სესხების წყაროდ... ლიტერატურულ ჩარევებში არ არსებობს სიმეტრია. სამიზნე ლიტერატურა, უფრო ხშირად განიცდის ჩარევას იმ პირველწყარო ლიტერატურისაგან, რომელიც ახდენს მის სრულ იგნორირებას. სწორედ ამას ნიშნავს ერთი და არათანაბარი: კულტურის (როგორც წესი, პერიფერიულის, როგორც ამას აზუსტებს მონსერატ იგლესიასი) ბედი გადაკვეთილია და შეცვლილია სხვა კულტურის (როგორც წესი, ცენტრალურის) მიერ, რომელიც „ახდენს მის სრულ იგნორირებას“ (მორეტი 2014: 161).

აქ წინა პლანზე იწევს ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი, რომელსაც მსოფლიო ფილოლოგიური მეც-

ნიერება გამოკვეთს „დიდი“ და „პატარა“ ლიტერატურების, „ცენტრისა“ და „პერიფერიის“, „სიმეტრიისა“ და „ასიმეტრიის“ გასამიჯნად და რომელიც ჩვენ სავსებით მისაღებად მიგვაჩნია: „პირველ ყოვლისა, – წერს მარკო იუვანი, – ევენ-ზოჰარისთვის, კასანოვასთვის და მორეტისთვის ცენტრები და პერიფერიები ცალსახად აღიქმება როგორც ისტორიული და შინაარსობრივად აღწერითი კატეგორიები, რომლებიც ასახავს იმ მატერიალურ თუ ინსტიტუციურ მოცემულობებს, რომლებსაც მოსდევს ლიტერატურული პროდუქციის ასიმეტრიული გლობალური დისტრიბუცია, დიფუზიურობა და რეცეფცია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე ლიტერატურა მიიღებს ამ გამოწვევას კაპიტალის შემოდინების, მიგრაციების ტრანსნაციონალური პოლიტიკის და ინტერნეტის თანამედროვე ეპოქაში, ხოლო ცენტრები დაკარგავენ თავიანთ ჰეგემონურ ადგილს და გახდებიან მეტად მობილურები, ფიქსირებული გეოგრაფიული მინიშნების გარეშე (ბესიერე 2010; შანგო ლოკოპო 2010), მაინც რთულია უარყოთ, რომ ლიტერატურის მატერიალური პირობები ვერ შეედრება იმ განვითარებული კაპიტალისტური მეტროპოლისების ლიტერატურის პირობებს, რომლებიც „მსოფლიო ენებს“ იყენებენ და ხანგრძლივ საგამომცემლო გამოცდილებას ფლობენ. თუმცადა, მორეტისა და კასანოვას ცენტრულ-პერიფერიული მოდელი ასევე ითვალისწინებს სხვა ფაქტორებსაც, რომლებიც ხელს უწყობენ ერთი კონკრეტული ლიტერატურის, ნაციონალური იქნება ის თუ ტრანსნაციონალური, მიკუთვნებას სიმბოლური კაპიტალისადმი, და აქვს თავისი განკარგვის არეალი (ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანების გარკვეული რაოდენობა, წარსულში შექმნილი ხარისხიანი ლიტერატურული პროდუქცია, სხვა ენებზე ნათარგმნი დიდალი მასალა და ა.შ.). ამ აზრის თანახმად, ევენ-ზოჰარი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ძლიერი და

განვითარებული ლიტერატურები, რომლებიც, ყველა დადგენილი პარამეტრით, დღეს წარმოადგენენ მსოფლიო ლიტერატურული სისტემის „ცენტრებს“, ერთ დროს პერიფერიულ ზონაში იყვნენ მოქცეულნი (მაგალითად გამოდგება ფრანგული და ინგლისური ლიტერატურების დამოკიდებულება ძველბერძნულ მწერლობაზე). ისინი ასეც დარჩებოდნენ სტაგნაციის ფაზაში, რომ არა მათი პერიფერიული ნაყოფიერება და „მცირე“ ან „უმცირესი“ ლიტერატურებისთვის დამასასიათებელი რესურსები“ (იუვანი 2011: 81).

სწორედ ამ ბოლო განმარტების გაზიარების შემთხვევაში, დასაშვებია ვამტკიცოთ, რომ მსოფლიო მასშტაბით მოქმედი კულტურები და ლიტერატურები სრულიადაც არ წარმოადგენს თვითკმარ სისტემებს, არამედ – ჩარევებისა და გავლენებისათვის ლია ინტელექტუალურ სივრცეს. შესაბამისად, თუ უნივერსალური ლიტერატურა ქმნის ნიმუშებს, სტანდარტებს, კანონს, რომელსაც იზიარებს და ისრუტავს ნაციონალური მწერლობა, *Vice Versa* – ყოველი ღირებული მოდელი ნაციონალური მწერლობისა თავისი ორიგინალობით ავსებს და ამდიდრებს უნივერსალურ სტანდარტს და, დღევანდელი გლობალური კაპიტალიზმის პირობებში, ახდენს თავისი პროდუქციის იმპორტირებას. მარგინალურ, პერიფერიულ პოზიციებზე მყოფი ნაციონალური ლიტერატურებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, იყვნენ ორიგინალურები, არ ჩაიკარგონ და გაითქვიფონ მსხვილი ლიტერატურული მაგნატების მორევში და, ძალზე ხშირად, წარმატებითაც აღწევენ მიზანს. ამის ნიმუშებია: ლათინურ-ამერიკული მაგიური რეალიზმი, ისლანდიური საგები, ბალკანური ფოლკლორი და სხვ. ასეთ შემთხვევებში, მსოფლიო ლიტერატურული სისტემის ასიმეტრიულობა მხოლოდ გრაფიკულია და არა არსობრივი. „შესაძლოა, – ვარაუდობს მორეტი, – მიუხედავად იმისა, თუ რა წარ-

მოადგენს ანალიზის ობიექტს, ყოველთვის მოიძებნოს ის პოზიცია, სადაც, სამუშაოს ერთგვარი კოსმიური და გარდაუვალი გადანაწილების მიზნით, მსოფლიო ლიტერატურის კვლევა ადგილს დაუთმობს ნაციონალური ლიტერატურების კვლევებს. გარდაუვალობა გამოწვეულია არა პრეტიკული, არამედ თეორიული მიზეზებით” (მო-რეტი 2014: 165). ხოლო რაც შეეხება თეორიულ და მეთოდოლოგიურ თვალსაზრისებს, დევიდ დამროში შენიშნავს: „მსოფლიო ლიტერატურის გაფართოებულ სპექტრს ახასიათებს მნიშვნელოვანი თეორიული და მეთოდოლოგიური ქვეტექსტები ინდივიდუალური ნაციონალური ტრადიციების შესასწავლად, და ეროვნული ლიტერატურების სპეციალისტები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ მათი ავტორების განხილვას იმ ჩარჩოებისა და ქსელების ფარგლებში, რომლებიც სცდება მათ სამშობლოს. ეს საკითხები თავს იჩენს როგორც ადრეული პერიოდების, ისე – თანამედროვე მწერლობების მიმართ, ვინაიდან მსოფლიო ლიტერატურა გა-ცილებით უფრო ადრე აღმოცენდა, ვიდრე ვინმე თეორიის შემუშავებასა და მის სახელდებას მოიფიქრებდა” (დამროში 2014: 2,3).

ქართული ნაციონალური მწერლობაც ამ საერთო მოძრაობის ნაწილია – მართალია, ის ვერ კარნახობს წესებს და ვერ აკონტროლებს მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეს (მით უფრო დღეს, გლობალური კაპიტალიზმის ეპოქაში), მაგრამ, მთელი თავისი თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ცდილობს იყოს გლობალური, მნიშვნელოვანი, გავლენიანი ლიტერატურული პროცესების შუაგულში და აირეკლოს ეს პროცესები შინაგანი ღირსების უცვლელი შეგრძნებით, სწორად ისარგებლოს თავისი პირველსაწყისი კონცეპტით, ისტორიულ-გეოგრაფიული დინამიკითა და ინტერსისტემური ურთიერთობებით: ქართული მწერლობა ხომ დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების შეხვედრის უნიკალურ სივრცეშია განთვენი-

ლი, სადაც ყველანაირი „ჯადოქრობაა“ შესაძლებელი! იმის მტკიცება, რომ ქართული მწერლობა თანაბრად იზიარებს დასავლურ და აღმოსავლურ ლიტერატურულ პრინციპებს, ცხადია, გულუბრყვილოა: ქართული მწერლობა კეთილგანწყობილია როგორც ერთი, ისე მეორე ლიტერატურული მოდელის მიმართ, მაგრამ ის არსობრივად ქრისტიანული მწერლობაა, იმთავითვე ორიენტირებული დასავლურ კანონზე და შინაგანად მუდმივად დასავლეთისაკენ მომზირალი. აღმოსავლურ ლიტერატურულ გემოვნებასთან მისი სიახლოვე კი, სხვადასხვა დროსა და ეპოქაში, გარეფაქტორებმა განაპირობა¹: ა) გეოგრაფიულმა ლოკაციამ; ბ) ისტორიულმა მოვლენებმა; გ) ლიტერატურულმა ტენდენციებმა, რომლებმაც მოახდინეს გავლენა დასავლურ სამყაროზე. ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომ დასავლური და აღმოსავლური კულტურული მოდელების შეხვედრა ქართულ მწერლობაში „ჰარმონიულია“, არამედ მოვახდენთ ამ აზრის კორექტირებას: დასავლური და აღმოსავლური კულტურული მოდელების შეხვედრა ქართულ მწერლობაში „დიალოგურია“, წინააღმდეგობის დაძლევის მუდმივი პირობით, ვინაიდან ქართული მწერლობა და ქართული ლიტერატურული კანონი მუდმივად არსებობს შინაგანი მოთხოვნილებისა და გარეგანი განპირობებულობის ზღვარზე, დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა გზაშესაყარზე, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ პრევალირებს შინაგანი მოთხოვნილება, ყოველთვის საჭიროებს გათვალისწინებას გარეფაქტორების გავლენა.

1 თუმცალა, მეტ სიღრმისეულ ჩართულობას ვარაუდობს რ. თვარაძე ნაშრომში „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“: „დასავლურ, ევროპულ ორიენტაციასთან ერთად, ქართულ კულტურას აღმოსავლურ კულტურებთანაც არ გაუწყვეტია კავშირი და ამას გეოგრაფიული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორები კი არ განაპირობებდა მხოლოდ, არამედ სულიერი განვითარების ტენდენციებიც“ (თვარაძე 1985: 17) (ხაზი ჩვენია – ი.რ.).

1.2. კანონი, ლიტერატურული ისტორია და ქართული მწერლობის პერიოდიზაციის საკითხი

„მსოფლიო ლიტერატურისა“ და „ნაციონალური ლიტერატურების“ ცნებებისა და მათთან დაკავშირებული სხვა ტიპოლოგიური ცნებების („ცენტრი“, „პერიფერია“, „სიმეტრია“, „ასიმეტრია“ და სხვ.) გააქტიურებამ დღის წესრიგში დააყენა ლიტერატურული კანონის პრობლემა, მისი „უნივერსალური“, მათ შორის – „დასავლური“ და „აღმოსავლური“, და „ნაციონალური“ გაგებების დადგენისა და სწორი ანალიზის საჭიროება. XX საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობაში კანონი ერთხმად იქნა მიჩნეული ლიტერატურათაშორისი ურთიერთობებისა და კომუნიკაციური მოდელების განმსაზღვრელ მთავარ კრიტერიუმად; დადგინდა, რომ სწორედ კანონი განსაზღვრავს ყოველი ნაციონალური მწერლობის რაობას და საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესთან მისი მიმართების საკითხს, თუმცადა კანონის გააზრების თითოეული ეს სტრუქტურული საფეხური მწვავე დებატების საგნად იქცა.

კანონი, მისი „სალექსიკონი“ გაგებით, აღნიშნავს ლიტერატურულ ტექსტებს, რომლებიც მიჩნეულია ავთენტურად (ქუდონი 1999: 108). თავდაპირველად „კანონი“, როგორც ტერმინი, მოიხმარებოდა მხოლოდ იმ ბიბლიური ტექსტების აღსანიშნად, რომლებიც ეკლესიის მიერ მიიჩნეოდა ავტორიზებულ ტექსტებად, თუმცა დროთა განმავლობაში მან იმდენად გაიფართოვა მნიშვნელობა, რომ ცალკეული ავტორების შემოქმედებაც კი მოიცვა (მაგალითად, არსებობს ცნება „შექსპირისეული კანონი“).

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი განმარტებით, კანონი გარკვეული წესების, რეგულაციებისა და ნორმების დაცვის მოწესრიგებულ სისტე-

მას წარმოადგენს, რომლის ფორმირება და დადგენა ლიტერატურული ისტორიის წიაღში ხორციელდება. საგულისხმოა, რომ ლიტერატურული ისტორია აქ არ არის ლიტერატურის ისტორიის იდენტური ცნება. მარინ ლაკვი მიუთითებს: „**ლიტერატურის ისტორია წარმოადგენს ლიტერატურის ვირტუალურ არქივს, ან – იდეალურ სივრცეს, რომელიც მოიცავს ყველა შესაძლო არჩევანს, განსხვავებულ შეხედულებებს, ბმულებს და ა.შ. ლიტერატურული ისტორია კი, მეორე მხრივ, წარმოადგენს სპეციფიკურ სელექციას ლიტერატურის ისტორიიდან. ეს არის წარატივი ლიტერატურის შესახებ, რომელიც სპეციფიკურ ავტორებზეა ორიენტირებული და მოიცავს სპეციფიკურ ხედვებსა და მსჯელობებს“ (ლარმი 2011: 42). სწორედ მისი წარატიულობა, მოტივირებულობა და ინტენციონალური მიზანდასახულობა სძენს ლიტერატურულ ისტორიას ლიტერატურული კანონის, როგორც ლიტერატურული აზროვნების სპეციფიკური მოდელის გენერატორის ფუნქციას.**

ლიტერატურული ისტორია, რომლის წიაღშიც ყალბდება კანონი, შეიძლება განვიხილოთ სამ სხვა-დასხვა დონეზე: ნაციონალურ, ზენაციონალურ და ტრანსნაციონალურ დონეებზე. ასეთსავე რანჟირებას ექვემდებარება თავად კანონის ცნებაც. ვანესა მატარი განმარტავს: „ზენაციონალური ლიტერატურული კანონის იდეა მიემართება შესაძლებლობას, რომ მოხდეს იმ განსხვავებების დაძლევა, რომლებიც არსებობს სხვადასხვა ნაციონალურ ენებზე შექმნილ ლიტერატურებს შორის და რაც გამოხატულია ცალკეული ნაციონალური ლიტერატურული კანონების სახით“ (მატარი 2010: 99). მთავარ მეთოდოლოგიურ სირთულეს აქ ნაციონალური კანონის განმარტება და ზენაციონალურ კანონთან მისი მიმართების დადგენა წარმოადგენს. მატარისავე დაკვირვებით, თუ გავითვალის-

წინებთ, რომ კულტურის ისტორია „გულისხმობს რან-შირებას ნაციონალური იდენტობის კონცეპტიდან ვიდრე ლიტერატურული იდენტობის კონცეპტამდე (რასაც „ჩურჩულით“ ლიტერატურულობასაც უზოდებენ), ლიტერატურული კანონის საკითხის განხილვისას აუცილებელია განისაზღვროს, თუ რომელი ერიტერიუმია ამათთაგან დომინანტური: ლიტერატურული იდენტობა თუ ნაციონალური იდენტობა, რომელიც კონკრეტული კულტურის ფარგლებში ყალიბდება და კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე არსებობს. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვხატოთ ყველა არსებული Project Contra არგუმენტი, რომლებიც თავს იჩენს ლიტერატურული კანონის ნაციონალური და ზენაციონალური მოდელების განმარტებებს შორის“ (მატაჩი 2010: 99).

ერთი რამ ცხადია: ნაციონალური ლიტერატურული კანონი ძალზე დიდ მნიშვნელობას იძენს ცალკეული ლიტერატურების კულტურულ ისტორიაში, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნების კულტურულ ისტორიაში, რომელშიც ლიტერატურა კულტურული ცნობიერების წამყვანი მოდელია. სწორედ ასეთი ქვეყანაა საქართველო: ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონის კულტურული აპლიკაციები (მათ შორის პოლიტიკის სფეროში), მისი ფორმირების, განვითარებისა და ტრანსფორმაციის ყოველ ეტაპზე, თვითცნობიერების ჩამოყალიბებული მოდელის ესთეტიკურ რეფლექსიას წარმოადგენს და უზარმაზარ როლს ასრულებს ეროვნული თვითობის განსაზღვრის საქმეში. ნაციონალური იდენტობა ამ პარადიგმის განუყოფელი ნაწილია. სხვა საკითხია, რამდენადა ის დისტანცირებული ქართული ლიტერატურული იდენტობისგან და როგორ მიემართება ზენაციონალურ კანონს?

ზენაციონალური კანონის ცნების შემოტანასა და დამკვიდრებას კრიტიკოსთა დიდი ნაწილი რომანტიზმის ლიტერატურული სკოლის ფორმირებას უკავში-

რებს. მათი აზრით, სწორედ რომანტიზმის წიაღში მოხდა „წინარესა“ და „ახლანდელის“ გამიჯვნა, რაც სიმბოლურად „ძველი ერისა“ და „მოდერნულობის“ გამიჯვნას ასახავდა (პერდერი, შლეგელი, მადამ დე სტალი). მარქსისტული თეორიული სკოლის ერთ-ერთი ლიდერის ჯორჯ ლუკაჩის დაკვირვებით, რომანტიზმის ახალი ცნობიერება თანაბრად გამოხატავს როგორც საფრანგეთის რევოლუციის შედეგად მიღწეულ „საერთო-საყოველთაო ისტორიულ ცვლილებებს“, ისე – ცალკეული ნაციების მიერ „თვითცნობიერების“ ადაპტირებას, საკუთარი ინდივიდუალობისა და ორიგინალური იდენტობის აღიარებას (ლუკაჩი 1923). არც ლუკაჩი და არც მისი წინამორბედი კრიტიკოსები, ცხადია, არ ამტკიცებენ საპირისპიროს, რომ ნაციონალური ლიტერატურული კანონების ფორმირებაც რომანტიზმის ეპოქას უკავშირდება, თუმცალა, რომანტიზმი დაბეჯითებით მიიჩნევა ნაციონალური ლიტერატურული კანონების ლინგვისტური და კონცეპტუალური გააქტიურების ფაზად¹. თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე, რთული მისახვედრი აღარაა, რომ რომანტიზმის ეპოქის, როგორც ნაციონალური და ზენაციონალური კანონების ფორმირების საბაზისო საფეხურის მნიშვნელობის ჰიპერბოლიზება, ერთი მხრივ, ახდენს

1 ლოტმანის აზრით, ყოველი ეროვნული ლიტერატურის ენა ნიშნავს კონკრეტული კულტურის „ბუნებრივ“ ენათა რიგს, რომელიც განეკუთვნება ყველაზე მეტად განვითარებულ და სტურქტურულად ორგანიზებულ ენებს, იმ ენებს, რომლებიც ქმნიან „სემიოსფეროს ცენტრს“; ვერც ერთი ენა ვერ იქუნქციონირებს ამ სემიოსფეროს მიღმა, მაგრამ, მეორე მხრივ, ვერც სემიოსფერო შეიქმნება ამ ენების გარეშე (ლოტმანი 1996). მეცნიერთა აზრით, ბევრ ევროპულ ქვეყანები რომანტიზმის ეპოქაში აღინიშნება „პუნქტრივი“ ენების იდენტიფიცირება „ნაციონალურ“ ენებთან და მათ ლიტერატურულ მოდელებთან.

კანონის პოლიტიზაციასა და სოციალიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, აბალანსებს განსხვავებებს და ქმნის „ახალი“ და „ძველი“ ლიტერატურების პარიტეტულობის შეგრძნებას. მაგრამ, პარიტეტულობა, ამ შემთხვევაში, მხოლოდ იღუზია ხომ არ არის (თუნდაც არგუმენტირებული იღუზია), რომელიც ცდილობს „ახალ“ და „ძველ“ ლიტერატურებს შორის არსებული მეთოდოლოგიური წინააღმდეგობის მორიგებას? ქვეყნებში, რომელთა ლიტერატურული ისტორია შედარებით „ახალია“ და რომანტიზმის ეპოქიდან იღებს სათავეს, ნაციონალური იდენტობის ცნება საგრძნობლად არის დისტანცირებული ლიტერატურული იდენტობის ცნებისაგან და კანონის განსაზღვრის საქმეში წარმმართველი ფუნქცია სწორედ ლიტერატურულ იდენტობას ეკუთვნის. სრულიად განსხვავებული მოლოდინი არსებობს იმ ქვეყნების ნაციონალური ლიტერატურული კანონების განხილვისას, რომელთა ლიტერატურული ისტორია „ძველია“ და ბევრად წინ უსწრებს რომანტიზმის ეპოქას, მათ შორის, ქართული ლიტერატურული ისტორიაც: დისტანცია ნაციონალური იდენტობის ცნებასა და ლიტერატურული იდენტობის ცნებას შორის მინიმუმამდეა შემცირებული და ჭირს კანონის ერთი დომინანტური კრიტერიუმის გამოყოფა. მიუხედავად მისი ქმედითობისა, „ძველ“ და „ახალ“ ლიტერატურებს შორის არსებული მეთოდოლოგიური განსხვავება სულაც არ გულისხმობს იმას, რომ „ახალ“ ლიტერატურებს არ შესწევთ ძალა, შექმნან ესთეტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროდუქცია, რომელიც მეტ დინამიზმს შესძენს ნაციონალურ-ცენტრისტული ლიტერატურული მოდელებისა და ზენაციონალური ან ტრანსნაციონალური ლიტერატურული მოდელების ურთიერთობას.

ფიქრობს რა ზენაციონალური კანონის სტანდარტის პრობლემაზე, „დასავლური კანონის“ (1994) ავტორი, ჰაროლდ ბლუმი, ახდენს „რომანტიზმის ჰეგემონიის“

თეორიის დეკონსტრუქციას და დასავლური კანონის ფორმირებას ანტიკური ხანის ავტორიტეტებიდან და ანგლოსაქსონური ლიტერატურის შუასაუკუნეობრივი შრეებიდან იწყებს. ბლუმის თეორიის საფუძველს შეადგენს ესთეტიზმის პრინციპი, რომელსაც, მისი აზრით, ლიტერატურის პოლიტიზაციისა და სოციალიზაციის პრინციპებისაგან განსხვავებით, არ გააჩნია „შეზღუდვები“. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბლუმის კრიტიკას არ ერიდებიან მსოფლიოს სხვადასხვა თეორიული სკოლების წარმომადგენლები და ედავებიან მისი შრომების როგორც მეთოდოლოგიურ, ისე პრაქტიკულ მხარეს, ფაქტი ფაქტად რჩება – ჰაროლდ ბლუმმა მოახდინა ესთეტიზმის, როგორც ზენაციონალური კანონის ფორმირების ძირითადი პირობის დეკლარირება: „ესთეტიკური ლირებულება არსობრივად წარმოადგენს ხელოვანებს შორის მიმდინარე ურთიერთზემოქმედებისა და ურთიერთგავლენების შედეგს, რაც ყოველთვის ინტერპრეტაციაა“¹ (ბლუმი 1994: 24). იყენებს რა თავისი „გავლენის თეორიის“ ძირითად დებულებებს, ბლუმი, ზენაციონალური კანონის სტანდარტის განსაზღვრის მიზნით, ამკვიდრებს ცნებებს: „ძლიერი ავტორი“, „ავტორიტეტი“, „ლიტერატურული ორიგინალობა“, „მაღალი ლიტერატურული გემოვნება“, „გადაწერა“ და „ლიტერატურული ძალაუფლება“, რაც, ერთი მხრივ, საფუძველს ქმნის დასავლური კანონიკური ავტორებისა და ტექსტების ნუსხის შესაქმნელად, თუმცადა, მეორე მხრივ, ზრდის ნაციონალური ლიტერატურების შანსებსაც ზენაციონალური კანონის ნინაშე: მეტი თავისუფლება ეძლევა არა მარტო ცალკეულ ავტორებს, რომელთაც შეუძლი-

1 კრიტიკოსთა აზრით, ბლუმი, მართალია, პირდაპირი ციტირების გარეშე, მაგრამ მეთოდოლოგიურად დაუუფუძნა კანტის ფილოსოფიას. იხ. М. Ямпольский, Литературный канон и теория “сильного” автора // <http://magazines.russ.ru/inostran/1998/12/iamp.html>

ათ „გადაწერონ“ შედევრები, და „დიად წიგნებს“, რომლებიც განიცდიან ცვლილებებს „გადაწერის“ შედეგად, არამედ მყითხველებსაც, რომელთაც შესწევთ უნარი, შექმნან საკუთარი კანონი თავიანთი საზოგადოებრივი პოზიციისა და კულტურული ღირებულებების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, „ავტორის კანონიზაციას ახდენენ არა მარტო მისი მკვლევარები, არამედ კრიტიკოს-ინტერპრეტატორები, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ თავდაპირველი ტექსტების მნიშვნელობების შემდგომ გაფართოებაში“ (იამპოლსკი 1998: <http://magazines.russ.ru/inostran/1998/12/iamp.html>). იქნებ სწორედ ტექსტის სემანტიკური ველის გაფართოება არის ბლუმისეული „შიშის“ მიზეზი და არა „გავლენის შიში“? იმდენად დიდი იყო ბლუმის სურვილი, ჩამოეცილებინა ლიტერატურისათვის პოლიტიკური საბურველი, რომ კანონიკური ტექსტები „აპოლიტიკურებადაც“¹ კი გამოაცხადა, თუმცა კანონის ელიტურობის გაგებისაგან თავის დაზღვევა ვერ შეძლო: ლიტერატურის სოციალური ბუნება ძნელად მისაჩქმალი საკითხია. ასე, მაგალითად, მაიკლ რიფატერი მიიჩნევს, რომ „კანონი ტექსტის კულტურული გამოხატულებაა, ჩარჩოა თაყვანისცემის გარკვეული ტიპისთვის, რომელიც მუშაობს მონიშნულ [კონკრეტულ] სოციალურ კონტექსტში“ (რიფატერი 1995: 71); მარკო იუვანის დაკვირვებით კი, ლიტერატურული კანონი წარმოადგენს „სოციალური კოპესიურობის¹ ერთ-ერთ ცენტრალურ საშუალებას; ეს არის კულტურული მეხსიერების ნაკვალევის დაცვის ინსტიტუციონიზებული მედიუმი“ (იუვანი 2006: 227).

1 ეს ტერმინი ბოლო დროს ხშირად გამოიყენება სპეციალურ ლიტერატურაში და აღნიშნავს იმ კომუნიკაციურ გაუგებრობებს, რომლებსაც ადგილი აქვთ ქვეყნის შეგნით, ნაციონალურ უმცირესობათა და მიგრანტების წრეებში და რაც, უმეტესწილად, გამოწვეულია სხვადასხვა სოციალური ნირმების არსებობით. ლიტერატურული კომუნიკაციის ერთ-ერთ ფუნქციად ამ გაუგებრობათა თავიდან აცილება მიიჩნევა.

ამერიკული „ახალი კრიტიკის“ სკოლის ფუძემდებლების რენე უელეკისა და ოსტინ უორენის თეორიაში „ზენაციონალური კანონის“ გაგება გოეთესეული ცნების გაფართოებულ ვერსიას წარმოადგენს და გულისხმობს კანონის არა მხოლოდ დასავლურ (ევროპა-ცენტრისტული პოზიცია) ან აღმოსავლურ მოდელს (აზიაცენტრისტული პოზიცია), არამედ დასავლურს, აღმოსავლურს, აფრიკულს და სხვ. (ფარავს ყველა იმ ზონას, რომელსაც „მსოფლიო“ ჰქვია); „ნაციონალურ კანონს“ კი მინიჭებული აქვს „გაცნობიერებული არჩევანის“ სტატუსი, რომელიც ზენაციონალური კანონის ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველთვის შეიძლება დაექვემდებაროს „შესწორებას“. კითხვა ასე დგას: შესაძლებელია თუ არა ნაციონალური კანონის იმ მოდელის შეცვლა, რომელიც მიუღებელია საერთაშორისო ლიტერატურული საზოგადოებისათვის? დილემის გადასალახად რენე უელეკი და ოსტინ უორენი კვლავაც ზენაციონალური კანონის ცნებას მიმართავენ და ამტკიცებენ, რომ ლიტერატურული ისტორია ზენაციონალურ (როგორც სინთეზური მოდელის) დონეზე შესაძლოა გადაიწეროს! ამერიკელი კრიტიკოსები თავიანთ მოსაზრებას ამყარებენ იმ არგუმენტებით, რომ ლიტერატურული ისტორიის ნებისმიერი ნაციონალური მოდელი კულტურის ისტორიის ნაწილია, რაც თავის თავში მოიცავს სხვადასხვა ლიტერატურულ ისტორიას, წაკითხვების ისტორიებს, შედარებითი ანალიზის (კომპარატივისტიკის) ისტორიას და ა.შ. შესაბამისად, თუ ნაციონალური ლიტერატურული ისტორიის წიაღში შემუშავებული კანონი ან ერგება ან ვერ ერგება ზენაციონალური ლიტერატურული ისტორიის წიაღში გამომუშავებული კანონის უფრო მასშტაბურ დონეს, ის, მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის სასარგებლოდ, შესაძლებელია დაექვემდებაროს რევიზიას.

კანონის რამდენადმე განსხვავებულ შეფასებას იძლევა ფრანკო მორეტი. მოიაზრებს რა მთლიანობაში პრობლემის თეორიულ ასპექტებს, მორეტი შენიშნავს: „საქმეც ამაშია: მსოფლიო ლიტერატურა არ არის ობიექტი, არამედ – პრობლემა, თანაც, პრობლემა, რომელიც ახალ კრიტიკულ მეთოდს ითხოვს“ (მორეტი 2014: 160). მორეტი ემიჯნება რენე უელეკის, ოსტინ უორენისა და ამერიკული ახალი კრიტიკის მიერ შემოთავაზებულ **ახლო კითხვის** (*Close reading*) მეთოდს და საკითხის მთელ სირთულეს არასწორ თეორიულ მიღებობაში ხედავს: „შეერთებული შტატები ახლო კითხვის ქვეყანაა; ამიტომაც, ჩემი იდეა იქ პოპულარული ვერ იქნება. მაგრამ ახლო კითხვის უბედურება (ყველა მისი ინკარნაციის ფორმაში, ახალი კრიტიკიდან ვიდრე დეკონსტრუქციამდე) ისაა, რომ იგი აუცილებლად დამოკიდებულია უკიდურესად პატარა კანონზე. შესაძლოა, ეს უკვე გაუცნობიერებელ და უჩინარ წინაპირობად იქცა, მაგრამ დღემდე ურყევი რჩება: თქვენ მხოლოდ იმიტომ დებთ ტექსტი ამდენ ინვესტიციას, რომ ფიქრობთ, რომ მათგან რამდენიმეს მაინც ექნება ჭეშმარიტი მნიშვნელობა. სხვაგვარად ამას აზრი არა აქვს. და თუ თქვენ გინდათ, რომ გაიხედოთ კანონს მიღმა (და რაღა თქმა უნდა, მსოფლიო ლიტერატურა ასეც მოიქცევა: აბსურდი იქნება, რომ ასე არ მოიქცეს!), ახლო კითხვა ამას არ დაუშვებს. ის არ არის მოწოდებული ამის გასაკეთებლად, ის საპირისპირო მოწოდებისაა. არსობრივად ის თეოლოგიური ვარჯიშია – აღმატებული დამოკიდებულება მცირე რაოდენობის ტექსტებისადმი, რომლებიც ძალიან სერიოზულად აღიქმებიან – მაშინ როცა ერთადერთი რაც ჩვენ გვჭირდება არის პატარა შეთანხმება ეშმაკთან: ჩვენ ვიცით, როგორ წავიკითხოთ ტექსტები, მოდით ახლა ვისწავლოთ, როგორ არ წავიკითხოთ ისინი“ (მორეტი 2014: 162).

და, მისდევს რა აღებულ კურსს, მორეტი გვთავაზობს ახალ მეთოდს, რომელსაც, მისი აზრით, შეუძლია დისტანციური კითხვა – **დისტანციური კითხვა** (*Distant reading*): „დისტანციური კითხვა: ეს ის შემთხვევაა, სადაც დისტანცია, ნება მიბოძეთ, გავიმეორო, წარმოადგენს ცოდნის კონდიციას: ის საშუალებას გაძლევს, რომ ყურადღების კონცენტრირება მოახდინო იმ ელემენტებზე, რომლებიც ტექსტზე მცირე ან, პირიქით, ტექსტზე მეტია (ვრცელია – ი.რ.): თემებზე, ტროპებზე – ან უანრებსა და სისტემებზე. და თუ ძალიან პატარასა და ძალიან დიდს შორის თავისთავად ტექსტი გაუჩინარდება, ეს ერთი იმ შემთხვევათაგანია, როდესაც ჩვენ მართებულად შეიძლება დავასკვნათ, რომ მცირე აღემატება მეტს. თუ ჩვენ გვსურს, რომ მთლიანად გავიგოთ სისტემა, ჩვენ უნდა შევეგუოთ რაღაცის დაკარგვას. ჩვენ ყოველთვის პატივით ვეკიდებით თეორიულ ცოდნას: რეალობა განუსაზღვრელად მდიდარია; კონცეპტები განყენებული და ლაკონურია. მაგრამ, სწორედ ეს „ლაკონურობა“ გვაძლევს საშუალებას, რომ გავუმკლავდეთ მათ, და შესაბამისად შევიმეცნოთ. სწორედ ამიტომ აღემატება მცირე მეტს“ (მორეტი 2014: 162)¹.

მორეტი დარწმუნებულია, რომ საანალიზო კომპონენტის განსაზღვრისას, ჩვენ უნდა დავაკვირდეთ მის „მეტამორფოზებს მრავალფეროვან გარემოში“, მანამ სანამ „მთელი ლიტერატურული ისტორია არ გადაიცევა ერთმანეთთან დაკავშირებული ექსპერიმენტების გრძელ ჯაჭვად“. განიხილავს რა რომანის

1 ლონგქსი მიუთითებს: „ბევრი გამოეხმაურა მორეტის თეორიულ მოდელს, მაგრამ ცოტამ თუ შენიშნა, მსგავსება „დისტანციურ კითხვასა“ და ნორთობის ფრაის არქეტიპულ კრიტიკას შორის, რომელიც განიხილავს ლიტერატურას როგორც ტოტალურ სტრუქტურას ანუ, უფრო როგორც სტრუქტურას, ვიდრე – ინდივიდუალურ ნაშრომებს, რომლებიც შემთხვევით არის შერწყმული ერთმანეთთან“ (ლონგქსი 2014: 517).

აღმავლობას 1750 წლის შემდეგ, მორეტი ვარაუდობს, რომ რომანი აღმავლობას განიცდის თითქმის ყველა გან როგორც კომპრომისი დასავლეთ-ევროპულ ნიმუშსა და ადგილობრივ რეალობას შორის (მორეტი 2014: 164). მაშინ, როგორ მუშაობს ეს ყველაფერი? „ჩემთვის ეს უფრო სამკუთხედია, – წერს მორეტი, – უცხო ამბავი, ლოკალური (ადგილობრივი – ი.რ.) ხასიათები; და შემდეგ – ლოკალური ნარატიული ხმა“ (მორეტი 2014: 164). შესაბამისად, აშკარაა ლიტერატურის ნაციონალური მოდელისა და კანონის მნიშვნელობა. მორეტის აზრით, კანონის თეორიულ შეფასებას ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის სპეციალისტები ახდენენ, თუმცადა, ისინი არ ქმნიან კანონს; კანონს ქმნიან ავტორები და მკითხველები – ავტორები, რომლებიც გარკვეულ კულტურულ კონტექსტში შეიმუშავებენ გარკვეულ დისკურსულ მოდელს და მკითხველები, რომლებიც, ასევე, გარკვეულ კულტურულ კონტექსტში ახდენენ აღნიშნული დისკურსის რეცეფციას. შედეგად, „ძალიან მცირე რაოდენობა წიგნებისა იპყრობს უზარმაზარ სივრცეს. ეს არის კანონი“, – წერს მორეტი (მორეტი 2000: 211). თანამედროვე კრიტიკოსების ნაწილი „მკითხველის“ მორეტისულ ცნებას აზუსტებს „გავლენიანი მკითხველის“ ცნებით და ასეთად მოიაზრებს თავად ავტორებს, გამომცემლებს, კრიტიკოსებს, ლექტორებს, მასნავლებლებს და ა.შ. კანონის შექმნის პროცესი მორეტისული „ლიტერატურული სკოლის“ გაგებიდან ფართოვდება „სალიტერატურო ბაზრის“ მიმართულებით, თუმცადა დიდად არ შორდება კლასიკურ განმარტებას: ნებისმიერ შემთხვევაში, კანონი არ იქმნება მთლიანი ლიტერატურული პროდუქციის ბაზაზე, არამედ დომინანტური პროდუქციის ბაზაზე, რომელიც ყველა მომდევნო ეპოქაში [შე]ინარჩუნებს აქტუალობას. ნაციონალურ ლიტერატურულ კანონს ქმნის კონკრეტული ქვეყნის ლიტერატურული ელიტა

და მხარს უჭერს იდეოლოგიური სისტემა: კანონს არა-სოდეს ქმნიან მარგინალები, არამედ ე.წ. ცენტრალური ავტორები, რომლებიც წარმოადგენენ ამა თუ ეპოქის ლიტერატურულ ელიტას. კანონისა და ლიტერატურული ელიტის ინტერესები კი, ხშირ შემთხვევებში, სუბიექტურია, რაც აისახება კანონის მოქმედების ხანგრძლივობასა და ეფექტურობაზე. მორეტი მიიჩნევს, რომ ლიტერატურული ისტორია არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მხოლოდ კანონიკური ტექსტების ერთობლიობა, არამედ – კანონიკური და არა-კანონიკური ტექსტების მთლიანობა: ჭეშმარიტად ღირებული ლიტერატურული ისტორია წარმოადგენს მთლიანობას კანონიკური და კანონის მიღმა გადასროლილი „დიადი წაუკითხავი წიგნებისა“, რომელთაც შესწევთ ძალა, შეცვალონ (თუნდაც მრავალი წლის შემდეგ) ლიტერატურული ისტორიის ნაციონალური და ზენაციონალური მოდელები. „ეს უზარმაზარი შანსია, უზარმაზარი ცვლილების მოლოდინია“, – წერს მორეტი, რაც ხშირად აღტერნატიული კანონის აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა (მორეტი 2000: 227).

ტიტ ჰენოსტე იზიარებს კანონის არასრულყოფილების იდეას, მაგრამ, გამომდინარე ნაციონალური ლიტერატურების ინტერესებიდან, უბრუნდება მის კლასიკურ განმარტებას: სამწუხაროდ, კანონი, როგორიც არ უნდა იყოს ის, იმიტომაა კანონი, რომ არ ექვემდებარება შეცვლას, გადაადგილებას და, მით უმეტეს, დაპირისპირებას ე.წ. „აღტერნატიულ კანონთან“, რომელიც თავისთავად გაუგებარი ცნებაა. კანონი ლიტერატურული ინსტიტუციაა, საკანონმდებლო ორგანო, რომელიც ახდენს იერარქიული საფეხურებისა და საზღვრების დემარკაციას. „კანონი არა-სოდეს კვდება. მას ვერც ძალით მოკლავ. მას არც ცხრა თავი აქვს, რადგანაც არ არის ურჩხული. პირიქით, ის ნაყოფიერი მიწაა, რომელზეც რძე და თაფლი გად-

მოედინება თავის საზღვრებში და მის გარეთ“, – წერს პენოსტე (ლარმი 2011: 44). სხვაგვარად რომ ვთქვათ, პენოსტეს აზრით, ნაციონალური ლიტერატურული ისტორიის წიაღში გენერირებული კანონი, მიუხედავად იმისა, მისაღებია ის თუ მიუღებელი გარე კონტექსტისათვის, ნარმოადგენს ინდივიდუალურ კონცეპტუალურ მოდელს და ღირებულ ნიშნულს ზენაციონალური ლიტერატურული ისტორიისა და კულტურის ისტორიის ზოგად სივრცეში; მისი გადაკეთება უფრო მასშტაბურ მოდელზე მორგების მიზნით შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში პრინციპულ მნიშვნელობას იძენს თითოეული ნაციონალური კანონის გათვალისწინება ზენაციონალური კანონის ფორმირების პროცესში: ნაციონალური ლიტერატურული კანონი აღარ არის პასიური „დაქვემდებარებული“, არამედ – აქტიური „ზემოქმედი“; ამასთან, ნაციონალური კანონის მნიშვნელობა იზრდება ტრანსნაციონალური კანონის ფორმირების საქმეშიც: ტრანსნაციონალური ლიტერატურული კანონი მულტილინგვისტურ გარემოში ყალიბდება, შესაბამისად, მისი ფორმირების საფუძვლად ვერ იქნება მიჩნეული საერთო-ლინგვისტური სიბრტყე, არამედ მხოლოდ საერთო-ესთეტიკური სიბრტყე, რომელიც თანამედროვე მექანიზმების მეშვეობით სძლევს კომუნიკაციურ წინააღმდეგობებს (თარგმანი, გამოცემები, ურთიერთობები, კომპარატივისტული კვლევები). მატაჩის უაღრესად საგულისხმო დაკვირვებით, „თუ ერს განვსაზღვრავთ როგორც პოპულაციას, რომელიც იზიარებს ისტორიულ ტერიტორიას, საერთო მითოლოგიას და ისტორიულ მექსიერებას, საზოგადოებრივ კულტურას, საერთო ეკონომიკას, სამართლებლივ ნორმებსა და მოვალეობებს, მაშინ ტრანსნაციონალური ლიტერატურული საზოგადოება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც საზოგადოება, რომელიც გაცნობიერებულად იზიარებს საერთო ლი-

ტერატურულ წარსულს. მის საფუძვლად ძნელია მივიჩნიოთ საერთო ისტორია, რომელიც ქრონოლოგიურად ასახავს მოვლენებს, რომელთაც ხშირად უაღრესად სპეციფიკური მნიშვნელობა ენიჭებათ კონკრეტული ერის ცხოვრებაში: ტრანსნაციონალური ლიტერატურული ისტორიისა და კანონის შემთხვევაში პირველადი მნიშვნელობის მოვლენები... უაღრესად გაბნეულია. შესაბამისად, „ზიარი ლიტერატურული ისტორია“, როგორც ტრანსნაციონალური კანონის ფორმირების საფუძველი, ვერ დაემთხვევა „ზიარი ისტორიის“ პარადიგმას და ვერ შეჩერდება მსგავსებებისა და განსხვავებების ძიებაზე ერთი მოვლენის ან მოვლენების შიგნით, თუნდაც მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდეთ „სხვისი ისტორიის“ დადგენის საქმეში. გაზიარებული ლიტერატურული ისტორია და ტრანსნაციონალური ლიტერატურული კანონის ჩამოყალიბების შედეგი უნდა იყოს მსგავსებებისა და განსხვავებების დადგენა ცალკეულ ლიტერატურულ მოდელებს შორის, რომლებიც ორაზროვნად ან თუნდაც მრავალმხრივად მიემართება კონკრეტულ, მაგრამ საერთო თემებს, უანრებს, სემანტიკური პარადიგმების ისტორიულ მახასიათებლებს, მხატვრულ სახეებს, იდეებსა და კონცეპტებს. შესაბამისად, ტრანსნაციონალურმა ლიტერატურულმა კანონმა, რომლის ფორმირებაც დამოკიდებულია გაზიარებულ ორაზროვნებებზე, მხედველობაში უნდა მიიღოს თითოეული ნაციონალური კანონის მოდელი, რომელიც მონაწილეობს საერთო ლიტერატურული წარსულის შექმნაში“ (მატაჩი 2010: 120).

ცხადია, რომ თეორეტიკოსების მიმართება კანონთან საკმაოდ წინააღმდეგობრივი და რთულია, ხშირად – ურთიერთგამომრიცხავიც; სამეცნიერო მიდგომები ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას ითვალისწინებს: თუ უელევისა და უორენისათვის და, შესაბამისად, მეცნიერთა ერთი ნაწილისათვის, ნაციონალური კანონი

„არასაკმარისად კომპეტენტურია“ ლიტერატურული ისტორიის ზოგადი მოდელის დადგენის პროცესში და უპირატესობა ცალსახად ენიჭება ზენაციონალურ კანონს, მეცნიერთა მეორე ნაწილი, პირიქით, მიიჩნევს, რომ ნაციონალური კანონის, როგორც პირველსაწყი-სის გარეშე ვერ შედგება ვერანაირი მსჯელობა ზენა-ციონალურ კანონის შესახებ. ერთ შემთხვევაში ნაცი-ონალური კანონი ფლექსიური მოცემულობაა, მეორე შემთხვევაში – მყარი და მდგრადი...

რამდენად ანგაგონისტურია ეს მოსაზრებები? ხომ არ ექვემდებარება მორიგებას ეს ორი პოზიცია და როგორ ერთვება ამ სქემაში ქართული მწერლობა?

ქართული ლიტერატურა, მსგავსად სხვა ნაციონა-ლური ლიტერატურებისა, სამ კლასიკურ მაჩვენებელ-ზეა დაფუძნებული. ეს მაჩვენებლებია: გენეტიკური კოდი (გენი), ენა და ადგილმდებარეობა. შესაბამისად, ქართული ლიტერატურის ხერხემალს შეადგენს ლი-ტერატურა, რომელიც იქმნება საქართველოში, ქარ-თულ ენაზე, ქართველების მიერ და ქართველების-თვის, მაგრამ ხერხემალი, მისი ცენტრალურობის მი-უხედავად, არ არის ყველაფერი: არსებობს სხვა, ე.ნ. არაცენტრალური არეალები, რომლებიც, კვალიფი-ციური სამეცნიერო დისკუსიის პროცესში, სავსებით სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ ქართულ ლიტე-რატურად. მაგალითად, თუ ზემოთ ჩამოთვლილი სამი მაჩვენებლიდან პირველს გავიაზრებთ, როგორც არ-ქეტიპულ მეხსიერებას, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყოველი ნაციონალური ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა, მომდინარეობს ნაციონალური მეხსიერების გამყარებული მოდელიდან, რომელიც სპეციფიკური არქეტიპების ფორმითაა გამოხატული. ასეთ შემთხ-ვევაში, მხოლოდ ენა, გეოგრაფიული ლოკაცია, გვარ-სახელი ან მოქალაქეობა ვერ ჩაითვლება მწერლის იდენტობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებად, არამედ

– მეხსიერება, რომლის ფარგლებშიც ყალიბდება და ვითარდება მწერლის ცნობიერება¹. ამ გადასახედი-დან ქართულ ლიტერატურას ასევე მიეკუთვნება: ტექ-სტები, დაწერილი ქართულ ენაზე ქართველი ემიგ-რანტი მწერლების მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ; არაქართულ ენებზე ქართველი მწერლების მიერ დაწერილი ქართული მენტალობის მატარებელი ტექსტები; არაქართველი ავტორების მიერ ქართულ ენაზე დაწერილი ტექსტები და სხვ. თითოეული ეს მოდელი შეიძლება იყოს ქართული ლიტერატურული კანონის ნაწილი, ანაც არსებობდეს მის მიღმა: მათი ბედი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული – იდეოლოგიურზე, რელიგიურზე, პოლიტიკურზე და ა.შ.

ქართული ლიტერატურული ისტორიის ზოგადი პა-რადიგმის გათვალისწინებით, ქართული ნაციონალუ-რი ლიტერატურული კანონი, როგორც მყარი ნაცი-ონალური სისტემა, ჩამოყალიბების ძალზე რთულ გზას სძლევს და ქართული ლიტერატურული ისტო-რიის შემდეგ პერიოდებს მოიცავს:

- ქართული ქრისტიანული მწერლობა და ქარ-თული იდენტობის ფორმირება: ჰომილეტიკა, ჰიმნოგ-რაფია, ჰაგიოგრაფია, პოლემიკა და ა.შ.;
- შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ – დასავ-ლური და აღმოსავლური კულტურების შეხვედრა ქარ-თულ მწერლობაში;
- გარდამავალი ეპოქა (XIII-XV საუკუნეები)²;
- XVI-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობა. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და უკან: ევროპუ-ლი კონცეპტის რეკონსტრუქცია;

1 იხ. ი. რატიანი, ნაციონალური ლიტერატურებისა და შედარებითი ლიტერატურისმცოდნეობის საზღვრები // წახნაგი, 2, 2010.

2 ამ ეპოქას სოლ. დოდაშვილი, ალ. ხახანაშვილი მოიხსენიებენ „დაცემის ხანად“, ხოლო ალ. ცაგარელი ყოფს ორ წანილად: XIII-XVI სს. – დაცემის ხანა, XVI-XVIII სს. კი – აღმორძინების ხანა. ამავე ეპო-ქას „გარდამავალ ხანად“ მოიხსენიებენ რ. სირაძე და ირ. კენჭოშვილი.

- ქართული რომანტიზმი¹ – ახალი ქართული იდენტობის ფორმირების დასაწყისი;
- ქართული რეალიზმი – ბრძოლა ახალი ქართული იდენტობისათვის;
- XX საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობა: მოდერნიზმი, ქართული სიმბოლიზმი, ავანგარდი. ბრძოლა ცენზურის წინააღმდეგ;
- ადრეული საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობა: საბჭოთა ლიტერატურა – სოციალისტური რეალიზმი, პროლეტარული მწერლობა, მეორე მსოფლიო ომის პერიოდის მწერლობა და სხვ. (შენიშვნა: მარგინალური ფრთა – ქართული მოდერნიზმი და ავანგარდი, ქართველ ემიგრანტთა მწერლობა, დისიდენტური ლიტერატურა);
- გვიანი საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობა: ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და ქართული იდენტობის კვლავ-აღმოჩენის პროცესი;
- პოსტსაბჭოთა ქართული მწერლობა.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ამ ფაზებს წინ უსწრებს ქართული კულტურისა და კულტურული იდენტობის ფორმირების ორი უძველესი ეტაპი:

- პრეისტორიული ეტაპი: ქართული ფოლკლორი და მითოლოგია;
- ქართული დამწერლობის წარმოშობა: ანბანი, წარწერები, პირველი წერილობითი ძეგლები;

აღნიშნული პერიოდების გათვალისწინებით, გამოვქვამთ მოსაზრებას, რომ ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონის მოდელები ქართული ლი-

¹ ქართული რომანტიზმისა და ქართული რეალიზმის ცალკე ფაზებად დიფერენცირება ითვალისწინებს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის ი. ჭავჭავაძის ეულ ვერსიასა და კ. აბაშიძის შეხედულებებს.

ტერატურული ისტორიის სამ ეტაპზე ყალიბდება¹ – შუასაუკუნეების, რომანტიზმისა და პოსტსაბჭოთა ეტაპზე – და სამ კულტურულ ვარიანტად იყოფა: შუასაუკუნეებში ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონი ქრისტიანობის იდეოლოგიური და პოლიტიკური მარკერებითაა მოტივირებული, რომანტიზმის ეტაპზე ის აღმოსავლურიდან დასავლურ კონცეპტუალურ და ესთეტიკურ ველში კვლავჩაბრუნებით ხასიათდება, პოსტსაბჭოთა ეტაპზე კი ქმნის ახალ ესთეტიკას, რომელიც უპირისპირდება წინარე, საბჭოთა კანონს, როგორც ხელოვნურად ფორმირებულ სტრუქტურას. მიზანმებრნილია, ცალკე ქვე-სტრუქტურად გამოიყოს „რუსთაველის კანონი“, როგორც დასავლური და აღმოსავლური კულტურული ტრადიციის პირველი შეხვედრა ქართულ მწერლობაში და სილრმისეული კოსმოპოლიტური აზროვნებით გამორჩეული ტექსტი. აქედან გამომდინარე, ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონის ჩამოყალიბებისა და მოქმედების პროცესში, შუასაუკუნეების ეტაპზე, დომინანტას წარმოადგენს ნაციონალური იდენტობის კრიტერიუმები; რომანტიზმის ეტაპზე ვაკვირდებით ნაციონალური იდენტობისა და ლიტერატურული იდენტობის კრიტერიუმების სინთეზს (ეს ტრადიცია ჯერ კიდევ გვიანი შუასუკუნეების ქართული მწერლობიდან და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან იღებს სათავეს); პოსტსაბჭოთა ეტაპზე პრევალირებს ლიტერატურული იდენტობის კრიტერიუმი. მიუხედავად გარდამავალი დომინანტურობისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალურ და ლიტერატურულ იდენტობათა როლი თანაბრად წარმართველია ქართული ნაციონალური

1 თუმცადა, კანონის თითოეული მოდელის მომზადების (პრეპარაციის) პერიოდი და ხანგრძლივობა ქართული ლიტერატურული ისტორიის ყველა ზემოთ დიფერენცირებულ ეტაპს საჭიროებს და ფარაგს კიდევაც.

ლიტერატურული კანონის ფორმირების პროცესში: თუ ერთი განსაზღვრავს კანონის კონცეფციას, მეორე განსაზღვრავს კანონის ნაციონალურ ესთეტიკასა და მის მიმართებას ზენაციონალური და ტრანსნაციონალური კანონების მოდელებთან. შუასაუკუნეებში ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონი დასავლური კანონის ლირებული ფრთაა, რომანტიზმის ეპოქაში ის განიცდის ძირეულ ესთეტიკურ ტრანსფორმაციას, გამოხატულს ევროპული კონცეპტის რეკონსტრუირებით, ხოლო პოსტსაბჭოთა პერიოდში შეაბიჯებს თვითცნობიერებისა და თვითდამკვიდრების ახალ ფაზაში, რომელიც პრინციპულად უპირის-პირდება საბჭოთა იდელოგიის პირობებში შექმნილ საბჭოთა კანონს, როგორც თავსმოხვეულ სისტემას.

ამდენად, ქართული ლიტერატურულიკანონი ლიტერატურული ისტორიის წიაღში ფორმირდება და არ ან ვერ ითვალისწინებს ქართული ლიტერატურის ისტორიის ყველა დეტალს: ლიტერატურული ისტორიისა და კანონის „მაკრატელი“ ჭრის და კვეცს საკმაოდ ვრცელ მონაკვეთებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში და იტოვებს მხოლოდ იმ ფაზებს, რომლებიც მნიშვნელობს, როგორც ანგარიშგასაწევი ლირებულება.

ქართული ლიტერატურული ისტორიის ზემოთ ჩამოთვლილი ფაზები ცხადყოფს, რომ ქართული ლიტერატურული კანონი, უმეტესნილად, ორგანულად ერწყმის დასავლური ანუ ევროპული კანონის მოდელს, თუმცა, რიგ შემთხვევებში, სცდება მას და იხრება აღმოსავლური მოდელისაკენ: ქართული ლიტერატურა, ქვეყნის გეოგრაფიული ლოკაციიდან და კულტურული ორიენტირებიდან გამომდინარე, საკმაოდ ეფექტურად სარგებლობდა უნივერსალური კანონის დასავლური და აღმოსავლური მოდელების არსებობით, ვინაიდან მუდმივად იმყოფებოდა ამ ორი ცივილიზაციის გზა-ჯვარედინზე; დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიერ

ერთმანეთის „აღმოჩენამ“ და „აღიარებამ“ (XIX-XX სა-უკუნეებიდან) უფრო მეტად ხელსაყრელი პოზიცია შეუქმნა ქართულ მწერლობას – მას მიეცა თავისი სინ-თეზური ბუნების გამოვლენის ლეგალური უფლება (დასავლური კანონის როგორც პირველწყაროს პრე-ვალირების პირობით), რის შედეგადაც ქართული ლი-ტერატურა სავსებით ორგანულად ჩაერთო ტრანს-ნაციონალურ დიალოგში.

ვეთანხმებით რა ჰენოსტეს პოზიციას, მივიჩნევთ, რომ ქართული ლიტერატურული კანონი, როგორც არსებული ნაციონალური მოცემულობა, არ ექვემდე-ბარება მოდიფიცირებას, თუმცალა, ვიზიარებთ უორე-ნისა და უელეკის მოსაზრებასაც, რომლის თანახმადაც ნაციონალური კანონის ღირებულებას განსაზღვრავს მისი ურთიერთობა ზენაციონალურ კანონთან. ურთი-ერთობა კანონის ნაციონალურ და ზენაციონალურ მოდელებს შორის შეიძლება წარიმართოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ნიშნით: პირველ შემთხ-ვევაში ნაციონალური კანონი თავსებადია ზენაცი-ონალურთან ან არ არის თავსებადი, მაგრამ – გასათვა-ლისწინებელია; მეორე შემთხვევაში – ურთიერთობა შეწყვეტილია. ურთიერთობის თითოეულ ამ ფორმას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები გააჩ-ნია. მაგალითად, ქართული ლიტერატურული ისტორია იცნობს ისეთ პერიოდებს, როდესაც ქართული მწერ-ლობის განვითარების გზა: ა) გამომდინარე ქართული რეალობიდან, ირჩევს განვითარების ინდივიდუალურ გეზს და ნაკლებ ანგარიშს უწევს საერთაშორისო ლი-ტერატურულ სტანდარტს (მაგალითად: კლასიციზ-მის, განმანათლებლობისა და ბაროკოს ელემენტების მოულოდნელი სინთეზი XVI-XVIII საუკუნეების ქარ-თულ მწერლობაში; ქალაქური ტექსტის ფორმირება ქართული რომანტიზმის წიაღში; კრიტიკული რეა-ლიზმის ფაზაში შესვლა ნატურალისტური სკოლისა და

ნატურალიზმის ფაზების გავლის გარეშე და ა.შ.); ბ) აღ-
მოჩნდება გარდამავალი პერიოდის კონცეპტუალური
და ესთეტიკური სირთულეების პირისპირ (XIII-XV სა-
უკუნეები); გ) სცდება თავისი განვითარების ბუნებრივ
გეზს და ექვემდებარება დიქტატურის იდეოლოგიურ
რეგულაციებს, რის გამოც, სრულ დისპროპორციაშია
როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ კულტურულ
ტენდენციებთან და მიეკუთვნება „მესამე რგოლს“ –
ხელოვნურად კონსტრუირებულ სისტემას, „საბჭოთა
კანონს“. შესაბამისად, ნაციონალური კანონის, მათ შო-
რის ქართულის, რევიზია მიზანშეწონილია ზენაცი-
ონალურ კანონთან მისი ურთიერთობის განსაზღ-
ვრის მიზნით, მაგრამ უშედეგოა ზენაციონალურ კა-
ნონთან მისი მორგების მიზნით, ვინაიდან ამგვარი
რევიზია აუცილებლად შეენინააღმდეგება ნაციონა-
ლური ლიტერატურის განვითარების ბუნებრივ გეზს,
შემუშავებულს ლიტერატურული ისტორიის კონკრე-
ტულ ეტაპზე და უარყოფს მას როგორც ორიგინალურ
მოდელს.

პრეტენზია, რომელიც ზოგადი შენიშვნის სახით შე-
იძლება არსებობდეს ქართული ლიტერატურული კანო-
ნის პრინციპებისა და ჩარჩოების დადგენის პროცესის
მიმართ, სწორედ კანონის ფორმირებისათვის აუცილე-
ბელი კრიტერიუმების გამჭვირვალობისა და ქართუ-
ლი ლიტერატურის სწორი პერიოდიზაციის პრობლემას
მიემართება.

ამ საკითხს ქართული კრიტიკის ისტორიაში კვლე-
ვის თავისი ტრადიცია აქვს. თ. ციციშვილი და ი. მოდე-
ბაძე სტატიაში „ქართული ლიტერატურის ისტორიის
სისტემური შესწავლა XIX საუკუნის კრიტიკულ აზ-
როვნებაში“ შეეცადენ აღნიშნული ტრადიციის კანონ-
ზომიერებების დადგენას XIX საუკუნის ქართული კრი-
ტიკული სკოლის წიაღში. აღმოჩნდა, რომ საკვლევად
აღებულ ეპოქაში ქართული ლიტერატურის ისტორიის

სისტემური შესწავლით დაინტერესებულნი იყვნენ სო-ლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ხახანაშვილი, კიტა აბაშიძე. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნეში ქართული კრი-ტიკა ჯერ კიდევ არ არის მზად, წარმოებული დაკვირ-ვებები კონკრეტულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოში განა-თავსოს, თითოეულ დასახელებულ ავტორს, როგორც სტატიიდან ირკვევა, საკითხისადმი თავისი ხედვა და მიღებისა აქვს: „თუ სოლომონ დოდაშვილის, ალექსან-დრე ცაგარელის და ალექსანდრე ხახანაშვილის ყუ-რადღება ძირითადად ძველი ქართული მწერლობის შესწავლაზე იყო გამახვილებული, ილია ჭავჭავაძე და კიტა აბაშიძე უკვე XIX საუკუნის ლიტერატურული პროცესის ძირითადი ტენდენციების გამოყოფა-გა-აზრებას ცდილობდნენ“ (ციციშვილი, მოდებაძე 2013: 190).

ერთ-ერთი პირველი, ვინც ქართული ლიტერატუ-რის პერიოდიზაციის პრობლემას მეთოდოლოგიური ჩარჩო მოარგო, აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე იყო: მან გაითვალისწინა ქართული კრიტიკის ისტორიაში უკვე არსებული გამოცდილება (XIX საუკუნის ქართუ-ლი კრიტიკის მიღწევები) და დაამყნო მასზე საკუთარი მეცნიერული ხედვა. კეკელიძის მეთოდოლოგია, რო-მელიც საფუძვლად დაედო მეცნიერის ფუნდამენ-ტურ გამოკვლევებს ქართულ ლიტერატურის ისტო-რიის, უპირატესად, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის, სისტემური შესწავლის მიმართულებით, დაეფუძნა: ა) ქართული ლიტერატურის დიფერენცი-რებას ჟანრობრივი და შინაარსობრივი მოდელების პრინციპით, „საერო“ და „სასულიერო“ ლიტერატურის დარგების კვალდაკვალ; ბ) ქართული ლიტერატურის დიფერენცირებას ლინგვისტური მოდელების პრინ-ციპით (რაც ითვალისწინებს ქართული სალიტერატუ-რო ენის დიფერენცირებას „ძველ“ და „ახალ“ ენებად);

გ) ქართული ლიტერატურის დიფერენცირებას ქრონოლოგიური პრინციპით, საქართველოს ისტორიული ეპოქებისა და, შესაბამისად, სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების კვალდაკვალ. კორნელი კეკელიძის მიერ შემოთავაზებულ პერიოდიზაციის სისტემაში ძველი ქართული მწერლობის ნიმუშებად მიჩნეულია ქართული ლიტერატურული ძეგლები V საუკუნიდან ვიდრე XVIII საუკუნის ჩათვლით, XIX საუკუნიდან იწყება ახალი ქართული ლიტერატურული ისტორიის ათვლა, ხოლო XX საუკუნიდან – უახლესისა¹. თუმცადა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი ქართული მწერლობა არ არის ერთგვაროვანი მოდელი, არამედ დიფერენცირებულია საერო და სასულიერო მწერლობის ცალკეულ დარგებად, რომელთა ინიცირება, ფორმირება და განვითარება მორგებულია კონკრეტული ისტორიული ეპოქის ქარგაზე.

პერიოდიზაციის ამ მეთოდს ვერ დაეთანხმა პროფესორი რევაზ თვარაძე, რომელმაც თავის საეტაპო ნაშრომში „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“ ეჭვქვეშ დააყენა ტერმინების – „ძველი და ახალი ქართული ენა“, „ძველი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურა“, „საერო და სასულიერო მწერლობა“ – მართებულობა. „არ არსებობს რაიმე ენობრივი თუ შინაარსობრივი ბარიერი, რომელიც „ძველ ქართულ მწერლობას“ პრინციპულად, თვისებრივად გამიჯნავდა „ახალი“ ან „უახლესი“ ქართული ლიტერატურისაგან“, – აღნიშნავს რ. თვარაძე (თვარაძე 1985: 4). მეცნიერის ეჭვი ეფუძნება, მისი აზრით, სრულიად აშკარად გამოკვეთილ ტერმინოლოგიურ ბუნდოვანებას – ტერმინთა არა-დამაჯერებელ არგუმენტირებას, აგრეთვე, კვლევის

1 ტერმინები „ახალი“ და „უახლესი“ („უახლოესი“) რამდენადმე განსხვავებულად ინტერესის მიერ: „ძველი“ – V-XII სს., „ახალი“ – XII-XVIII საუკუნეები, „უახლოესი“ – XIX საუკუნე, რომელიც, თავის მხრივ, დაყოფილია ცალკეულ პერიოდებად.

საგნის არასწორად განსაზღვრას და კლასიფიცირების ფუნქციის ჰიპერბოლიზებას ლიტერატურული მასალის უფრო მარჯვედ ათვისების მიზნით. კრიტიკოსი დარწმუნებულია, რომ ქართული ლიტერატურა თხუთმეტსაუკუნოვან მთლიანობას წარმოადგენს, მონოლითურ ერთიანობას, რომელიც არსობრივად ქრისტიანული ტიპისაა, თუმცადა, მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული აღმოსავლურ კულტურულ გარემოსთან. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს მეცნიერის მსჯელობა ქართული კულტურისა და ლიტერატურის დასავლურ-აღმოსავლურ ბუნებაზე, სადაც აღნიშნულია, რომ „ქრისტიანული კულტურის ორბიტაში მოქცევამ უფრო მკაფიოდ გამოავლინა ქართველი ხალხის ოდინდელი ტენდენცია, რომლის არსებას ევროპულ კულტურასთან დაახლოება შეადგენდა. რამეთუ ქართული კულტურა თავისი ულრჩესი საწყისებით სწორედ ევროპული ტიპის, ხმელთაშუა ზღვის აუზის კულტურათა ტიპის ფენომენი იყო იმთავითვე და ვერასოდეს ეგუებოდა გეოგრაფიული მდებარეობის გამოისობით მოძალებულ ცალმხრივ აღმოსავლურ კონტაქტებს“ (თვარაძე 1985: 13)¹. თუკი თვალს გავადევნებთ რევაზ თვარაძის ზ. ა. ნიგნს, დავრწმუნდებით, რომ ქართული მწერლობის პერიოდიზაციის მთავარ პრინციპად მეცნიერმა ქრისტიანულ მწერლობასთან მისი მიმართება გამოკვეთა – დაახლოება-შერწყმის, დაცილების თუ კვლავ დაახლოების ტენდენციები, – რომელთა წიაღშიც, მკვლევრის დაკვირვებით, თავს იჩენს ქართული მწერლობის, როგორც მსოფლიოს სხვა

1 ამ ფონზე, რამდენადმე საკვირველია მეცნიერის მიერ იქვე გამოთქმული სრულიად საპირისპირო აზრი: „დასავლურ, ევროპულ ორიენტაციასთან ერთად, ქართულ კულტურას აღმოსავლურ კულტურებთანაც არ გაუწყვეტია კავშირი და ამას გეოგრაფიული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორები კი არ განაპირობებდა მხოლოდ, არამედ სულიერი განვითარების ტენდენციებიც“ (თვარაძე 1985: 17) (ხაზი ჩვენია – ი.რ.).

კულტურების დონეზე განვითარებული ქართული კულტურის ორგანული ნაწილის ყველა ღირსება.

ქართული მწერლობის პერიოდიზაციის პრობლემას 2007 წელს, სტატიაში „გარდამავალი მეგაპერიოდი ქართულ მწერლობაში“, გამოეხმაურა ლიტერატურათმცოდნე ირაკლი კენჭოშვილი. მეცნიერი პრინციპულად არ იზიარებს ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციას (მისი აზრით, აშკარად მარქსისტულს) „სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების მიხედვით, ანუ ფეოდალიზმის ოთხი ეტაპის შესაბამისად“ (კენჭოშვილი 2007: 132). მკვლევარი მიიჩნევს, რომ ლიტერატურის პერიოდიზაცია უნდა ემყარებოდეს ლიტერატურულ კრიტერიუმებს, როგორიცაა მთავარი სტილური მაჩვენებლები ან – უანრული მონაცემები. ი. კენჭოშვილის აზრით, „პერიოდს სახელი ჩვენ კი არ უნდა დავარქვათ, არამედ იგი თვითონ პერიოდმა უნდა გვიკარნახოს. პერიოდის ხასიათიდან გამომდინარე, ტერმინი შეიძლება შერჩეულ იქნას როგორც ლიტერატურიდან, ასევე ხელოვნების ისტორიიდან, ფილოსოფიიდან, რელიგიიდან, პოლიტიკიდან და თვით სამხედრო ხელოვნებიდან“ (კენჭოშვილი 2007: 133). ამის საილუსტრაციოდ სტატიის ავტორს მაგალითად მოაქვს ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: „კოლონიური პერიოდი“, „პროტესტანტიზმი“, „რომანტიზმი“, „მანერიზმი“, „ჩრდილოება ხანა“ და სხვ. მეცნიერის ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია პერიოდიზაციის სისტემის მიმართ არის ის, რომ „ყველა თუ თითქმის ყველა ევროპული ლიტერატურისაგან განსხვავებით, გარდამავალი პერიოდი არაა გამოცალკევებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში, სადაც მთელი მეგა-პერიოდი V საუკუნიდან XIX-მდე აღინიშნება ტერმინით „ძველი ლიტერატურა“ (კენჭოშვილი 2007: 133). ირ. კენჭოშვილის აზრით, ასეთი მეთოდოლოგიური უზუსტობის გამო, ზარალდება ქართული ლიტერატურის კლასიფიცირების სისტე-

მა: უგულებელყოფილია უმნიშვნელოვანესი ფაზები, პერიოდები და მოვლენები, რომლებმაც საფუძველი მოამზადეს დიდი გარდაქმნებისთვის. შესაბამისად, ყველაზე სადავო XII-XVIII საუკუნეების მნერლობას ის „გარდამავალ მეგა-პერიოდს“ უწოდებს, რომელშიც მოიაზრებს „კულტურული პოლიგლოტიზმის“ ეპოქას და ჰყოფს მას სამ ეტაპად და ქვეეტაპებად („ქართული პრერენესანსი“, „ქართული ბაროკო“ და სხვ.). თუ გავითვალისწინებთ, რომ მეცნიერის მიერ შემოთავაზებული პერიოდები შინაარსობრივადაც და ტერმინოლოგიურადაც მიმართულია ევროპული კულტურული და ლიტერატურული მოვლენებისაკენ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სტატიაში წარმოდგენილი კლასიფიკაციის ამოსავალ წერტილს სწორედ დასავლური კულტურა და ლიტერატურა წარმოადგენს.

ზემოთ მოყვანილი მეცნიერული მოსაზრებების შეჯერება ძალზე საინტერესო დასაკვნისაკენ გვიბიძგებს:

- ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის ყველა მეთოდოლოგიური მცდელობა ორიენტირებულია ქართული მნერლობის მიმართებაზე დასავლურ ქრისტიანულ კულტურასთან;
- ქართული მნერლობის, არსობრივად ქრისტიანულის ანუ პროდასავლურის, განვითარების პარადიგმა დიფერენცირებულია: ა) შინაარსობრივი მოდელებისა და ისტორიული ქრონოლოგიზმის პრინციპით (კ. კეკელიძე); ბ) კონცეპტუალური პრინციპით (რ. თვარაძე); გ) სტილური და უანრობრივი პრინციპით (რ. სირაძე, ირ. კენჭოშვილი);

- ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის ყველა ზ. მ. თეორია აღიარებს მის მჭიდრო კავშირს აღმოსავლურ სამყაროსთან, თუმცა ქრისტიანული მსოფლმხედველობის პრევალირების პირობით;

ჩვენთვის ერთი რამ ცხადია: ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონის ფორმირება პირდა-

პირ დამოკიდებულებაშია ქართული ლიტერატურული ისტორიის პარადიგმასთან და, შესაბამისად, ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის სწორ სისტემასთან. როგორც ამას ცხადყოფს მსოფლიო და ქართული კრიტიკული აზრის გამოცდილება, აგრეთვე, წინამდებარე ქვეთავში თავმოყრილი დაკვირვებანი, მეთოდოლოგიურმა მიდგომამ ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციისადმი უნდა დაძლიოს ისტორიული ქრონოლოგიზმის ჩარჩოები; ის უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ — გლობალურ მოვლენებსა და საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესებთან, პერიოდებთან და ეტაპებთან მიმართებაში, მათთან შესაბამისობის, წინააღმდეგობის ან სულაც — უგულებელყოფის გათვალისწინებით¹. ქართული ლიტერატურული კანონის გააზრება განუხრელად უნდა განხორციელდეს უნივერსალური კანონის დასავლურ და აღმოსავლურ მოდელებთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონი ახდენს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ეროვნულ-პოლიტიკური მოვლენების რეფლექსირებას, მთავარ საპირონოეს წარმოადგენს საერთაშორისო ლიტერატურული დინებები, საერთაშორისო ლიტერატურული პროცესი, რომელთან თანხმობასა ან წინააღმდეგობაშიც ყალიბდება ქართული კანონი ნაციონალური იდენტობის დაცვის აუცილებელი პირობით.

ასეთი, ჰოლისტიკური მიდგომა საშუალებას მოგვცემს:

1 საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესებზე ორიენტირების სურვილი ცხადად იკვეთება ჯერ კიდევ სოლ. დოდაშვილისა და ალ. ცაგარელის შრომებში და მეტად ჩამოყალბებულ სახეს იღებს ი. ჭავჭავაძის ნააზრევში. იხ. თ. ციციშვილი, ი. მოდებაძე, „ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემური შესწავლა XIX საუკუნის კრიტიკულ აზროვნებაში“, ლიტერატურული ძიებანი XXXIV, 2013, გვ. 178, 180, 184.

- წავიკითხოთ ქართული კანონი როგორც კანონის ნაციონალური მოდელი, რომელიც, უმეტესწილად, მიემართება ზენაციონალურ მოდელს, მაგრამ იქ, სადაც შესაბამისობა ირღვევა, საკითხი საჭიროებს უფრო დიფერენცირებულ ანალიზს როგორც კონკრეტული ეროვნული, პოლიტიკური, იდეოლოგიური, რელიგიური და სხვა ფაქტორების, ისე ზოგადყულტურული კონტექსტის – დასავლურისა და აღმოსავლურის – გათვალისწინებით;
- ვალიაროთ ქართული კანონის მთლიანი პარადიგმისა და ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის ცალკეული ეტაპების, როგორც ლიტერატურული ისტორიის (და არა ლიტერატურის ისტორიის) ღირებული მოდელების არსობრივი შესაბამისობა;
- მოვახდინოთ ქართული მწერლობის პერიოდების თავისუფალი სახელდება კულტურული დომინანტას პრინციპზე დაყრდნობით;
- დავადგინოთ, ქართული კანონის ფორმირების პროცესში რამდენად იყო დაცული ურთიერთმიმართებანი ცენტრსა და პერიფერიას ან ხერხემალსა და მარგინალურ ნაწილებს შორის.

ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელი და აუცილებელიც კია რევიზია იმისა, თუ რამდენად სწორად არის შეფასებული/ინტერპრეტირებული თავად ნაციონალური კანონი. ასეთი რევიზია გამოავლენს: ა) პერიოდიზაციის სისტემაში დაშვებულ შეცდომებს; ბ) ლიტერატურაზე ჩადენილ ძალადობას (მაგალითად, საბჭოთა დიქტატურის პირობებში)¹; გ) რეცეფციის პერსპექტივის ცვლილებას ზოგადყულტურული პროცესების გათვალისწინებით.

ნაშრომის მომდევნო თავებში შევეცდებით, წარმოვაჩინოთ ქართული ლიტერატურული კანონის ფორ-

¹ იხ. ი.რატიანი, რევოლუცია და შემოქმედებითი პროცესი. ქართული ლიტერატურული გამოცდილება // სჯანი, 14, 2013.

მირება ქართულ ლიტერატურულ ისტორიასა და მსოფლიო ლიტერატურულ პროცესთან შედარებითი ანალიზის ჭრილში, მაგრამ, ვიდრე ანალიზს შევუდგებოდეთ, მსურს მიუუბრუნდე ფრანკო მორეტის ესეს, სადაც ის „მსოფლიო სიბრტყეზე კულტურის“ გააზრების ორ მიდგომას განიხილავს. ამგვარი ანალიზის პროცესში ისტორიკოსები, ტრადიციულად, ორ საბაზისო კოგნიტურ მეტაფორას იყენებენ: ხის და ტალღის მეტაფორებს. სწორედ ამ მეტაფორებს მიმართავს მორეტი ლიტერატურის მსოფლიო დონეზე ანალიზის მცდელობისას: „ხე აღნიშნავს გადანაცვლებას მთლიანობიდან მრავალფეროვნებისაკენ: ერთი ხე მრავალი ტოტით... ტალღა ამის საპირისპიროა: ის აკვირდება, თუ როგორ ყლაპავს მთლიანობა (ერთნაირობა) თავდაპირველ მრავალფეროვნებას... ხეებს ესაჭიროება გეოგრაფიული წყვეტადობა... ტალღებს არ მოსწონს საზღვრები და ხარობს გეოგრაფიული უწყვეტობის პირობებში... ხეები და ტოტები სწორედ ის მოდელია, რომელსაც ეჭიდება ნაციონალური სახელმწიფოები; ტალღები კი ის მოდელია, რომელსაც ბაზარი ქმნის. და ასე შემდეგ. არაფერია საერთო ამ ორ მეტაფორას შორის, მაგრამ – ორივე მუშაობს... ამრიგად, ეს წარმოადგენს შრომის გადანაწილების საფუძველს ნაციონალურ და მსოფლიო ლიტერატურებს შორის: ნაციონალური ლიტერატურა იმ ადამიანებისთვისაა, ვინც ხედავს ხეს; მსოფლიო ლიტერატურა მათთვისაა, ვინც ხედავს ტალღებს... დიახ, ორივე მეტაფორა მუშაობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი თანაბრად კარგად მუშაობენ. კულტურის ისტორიის ნაყოფი ყოველთვის კომპოზიტურია: მაგრამ, რომელია წამყვანი მექანიზმი ამ კომპოზიტში? შინაგანი თუ გარეგანი? ნაციონალური თუ მსოფლიო? ამ დაპირისპირების ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა შეუძლებელია – საბედნიეროდ: ვინაიდან კომპარატივისტებს ჭირდებათ დაპირის-

პირება. ისინი ყოველთვის ძალიან მორცხვობენ ნა-
ციონალური ლიტერატურების წინაშე, ძალიან დიპლო-
მატიურები არიან: თითქოს ვიღაცას მოხელთებული
ჰქონდეს ინგლისური, ამერიკული, გერმანული ლიტე-
რატურები – და იქვე, სხვა კართან, პატარა პარალელუ-
რი სამყარო იყოს, სადაც კომპარატივისტი სწავლობს
მეორე ჯგუფის ლიტერატურებს, თან ცდილობს, რომ
არ შეაწუხოს პირველი ჯგუფი. არა; სამყარო ერთია,
ლიტერატურები ერთია, ჩვენ მხოლოდ ვუყურებთ მათ
სხვადასხვა თვალთახედვით და თქვენ კომპარატივის-
ტი ხდებით ერთი მარტივი მიზეზის გამო: იმიტომ, რომ
თქვენ დარწმუნებული ხართ, ეს თვალსაზრისი ჯობს
მეორეს“ (მორეტი 2014: 166).

თავი მეორე

**ჩართული ლიტერატურული ისტორია და
მსოფლიო ლიტერატურული პროცესი.
შუასაუკუნეებიდან რომანტიზმამდე**

2.1 შუასაუკუნეები. ქართული ქრისტიანული მწერლობა და ქართული იდენტობის ფორმირება

ქართული მწერლობისა და მსოფლიო ლიტერატურის ურთიერთობის დასაბამი, ცხადია, ქრისტიანული კულტურის კონტექსტში უნდა ვეძიოთ, სწორედ იმ ეპოქაში, როდესაც საქართველო თავისი ლიტერატურით უერთდება ქრისტიანული მწერლობის საერთოევროპულ ნაკადს, თუმცადა ეს მტკიცება სულაც არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ ქართული კულტურული ცნობიერების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ წარმართული კულტურის წიაღში იწყება, უძველეს პრეისტორიულ ეტაპზე, როდესაც საქართველო თავისი მითოლოგი-ითა და ფოლკლორით უძველესი კულტურული შრეების დონეზე უერთდება მსოფლიო კულტურულ სივრცეს და ასიმილირდება მასში. ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ ამ კულტურული შრეების რეფლექსირება მუდმივად ხორციელდებოდა და დღესაც ხორციელდება ქართულ კულტურასა და მწერლობაში, მხოლოდ საკითხი მეტ დაკვირვებასა და სწორ ანალიტიკურ მიდგომას საჭიროებს¹. მიუხედავად იმისა, რომ პრეისტორიულ

1 რ. თვარაძის მართებული შენიშვნით, „ქართული წარმართული კულტურის შესწავლა გვიან დაიწყო და ამიტომ დღესდღობით მის შესახებ ერთობ ზოგადი წარმოდგენა შეიძლება გვქონდეს“ (თვარაძე 1985: 11). საკითხი მართლაც მეტ დაკვირვებასა და სწორ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებულ მასშტაბურ ანალიზს მოითხოვს.

საფეხურზე ჯერეთ არ არის ფორმირებული ქართული ანბანი და დამწერლობა, ჩნდება კანონის კულტურული კოდის შექმნის მოთხოვნილება: შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტით აიხსნას ის დინამიური ტრანსფორმაცია, რომელიც განიცადა ქართულმა კულტურამ წარმართობიდან ქრისტიანობამდე – მას ესაჭიროებოდა მყარი მსოფლმხედველობრივი დასაყრდენი და კიდევაც ჰპოვა ეს დასაყრდენი ქრისტიანული აზროვნების წიაღში. მართებულად მიუთითებს რ. თვარაძე: „არც ქართულ მითოსს, არც კერპთაყვანისმცემლობას, არც ქართველთა წინაპრების საცხოვრისიდან წამოყოლილ მნათობთა თაყვანისცემას და არც მეზობელი სპარსეთიდან თავსმოხვეულ მაზდეანობას, ესე იგი ქართული წარმართული კულტურის მსოფლმხედველობრივი საფუძვლის პრეტენზიის მქონე არც ერთ ამ მოძღვრებას არ ძალედვა ეტვირთა ის როლი, ქრისტიანობამ რომ შეასრულა კულტურული აღმავლობის ასპარეზზე“ (თვარაძე 1985: 12). ორიგინალური დამწერლობის შექმნა და დანერგვა, ცხადია, ნიშნავდა ნაციონალური იდენტობის ძიების ხანგრძლივი ისტორიული პროცესის დაძლევას, რის შემდეგაც, ადრეული შუასუკუნების გარიურაჟიდანვე, ქართული ლიტერატურა აქტიურად ერთვება ქრისტიანული მწერლობის ევროპულ ქსელში. სახეზეა სასულიერო მწერლობის ყველა დარგის გამოვლინება: ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, ჰომილეტიკა, დოგმატიკა, პოლემიკა, ასკეტიკა და მისტიკა, კანონიკა, ლიტურგიკა, ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია და სხვ. როგორია ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის მიმართება დასავლურ კულტურულ-ლიტერატურულ პროცესებთან და რამდენად თავსებადია ქართული ნაციონალური კანონის ეს მოდელი ზენაციონალურ კანონთან?

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კულტურა და ლიტერატურა შეა საუკუნეებში დიდად იყო შთაგონე-

ბული ბიზანტიური კულტურითა და ლიტერატურით. ერთგვარი შეჯიბრი ბიზანტიურ კულტურასთან, რომელიც საცნაური იყო უკვე VIII-X საუკუნეებიდან, უფრო მეტად გამოიკვეთა X საუკუნიდან, როდესაც ათონის მთაზე დაარსდა ჯერ პირველი ქართული ტაძარი წმინდა იოანე მოციქულისა, ხოლო შემდეგ – ქართული მონასტერი ივირონი (980-83 წ.წ.). „ათონის მთას ქართველები წმინდა მთად მოიხსენიებენ, ხოლო იქ მოღვაწე საეკლესიო პირებს მთაწმინდელებს უწოდებენ“ (ხინთიბიძე 2013: 208). იოანე მთაწმინდელმა, ექვთიმე მთაწმინდელმა, გიორგი მთაწმინდელმა და სხვა ქართველმა მამებმა ქართული მონასტერი თეოლოგიისა და ქართული მწიგნობრობის ცენტრად აქციეს. „ათონის ქართულ სავანეში მიმდინარეობდა ინტენსიური მწიგნობრული საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო ქართული სასულიერო აზროვნების და საეკლესიო მოღვაწეობის მსოფლიო ორთოდოქსული ღვთისმეტყველების დონეზე ამაღლებისა და მის თანასწორად განვითარებისაკენ. ქართველთა ინტელექტუალური მიზანსწრაფვა და მოღვაწეობა გაგრძელდა. იგი ათონიდან გადავიდა ანტიოქიაში – შავ მთაზე, შემდეგ ბულგარეთში – პეტრიონონში და თვით საქართველოში, უპირატესად გელათში“ (ხინთიბიძე 2013: 209). ორიგინალური ტექსტების შექმნამ, ისევე როგორც გააქტიურებულმა მთაგმნელობითმა საქმიანობამ, ბრნყინვალე შედეგი მოიტანა: ქართველებმა მაღალ დონეზე შეიმეცნეს შაუსაუკუნეების კულტურა, ახალი თეოლოგიური და კულტურული სტრატეგიები, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შუასაუკუნეების ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის. სწორედ ქართველი მამებისა და შუასაუკუნეების ქართველი ავტორების დამსახურებით შესაძლებელი გახდა ქართული კულტურის მთავარი გზავნილის გაყდერება: **საქართველო იმსახურებს, რომ იყოს ჩართული დასავლურ ქრის-**

ტიანულ სააზროვნო სივრცესა და ლიტერატურულ პროცესში, ვინაიდან ქართულ კულტურასა და ლიტერატურას შესწევს ძალა, არა ოდენ მიიღოს მსოფლიო კულტურის გამოწვევები, არამედ – გაამდიდროს ის ნაციონალურ ცნობიერებაზე მორგებული ორიგინალური კულტურული ტენდენციებით.

ვსაუბრობთ რა შუასუკუნეების ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ პროცესზე, მიზანშეწონილად მიგვაჩინია, რომ ამთავითვე ხაზი გავუსვათ შემდეგ გარემოებას: ზოგადად, ადრეული შუასაუკუნეების ევროპული პოეტიკა, გამომდინარე მისი კონცეპტუალური ამოცანიდან, რაც ქრისტიანული მსოფლმხედველობრივი პრინციპების დანერგვა-ქადაგებასა და ბიბლიის ტექსტის ინტერპრეტაციაში მდგომარეობდა, პრინციპულად უპირისპირდება ანტიკური კულტურის წიაღში დადგენილ პოეტიკურ ტრადიციას: ის უარს ამბობს შეთხზულ ფაბულაზე, რითაც ემიჯნება შემოქმედებითად გარდასახული ამბის ანუ გამონაგონის ანტიკურ კონცეფციას.

ქრისტიანობამ ბევრი რამ მიიღო მემკვიდრეობით ბერძნულ-რომაული კულტურისაგან, თუმცა უც-ლელი ფორმით არაფერი დაუტოვებია: რაც არ მიიღო, თავისთავად დაივიწყა, ხოლო რაც მიიღო – გარდაქმნა და საკუთარ ინტერესებს მოარგო. **შუასაუკუნეებში შეიცვალა დასავლური კანონი, აზროვნების მოდელები და ჩარჩოები:** კაცობრიობის ღირებულებათა სისტემამ ახალ ეტაპზე გადაინაცვლა. იმ ცნებებს შორის, რომელთა მიღებაც ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანული აზროვნების პრინციპებს, აღმოჩნდა კლასიკური მიმესისი და მასთან ერთად – **დრამა:** დრამისათვის ნიშანდობლივი ემოციური უშუალობა და პირდაპირობა, აგრეთვე, მისწრაფება **სიამოვნების** აღძვრისაკენ ვერ თავსდებოდა საეკლესიო მამების მიერ დადგენილ ნორმებთან, რაც, პირველ ყოვლისა, გულისხმობდა

უანრის არასაკმარისად შემეცნებით ღირებულებას: სიტყვის შემეცნებითმა მნიშვნელობამ სპეციფიკურ სტილისტურ და ლინგვისტურ მოდელებზე გადაინაცვლა და ქრისტიანული რიტორიკის დამკვიდრებაში გამოიხატა. ქრისტიანული რიტორიკა არსობრივად განსხვავდა ანტიკური რიტორიკისგან, თუმცა ორატორული პრაგმატიკის ანტიკური ხერხი წარმატებით იქნა დანერგილი ქრისტიანული რიტორიკის პრაქტიკაშიც.

ორატორული პრაგმატიკის საფუძვლები ჯერ კი-დევ ანტიკურ ეპოქაში ჩამოაყალიბა არისტოტელემ, როდესაც მაღალი რიტორიკის მრავალ მნიშვნელოვან ფუნქციათა შორის საგანგებოდ გამოყო მისი სტილისტური ფუნქცია: მსმენელზე ზემოქმედების ორატორული ბერკეტების, სიტყვათა ლოგიკური განლაგებისა და საუბრისათვის შესაფერისი გამომეტყველების შერჩევა. სტილისტური ფუნქციის სამივე ზ. ჩ. კომპონენტი თანაბრად საჭიროა ორატორისათვის, თუმცა მათი ხევდრითი წილი ბევრადაა დამოკიდებული ორატორის კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებზე. ასეთ შემთხვევაში, რომელი სტილისტური კომპონენტის გააქტიურებას უნდა ელოდეს მსმენელი მაშინ, როდესაც ორატორად მხატვრული ტექსტის ავტორი გვევლინება? ლიტერატურული ტექსტის ავტორი მხოლოდ მაშინ ირგებს ორატორის ნიღაბს, თუ მკითხველის რეცეფციისათვის მისთვის სასურველი გეზის მიცემას ცდილობს და მთავარ იარაღად, ცხადია, სიტყვას აქცევს, სიტყვათა განლაგებას – კავშირსა და ინტონაციას. სიტყვის ეს რიტორიკული ფუნქცია განსაკუთრებული ეფექტურობით გამოიყენეს შუა საუკუნეების მოღვაწებმა. არისტოტელესეული შეგონება – „სიტყვა შედგება ორი ნაწილისაგან, რადგან აუცილებელია და-ადგინო ის საგანი, რაზედაც მსჯელობ და დაამტკიცო კიდეც“ (არისტოტელე 1981: 195), ამასთან, „საბუთები დამაჯერებელი უნდა იყოს“ (არისტოტელე 1981: 206)

- ადრეული შუა საუკენეების მოაზროვნეებმა ოსტატურად გადმოანაცვლეს მხატვრული ტექსტის სიბრტყეზე და ალეგორიული ეგზეგეტიკის უმთავრეს ორნამენტად გარდაქმნეს. ალეგორიული ეგზეგეტიკის მეთოდის შესაბამისად, ავტორის პოზიცია (ძირითადად, ბიბლიურ ტექსტებთან მიმართებაში), როგორც უტყუარი ჭეშმარიტება, მოხერხებულად განთავსდა „სხვაგვარად თქმის“ სტილისტური ხერხის ყალიბში... ამ მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს პორფირიუსმა, პროკლემ, ნეტარმა ავგუსტინემ, მოგვიანებით – დანტემ“ (რატიანი 2007: 100-101). ორატორული პრაგმატიკა საუკეთესო დასაყრდენი აღმოჩნდა მათთვის, ვინც მიზნად ისახავდა როგორც ქრისტიანული თეოლოგიის ტრადიციის, ისე ტექსტის ინტერპრეტაციული მრავალფეროვნების კულტურის ჩამოყალიბებას.

ქართულ სალიტერატურო სივრცეში წარმატებით ადაპტირდება ბიბლიური ტექსტების ინტერპრეტაციის ეს ტენდენცია, ნიშანდობლივი ევროპული ქრისტიანული რიტორიკისათვის, რაც მიზნად ისახავს როგორც ქრისტიანული თეოლოგიის ტრადიციის, ისე ტექსტის ინტერპრეტაციული მრავალფეროვნების კულტურის ჩამოყალიბებას: „ახალი აღთქმის“ (ამ შემთხვევაში პავლეს ეპისტოლეთა) ძველ ქართულ თარგმანებში, – მიუთითებს ელისო კალანდარიშვილი, – დაცულია ის ტერმინოლოგიური ნიუანსები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, თვალი ვადევნოთ ქრისტიანული ღვთისმეტყველების ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს – თეოლოგიური ტერმინოლოგიის შემუშავებას, ეგზეგეტიკის, როგორც საღვთო წერილის ტექსტის ინტეპრეტაციის საფუძვლების შექმნას“ (კალანდარიშვილი 2009: 101). მკვლევარი შენიშნავს, რომ თავად შუა საუკუნეების ლათინელი მამები მკვეთრად განასხვავებდნენ ბიბლიის „სიტყ-

ვასიტყვით“ და „არაპირდაპირ“ განმარტებებს, ხოლო ქართული სასულიერო მწერლობის წარმომადგენლები ამ პროცესის აღსანიშნად მოუხმობდნენ ტერმინებს „განმარტებითი“ და „სახისმეტყველებითი“ (კალანდარიშვილი 2009: 103). ცნება „სახისმეტყველებითი“ ინერგებოდა „შინაგანის“, სულიერის მნიშვნელობით, რომელსაც უნდა წარმოეჩინა საღვთო წერილის დაფარული აზრი, ცხადია, ტექსტის რეალური მოდელის გათვალისწინებით.

ინტერპრეტაცია ეყრდნობოდა წმინდა ტექსტების უტყუარობას: ორატორული პრაგმატიკა წარმატებით დაინერგა პოეტიკურ სისტემაში და ასეთივე წარმატებით ჩაენაცვლა არისტოტელესეულ „გამონაგონს“, რაც ანტიკური კანონის დედაბოძს წარმოადგენდა. ნიშნავდა თუ არა ეს „მხატვრულობის“ კონცეფციის უარყოფას?

ადრეული შუა საუკუნეების ლიტერატურული ტექსტების, განსაკუთრებით ჰაგიოგრაფიის უანრის ნიმუშების კონცენტრირებული კითხვა და ანალიზი გვაფიქრებინებს: მიუხედავად იმისა, რომ ადრეული შუა საუკუნეების პოეტიკა უარყოფს გამონაგონის ესთეტიკას ანუ ფიქციურ ტექსტს, ის სრულიადაც არ ამბობს უარს მხატვრულ ტექსტზე, ვინაიდან იყენებს მხატვრულობის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან სტრუქტურულ-პოეტიკურ მსაზღვრელებს, როგორიცაა: ფართო სპექტრული სახისმეტყველებითი სისტემა, პერსონაჟებისა და ხასიათების მრავალფეროვანი გალერეა და სტილისტიკური მოდელები – თხრობის სტილი, მხატვრული მეტყველება, მეტაფორული აზროვნება და სხვ., რასაც თავად არისტოტელეც ძალიან დიდ მხატვრულ დატვირთვას ანიჭებდა „პოეტიკაში“. თუმცადა, ამგვარი დასკვნა მრავალი გარემოების გათვალისწინებისკენ გვიპიძგებს.

1982 წელს, ჰაგიოგრაფიის მხატვრულობის იდეას საგანგებო ნაშრომი – „მხატვრული სახის ბუნებისათ-

ვის ძველ ქართულ პროზაში“ – მიუძღვნა გრივერ ფარულავამ, სადაც, კონკრეტული ნიმუშების ანალიზის საფუძველზე, შეეცადა წარმოეჩინა ჰაგიოგრაფიის პოეტური ბუნება, მისი ემოციურობა, ღრმა ესთეტიზმი, სახე-სიმბოლოებისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების სიუხვე.

გ. ფარულავას მოსაზრება ეჭვქვეშ დააყენეს თე-იმურაზ დოიაშვილმა და ლევან ბრეგაძემ წერილში „ჰაგიოგრაფიის პოეზია და პროზა“. მათი თვალთახედვით, ჰაგიოგრაფიულ ტექსტში განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება ტექსტის „იდეოლოგიურ-პროპა-განდისტულ მიზანდასახულობას“, რაც ისტორიული სინამდვილის შეცვლის (რაც საკმაოდ ხშირია) უტყუარ მიზეზს წარმოადგენს. კრიტიკოსები პრინციპულად ემიჯნებიან გ. ფარულავას პოზიციას, რომლის თანახ-მადაც ამგვარი ცვლილებები ესთეტიკური იდეალების შესაბამისად ხდება. თ. დოიაშვილისა და ლ. ბრეგაძის აზრით, მიუხედავად აშკარა და გამოკვეთილი ემო-ციურობისა („ჰაგიოგრაფიისათვის ნიშანდობლივია ადამიანის სულიერ მდგომარეობათა და სულიერ მოძ-რაობათა ჩვენება, რაც საისტორიო მწერლობას არ მოეთხოვება და თითქმის არც გვხვდება იქ“ (დოიაშ-ვილი, ბრეგაძე 2001: 6) და მხატვრულ-სტილისტური ხერხებით დატვირთული პასაუებისა („ჰაგიოგრაფი მიმართავს მხატვრული გამოსახვის საშუალებებს, შე-მოაქვს ემოციური ნაკადი“ (დოიაშვილი, ბრეგაძე 2001: 11), სახეობრივ-პოეტურ წაკადს, მსგავსად არასახე-ობრივ-ისტორიული წაკადისა, „ფუნქციონალური და არა თავისთავადი მნიშვნელობა აქვს ჰაგიოგრაფიაში, მხატვრული ნაწარმოებისაგან განსხვავებით“ (დო-იაშვილი, ბრეგაძე 2001: 17): ორივე მათგანი არის სა-შუალება „გარკვეული იდეოლოგიური მიზანდასახუ-ლობის მისაღწევად“. იდეალიზაციაც კი ამ მიზანს ემ-სახურება. „ჰაგიოგრაფია მებრძოლი ლიტერატურაა“,

ასკვნიან კრიტიკოსები (დოიაშვილი, ბრეგაძე 2001: 17), არა – პოეზია, არამედ – „**დოკუმენტური მწერლობა**“ (დოიაშვილი, ბრეგაძე 2001: 22).

2006 წელს, სტატიაში „აგიოგრაფია და ისტორიის კომპოზიცია“, ივანე ამირხანაშვილმა, აგიოგრაფიის როგორც ლიტერატურული ჟანრის და, ზოგადად, ქართული აგიოგრაფიის ერთ-ერთ მთავარ მსაზღვრელად, პოეტიკური ელემენტების პარალელურად, **იდეა** მიიჩნია: „როგორც ისტორია არ არის მარტო ქრონიკა და ფაქტების გროვა, ისე ლიტერატურა არ არის მარტო სიუჟეტი და მეტაფორები. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ შინაგანად რა იდეას ატარებს ჟანრი, რა ინტენცია, რა ჩანაფიქრი დევს მის თვითგანვითარებაში, რადგან, როგორც ცნობილია, სულ სხვაა ისტორიის იდეა და სულ სხვა – ლიტერატურისა... აგიოგრაფიაში ობიექტურ ისტორიაზე მეტად იდეის ისტორიაა საძიებელი, ვინაიდან აქ ფაქტი სულიერი დოკუმენტის სტატუსს ატარებს. **იდეა როგორც ისტორიული კლიშე!**“ (ამირხანაშვილი 2006: 17-18).

ვფიქრობთ, ჩვენს მსჯელობასაც და ზემოთ მოყვანილ პოლემიკასაც მნიშვნელოვნად შეეხიდება უერარ ჟენეტის მიერ 1988 წელს, ნაშრომში – „ნარატიული დისკურსის გადასინჯვა“ – განვითარებული თვალსაზრისი.

ჟენეტის თეორიის მეთოდოლოგიურ სიახლეს წარმოადგენს სიუჟეტის გააზრება ნარატოლოგიის ჭრილში, რასაც სეიმორ ჩეთმენმა „ამბავის დროსა და დისკურსის დროს შორის არსებული დროითი ურთიერთობების ელეგანტური ანალიზი“ (ჩეთმენი 1978: 63) უწოდა და რაც რამდენიმე, უაღრესად საინტერესო ეტაპს ითვალისწინებს.

თავისი მეთოდოლოგიის სპეციფიკურობას ჟენეტი წიგნის შესავალ ნაწილშივე ადასტურებს და ასაბუთებს: „მე არ დავუბრუნდები იმ განსხვავებებს,

რომელთა გაზიარებაც დღეს მიღებულია ამპავის¹ (მოთხრობილი მოვლენების ერთობლიობა), ნარატივისა (ზეპირი ან წერილობითი დისკურსი, სხვაგვარად – თხრობა) და ნარაციის (რეალური ან ფიქციური აქტი, რომელიც ქმნის დისკურსს – სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავად თხრობის პროცესი) ცნებათა გააზრებისას, მხოლოდ დავადასტურებ, რომ ხშირად პარალელს ავლებენ ისეთ ოპოზიციებს შორის, როგორიცაა: ამბავი/ნარატივი [historiere/recit] და ფორმალისტური ოპოზიცია – ფაბულა/სიუჟეტი [story/plot]. დავადასტურებ, მაგრამ ორი მოკრძალებული პროტესტით. ვფიქრობ, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, პირველი წყვილი უფრო მეტი მნიშვნელობითაა დატვირთული და მეტადაც გამჭვირვალეა, ვიდრე ფორმალისტური წყვილი (ან, ყოველ შემთხვევაში, მისი ფრანგული თარგმანი), რომელიც იმდენად შეუფერებელია, რომ მუდმივად მერყევ და გაუბედავ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცადა, მეჩვენება, რომ, კონცეპტუალური თვალსაზრისით, ჩვენეული სრული ტრიადა გაცილებით ანგარიშგასაწევია ნარატივის მთლიან ფაქტთან მიმართებაში... დიფერენციაცია – ამბავი/ ნარატივი ადვილად წარმოქმნის დღეს უკვე ფართოდ გავრცელებულ გაუგებრობას როგორც თავად ამ წყვილს, ისე ბენვენისტის მიერ შემოთავაზებულ წყვილს – ამბავი/ დისკურსი [histoire/discours] შორის, რომელიც, დროთა განმავლობაში, მართალია უშეცდომოდ, მაგრამ ჩემდასამწეხაროდ, გადავნათლე ოპოზიციად – ნარატივი/ დისკურსი [recit/discours] სხვა მიზნებისდა გამო” (ჟენეტი 1988: 13-14). დუალური სტრუქტურების – იქნება ეს ამბავი/დისკურსი, ნარატივი/დისკურსი თუ ამბავი/ ნარაცია – უმთავრეს ნაკლს ჟენეტი მათ ფუნქციურ არასრულყოფილებაში ხედავს: მისი აზრით, ვერც ერ-

1 იგივე – ისტორიის, შინაარსის;

თი მათგანი ვერ აკმაყოფილებს ნარატოლოგიური პროცესის მასშტაბურ გეგმებს და უფრო ნარატოლოგის „პრეისტორიულ ეტაპს“ შეეფერება, ვიდრე თანამედროვე მდგომარეობას. მეცნიერს მიაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით, გაცილებით სრულყოფილად გამოიყურება ტრიადა – **ამბავი/ნარატივი/ნარაცია**, სხვაგვარად – **ისტორია (შინაარსი)/თხრობა/ნარაცია**, თუმცა, უენეტის აზრით, არც ის არის უხარვეზო: „ტრიადის მთავარი დეფექტი პრეზენტაციის პროცესის თანამიმდევრობაა, რაც შესაბამისობაში მოდის მის არარეალურ ანუ მხატვრულ გენეზისთან“ (უენეტი 1988: 14). არამხატვრული, მაგალითად, ისტორიული ნარატივის შემთხვევაში თანამიმდევრობის საკითხი იმთავითვე მოგვარებულია: ამბავი (დასრულებული მოვლენები) – ნარაცია (ისტორიკოსის თხრობა) – ნარატივი (ტექსტი, როგორც აზროვნების აქტის შედეგი), სადაც ნარატივი წარმოადგენს ნარაციის უკუფენას, მაგრამ ხორციელდება მასთან ერთად – თანადროულად – და განსხვავებას ქმნის თხრობის არა იმდენად დრო, რამდენადაც – ასპექტი: ნარატივი აღნიშნავს მოთხრობილ დისკურსს, რომელიც ყალიბდება ნარაციის წიაღში. განსხვავებული ვითარებაა მხატვრულ ტექსტებში, სადაც ნარატივი გამოგონილი ანუ სიმულირებულია¹. იცვლება თანამიმდევრობა: ნარაცია ერთდროულად ახდენს როგორც ამბავის, ისე ნარატივის ინიცირებას, ხოლო ეს უკანასკნელი ორი (ამბავი და ნარატივი – ი.რ.) წარმოადგენს განუყოფელ მთლიანობას. მაგრამ უენეტი აღრმავებს მსჯელობას გამონაგონის მიმართულებით და გამოთქვამს თითქმის რევოლუციურ მოსაზრებას:

ცნებები პირობითია – არ არსებობს წმინდად რეალისტური ან წმინდად მხატვრულ-გამონაგონი ტექსტი!

„ლიტერატურულმა ნარატოლოგიამ ბრმად შემოიზ-

¹ ტერმინს „სიმულაცია“ უენეტი ხმარობს ანტიკური „მიმესისის“ სინონიმად.

ღუდა თავი, როდესაც მისი ანალიზი მხატვრულ ნარატივზე დაიყვანა, თითქოსდა ყველა ლიტერატურული ნარატივი აპრიორულად მხოლოდ მხატვრული გამონა-გონი იყოს“ (ჟენეტი 1988: 15). მათ შორის განსხვავებას, ჟენეტის აზრით, ქმნის მხოლოდ და მხოლოდ ავტორის მიმართება ტექსტთან: თუ „არამხატვრული ტექსტის“ ავტორი თავის მსჯელობას დოკუმენტური მასალი-თა და ფაქტებით ასაბუთებს, „მხატვრული ტექსტის“ ავტორი მკვიდრდება როგორც **ამბების მთხველი**. დასკვნა, რომელიც მსჯელობის ამ ფრაგმენტიდან გა-მოაქვს ჟენეტის, ამართლებს მის დაბეჯითებულ რწმე-ნას „სუფთა გამონაგონის“ არარსებობაში: **მხატვრული ტექსტის ნორმალური და კანონიკური სისტემა ავტორს მოიაზრებს არა მთხველად, არამედ – მთხრობელად;** შესაბამისად, მხატვრული ნარატივი ვერ იქნება წმინდა სახის სიმულაცია ანუ არისტოტელესეული მიმესისი, არამედ – სისტემა, რომელიც თავის თავში მოიცავს სიმულაციას (მიმესისს) როგორც ნაწილს. ფაბულა და სიუჟეტი, როგორც მხატვრული ნარატივის საკვანძო ცნებები, ორ სხვადასხვა ნარატიულ საფეხურს შეესა-ბამება: ფაბულა ასახავს მოვლენათა ისეთ თანამიმდევ-რობას, როგორც სინამდვილეში მოხდა ყველაფერი, ხოლო სიუჟეტი – ისეთ თანამიმდევრობას, როგორსაც გვთავაზობს მთხრობელი. ამრიგად, მნიშვნელობს არა მხოლოდ ის, თუ რას ყვება მთხრობელი, არამედ – რო-გორ ყვება და რა მიზნით. ვინძლო სწორედ იდეა-მიზან-თან შერწყმული სტრუქტურულ-პოეტიკური ელემენ-ტები და არა გამონაგონი უნდა მივიჩნიოთ ტექსტის მხატვრული ქსოვილის მსაზღვრელად ადრეული შუა-საუკუნეების მწერლობაში, მათ შორის ქართულში.

სიუჟეტოლოგის ჟენეტისეულმა ეტაპმა სრული-ად ცხადად აირეკლა როგორც ანტიკური, ისე – ფორ-მალისტური გამოცდილება, თუმცა, განაახლა ის მე-თოდოლოგიური ინოვაციებით და მნიშვნელოვნად გა-ამყიფა ჟანრებს შორის გავლებული საზღვრები.

ასე თუ ისე, პრობლემა არამხოლოდ ქართულ ლიტ-ერატურათცმოდენობით სივრცეშია პოლემიკური და ეს ლოგიკურიცაა: ქართული ქრისტიანული მწერლობა მისი განვითარების ადრეულ შეუასუკუნებრივ ეტაპზე სრულად აირეკლავს ქრისტიანული მწერლობის ძირითად კანონს და მეტიც, ის დასავლური ქრისტიანული მწერლობის განსაკუთრებულ, ორიგინალურ და ძალზე ინდივიდუალურ გამოვლინებას წარმოადგენს, რასაც ადასტურებს წამყვანი ლიტერატურული ჟანრების – ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის ქართული ნიმუშები: ჰაგიოგრაფიული ტექსტები – „შუშანიკის წამება“, „აბო ტფილელის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და სხვანი, რომლებიც, გარდა მხატვრული დატვირთვისა, დოკუმენტურ ხასიათს ატარებს, გმირის ცხოვრებისა და მოწამეობის დეტალური აღწერით ავლენს ადრეული შუასაუკუნების ქართული კულტურულ-ისტორიული რეალობის მახასიათებლებსა და ცხადყოფს პრიორიტეტებს!

შესაბამისად, ადრეული შუასაუკუნების პოეტიკურ კანონს მნიშვნელოვანი კორექტივა შეაქვს დასავლური კანონის სისტემაში: ადრეული შუასაუკუნების მწერლობაში შემოქმედებითი პროცესისა და ტექსტის მხატვრულობის მსაზღვრელად ვერ მივიჩნევთ ოდენ ოპოზიციას ნამდვილი ამბავი/გამონაგონი, არაფიქციური/ფიქციური ან ფაბულა/სიუჟეტი, არამედ გასათვალისწინებელია ტექსტის სპეციფიკური იდეური დატვირთვა, თხრობისა და სტრუქტურულ-პრეტიცური ელემენტების ორგანიზების წესი, რაც პრიორიტეტუ-

1 ამავე ეპოქაში შექმნილი ჰიმნოგაფიული შედევრები კი თანაბრად წარმოადგენს ქართული და მსოფლიო სასულიერო პოეტური კულტურის ლირსებას (მიქაელ მოდრეკილის, იოანე მინჩხის, იოანე მტბევარის, სტეფანე სანანოისძის და სხვათა ჰიმნები, რომელთაც მოგვიანებით შეემატა ექვთიმე და გიორგი ათონელების, მეფე დავით აღმაშენებლის, უფლისწულ დემეტრესა და სხვა მნიშვნელოვან ავტორთა ქმნილებები).

**ლად განსაზღვრავს ამ ეპოქის ლიტერატურული ტექ-
სტების მხატვრულ თავისებურებებს¹.**

მსგავსი დასკვნა, ერთი მხრივ, ცხადყოფს ადრეული
შუასაუკუნეების კანონის ნაკლებ თავსებადობას ანტი-
კურ კანონთან, გამოხატულს (ამ კონკრეტულ შემთხ-
ვევაში) „მხატვრულობისა“ და „გამონაგონის“ ცნებათა
გამიჯვნის ტენდენციაში, მაგრამ, მეორე მხრივ, მივყა-
ვართ საინტერესო შეკითხვამდე: არის თუ არა „გამონა-
გონი“ მხატვრულობის მიღწევის უფრო კომფორტული,
თუნდაც უფრო ბუნებრივი გზა ლიტერატურისათვის,
ვიდრე მხოლოდ იდეურ-პოეტიკური და ნარატიული
მოდელებით ოპერირება?

გვიანი შუასაუკუნეების ეპოქაში ცხადი ხდება, რომ
ადრეულ შუასაუკუნეებში შემუშავებული განსხვავე-
ბული პოეტიკური სტანდარტი აღნიშნული ეპოქის
სპეციფიკური ესთეტიკური და იდეურ-მსოფლმხედ-
ველობრივი ამოცანებიდან გამომდინარეობს და რო-
გორც კი ამოცანა დაძლეულია, მხატვრული ტექსტი
კვლავ უბრუნდება მისთვის ბუნებრივ ლიმინალურ
პოზიციას, განვითარებულ რეალურისა და წარმოსახულის
ზონებს შორის, ანუ უბრუნდება გამონაგონის ესთე-
ტიკას. რუსთველოლოგი მაკა ელბაქიძე აღნიშნავს:
„გვიანდელი შუასაუკუნეების მნერლობის ერთ-ერთ
ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისტორიზმის პრინციპის
უგულებელყოფა, რამაც ბიძგი მისცა ახალი უანრებისა
თუ თემების ძიების ხანგრძლივ პროცესს. კაცობრიო-
ბის სულიერ ცხოვრებაში მომხდარმა ძვრებმა, ე.წ.
„კულტურულმა აფეთქებამ“, რომელმაც XII საუკუნის
შუასანებისათვის თითქმის მთელი ცივილიზებული
მსოფლიო მოიცვა, თავისი ღრმა კვალი ლიტერატუ-

1 ადრეული შუა საუკუნეების ესთეტიკური დიქოტომია სხვა ესთე-
ტიკურ მოდე-ლებთან უდავოდ გვაფიქრებინებს, რომ „მხატვრული
ტექსტი“ და „ფიქციური ტექსტი“ ვერ ჩაითვლება იდენტურ ცნე-
ბებად და საჭიროა მათი თეორიული გამიჯვნა.

რულ პროცესსაც დაამჩნია“ (ელბაქიძე 2007: 158-159). მკითხველმა „მეტი დინამიკა, მეტი ავანტიურა, მეტი რომანტიკა“ მოითხოვა და ლიტერატურაც გამოემი-ჯნა უტყუარობის პრინციპს: „ყოველივე ზემოთქმული მძღავრ ბიძგად იქცა მხატვრული სინამდვილის ახალი კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად, რომლის ძირითად პრინციპსაც ისტორიზმის უარყოფა და გამონაგონის წინა პლანზე წამოწევა წარმოადგენს“ (ელბაქიძე 2007: 159). რეალურისა და გამონაგონის დიქოტომია კვლა-ვაც თვალსაჩინო ფაქტად გადაიქცა.

ცხადია, ამ კარდინალური ცვლილების ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ მიზეზად (ან იქნებ შედეგად? – ი.რ.) ევროპული ლიტერატურის სეკულარიზაციის პროცესი უნდა მივიჩნიოთ: გვიანი შუასაუკუნეების ეპოქა სეკუ-ლარიზაციის ეპოქაა და მიუხედავად იმისა, რომ რიგი სეკულარული ტექსტები ჯერ კიდევ ექცევა ალეგო-რიული ინტერპრეტაციის არეალში (მაგალითად, ვერ-გილიუსისა), ძირითადი ლიტერატურული ტენდენცია ცხადყოფს, რომ ლათინური ენა ადგილს უთმობს ადგი-ლობრივ ენებს, ხოლო ლიტერატურა ინაცვლებს საერო სიბრტყეზე და ახალ თემებსა და მიზნებს ეჭიდება: გვი-ანი შუასაუკუნეების რაინდული ეპოსისა და ადრეული რენესანსის ეპოქის სატირული რომანების, ნოველე-ბისა და სონეტების ავტორები სიამოვნებით უბრუნ-დებიან შეთხზული პერსონაჟებისა და ამბების ესთეტი-კას, გაჯერებულს ჰეროიზმით, რომანტიკით, სათავგა-დასავლო ავანტიურითა და სხვა ფიქციური ელემენტე-ბით. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, მივალთ დასკვნამდე: „გამონაგონი“ მხტვრულობის მიღწევის გაცილებით ბუნებრივი გზაა ლიტერატურისათვის, ვიდრე სხვადასხვა სტრუქტურულ-პოეტიკური ელე-მენტების აქტიური ორგანიზაცია.

XI საუკუნიდან ქართული ლიტერატურაც ახალ ხა-ნაში შეაბიჯებს, მასზე ზემოქმედებას ახდენს როგორც

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური რეფორმები, ისე ევროპულ ლიტერატურაში მიმდინარე სეკულარიზაციის პროცესი¹. ევროპული რაინდული რომანის მოდელი თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ზენა-ციონალური კანონის გავლენიან დასავლურ ვერსიად, რომელმაც განახორციელა კონცეპტუალური ნახტომი ადრეული შუასაუკუნეების იდეოლოგიზებული მწერ-ლობიდან გვიანი შუასაუკუნეების ესთეტიზმისკენ. გვიანი შუასაუკუნეების ქართული მწერლობა, რო-გორც ევროპული ლიტერატურის ღირებული ნაწილი, ორგანულად ერთვება ამ ესთეტიკური ინოვაციების პროცესში და ლიტერატურულობის კრიტერიუმიც საგრძნობლად იმყარებს პოზიციებს. შედეგად, იქმ-ნება ქართული ლიტერატურის აღიარებული შედევრი – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. საგულისხმო აქ ისაა, რომ რუსთველისეული ტექსტი, მიუხედავად იმისა, რომ უანრული და კონცეპტუალური თვალსაზ-რისით ევროპული რაინდული რომანის ქართულ მოდ-ელს წარმოადგენს, ამგარა კეთილგანწყობას იჩენს აღმოსავლური პოეტური მოტივებისადმი, რომლებიც, გარკვეული ისტორიული გარეფაქტორებისადა გამო, აქტიურად იჭრება იმ პერიოდის ქართულ კულტურულ სივრცეში. დასავლური და აღმოსავლური ლიტერ-ატურული მანერების მორიგების მცდელობა ქმნის ორი განსხვავებული კულტურული სამყაროს შეხვე-დრის პირველ პრეცედენტს ქართულ ლიტერატურულ სივრცეში, ხოლო „ვეფხისტყაოსანს“ უნიკალური ტე-ქსტის სტატუსს ანიჭებს: ამ სინთეზით „ვეფხისტყაო-სანი“ ამდიდრებს და აფართოებს გვიანი შუასაუკუნე-ების მსოფლიო ლიტერატურულ პროცესს – თუკი იმ პერიოდის დასავლური ქრისტიანული დიასპორისათ-

1 იხ. მ. ელბაქიძე, „ვეფხისტყაოსანის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი შუასაუკუნეების ფრანგულ რაინდულ რომანთან ტიპოლოგიურ მიმართებაში“, 2007.

ვის „*Weltliteratur*“ ცალსახად ევროპულ სივრცესთან და კულტურასთან გაიგივებული ცნებაა, საქართველოში ის უკვე აღმოსავლური ლიტერატურული კანონის პრინციპებსაც ითვალისწინებს. თუმცადა, აღმოსავლური პოეტივის გამოვლინებანი „ვეფხისტყაოსანში“ უფრო გარეგანი მოვლენაა, ვიდრე შინაგანად გათავისებული: თვისებრივად, როგორც მსოფლმხედველობრივად, ისე სტილისტურად, ტექსტი ავლენს ორგანულ თანაზიარობას ევროპულ კანონთან შემდგომი თანამშრომლობის ყველა წინაპირობით.

ოპოზიცია **რეალური ამბავი/გამონაგონი**, რომელიც ბუნებრივი წესით აქტიურდება გვიანი შუასაუკუნეების ევროპული ლიტერატურის კონტექსტში, მტკიცდება და მყარდება რენესანსული კულტურის წიაღში. რაბლეს, სერვანტესისა და რენესანსის ეპოქის სხვა პროზაიკოსების შემოქმედებითი წარმოსახვის სიმდიდრე ეჭვს არ ბადებს: მათი ტექსტები გაჯერებულია სტრუქტურული ოპოზიციების – **რეალური ამბავი/გამონაგონი, არაფიქციური / ფიქციური** – ვირტუოზული თამაშითა და მონაცვლეობით. თუმცა, ისიც ცხადია, რომ მათი შემოქმედება სრულიადაც ვერ თავს-დება ანტიკურ ეპოქაში არისტოტელეს მიერ განსაზღვრული ჟანრული სისტემის ფარგლებში და ახალ თეორიულ ამოცანად ყალიბდება. შედეგად, რენესანსის ეპოქაში აღორძინებული ლიტერატურული პრატიკა განზოგადებული თეორიული მსჯელობის ობიექტად იქცევა. 1554 წელს ჯოვან[მ]ბატისტა ჯირალდის სხვა გზა აღარ აქვს, თუ არა ამტკიცოს, რომ გვიანი შუასაუკენეობრივი და რენესანსული „რომანსე“ თავისი „მრავალფეროვნებით, მოქმედების მასშტაბურობით, პერიპეტიულობით“ შეესაბამება ანტიკური ტრაგედიისა და ეპოსის სტანდარტს, თუმცა, „ფორმის სიმცირითა და წყვეტადობით“ არის სრულიად ახალი ლიტერატურული ჟანრი, რომელიც სცდება არისტოტე-

ლესეული უანრული სქემის საზღვრებს და ანალიზის განსხვავებულ კრიტერიუმებს საჭიროებს (ჯირალდი 1986: 135)¹. მაშასადამე, ოპოზიცია **რეალური ამბავი/გამონაგონი, არაფიქციური/ფიქციური** რენესანსის ეპოქის კრიტიკოსების მიერ გაიაზრება, ერთი მხრივ, როგორც დაბრუნება **მხატვრულობის** ანტიკურ მო-დელთან და **გამონაგონის** ესთეტიკასთან, ხოლო მეორე მხრივ, როგორც ახალი ლიტერატურული უანრების ფორმირების პერსპექტივა.

ალორძინებისავე ეპოქის თვალსაჩინო მოაზროვნე სერ ფილიპ სიდნეი ნაშრომში „The Defense of Poesie“ პრინციპულად იცავს მხატვრული წარმოსახვის ინ-ტერესებს – „პოეტი უნდა მიიღოფეს ალტერნა-ტიული სამყაროს შექმნისაკენ“. ეყრდნობა რა არის-ტოტელეს „პოეტიკის“ გამონაგონის კონცეფციას, კრიტიკოსი განავრცობს მას ლიტერატურის **შუამავ-ლური (მედიატორული)** ფუნქციის აქცენტირების მი-მართულებით. „ფილოსოფოსი გვთავაზობს ცნებას, – აღნიშნავს იგი, – ისტორიკოსი – მაგალითს, პოეტი კი – ორივეს... მაშ, ვის ვუწოდოთ შუამავალი? რასაკ-ვირველია, პოეტს“ (სიდნეი 1962: 419). სიდნეის აზ-რით, პოეტი წარმოადგენს შუამავალს ისტორიულ სი-მართლესა და ფილოსოფიურ აბსტრაქციას შორის, მე-დიუმს, რომელიც რეალობისა და წარმოსახვის „თამა-შით“ ადგენს სიმართლისა და აბსტრაქციის საზღვრებს და თანაბრად ატარებს როგორც ერთის, ისე მეორი-სათვის დამახასიათებელ თვისებებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ალორძინების ეპოქაში პოეზია ლიმინალურად შუალედური ნეიტრალიტეტის ფუნქციით აღიჭურვე-ბა და ამის ნათელ დადასტურებას დანტე ალეგიერის „ღვთაებრივი კომედია“ წარმოადგენს.

1 რასაკვირველია, ჯირალდის რომანის თეორია მნიშვნელოვან თეორიულ შევსებას საჭიროებს, მაგრამ წინამდებარე ნაშრომის ფორმატი არ ითვალისწინებს ვრცელ მსჯელობას ლიტერატურულ უანრებზე.

მეთოდოლოგიურად საინტერესო აქცენტს „მართალსა“ და „აბსტრაქტულს“ შორის დასვამენ გვიანი აღორძინების ეპოქის ევროპელი დრამატურგები და მწერლები. შექსპირი, მიუხედავად იმისა, რომ „დღის წესრიგიდან“ მოხსნის ანტიკური ტრაგედიისათვის პრინციპულად მნიშვნელოვან ბედისწერის ფაქტორს, სრულად შეინარჩუნებს მხატვრული გამონაგონისათვის ნიშანდობლივ იმ დისტანციას, რომელიც არსებობს ტრაგედიის ფაქტობრივ და ემოციურ ელემენტებს შორის. ტირსო დე მოლინას, ლოპე დე ვეგასა და კალდერონის პიესები კი სიღრმისეულად გაამზვავებენ ოპოზიციას **რეალური/წარმოსახული**. მაგალითად, კალდერონის „ცხოვრება სიზმარია“ შეიძლება მივიჩნიოთ ფილოსოფიური აბსტრაქტირებითა და მისტიკური ტოპოსით უხვად დატვირთულ ერთ-ერთ საეტაპო ტექსტად.

სამწუხაროდ, დასავლური ლიტერატურული ისტორიის ამ ეტაპზე ქართული ლიტერატურის ნაციონალური მოდელი უკვე გამომიჯნულია ევროპული კონტექსტისაგან – XIII საუკუნიდან ქართული ლიტერატურის განვითარების ბუნებრივი გზა ხელოვნურად გადაიკეტება ავბედითი ისტორიული მოვლენების გამო: მონლოლთა და სპარსთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობა გამოიწვევს ბუნებრივად განვითარებადი კულტურული და ლიტერატურული პროცესების ჯერ შეფერხებას, შემდეგ კი ხანგრძლივ წყვეტას საქართველოში.

XIII საუკუნიდან XV საუკუნემდე ქართული მწერლობა, ისევე როგორც ზოგადად კულტურა, კოლონიზაციის სპეციფიკური ფორმის ტყვეობაში აღმოჩნდება: საქართველოში ხანგრძლივი წყვეტის შემდეგ მყარდება და ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა არაქრისტიანი დამპყრობლის დიქტატურები, რაც, მათი სწრაფმონაცვლეობიდან და მტკივნეულობიდან გამომდინარე: ა) არ აძლევს ქართულ მწერლობას/კულტურას გან-

ვითარების ინდივიდუალური გეზის არჩევანის თავი-სუფლებას; ბ) ართულებს მის დაცილებას დასავლურ კანონთან და რამდენიმე საუკუნით ახანგრძლივებს მის ადაპატაციას აღმოსავლურ კანონთან. სახეზეა მძიმე და რთული გარდამავალი ხანა, როდესაც ქართული ნა-ციონალური ლიტერატურული კანონი გადანაცვლებუ-ლია ლიმინალურ ფაზაში და XV საუკუნის თითქმის მი-წურულამდე იმყოფება ე.წ. სასაზღვრო ცნობიერების კონდიციაში. ტერმინს „ლიმინალური“ ვაზუსტებთ ტერმინით „სასაზღვრო ცნობიერება“, რომელსაც ვამ-კვიდრებთ თანამედროვე კულტუროლოგისა და ლი-ტერატურათმცოდნეობის კვალდაკვალ: სასაზღვრო ცნობიერება ერთ-ერთი სამუშაო ტერმინია, რომელიც გულისხმობს არა მარტო იმას, რომ საუბარია სასაზღ-ვრო ქვეყანაზე, რომელიც თავისი გეოგრაფიული ად-გილმდებარეობით წარმოადგენს წყალგამყოფს გან-სხვავებულ ხალხებსა და კულტურებს შორის, არამედ იმასაც, რომ საუბარია სასაზღვრო ეპოქებზე, რომ-ლებიც წარმოადგენს წყალგამყოფს განსხვავებულ კულტურულ და ლიტერატურულ პრინციპებს შორის: „როდესაც მძაფრდება რაღაც ერთის დასრულებისა და მეორის დაწყების შეგრძნება“ (ბაგნო 2014: 214). სწორედ ამგვარ ლიმინალურ ზონაში იმყოფება XIII-XV საუკუნეების ქართული მწერლობა, რომელიც, მართა-ლია იძულებით, მაგრამ საკმაოდ დიდი ხნით სცილდე-ბა მისთვის ესოდენ ორგანულ დასავლურ სააზროვნო სივრცეს და უახლოვდება აღმოსავლურს, როგორც შემოთავაზებულ ალტერნატივას. შედეგად, იწყება ქართული მწერლობის ზანტი, აუცილებელი გარეფაქ-ტორებით (გეოგრაფიული მდებარეობა, პოლიტიკური ვითარება და სხვ.) ინიცირებული შებრუნება აღმოსავ-ლური კულტურისაკენ.

2.2. XVI-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობა. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და უკან: ევროპული კონცეპტის რეკონსტრუქცია

ქართული ლიტერატურის ისტორიის ახალი ეტა-
პის ათვლის წერტილად უნდა მივიჩნიოთ XVI-XVIII
საუკუნეები, როგორც XV საუკუნის მეორე ნახევრი-
დან დაწყებული უმნიშვნელოვანესი იდეოლოგიური
და კულტურული ძვრების უშუალო შედეგი და ნაყო-
ფი: მენტალურ-კულტურული ქრონოლოგია ყოველ-
თვის არ ემთხვევა ისტორიულ ქრონოლოგიას, არამედ
ხშირად წინ უსწრებს მას. 1453 წელს კონსტანტინო-
პოლის დაცემამ და მუსლიმური სამყაროს გაძლიერე-
ბამ კარდინალურად შეცვალა ახლო აღმოსავლეთის
გეოპოლიტიკური და გეოკულტურული პანორამა. თუ
წინარე საუკუნეებში ქართული სახელმწიფოებრიობა
და სულიერება დასავლური ქრისტიანული სამყაროს
ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, XVI საუკუნიდან
მან სრულიად განსხვავებულ ისტორიულ სიბრტყეზე
გადაინაცვლა, რაც ახალი იდენტობის ძიების ამოცა-
ნის წინაშე აყენებდა ქვეყანას: XVI საუკუნიდან საქარ-
თველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრის
გეოკულტურულ რეგიონში მოექცა – იგულისხმება
სწორედ ის გეოკულტურული რეალობა, რომელიც ამ
საუკუნეებისათვის ჩამოყალიბდა. ძირეულად შეცვ-
ლილ ისტორიულ კონტექსტში ძველი იდენტობის რეა-
ნიმირების მცდელობა იმთავითვე იყო განწირული, ახ-
ლის მოძიება კი ახალი ქართული სულიერი კოსმოსის
შექმნას ნიშნავდა – „თვითობის“ მოძიებასა და დად-
გენას გარდამავალ ისტორიულ პირობებსა და აღმო-
სავლეთ-დასავლეთის გზაშესაყარზე მდებარე ურთუ-
ლეს გეოკულტურულ რეგიონში.¹

1 ამის შესახებ იხ. ზ. ფირალიშვილი, „ქართული კალეიდოსკოპი“, 2015, გვ. 11-57.

სწორედ ამ კარდინალური ისტორიული და კულტურული ტრანსფორმაციების ფონზე იწყებს რეკონსტრუქციას ევროპული კონცეპტი ქართულ ლიტერატურაში. XVI საუკუნისთვის ქართული მწერლობა ორ დინებას შორისაა მოქცეული: ერთი მხრივ, აღმოსავლეთი, „შეჩვეული ახალი რეალობა“, მისი ესთეტიკური პრინციპებითა და ლიტერატურული კანონებით, მეორე მხრივ, დასავლეთი, ერთხელ უკვე დაძლეული გამოცდილება, მისი კონცეპტებით, რელიგიური ტრადიციებითა და პოეტიკური ნოვაციებით. შედეგად, სახეზეა განსხვავებულ კულტურულ და ლიტერატურულ დინებათა გზაშესაყარზე მდგომი ქართული მწერლობის თანაბრად ორგანული და მოტივირებული ჩართვა როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კულტურულ ტრადიციაში. ამ კულტურული ფლექსიურობის პოეტიკურ შედეგს ლიტერატურული ტენდენციებისა და გემოვნების სიჭრელე, კონცეპტების, გავლენებისა და პარალელების სიუხვე, უანრებისა და პოეტიკური ფორმების მრავალფეროვნება, სტილისტური ხერხების ფუნქციური არაერთგვაროვნება წარმოადგენს.

აღნიშნული პერიოდის ქართული ლიტერატურა თითქოს გახსნილ კულტურულ კონსტრუქციას წარმოადგენს. ერთი მხრივ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული ეპოსის სხვადასხვა ნიმუშების პირდაპირ ქართულ თარგმანებსა და, რიგ შემთხვევებში, მათი გავლენითა და მიბაძვით შექმნილ ორიგინალურ ვერსიებს. აღმოსავლური კანონის, რომელიც თავისთავად ძალზე ფართო და არათანაბარი ცნებაა, პროეცირება XV-XVI საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში და ცოტა მოგვიანებითაც, უპირატესად, სწორედ სპარსული მწერლობის ეგიდით მიმდინარეობს. მკვლევარები ამ გარემოებას რამდენიმე მიზეზით ხსნიან: სპარსული ტექსტების რაინდული სულისკვეთებისა და პათოსის გადამდები

ეფექტით (ივ. ჯავახიშვილი), ქართველი ინტელიგენციის „ფარული დაპირისპირებით“ ეკლესიასთან (გ. ლობჟანიძე), აგრეთვე, გაფართოებული ლიტერატურული გემოვნების არეალით (გ. ლობჟანიძე). თუ აქ ჩამოთვლილ მიზეზებს დავამატებთ იმ აუცილებელ მიზეზსაც, რომ ამ პერიოდის ქართული რეალობა პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ძალიან არის დამოკიდებული სწორედ სპარსულ რეალობაზე, სპარსული კულტურის ექსპანსია საქართველოში ლოგიკურ ხასიათს იძენს. გასაკვირი არაა, რომ ქართული მწერლობა სპარსული ლიტერატურისათვის ნიშანდობლივი არაერთი მარკერის ადაპტირებას ახდენს, მათ შორის, გიორგი ლობჟანიძის დაკვირვებით, გამოიყოფა: სიუჟეტური ანალოგიები, მხატვრული უნივერსალიების განმეორებითობა, მიღრეკილება „მრავალპლანიანი მეტაფორა-შედარებებით სტილის მოჩუქურთმებისაკენ“ (ლობჟანიძე 2012). განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის სპარსული ტექსტების ქართულად „გადმოღება“, თუმცადა სავსებით ვიზიარებთ საყოველთაოდ მიღებულ აზრს, რომ ქართული მწერლობა შემოქმედებითად უდგებოდა „სხვა კულტურის“ ადაპტირების საკითხს: „გადმოღება უცხო თხზულებისა არ იყო მექანიკური აღქმის პროცესი, არამედ პროცესი შემოქმედებითი გადამუშავებისა და თავის საკუთარ გემოვნება-შეგნებასთან შეგუებისა. ქართველთა შემოქმედებითმა გენიამ შეძლო ნათარგმნი ლიტერატურის ასიმილირება, თავის საკუთარ იდეურ-ესთეტიკურ შეგნებაში გადახარშვა და გადადნობა მისი ეროვნული საქმიანობის ბრძმედში“ (კეკელიძე 1951; ლობჟანიძე 2012: 63).

სპარსული ეპოსის ძეგლები თანდათან იპყრობენ ქართულ ლიტერატურულ სივრცეს, მაგრამ აქ კიდევ ერთხელ იჩენს თავს ქართული კულტურის რეზისტენსულობა, ქართული კულტურული და ლიტერატურული

პარადიგმის სპეციფიკა: მიუხედავად აღმოსავლური კანონის შესამჩნევი პრევალირებისა, დასავლური კანონი, როგორც ქართული მწერლობის პირველწყარო, ძლიერი გენეტიკური მეხსიერების დონეზე განაგრძობს არსებობას, რათა პირველივე შესაძლებლობისას ამოტივტივდეს ზედაპირზე. გადამწყვეტი სიტყვა ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს დაეკისრება, ევროპულ ესთეტიკაზე ორიენტირებულ ლიტერატურას კი, განპირობებულს განმანათლებლობისა და კლასიციზმის კანონებით, პოლიტიკური მოღვაწეების კვალდაკვალ ააღორძინებენ თვალსაჩინო ქართველი საზოგადო მოღვაწეები და მწერლები.

განსხვავებული ლიტერატურული პრინციპების კვეთისა და, მოგვიანებით, შეცვლის თვალსაზრისით, საყურადღებოა ქართველ მეფეთა – თეიმურაზის, ვახტანგისა და არჩილის, აგრეთვე, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და ბესიკ გაბაშვილის (ბესიკის) მოღვაწეობა. თუ თეიმურაზის, ვახტანგისა და არჩილის პოეზია აშკარად განიცდის აღმოსავლური ლიტერატურული კანონის ზეგავლენას, სულხან-საბა ორბელიანი, ეძლევა რა საშუალება გაეცნოს თანამედროვე ევროპულ ლიტერატურულ პროცესებს, მის კვალად ქმნის ევროპული უანრული სტანდარტების შესაბამის ტექსტებს¹: იგავების კრებულს – „სიბრძნე-სიცრუისა“ (რომელიც, გარკვეულწილად, მაინც ინარჩუნებს კავშირს აღმოსავლურ ლიტერატურულ ტრადიციასთან) და მოგზაურობის უანრის ტექსტს – „მოგზაურობა ევროპაში“. ამავე პერიოდში ნიჭიერებით გამორჩეული პოეტის, ბესიკ გაბაშვილის პოეზიაში, მიუხედავად პოეტის კეთილგანწყობისა აღმოსავლური ვერსიფიკაციული ფორმებისადმი, ცხადად შეიგრძნო-

1 სულხან-საბა ორბელიანმა, ვახტანგ VI-ის დავალებით, საგანგებო მისით იმოგზაურა ევროპაში.

ბა სწრაფვა დასავლური სტილისტური ექსპერიმენტებისკენ: ვგულისხმობთ აღმოსავლური პოეზიისათვის ნიშანდობლივი მითოპოეტურობის ჩანაცვლებას დასავლური პოეზიისათვის ნიშანდობლივი ისტორიულ-ყოფითი ნარატივით. ბესიკის თანამედროვის, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში კი ევროპული კონცეპტი აშკარა დომინანტაა – გურამიშვილის „დავითიანი“ განმსჭვალულია დასავლური ლიტერატურული მსოფლმხედველობითა და უანრულ-თემატური ტენდენციებით: ისტორიული, დიდაქტიკური და პასტორალური მოტივებით „დავითიანი“ სრულიად ბუნებრივად უახლოვდება დასავლური ლექსის სტანდარტს და ენათესავება მას როგორც კონცეპტუალური, ისე სტილური თავალსაზრისით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის მწერლობა არა მარტო შემობრუნების ნიშნულად იქცა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, არამედ განაპირობა ქართული ლიტერატურის განვითარების შემდგომი გეზი და მიმართულება.

ორბელიანისა და გურამიშვილის შემოქმედება არ შეიძლება განისაზღვროს როგორც კლასიკური ნეოკლასიციზმის ან განმანათლებლობის ნიმუში, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროის ევროპული ლიტერატურული სივრცე უპირატესად სწორედ ამ ორი ესთეტიკის ჭიდილს ეფუძნებოდა. ქართველ მწერალთა შემოქმედება უფრო სინთეზური ხასიათისაა. მიდრეკილებას სინთეზურობისაკენ, შესაძლოა, კომპრომისის ძიების მუდმივი ისტორიული ჩვევა განაპირობებდა, თუმცადა მეტადრე სავარაუდოდ სხვა მოტივაცია გვეჩვენება: XVI-XVII საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში უკვე მოქმედებდა ნეოკლასიციზმისა და განმანათლებლობის სინთეზური მოდელი – **განმანათლებლური კლასიციზმი**, დაფუძნებული უდიდესი მოაზროვნებისა და მწერლების – სიდნეის, დრაიდენის, ჯონსო-

ნის, ბურკეს, ვინკელმანის, ლესინგის, შილერის – თეორიებზე, რაც გაცილებით უკეთ ერგებოდა პუმანისტური სულისკვეთების მატარებელ ქართულ კულტურულ და ლიტერატურულ ტრადიციას, ვიდრე საფრანგეთში ჩამოყალიბებული ნორმატიული ლიტერატურული მიმდინარეობა, იმთავითვე განწირული წინააღმდეგობრივი არსებობისათვის.

ევროპული (უპირატესად, ფრანგული) კლასიციზმის ძირითადი ტენდენციები ბევრად განსაზღვრა ნიკოლა ბუალოს ტრაქტატმა „L’art poetique“, სადაც ფრანგი კლასიცისტის მიერ სრულიად ცხადად და გარკვევით იქნა ჩამოყალიბებული ლიტერატურისათვის მოსარგები სქემატური თეორია. ბუალო დაუბრუნდა პოეტიკის კლასიკურ კონცეფციას და პრინციპულად დასვა ჟანრთა კლასიკური იერარქიის ალორძინების საკითხი. თავად ნეოკლასიკური პერიოდის ლიტერატურული მიმდინარეობის დასახელებაც – „კლასიციზმი“ – მიუთითებდა ნეოკლასიკოსთა განსაკუთრებულ ინტერესებზე კლასიკური (ანტიკური) პერიოდის ლიტერატურული და პოეტიკური ტრადიციებისადმი. ფრანგული კლასიციზმის უმთავრეს მახასიათებლებს წარმოადგენდა: ა) მიბაძვა კლასიკური პერიოდის ლიტერატურული კანონებისადმი; ბ) უკიდურესი რაციონალიზმი, კეთილგონივრულისა და დიდაქტიკურის პრიმატი; გ) ლიტერატურის მიბაძვის ობიექტის, ანუ ასახვის არეალის მაქსიმალური შეზღუდულობა; დ) სალიტერატურო ენის დიფერენციაცია; ე) დროის, სივრცისა და მოქმედების (სამთა) ერთიანობის პრინციპის დაცვა.

მიბაძვა კლასიკური პერიოდის ლიტერატურული კანონებისადმი გამოიხატებოდა, პირველ ყოვლისა, კლასიკურ ეპოქაში შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების მაქსიმალურ იდეალიზებაში. კლასიცისტები თვლიდნენ, რომ ნაწარმოების მხატვრული ფორმა

უნდა შეესატყვისებოდეს ანტიკური პერიოდის ლი-ტერატურულ პრინციპებსა და ნორმებს, ამასთან, სა-სურველად მიიჩნევდნენ იმ ისტორიული მოვლენების აღწერას ნაწარმოებში, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ძველ საბერძნეთსა ან რომში. მიბაძვას კლასიკური პოეტიკური კანონებისადმი გამოხატავდა, აგრეთვე, კლასიცისტების დამოკიდებულება პოეტიკური პრინ-ციპებისადმი, კერძოდ, ლიტერატურის უანრული კლა-სიფიკაციისადმი: იგი მთლიანად იზიარებდა კლასი-კური უანრული ტრიადის გამოყოფისა და განმარტების ტენდენციას; უკიდურესი რაციონალიზმი კლასიციზ-მის პოეტიკის უმთავრეს პრინციპად იქცა. საგრძნობი იყო რენე დეკარტეს ფილოსოფიის დიდი ზეგავლენა. როგორც მოვიანებით შენიშნავდა ტ. ელიოტი, კლასი-ციზმის ეპოქაში მოხდა ე.ნ. „უმაღლესი სინთეზის“ ანუ მსოფლშეგრძებითი მთლიანობის რღვევა. დაირღვა ლიტერატურისათვის აუცილებელი ის რაციონალური და ემოციური მთლიანობა, რომელიც მანამდე შენარ-ჩუნებული იყო ყველა ლიტერატურულ ეპოქაში. მსო-ფლშეგრძებითი მთლიანობის რღვევა XVII საუკუნის მიწურულიდან უკურნებელი სენივით მოედო ევრო-პულ პოეზიას. თუ რენესანსისა და გვიანი რენესან-სის ეპოქის პოეტები მონდომებულად ინარჩუნებდნენ ინტელექტუალურ და ემოციურ ბალანსს, – თვლის ელიოტი, – XVII საუკუნიდან მოყოლებული, ეს კლასი-კური წონასწორობა რღვევის გზას ადგება: XVII საუკუ-ნეში, კლასიციზმის ეპოქაში, სასწორი რაციონალიზ-მის მხარეს იხრება, XVIII-XIX საუკუნეებში კი, სენტი-ტალიზმისა და რომანტიზმის ეპოქებში, – იმპულსური ემოციურობის მხარეს. ორივე შემთხვევაში, ელიოტის აზრით, დაზარალებულ მხარეს პოეზია წარმოად-გენს: რაციონალიზმი „სტერილური პრაგმატიზმით“ მსჭვალავს მას, ემოციურობა კი – „ირონიული მელან-ქოლიზმით“. კლასიციზმის ეპოქაში მაქსიმალურად შე-

იზღუდა ლიტერატურული ასახვის არეალიც: მიპატეთ სასახლეს და შეისწავლეთ ქალაქი, – აცხადებდა ბუ-ალო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლიტერატურული ინ-ტერესის უმთავრეს ობიექტებად იქცნენ, ერთი მხრივ, მეფე თავისი სასახლითა და არისტოკრატით, ხოლო, მეორე მხრივ, ქალაქი და ბურუუზია. პოეტიკური შე-ზღუდვის კვალდაკვალ განხორციელდა სალიტერა-ტურო ენის დიფერენციაციაც: ენა დაიყო „მაღალი“ და „დაბალი“ სტილის ენებად, სადაც თითოეულს თავისი უანრული შესაბამისობა („მაღალი“ და „დაბალი“ უან-რები) ჰქონდა და თავისი მკითხველი (საზოგადოების „მაღალი“ და „დაბალი“ ფენები) გააჩნდა. დაბოლოს, „სამთა ერთიანობის“ პრინციპმა ქრონოგრამულ (დრო-სივრცულ) ჩარჩოში მოაქცია ლიტერატურა: ადგი-ლის, დროისა და მოქმედების ერთიანობა უკიდურე-სად ამცირებდა პოეტური ფანტაზიის განვრცობის მასშტაბს.

ამ პოეტიკური კანონების შედეგად ლიტერატურამ მიიღო დიდაქტიკური, მკვეთრად ლოგიკური, რაცი-ონალური ხასიათი, ხოლო სალიტერატურო უანრები მკვეთრად გაიმიჯნა ერთმანეთისგან სტატუსის, ენობ-რივი მოდელისა და მკითხველის ნიშნით. „კლასიციზ-მის თეორია, უპირველესად ყოვლისა, ემყარება უან-რების აბსულუტური სხვაობის (ურთიერთისაგან გამ-იჯვნის) გაგებას, – შენიშნავდა გივი ლომიძე, – იგი რეალური სინამდვილის რთული და მრავალფეროვანი მოვლენების წარმოსახვას მოითხოვს არა მთლიანო-ბაში, არამედ ერთმანეთისაგან გათიშულად“ (ლომიძე 1969:14).

მაგრამ, კლასიციზმის პრაგმატული და ხისტი ლი-ტერატურული რეგულაციების ფონზე, რომლებიც ესადაგებოდა აბსოლუტიზმის ეპოქის მსოფლმხედვე-ლობასა და ამართლებდა ევროპელი მონარქების მო-ლოდინს, დოქტრინის გაფორმებისთანავე შეიმჩნე-

ოდა კონცეპტუალური და სტილისტური გადახვევები, განპირობებული ცალკეული ავტორების სითამამითა და შემოქმედებითი პრინციპულობით. მიუხედავად იმისა, რომ კლასიციზმი ღიად ქადაგებდა ერთგულებას ანტიკური კანონებისადმი, უპირატესობას ანიჭებდა ლოგიკურისა და ზნეობრივის, „ბუნებრივისა“ და „კეთილგონივრულის“ პრიმატს, ამკვიდრებდა „სამთა ერთიანობის“ კანონს, ახდენდა უანრებისა და სალიტერატურო ენის დიფერენცირებას, თავის თავშივე მოიცავდა წინააღმდეგობრივ პროცესებს: კერძოდ, ნეოკლასიციზმის, როგორც ხელოვნურად კონსტრუირებული პოეტიკური სისტემის¹, კანონის მოქმედების არეალი ერთდროულად საყოველთაოც იყო და ინდივიდუალურიც – ის ერთდროულად აერთიანებდა სამი ტიპის რეალობას: ა) მოუწოდებდა ავტორებს, ენერათ გარკვეული პოეტიკური კანონების ფარგლებში; ბ) ავტორები, რომლებიც, ერთი მხრივ, ემხრობოდნენ ამ კანონებს, მეორე მხრივ, საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობის წყალობით, ზეგავლენას ახდენდენ მათზე; გ) ნეოკლასიკური პოეტიკა, რომელიც ჩამოყალიბდა საფრანგეთში, ინერგებოდა და ვითარდებოდა თითქმის ყველა ლიტერატურულად დანინაურებულ ევროპულ ქვეყანაში, თუმცალა, მნიშვნელოვანი კორექტივებით.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ნიკოლა ბუალოს, კლასიციზმის პოეტიკური ტრაქტატის ავტორის შეხედულებებიც კი ექვემდებარება კრიტიკულ გადასინჯვას: შეესაბამება კი ბუალოს სამსაუკუნოვანი რეპუტაცია რეალობას? ამ კითხვას სვამს გორდონ პოკოკი და ძალზე საინტერესო პასუხს იძლევა: მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება. ვინ არის ბუალო „კლასიციზმის თეორეტიკოსი“ და „სპიკერი“, „პოეტი-

1 რენესანსის კონცეპტუალური და რეპრეზენტაციული თავისუფლების წინააღმდეგ.

კური კანონების ინიციატორი“ თუ – „სამეფო კარის ფავორიტი პოეტი“, „პედანტი“ და „ცილისმწამებელი“? აანალიზებს რა ბუალოს პიროვნების ამ წინააღმდეგობრივ შეფასებებს, პოკოკი აღნიშნავს, რომ ბუალომ XVII საუკუნეში შექმნა ახალი ლიტერატურული დოქტრინა და პოეტიკური ნორმები, დაადგინა წერის ტექნოლოგიები, მაგრამ მისი სამიზნე მხოლოდ მექანიზმის ცვლილება როდი იყო, არამედ – ახალი ესთეტიკური და ზნეობრივი ნორმების შემუშავება, რასაც, გარდა ახალი ლიტერატურული კანონის შექმნის პრეტენზიისა, პრევენციული ფუნქციაც ჰქონდა: ბუალო საფრანგეთის მოქალაქეთა იმ რიცხვს ეკუთვნოდა, რომელსაც ეამაყებოდა აბსოლუტიზმის ეპოქის საზოგადოების მიღწევები უნივერსალური ნორმების შემუშავების თვალსაზრისით. მას მიაჩნდა, რომ ნორმებისა და კანონების სისტემა ქმნიდა შესაბამის ემოციურ კონტექსტს, სადაც მკითხველს კარგი, შეურეველი, „სუფთა წყლის“ პოეზიის აღმოჩენის შესაძლებლობა ეძლეოდა. მიმოიხილავს რა ბუალოს ლიტერატურულ ლირსებებს, პოკოკი აღნიშნავს, რომ ბუალოს ხელოვნება, მიუხედავად იმისა, რომ ეფუძნებოდა კლასიციზმის დოქტრინის ახალ კანონებს, სხვა გარემოებებსაც ითვალისწინებდა. კერძოდ: ა) ესთეტიკური პასუხისმგებლობა ყოველთვის განპირობებული უნდა იყოს რიგი ინტელექტუალური და სოციალური ფაქტორებით; ბ) სოციალური, ინტელექტუალური და ესთეტიკური მოდელები ერთ მთლიანობას უნდა შეადგენდეს, რათა კულტურამ განიცადოს აღმავლობა და წინსვლა; გ) მკითხველი მუდმივად უნდა იმყოფებოდეს [ტექსტის] „კენ“ და [ტექსტის] „გან“ პოზიციაში, ვინაიდან სხვაგვარად წაიშლება საჭირო წინააღმდეგობანი, რომლებიც უნდა არსებობდეს ტექსტსა და მკითხველს შორის (პოკოკი 1980). თავად ბუალოს შემოქმედებაც (ოდები, სატირები), რომელიც

მკითხველს რეცეფციის გარკვეულ ჩარჩოს სთავაზობს, იქვე, დოქტრინის სიმკაცრესთან შერწყმულ ავტორის მაღალი იროვნის წყალობით, ამ რეცეფციის გადასინჯვის გზასაც ტოვებს. სწორედ ამიტომაა ცოცხალი ბუალოს ტექსტები და დღესაც ინტერესით იკითხება – თავად ნიკოლა ბუალო ვერ თავსდება მის მიერვე შექმნილი კანონების სტანდარტებში, რომ აღარაფერი ვთქვათ პიერ კორნელის, უაკ რასინის, უან ბატისტ მოლიერისა და სხვა თვალსაჩინო მწერლების შესახებ.

გენიალური ავტორები არიან და უნდა იყონ მეამბოხენი – ეს ცნობილი თეზაა, რომელსაც დრო და ისტორია ადასტურებს. კლასიციზმის ეპოქის გენიოსებიც, თუმცადა იზიარებდნენ მათი საზოგადოების მიერ გამომუშავებულ ნორმათა სისტემას, ვერ თავსდებოდნენ დადგენილ საზღვრებში: ემოციებისა და აზროვნების დიაპაზონი, რომელიც „დიადი ტექსტების“ წერას ესაჭიროებოდა, საშუალებას არ აძლევდა კორნელის, რასინის, მოლიერს ან ლა ფონტენს დაუფიქრებლად მიეღოთ გაბატონებული წესები – შემოქმედებითი პროცესი სრულად ავსებდა დადგენილ პოეტიურ ნორმებსა და წარმოსახვის თავისუფლებას შორის დარჩენილ ნაპრალებს. შემოქმედებითი პროცესის „თვითნებობა“ კლასიციზმის თეორეტიკოსების მიერ დაშვებული იმ შეცდომების შედეგი იყო, რომლებზეც სამართლიანად მიუთითებს ა. ფოულერი: „პირველ ყოვლისა, მათ მკაცრად ჰქონდათ განსაზღვრული უანრის წესები. ახალი ტიპის ტექსტები ან იძულებით ემორჩილებოდნენ ძველ წესებს, ანაც წარმოადგენდნენ მათ ღირსეულ დამატებებს, მცირე გადახვევებს არსებულ კრიტერიუმებიდან. მეორე დიდი შეცდომა უანრის ნეოკლასიკური თეორიისა გახლდათ უანრის ვიწრო და ლოკალური გაგების გენერალიზაცია. ანტიკურ ეპოქაში ჩამოყალიბებული უანრული ფორმები ხელოვნურად

ასიმილირდებოდა კლასიციზმის ეპოქისათვის ნიშან-დობლივ უანრებთან. ეს კარგი იყო უანრის კლასიკური ფორმების აღორძინებისათვის, მაგრამ დამანგრევე-ლი ახალი უანრული ფორმების განვითარებისთვის“ (ფოულერი 1982: 27-28).

გენიალური ავტორები, რომლებიც, ერთი მხრივ, ემხრობოდნენ ახალ კანონებს, მეორე მხრივ, საკუთა-რი შემოქმედებითი ინდივიდუალობის წყალობით, უკუ-ზეგავლენას ახდენდნენ მათზე. სწორედ ეს გარე-მოება უნდა მივიჩნიოთ კლასიციზმის ძლიერ მხარედ: განმანათლებლობა ვერ ანგრევს (თუმცადა არყევს) კლასიციზმის თეორიულ სტაბილურობას, ვინაიდან ის რიშელიესა და რეფორმატორული ეკლესის ავტორი-ტარიზმის ნაწილია, მაგრამ ვერც მის მხატვრულ ღი-რებულებას ანგრევს, რადგან ეს უკანასკნელი აღსავ-სეა მეამბოხე გენიოსთა შემოქმედებით. მათი კალმის წყალობით, ანტიკური ეპოქიდან „გადმობარგებული“ ლიტერატურული უანრები – ტრაგედია, ოდა, იგავ-არა-კი, კომედია – ახალ სიცოცხლეს იძენს. კორნელისა და რასინის დრამატურგია ახალი თემებითა და ემოციებით აღვასებს ტრაგედიის უანრს: წინა პლანზე გამოდის პიროვნული და მოქალაქეობრივი ვალდებულებების შეჯახება, მაკიაველური სულისკვეთების გამოხატვა, ადამიანური ემოციებისა და ლტოლვების დემონსტრი-რება (სიყვარული, ეჭვიანობა, სექსუალური ლტოლ-ვა), ანარქიის მოლოდინი გამყარებული დისციპლინის ჩარჩოებში; ლაფონტენის ალეგორიულ და სიმბოლიკით დატვირთულ იგავ-არაკებში უკიდურესი დაძაბულობა შეიგრძნობა სოციალურ ფასადსა და რეალურ მდგო-მარეობას შორის, მოლიერის ნიღბებს მიღმა კი ვნებები ბობოქრობს: ნიღაბს ამოფარებული მწერალი არნახულ თავისუფლებას გრძნობს – ვიზუალური ეფექტის გამოყენებით, მორგებულად მოძრაობს რეალურსა და გამონაგონს შორის, ამწვავებს მათ მხატვრულ და-

პირისპირებას, შრეობრივად ანაწილებს და ართულებს ხასიათებს, აღწევს გონივრულისა და ინსტინქტურის უკიდურეს ანტაგონიზმს, მოულოდნელად ცოცხალს, ენერგიულს, ორდინარულსა და, ხშირად, ფამილარულს ხდის მხატვრულ მეტყველებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სა-მართლიანი იქნება იმის აღნიშვნა, რომ ევროპული კლასიციზმის წიაღში შექმნილ ღირებულ (ე.წ. „დიად“) ტექსტებში „გონება“ უფრო ინსტრუმენტია, ვიდრე საფუძველი, უფრო რაციონალიზაციაა, ვიდრე რაცი-ონალიზმი. რენე ბრეის აზრით, თუნდაც ცალკეული მწერლების შემოქმედებითი ინოვაციები ადასტურებს, რომ კლასიციზმი სულაც არ იყო ისეთი სრულყოფილი, როგორადაც მოჩანდა: თეორია ხშირად ფურცელზე რჩებოდა, პრაქტიკული საქმიანობა კი სხვა გეზით მიემართებოდა – ავტორებს მეტი აქცენტების დასმა შეეძლოთ ცალკეულ პრობლემებზე, ვიდრე წინასწარ შემუშავებულ მორალურ დევიზებსა და კანონებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო საფრანგეთის სოციალური სიჭრელე, ვინაიდან მწერლობა ყველა დროში ვალდებულია რეაგირება მოახდინოს სოცია-ლურ გამოწვევებზე: „წესები უფრო ხშირად ერგებოდა თანამედროვე მაყურებლის (მკითხველის – ი.რ.) გე-მოვნებას, ვიდრე წინასწარ შემუშავებულ ზნეობრივ და რაციონალურ ნორმებს“ (ბრეი 1974: 13).

ამდენად, ნეოკლასიციზმს ჰქონდა „სისუსტეები“, რომლებსაც „თავის სასარგებლოდ“ იყენებდნენ წამ-ყვანი ფრანგი მწერლები და ქმნიდნენ ღირებულ ლი-ტერატურას. სწორედ ეს იძლეოდა მეთოდოლოგიურ საფუძველს, რათა ნეოკლასიციზმის ლიტერატურული მიმდინარეობა თამამად, სხვადასხვა კორექტივე-ბით განვითარებულიყო ევროპის მთელ რიგ მონინავე ქვეყნებში და არ დამორჩილებოდა დოქტრინის სტან-დარტებს. მით უფრო, რომ კლასიციზმის დოქტრინას

საფრანგეთშივე გამოუჩნდა ლირსეული ოპონენტი ვოლტერის სახით. ვოლტერის ფილოსოფიის, ესთეტიკისა და ლიტერატურის წიაღში კლასიციზმის ეპოქის „სახელმწიფოებრივად ორიენტირებული და რეგლამენტირებული ადამიანი, იმპერიის წევრი, რომელიც ეუფლება ხილულ სამყაროს“, დაემორჩილა თვისებრივ ტრანსფორმაციას და გარდაიქმნა „ინიციატივიან, ავანტურულ ადამიანად, რომელიც ცხოვრობს მსნრაფლ-ცვალებად სამყაროში“ (ბორევი 2001: 206). ვოლტერის ესთეტიკა ახლოს იდგა ნეოკლასიციზმის ესთეტიკას-თან, თუმცადა აზროვნებისა და შემოქმედების ახალ სტანდარტებს ადგენდა: ხელოვნება განიხილებოდა ზნეობრივი აღზრდის საშუალებად, ტრაგედია კი – კე-თილშობილების შემეცნების წყაროდ, სადაც კეთილ-შობილება მოქმედებით შეიმეცნება და არა დიდაქტიკით. „ვოლტერისეულ ტრაგედიაში კლასიციზმის მოქალაქეობრივმა მოტივებმა ანტიაპსოლუტისტური მიმართულება შეიძინა“ (ბორევი 2001ა: 206), რამაც შესაძლებელი გახადა „წესების“ მორიგება „მაღალ გე-მოვნებასთან“ და, გარკვეულწილად, განსაზღვრა გან-მანათლებლობის ჭეშმარიტი იდეოლოგის, დენი დიდ-როს ესთეტიკური დაკვირვებანი¹.

ვოლტერის იდეებს გერმანიაში გამოეხმაურა ლე-სინგი, რომელიც ვინკელმანთან ერთად ახალი ტი-პის ესთეტიკური ფორმალიზმის ფუძემდებლად არის

¹ დიდრო თვლიდა, რომ ხელოვნება მონიდებულია, აღზარდოს ადამიანი მოქალაქეობრივი კეთილშობილების სულისკვეთებით და გაუღვივოს სიძულვილი (კოდვისადმი). დიდროს ფილოსოფიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ადამიანის მიერ „მაღალი იდეალების“ გენერირების აუცილებლობის, რაც, თავის მხრივ, უნდა აესახა ხელოვნებას. თუმცადა, დიდროსავე აზრით, არცერთ ხელოვნებას არ ძალუს იყოს უფრო სრულყოფილი, ვიდრე არის ბუნება: ბუნება უფრო მაღალია ვიდრე ხელოვნება, ის პირველწაროა და ხელოვანი უძლურია, შექმნას ორიგინალზე უკეთესი ასლი. ხელოვანი უნდა აკვირდებოდეს ბუნებას, როგორც თავის შემოქმედების წყაროს (დიდრო 1935-1947: 544).

მიჩნეული. მათი თეორიის თანახმად, ტექსტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვიზუალურ ნიშნებსა და მოძრაობას, რაც, ლოგიკური მსჯელობების გარდა, აღძრავს გრძნობებსა და ემოციებს. ლესინგის ესთეტიკური შეხედულებანი ჩამოყალიბებულია მის საეტაპო ნაშრომებში „ჰამბურგის დრამატურგია“ და „ლაოკოონი“. ამ უკანასკნელში, უდარებს რა ერთმანეთს ხელოვნების სხვადასხვა დარგებს, კერძოდ, ვიზუალურ ხელოვნებასა და პოეზიას, ლესინგი ასკვნის, რომ ვიზუალური ხელოვნების უმთავრეს მისიას „მშვენიერი წამის“ შეჩერება წარმოადგენს, რითაც ის იზიარებს ანტიკური ეპოქის ხელოვნების პრინციპებს, პოეზია კი სხვა გზით მიდის: პოეტური ჰარმონია აღსავსეა მრავალფეროვნებით, მოძრაობით, დინამიკით, რასაც განაპირობებს, ერთი მხრივ, სიტყვის ძალა და, მეორე მხრივ, გამომსახველობითი შესაძლებლობების სიუხვე. საიმონ რიხტერის მართებული შენიშვნით, „ლესინგი იყო პირველი, ვინც შეძლო აეცრემლებინა გერმანელი მაყურებელი არისტოტელესეულ პროპორციებზე გაწყობილი ბურჟუაზიული ტრაგედიების მეშვეობით“ (რიხტერი 2005: 441). მან შექმნა გერმანული ნაციონალური თეატრი, დაშორებული ფრანგული ნეოკლასიციზმის ზეგავლენისგან. არისტოტელეანური და ნეოკლასიცისტური „შიში“ და „სიბრალული“ ლესინგმა „თანაგრძნობით“ (Sympathy) შეარბილა და დაამკვიდრა „თანაგრძნობის ეთიკის“ ცნება, რომელიც აქტიურად იქნა გამოყენებული განმანათლებლობის (დიდრო, სვიფტი), სენტიმენტალიზმისა (რუსო) და რომანტიზმის (ჰილგო) ეპოქის ესთეტიკაში.

გერმანიაშივე, ნეოკლასიციზმის რეცეფციის ინდივიდუალური ვერსიები დაამკვიდრეს გოეთემ და შილერმა ვაიმარული კლასიციზმის პერიოდში. პათოსი, რომლითაც დაწერილია გოეთესა და შილერის შრომები, შეიძლება განისაზღვროს როგორც „მაძიებელი

პათოსი” ანუ დაუკოკებელი სურვილი ახალი ლიტერატურული ფორმების ძიებისა ნეოკლასიციზმის მიერ შემოთავაზებულ ჩარჩოებს მიღმა. მიმოიხილავს, რაამ ეპოქის გერმანულ ესთეტიკასა და დრამას, წიგნში „ტრაგედიის სიკვდილი“ გეორგ შტაინერი აღნიშნავს, რომ შილერი სწორედ ის ავტორი იყო, რომელიც ეძიებდა ტრაგედიის ჭეშმარიტ ფორმას, შესაფერისს რაციონალური, ოპტიმისტური და, ამავე დროს, სენტიმენტალური პოსტ-პასკალიანელი ადამიანისათვისი¹. ეძიებდა და და პოულობდა: შტაინერის აზრით, შილერმა შეძლოკრიზისის გადალახვა არა მარტო ხასიათებისა და იდეალების, არამედ – ეპოქებისა და მიჯნების ავთენტურკონფლიქტში: „დონ კარლოსი, უოლენსტეინს ტოდი, და, რასაკვირველია, მარია სტიუარტი ტრაგედიის სამყაროს განეკუთვნებიან. ვალიარებ, რომ რომანტიზმი ანტიტრაგიკული მოვლენა იყო, მაგრამ რომანტიზმის ეპოქა ჯერ კიდევ ინარჩუნებს ბეთჰოვენის სულისკვეთებას“ (შტაინერი 1961: 185). შილერი მართლაც იდგა კლასიცისტურ-განმანათლებლური და რომანტიკული ესთეტიკის გზაშესაყარზე: ხელოვნება მისთვის ზნეობრივი და გონიერივი განათლების სფეროა, არა გარეგანი, არმედ შინაგანი ტენდენცია, რომელიც წარმოადგენს უმოკლეს გზას თავისუფლებისაკენ: ბუნების მონა, ადამიანი, ბუნების კანონმდებელად იქცევა, ვინაიდან ძალუძს მისი გააზრება. თუკი აქამდებუნება იყო მბრძანებელი, ახლა ის ადამიანის შესწავლისა და დაკვირვების ობიექტად იქცა.²

ასეთივე შემოქმედებითი აღმოჩნდა ინგლისური ინტელექტუალური წრეების მიმართება ფრანგულ

¹ შტაინერს დაბეჭითებით მიაჩნდა, რომ გოეთეს „ფაუსტი“ უფრო „დიალი“ მელოდრამა იყო, ვიდრე ტრაგედია (შტაინერი 1961: 135).

2 აქ საგანგებო აღნიშვნის ლირსა ითანე ბაგრატიონის თხზულება „კალმასობა“, რომელიც 1813-1828 წლებში დაიწერა და რომლის ავტორიც აშკარად დგას განმანათლებლური კლასიციზმისა და რომანტიკული ესტეტიკის გზაჯვარედინზე.

კლასიციზმთან: XVI-XVII საუკუნეების ინგლისში ნამდვილი ომი გაჩაღდა პოეზიის იმ მოდელის წინააღმდეგ, რომელიც პურიტანობის წიაღიდან მომდინარეობდა და მხარს უჭერდა ფრანგულ კლასიციზმს. ასე მაგალითად, მწვავე კრიტიკა ხვდა წილად ალექსანდერ პოუპს, რომელიც კლასიციზმის ფრანგული მოდელის გულშემატკიცვად მიიჩნეოდა. მისი მთავარი შრომა – „ესე კრიტიკის შესახებ“ – არაერთგვაროვნად იქნა მიღებული მისივე თანამედროვე ინგლისური საზოგადოების მიერ. ზოგიერთი თვლიდა, რომ პოუპი ძალიან „ბევრს რასმეს“ ესესახებოდა ანტიკური ეპოქის მოაზროვნებს, ზოგსაც მიაჩნდა, რომ ის ფრანგული კლასიციზმის მიმდევარი იყო და ცდილობდა, თავს მოეხვია ეს კანონები ინგლისელი მწერლებისათვის. თუმცაလა, XXI საუკუნის კრიტიკის აზრით, პოუპის შრომა ზედმეტად რადიკალურად იქნა შეფასებული მისი თანამედროვე კრიტიკის მიერ: XVII საუკუნის ინგლისში ნეოკლასიციზმი არ ყოფილა მიღებული მისი პირვანდელი ფორმით, არამედ – მნიშვნელოვანი კორექტიცებითა და ჩასწორებებით; პოუპის შრომაც „უკიდურესობათა“ და „გადახვევათა“ ჰარმონიზების მცდელობას წარმოადგენდა, რაც, ერთი მხრივ, წარმოაჩენდა ავტორის კეთილგანწყობას კლასიციზმის წიაღში შემუშავებული პოეტიკური ნორმებისადმი, მეორე მხრივ კი, ასაბუთებდა ნორმებიდან გადახვევის ესთეტიკურ აუცილებლობასა და შესაძლებლობებს. ამავე პერიოდში ინგლისური ესთეტიკური აზრის სხვა წარმომადგენლებმაც – დრაიდენი, ჯონსონი, ბურკე – მოსინჯეს კალამი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჯონ დრაიდენის ნაშრომი „ესეები დრამატული პოეზიის შესახებ“, რომელიც, ა. ფოულერის აზრით, „გამოირჩა შეგნებული პათოსით, დაეცვა ლიტერატურა არსებული წესებისაგან“ (ფოულერი 1982: 27). დრაიდენი, რომლის ავტორიტეტიც ძალზედ მაღალი იყო ინგლისურ

ლიტერატურულ წრეებში, არა მარტო აღნერდა ლიტერატურულ ფორმებს მათი დაკანონებული ნორმების ფარგლებში, არამედ ეძიებდა კონკრეტული ტიპის ტექსტისათვის მიზანშეწონილ ინდივიდუალურ წესებს, ანუ აფასებდა ნაწარმოებს არსებულ ნორმებს მიღმა. დრაიდენი კონცეპტუალურად ენათესავებოდა ბენ ჯონსონს, რომელიც, თავის მხრივ, მოუწოდებდა კრიტიკოსებს, მეტი მასშტაბურობით გაეაზრებინათ უანრების სპეციფიკა: „არაფერია იმაზე უფრო სასაცილო, ვიდრე ავტორის გადაქცევა დიქტატორად, როგორც ეს არისტოტელეს შემთხვევაში მოხდა, – წერდა ჯონსონი, – ხშირად ადამიანი ვალდებულია, გარდა იმისა, რომ გამოხატოს საკუთარი რწმენა და აზრი, თავი დაიხსნას სამუდამო ტყვეობისა და იმედგაცრუებისაგან. დე, მიეზღოთ არისტოტელესა და სხვებს საკადრისი პატივი; მაგრამ, თუ ჩვენ ძალგვიძს ნაყოფიერად შრომა სიმართლისა და სრულყოფილების დასადგენად, რატომ არ უნდა მოვიქცეთ ასე?“ (ჯონსონი 1947: 103). მიუხედავად იმისა, რომ დრაიდენის შემოქმედება მისდევს ნეოკლასიციზმის მიერ დაწესებულ ლიტერატურულ კანონს, ის „მოულოდნელი შემობრუნებების დიდოსტატია“ (შერმანი 2004: 16) – გაორებები, სატირული წილადსვლები, მწვავე დიალოგები თან გასდევს დრაიდენის მრავალფეროვან და მასშტაბურ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, შექმნილს ასეთსავე მრავალფეროვან და ისტორიულად არამდგრად ეპოქაში. დრაიდენის ტექსტების (უპირატესად, დრამებისა და სატირების) პათოსი მიზანმიმართულადაა განზიავებული ინგლისის პოლიტიკურ და სოციალურ რეალობასთან – „განახლების შემდგომ არავის ჩაუდია ამდენი ზიზლი თავის პამფლეტებში, პაროდიებსა თუ დრამებში, რამდენიც მან ჩადო“ (შერმანი 2004: 18). დრაიდენმა ახალი სუნთქვა შესძინა ნეოკლასიკურ უანრებს, მაგრამ, რაც არსებითია, გამოიყენა ლიტერატურა ეროვნული სა-

ხელმწიფოებრიობის მისეული მოდელის შესაქმნებლად: დრაიდენი ინგლისური და ევროპული განმანათლებლური კლასიციზმის იდეოლოგია, რომლის შემოქმედებაც ადასტურებს ნორმატიულ სისტემაზე გაწყობილ მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტებში ახალი ნაციონალური იდენტობის შემოტანისა და დამკვიდრების შესაძლებლობას. ამგვარი მოღვაწეობა მას არა მარტო საკუთარ ლიტერატურულ კრედოდ მიაჩნდა, არა-მედ – მისი დროის მკითხველებისათვის ესთეტიკური ტებობის მინიჭების ერთადერთ სწორ გზად: „ვაღიარებ, – წერს იგი, – რომ ჩემი მთავარი სურვილია, ტკბობა მივანიჭო ეპოქას, რომელშიც ვცხოვრობ“ (დრაიდენი 1974: 36).

განმანათლებლური კლასიციზმი წარმოადგენდა შუალედურ, სინთეზურ, ერთგვარ გარდამავალ ლიტერატურულ ფორმას კლასიციზმისა და განმანათლებლობის ესთეტიკურ მოდელებს შორის. ის იყო მემკვიდრე კლასიციზმისა და წინამორბედი განმანათლებლობისა – მის წიაღში აბსოლუტიზმის პათოსით შედუღაბებული საზოგადოება ახლადფეხადგმული ბურუუზინისა და კონსერვატორული არისტოკრატიის დაპირისპირების ველად გადაიქცა. კლასიციზმის ეპოქის „რეგლამენტირებული მორჩილი“ გონივრული პოლიტიკის ფარგლებში მიღწეული თავისუფლების მომხრე მოქალაქემ ჩაანაცვლა, ხოლო ლიტერატურული უანრების გამყარებული სისტემა – საზოგადოებრივ-სოციალური მოდელის ცვალებადობისა და ფლექსიურობის წიაღში შემუშავებულმა ლიტერატურული უანრების უჩვეულო მოქნილობამ.

სწორედ ასეთ გარდამავალ, სინთეზურ ხანაში იწყებს შემობრუნებას ქართული პოლიტიკური რეალობა ევროპისაკენ და ქართული ლიტერატურა – დასავლური ლიტერატურულ პროცესებისკენ, ხოლო დასავლურ ყაიდაზე გამართული თეორიული და ლიტერატურული

ნოვაციების თვალსაზრისით, გადამწყვეტ როლს თა-მაშობს ქართველი მეფე-პოეტების, აგრეთვე, სულხან-საბა ორბელიანის, ანტონ I კათალიკოსის, მამუკა ბარა-თაშვილის, დავით გურამიშვილის, ბესი გაბაშვილის საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობა.

ამ ადამიანებმა ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ნაკლებად წაკითხულ ეპოქაში იცხოვრეს. ეს იყო დრო ახალი ქართული იდენტობის და კულტურული სტრატეგიების ფორმირებისა, რომლის ფონზეც კარდინალურ რეკონსტრუქციას იწყებდა ქართული ლიტერატურული პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნეში შექმნილი თეორიული ტრაქტატები – ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობა“ და მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“, – თავიანთი არსითა და სტრუქტურით სქოლასტიკურ-დიდაქტიკურ ხასიათს ატარებდა და სავსებით ესადაგებოდა ნეოკლასიკურ ატმოსფეროს, ამ ტიპის ნაშრომების უკვე შექმნა იყო და არის დასტური ქართული სააზროვნო სივრცის შემობრუნებისა და-სავლური ტენდენციებისაკენ. სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შემოქმედება კი თვალ-ნათლივ წარმოაჩენს ქართული მწერლობის შემოქმედებით სწრაფვას ნორმატიულ სისტემაზე გაწყობილ მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტებში ახალი ნაციონალური იდენტობის შემოტანისა და დამკვიდრებისკენ.

სულხან-საბა ორბელიანმა არა მარტო უერთგულა საკუთარ საზოგადოებრივ პრინციპებს, არამედ ხელი შეუწყო მთელი საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის ჩამოყალიბებას საკმაოდ წინააღმდეგობრივ ეპოქაში; მან არა მარტო იმოგზაურა ევროპაში, არა-მედ მოახდინა ევროპეისტული აზროვნების რეაგრე-გაცია საქართველოში – აღმოსავლური კულტურული მოდელისადმი განწყობილ ქართულ სააზროვნო და ლიტერატურულ სივრცეს დამაჯერებლად შესთავაზა ევროპული ნეოკლასიკური კულტურის ტენდენციები;

მეტიც, „სიბრძნე-სიცრუისა“, მიუხედავად ავტორის ერთგულებისა რიგი აღმოსავლური ტენდენციები-სადმი, კონცეპტუალური, ჟანრული და სტილისტური თვალსაზრისით, გვიანი ნეოკლასიციზმისა და ადრიანი განმანათლებლობის დახვეწილ ნაზავს წარმოადგენს; საბას ტექსტი „მოგზაურობა ევროპაში“ იქცა არა მარტო კულტურულ-სამეცნიერო, გეოგრაფიულ, ისტორიოგრაფიულ და ლიტერატურულ-ჟანრულ მოვლენად, არამედ – ინტელექტუალურ ორიენტირად საბას თანამედროვე ევროპულ კულტურაში. მეტიც, საბასეული მოგზაურობის ტექსტმა დასაბამი მისცა ინტერკულტურული კომუნიკაციების ლიტერატურულ ტრადიციას საქართველოში და საფუძველი ჩაუყარა უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვან ქართულ სამოგზაურო ნარატივს, რომელმაც შემდგომ ეპოქებში გაგრძელება პპოვა გრიგოლ ორბელიანის („მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“), ილია ჭავჭავაძის („მგზავრის წერილები“), ალექსანდრე ყაზბეგის („ნამწყემსარის მოგონებანი“) და სხვათა შემოქმედებაში. სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული ტექსტების, ლექსიკონების, რელიგიური ხასიათის შრომებისა თუ ქადაგებანის ლიტერატურული და სარწმუნოებრივი, ეროვნული და პოლიტიკური მნიშვნელობა არ შემოისაზღვრა მხოლოდ მისი დროით, არამედ შეინარჩუნა აქტუალობა დღესაც. მსგავსი სიცოცხლისუნარიანობა კი სულხან-საბას მიერ ორგანიზებული ლიტერატურული და სახელმწიფოებრივი პარადიგმის კონცეპტუალური და სტრატეგიული ინოვაციურობის მაჩვენებელია.

რეფორმატორული მისიის თვალსაზრისით, ძალიან ცოტა ქართველი მწერალი და მოაზროვნე თუ შეეძრება დავით გურამიშვილს. სწორედ მან, პირველმა, დასძლია ქართულ პოეზიაში აღმოსავლური ეპოსის ზეგავლენა და, ევროპული ლექსის რეფორმატორული

ტენდენციების ფონზე, შექმნა ორიგინალური ქართული ლირიკა; დავით გურამიშვილმა დააპრუნა ქართულ ლიტერატურაში ქრისტიანული სიმბოლიკა და სახისმეტყველება, მოახდინა მარგინალურ პოზიციაზე მყოფი ქრისტიანული დისკურსის რეანიმაცია; ის გამოეხმაურა განმანათლებლური კლასიციზმისათვის ნიშანდობლივ ისეთ ესთეტიკურ პრინციპებს, როგორიცაა: ლიტერატურული ტექსტის აქტიური მიმართება ეროვნულ პოლიტიკურ და სოციალურ რეალობასთან, ზომიერი რაციონალიზმისა და დიდაქტიკის დამკვიდრება, ნაციონალური ფოლკლორული მოტივების გააქტიურება; დავით გურამიშვილმა მშვენიერის, ამაღლებულის, დიადის ესთეტიკით გააჯერა თავისი ლექსი.

რასაკვირველია, თამამი ძვრების მიუხედავად, ქართული ლიტერატურული რეალობის სრულად გამოყვანა აღმოსავლური კანონის ზეგავლენისგან არც მარტივი პროცესი იყო და არც ერთჯერადი. ეს არათანაბარი სინთეზურობა განსაკუთრებულ ნიშასაც კი მიუჩენს ქართულ ლიტერატურას საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების წიაღში, მაგრამ ტენდენცია, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებისათვის გამოიკვეთა, ეჭვგარეშეა: ქართული მენტალობა იდენტობის აღმოჩენის ახალ ფაზას უახლოვდებოდა, წამყვანი ქართველი ავტორების შემოქმედებაში კი მეთოდურად ხორციელდებოდა ევროპული კონცეპტის რეკონსტრუქცია, გამოხატული განმანათლებლური კლასიციზმის მოდელით¹. მიუხედავად იმისა, რომ XVII-XVIII საუკუნეების საქართველო, თავისი ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, აქტიურად ვერ ერთვებოდა კლასიციზმისა და

1 რიგი ქართველი მევლევარები ამ ეპოქის ქართულ მნერლობაში ბაროკოს კვალსაც ხდავენ. იხ. გ. გაჩეჩილაძე, „რენესანსი და ბაროკო“ // სულხან-საბა ობელიანი 350. საიუბილეო კრებული, 2009; ი. კენჭოშვილი, „გარდამავალი მეგაპერიოდი ქართულ ლიტერატურაში // ლიტერატურათმცოდნების თანამედროვე პრობლემები, თბ., 2007; მ. ნაჭყებია, „ქართული ბაროკოს საკითხები“, 2009.

განმანათლებლობის ესთეტიკათა ჭიდილში, ქართულ-მა ლიტერატურამ (და კულტურამ), შეზღუდული შესაძლებლობის ფარგლებშიც კი, მოახდინა ამ ორივე სააზ-როვნო მოდელის რეფლექსირება. არსებითი მიზეზი ამისა იყო ქართული ლიტერატურის ტრადიციული ან გენეტიკურად ორგანიზებული კულტურული ჩართულობა ევროპულ (დასავლურ) სალიტერატურო სივრცეში. შესაბამისად, იმის მტკიცება, რომ დასავლური ლიტერატურული კონცეპტის რეკონსტრუქცია საქართველოში უკავშირდება XIX საუკუნიდან ფორმირებულ რუსულ კულტურულ-ლიტერატურულ გავლენებს, საფუძველმოკლებულად გვეჩვენება: რუსული რომანტიზმის გამოცდილებამ მხოლოდ დააჩქარა (და, ამასთან, დააზარალა) რომანტიზმის დასავლური ლიტერატურული სკოლის დამკვიდრება საქართველოში, ვინაიდან ქართული ლიტერატურა უკვე იდგა არჩეულ გზაზე – ეს იყო გზა ევროპისაკენ, იმ ლიტერატურული და სააზროვნო მოდელისკენ, რომელსაც დასაბამიდან ბუნებრივად ეკუთვნოდა არსობრივად ქრისტიანული ქართული მწერლობა.

თავი მესამე

**ეპოდული რომანტიზმი და რეალიზმი.
ბრძოლა ახალი ქართული იდენტობისათვის
და მისი ფორმირება**

3.1 რომანტიზმის ხანა. ახალი იდენტობის სათავეებთან

XIX საუკუნიდან ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ისევე როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში, სრულიად ახალი, განსხვავებული ერა იწყება: საქართველო რუსული იმპერიალიზმის ინტერესის არეალში აღმოჩნდება და მისი პოლიტიკური თუ სოციალური რეალობა სრულად აირევლავს „ახალი კოლონიალიზმის“ წინააღმდეგობრივ ხასიათს. წინააღმდეგობრივია ლიტერატურული პროცესიც: ის, ერთი მხრივ, კარს უდებს დასავლურ ლიტერატურულ ტენდენციებს, სხვადასხვა ევროპულ სკოლებსა და მიმდინარეობებს, მეორე მხრივ კი, დაღდასმულია გამუდმებული ბრძოლით რუსეთის იმპერიალისტური იდეოლოგის წინააღმდეგ. ევროპული ლიტერატურული სკოლების ფორმირება და განვითარება საქართველოში სპეციფიკურ ჭრილში მიმდინარეობს, პოლიტიკური იმედებისა და იმედგაცრუებების ფონზე, დამოუკიდებლობისა და ნაციონალური თვითშეგნების ძიების თანხლებით. ეს განსაკუთრებით საცნაურია XIX საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როდესაც ქართული ლიტერატურა პირველად შეიგრძნობს რომანტიზმის ევროპულ სურნელს. შეკითხვას – დააჩქარა თუ არა რომანტიზმის დასავლური ლიტერატურული სკოლის დამკვიდრება საქართველოში რუსული რო-

მანტიზმის გამოცდილებამ, – დადებითად უნდა ვუპა-სუხოთ, მაგრამ ასევე დადებითი პასუხი უნდა გაეცეს მეორე შეკითხვას – დაამჩნია თუ არა კვალი ქართული რომანტიზმის განვითარების ნორმალურ გეზს რუსე-თის კოლონიურ-იმპერიალისტურმა პოლიტიკამ? დიახ, დაამჩნია.

ქართული ლიტერატურა, ისევე როგორც ზოგადად კულტურა, XIX საუკუნის დასაწყისიდანვე აღმოჩნდა უაღრესად რთულ ვითარებაში, რომელიც განპირო-ბებული იყო რუსეთის იმპერიალისტური „რეგიონუ-ლი“ პოლიტიკით კავკასიაში. რუსეთის პოლიტიკური სტრატეგია იმთავითვე განისაზღვრა საქართველოსა და მთლიანად კავკასიის ოკუპირებული რეგიონების გათიშვისა და დაშლის პრინციპით, ხოლო სოცია-ლურმა სტრუქტურამ რუსეთის იმპერიის სოციალუ-რი სისტემის მიკრომოდელის სახე მიიღო. როგორი იყო ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ახალ კოლონიზატორთან და რა ფორმით გამოვლინდა ის ქართულ მწერლობაში?

საქართველოსათვის, მისი ისტორიული გამოცდი-ლებიდან გამომდინარე, უცხო არ იყო „დაპყრობი-ლის“ სტატუსი – სხვადასხვა დროს საქართველოს ტერიტორია ოკუპირებული ჰქონდათ ირანს, არაბეთს, თურქეთს, მონღოლეთს... ქართული საზოგადოების რეაქციაც კოლონიალიზმზე, ტრადიციულად, სარწ-მუნოების შენარჩუნების ნიშნით იყო აღბეჭდილი და ანტიკოლონისტური მოძრაობა, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური ღირებულებების დაცვას გულისხმობდა. რუსული კოლონიალიზმის ეპოქაში რადიკალურად შე-იცვალა დამპყრობლის სტატუსი: დამპყრობელი „ერთ-მორნმუნე“ მტერ-მოყვრის პოლიტიკით მოქმედებდა – ერთი მხრივ, სარგებლობდა მართლმადიდებლური ქვეყნის პრივილეგიით, მეორე მხრივ კი, აპირისპირებ-და საქართველოს კავკასიის მთიანეთის არაქრისტიან

ხალხებთან და აცლიდა საჭირო პოლიტიკურ თვითმყოფადობას. ქართული საზოგადოების თავდაპირველი რეაქციაც რუსულ კოლონიალიზმზე ორმაგი სტანდარტის ნიშნით წარიმართა, რაც ნათლად აისახა რომანტიზმის ეპოქის ქართულ საზოგადოებივ ცხოვრებასა და მწერლობაში.

როდესაც ვამბობთ „ორმაგი სტანდარტი“, ვგულისხმობთ იმ გაორებასა თუ გაუგებრობას, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისიდანვე არსებობს ქართულ საზოგადოებასა და მწერლობაში ერთმორწმუნე კოლონიზატორის მიმართ: რწმენის დაცვის აუცილებლობას მოკლებული ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი იმთავითვე კარგავს ანტიკოლონისტური ბრძოლის მოტივაციას და სრულიად დეზორიენტირებული გადაინაცვლებს ამბივალენტური მოლოდინის პოზიციაზე; მეორე ნაწილი ცდილობს, დაარწმუნოს თავი „ახალი ეპოქის“ კეთილგონივრულობასა და ძლიერი ერთმორწმუნე ქვეყნის (რომელსაც თითქოსდა ძალუძს საქართველოს ჩაბრუნება ევროპული საზოგადოების წიაღში) მფარველობის საჭიროებაში და რუსეთის ტახტის სამსახურს საკუთარ პატრიოტულ მოვალეობად მიიჩნევს, ხშირად, თუნდაც, უმძიმესი ეჭვებისა და მერყეობის მიღმა; არის კიდევ მცირეოდენი ჯგუფი ადამიანებისა, რომელიც ცხადად გრძნობს სარწმუნოებრივი ერთიანობის იდეით შენიდბული კეთილდღეობისა და ეროვნული თვითმყოფადობის იდეის დაპირისპირების ტრაგიზმს და ცდილობს საკუთარი ჰეროიზმის ფასად გამოაღვიძოს გაბრუებული საზოგადოება. შვილი მამას არ ეთანხმება, ძმა – ძმას, მეგობარი – მეგობარს: საზოგადოება დისიმილირებულია, ხოლო მწერლობა ცხადად აირეკლავს ამ საბედისწერო დისიმილაციის ყოველ დეტალს.

ქართული რომანტიზმი, მიუხედავად იმისა, რომ გვიან ფორმდება (ილია ჭავჭავაძის მეცადინეობით),

თავისი არსებობის ადრეულ ეტაპზევე თანაუგრძნობს ევროპული რომანტიზმისთვის ნიშანდობლივ ტრადიციულ თემებსა და მოტივებს, თუმცა მაგისტრალური თემატური ხაზი მაინც ზემოთ ხაზგასმული საქართველოს პოლიტიკური და კულტურული სტატუსის ბუნდოვანებაა: „კავკასიის“ ერთიანობის იდეა ისტორიულ წარსულს ჩაბარდა; ქართული რომანტიზმის ადრეული ტალღის წარმომადგენლებად მიჩნეული პოეტები – ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი, რუსი გენერლების მუნდირებში გამოწყობილნი, კავკასიური მოძრაობის ლიდერებს ებრძვიან, მერე კი, ვალმოხდილნი, სევდიანად დასტირიან ან უკვე ნანგრევებადქცეულ საქართველოს ისტორიულ ძლიერებას! შინაგანი გაორების ტრაგიზმი არა მარტო თემატურად და ემოციურად ფარაგს მათ პოეზიას, არამედ პოეტიკური ფორმების თვალსაზრისითაც იჩენს თავს: რომანტიკული განწყობილების მიღმა იგრძნობა წოსტალგია აღმოსავლური პოეტური მოდელებისადმი – ორივე პოეტს, განსაკუთრებით კი გრ. ორბელიანს, ქართული რომანტიკული პოეზიის სივრცეში შემოაქვს „ქალაქური ტექსტი“, რომლის მეშვეობითაც გამოხატავს კეთილგანწყობას ძველი „ტფილისის“ ორიენტალური მოტივებისადმი. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ტფილისი მულტიკულტურული ქალაქია, სადაც ქართული ლეკურისა და ევროპული „მაზურკის“ მიღმა აღმოსავლური თარის ჰანგები მოისმის. „მუხამბაზის“ აღმოსავლური პოეტური ფორმა, რომელიც გრიგოლ ორბელიანის პოეზიის სავიზიტო ბარათად იქცევა, ზედმინევნით კარგად ითავსებს ქართული ტრადიციული აზროვნების მოდელებსა და რომანტიკული ხედვის ნიუანსებს. თავს უფლებას ვაძლევთ ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლური

1 იხ. ი. რატიანი, „კავკასიის“ და „კავკასიელის“ ლიტერატურული რეფლექსიები ქართულ მწერლობაში. თეორიული ანალიზი“, ქ. კადმოსი, № 2, 2010.

პოეტური ფორმა, ამ საერთო დაძაბულობისა და დაბ-ნეულობის ფონზე, ალტერნატიული დისკურსის მისი-ას კისრულობს და ერთგვარ თავშესაფარს წარმოად-გენს რთული პოლიტიკური და ადამიანური არჩევანის წინაშე მდგარი ქართველი პოეტისთვის. ამასობაში კი, კავკასიური დაპირისპირება და მართლმადიდებლო-ბის ნიღბით კავკასიელი ხალხების გათიშვა რუსეთის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს გეგმად ყალიბდება. ცნება „კავკასიელი“ ცალკეულ აღნიშვნებად დიფე-რენცირდება – ქართველი, სომეხი, ჩეჩენი, დაღესტ-ნელი და ა.შ., და თითოეული მათგანისათვის ნებისმი-ერი „სხვა“ მტრის სიმბოლიკის მატარებელი უფროა, ვიდრე მოყვრისა. ამ საერთო ქაოსსა და უთანხმოება-ში საეტაპო როლი და მისია დაეკისრება სრულიად ახ-ალგაზრდა პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელიც ქართული რომანტიზმის სიმწიფის ხანისა და ევროპულ რომანტიზმთან მისი ინტეგრაციის ურყევი სიმბოლოა.

ბარათაშვილის პოეზია ევროპული რომანტიზმის მართლაც საუკეთესო ტრადიციებზეა ამოზრდილი. გარდა იმ ძირითადი თემებისა, რომლებიც ახასი-ათებს მსოფლიო რომანტიზმს თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე და რომლებიც გამოკვეთილია უდიდესი რომანტიკოსების – შელის, ბაირონის, მიცე-ვიჩის, ლერმონტოვისა და სხვათა პოეზიაში, ქართველი პოეტი საგანგებოდ უბრუნდება რომანტიზმის ერთ-ერთ საკვანძო იდეას – ეროვნული თვითშემეცნების აღორძინებას, რაც ლაიტმოტივად გასდევს მის პოეზი-ასა და მსოფლგანცდას. ევროპული რომანტიზმისათ-ვის ნიშანდობლივი არსებითი ესთეტიკური პრინციპე-ბი – ინდივიდუალიზმის პრევალირება, მითოლოგიზმი, რელიგიური სიღრმე, ფოლკლორული არქეტიპები, ბუნებასთან თანაზიარობა – ბარათაშვილის პოეზიაში მიზანმიმართულადაა განზავებული ეროვნული თვით-შეგნების იდეასთან, ნაციონალურ მიზანდასახულო-

ბებთან და ტრადიციებთან, რომლებიც არამარტო აირეველავს ევროპული რომანტიზმის ძირითად კულტურულ ტენდენციებს, არამედ აფართოვებს რომანტიზმის გეოგრაფიულ რუქას ქართული ნაციონალური მოდელის მიმართულებით, ახდენს ქართული მსოფლმხედველობის, მითოლოგიური არქეტიპების, რელიგიური განცდებისა თუ ლანდშაფტების ღირებულ ჩართვას საერთო-რომანტიკულ პოეტიკაში. ამ პერიოდის ქართული ლიტერატურული კანონი ადასტურებს, რომ მაშინაც კი, როდესაც კულტურული ტენდენციები ზიარია, მათი გავლენა ცალკეული ლიტერატურების განვითარების პარადიგმაზე მხოლოდ სიმილარობებით როდი გამოიხატება, არამედ განსხვავებებითაც, რომელთაც განაპირობებს კონკრეტული ნაციონალური კონტექსტი, ენა, საზოგადოებრივი მიზნები, პიროვნების ჩართულობის ხარისხი და როლი ამ კონტექსტსა და მიზნებში და სხვა. სწორედ ამ სიმილარობათა და განსხვავებათა თვალსაზრისით მნიშვნელობს ბარათაშვილის პოეზია ევროპული და მსოფლიო რომანტიზმისთვის.

დასაწყისისათვის უნდა ითქვას, რომ რომანტიზმის ეპოქის დასავლური კანონის ერთ-ერთ დასაყრდენს პოეზიის შუამავლური ფუნქცია წარმოადგენდა: რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და იდეოლოგი ფრიდრიხ შილერი თავის ცნობილ წერილთა სერიაში ხელოვნებას „მესამე რეალობად“ მიიჩნევს, ესთეტიკურ ფენომენად, რომელიც ასრულებს შუამავლის ფუნქციას აუცილებლობასა (მიზეზსა) და თავისუფლებას (სულს) შორის. „გარდასვლა შეგრძნების პასური კონდიციიდან ფიქრის და სურვილის აქტიურ კონდიციაში შეუძლებელია Via-ს, ესთეტიკური თავისუფლების შუალედური კონდიციის გარეშე“, – წერს შილერი. შეიძლება დავასკვნათ, რომ ხელოვნება და, ცხადია, ლიტერატურაც შილერისათვის წარმოად-

გენს ესთეტიკურ ილუზიას ანუ მსგავსებას, რომელიც წყვეტს კაცობრიობას მისი შეგრძნებადი გარემოს-გან და სულიერების თავისუფალ გარემოში გადაჰყავს იგი. შილერის პოზიციას კიდევ უფრო მეტად ამწვავებს პერსი შელი, რომელიც განსაზღვრავს ხელოვნებასა და პოეზიას, როგორც სინამდვილის მიღწევებზე ამოზრდილ შუალედურ კონდიციას რეალობასა და მიღმიერ სამყაროს შორის. „პოეზია, – აღნიშნავს შელი, – აღვიძებს და აღრმავებს გონებას, ვინაიდან თარგმნის მის ათასობით მიუწვდომელ ფიქრთა კომბინაციებს. იგი ასაზრდოებს წარმოსახვას ახალ-ახალი ფიქრებით, რომლებიც იზიდავენ და ასიმილირდებიან სხვა ფიქრებთან და აყალიბებენ ახალ ინტერვალებსა და შუალედებს, რომელთა სიცარიელეც მუდმივად ითხოვს საზრდოს“. ვფიქრობთ, შელის ბრწყინვალე იდეა პოეტური აზროვნების შედეგად წარმოქმნილი „ინტერვალებისა“ და „შუალედების“ მუდმივად ქმნადი, განახლებადი და ცვალებადი ბუნების შესახებ მთელი სერიოზულობით აყენებს ლიტერატურის როგორც თვითჭრანსცენდენტური ლიმინალური ფლექსიურობის განსაზღვრის საკითხს: პოეზია შელის ნააზრევში წარმოადგენს ფიქრის პარადიგმას, ლიმინალურ კონდიციას, რომელიც განთავსებულია ისტორიულ რეალობასა და ფიქრისმიერ ირეალობას შორის და რომელიც რეალობის არსებული მოდელისაგან მუდმივად აწარმოებს ალტერნატიულ ირეალურ მოდელს“ (რატიანი 2005: 168-169).

„მგრძნობიარე ინტელექტი“ რომანტიკული ეპოქის ჭეშმარიტად მსაზღვრელი მეტაფორაა: სამყაროს სუბიექტური შემეცნება (კანტი), მდიდარი წარმოსახვა (პეგელი, შელინგი), გრძნობისა და აზრის სინთეზი, მიზეზ-შედეგობრიობის შინაგანი ძიება (კანტი, კოლრივი) – აი, პრინციპები, რომელთა დეკლარირების შედეგადაც რომანტიზმი ახდენს თავისი ესთეტიკური

საზღვრების დემარკაციას, თუმცა რომანტიზმისათვის ნიშანდობლივი საერთოესთეტიკური საზღვრები ყოველთვის მნიშვნელოვნად კორექტირდებოდა რეალური ისტორიული საზღვრებით (ჰერდერი), რაც, პირველ ყოვლისა, გულისხმობდა ნაციონალური სივრცის თავისებურებებს, კონკრეტულ ისტორიულ, კულტურულ და ლინგვისტურ გამოვლინებებს. რომანტიზმის ერთ-ერთი ცენტრალური იდეაც სწორედ ნაციონალური ცნობიერების განვითარება იყო – ადგილობრივი პრობლემების, ტრადიციებისა და ჩვეულებების ევალუაცია, რაც ხელს უწყობდა რომანტიზმის არა მარტო განვრცობას ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით, არამედ ევროპის რუკის გადაწერას ნაციონალური თვითგამორკვევებისა და თვითდამკვიდრების, ახალი იდენტობების ძიების კულტურული პროცესის ფონზე. ყველა ამ მისწრაფების საფუძველზე, რომანტიზმის ეპოქამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ტრანსნაციონალურ დიალოგს. მან: а) მოახდინა ლიტერატურული პროცესების ინიცირება მრავალ ევროპულ და არაევროპულ ქვეყნაში; ბ) გაამთლიანა ევროპული კულტურული პროცესები რომანტიზმის საერთო-ესთეტიკური დროშის ქვეშ; ბ) გამოკვეთა ის განსხვავებები, რომლებიც არსებობდა ნაციონალური მოდელების ფუნქციონირების თვალსაზრისით.

საერთო-ესთეტიკური პრინციპების გაზიარების ანთროპოლოგიურ-კულტუროლოგიურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ როგორც რომანტიზმისათვის ნიშანდობლივი კონცეპტების – „მე“-ს თავისუფლება, განუხორციელებელი იდეალებისაკენ სწრაფვა, რეალობასთან გაუცხოება, ანმყოს უარყოფა, ლუციფერიანელობა, მისტიციზმი, სამყაროს ესქატოლოგიური განცდა, ისე თემების – სიყვარული, მარტობა, სევდა, ბუნებასთან თანაზიარობა, და უანრების – მცირე ლირიკული უანრები, პოემა – სიმილარულობა, აგრეთვე, უცნაური

სიმილარულობა მისი მთავარი სახეების ცხოვრებისე-ულ ხაზებს შორის: ქართული რომანტიზმის რაინდი ნიკოლოზ ბარათაშვილი 27 წლისა გარდაიცვალა, ცხოვრებისაგან გატანჯული, უკიდურეს გაჭირვება-სა და სევდაში; 26 წლის ასაკში დუელიანტის ბრძან ტყვიამ იმსხვერპლა მიხაილ ლერმონტოვი, რუსეთის ყველაზე მარტოსული პოეტი; 37 წლისა დუელს შე-ეწირა ალქსანდრ პუშკინიც, კაცი, რომელიც „განსაზღვრავდა რუსული კულტურული ყოფიერების სისავსეს“ (მამარდაშვილი); რომში, ესპანეთის მოედანზე მდებარე პატარა სახლში, ჩუმად ჩაიფერფლა „დარიბების ავადმყოფობით“ შეპყრობილი 26 წლის ჯონ კიტსი, ევროპული რომანტიზმის მეორე ტალღის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი; ჭლექმა იმსხვერპლა 28 წლის ნოვალისიც, რომელმაც თუმცადა მოასწრო სიცოცხლისა და სიყვარულის ტრაგიზმის შეგრძება, ვერ მოასწრო მასთან ანგარიშსწორება; თავისი სამშობლოდან შორს, საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისას შეწყდა მსოფლიო რომანტიზმის სიმბოლოს, 36 წლის ჯორჯ გორდონ ბაირონის გულისცემა; 29 წლისა, ბურუსით მოცულ ვითარებაში დაიღუპა მძიმე ფსიქოლოგიურ და ემოციურ დილემებთან შერკინებული პერსი ბიში შელი... გენიალური რომანტიკოსები ახალგაზრდები იღუპებიან, მათი ცხოვრება და შემოქმედება თითქოს საერთო კოდის მატარებელია და ძალიან ჰგავს თავად რომანტიზმს: გარეკონტექსტის სირთულე და არაერთგვაროვნება, პროტესტის განცდა, ტკივილი, იმედგაცრუება, მეამბოხეობა, რადიკალურობა, ძიება, თვითდაფერფლა, სწრაფი წვა, ლტოლვა სიკვდილი-საკენ, როგორც „სხვა“, მიღმიერი ცხოვრების წინაპირობისაკენ; გარეგნობაც კი მსგავსების კოდის მატარებელია – საბედისნერო, გამორჩეული, შთამბეჭდავი სახეები, გამჭოლი მზერა... რომანტიკოსი პოეტები სიცოცხლეშივე ქმნიან საკუთრ მითს, რომელიც მათივე

შემოქმედების ლიტერატურულ ანალოგიას მიაგავს. პოეტის, როგორც გენიალური პიროვნების როლი და ფუნქცია უკიდურესად ეგზალტირებულია, ის თითქოს იმ მიკროსამყაროს ეპიცენტრია, რომელშიც არსებობს და რომელიც მას ასე ევინროვება! პოეტის ფიგურა გარშემორტყმულია საყოველთაო ყურადღებითა და ინტერესით, მისი ყოველი ორდინარული თუ ეპატა-ჟური ნაბიჯი საზოგადოებრივი შეფასებების ტალ-ლებს იწვევს: პოეტი-მარტინსული, პოეტი-მარგინალი, პოეტი-შეყვარებული, პოეტი-ფილოსოფოსი, პოეტი-დუელიანტი, პოეტი-მეამბოხე, პოეტი-დასჯილი, პოე-ტი-გაძევებული, პოეტი-მსხვერპლი, პოეტი-მიმზიდვე-ლი, ახლობელი და თანაც ასეთი შორეული¹... მაგრამ რომანტიზმის ეპოქის ავტორებს მხოლოდ ცხოვრების სტილი ან სიკვდილის მოტივაცია და ფორმა როდი აკავ-შირებს ერთმანეთთან, არამედ – ტრანსნაციონალუ-რი დიალოგისაკენ მიმართული საერთო-ესთეტიკური პრინციპები, ზიარი კულტურული მიზნები და მისიები, გადარგული სხვადასხვა ნაციონალურ ნიადაგზე, რაც არა მარტო გამოკვეთს მსგავსებებს, არამედ ასაბუ-თებს განსხვავებებსაც.

განსხვავებები კი სწორედ ნაციონალური მოდე-ლების ფარგლებში უნდა ვეძიოთ: კონტექსტში, სალი-ტერატურო ენაში, გენეალოგიაში, საზოგადოებრივ პოზიციაში, ეროვნულობის განცდაში, გარემოში – იმ ქუჩებში, სახლებსა თუ ლიტერატურულ სალონებში, სადაც დუღს მათი წარმოსახვისა და ფანტაზიისათვის აუცილებელი გრძნობები და ვნებები! სხვაგვარად რო-გორ შეიძლება ავხსნათ, რომ მაშინ, როდესაც ბაირონი თავის პოემებში სამყაროს ესქატოლოგიური განცდის

1 ქართული და ევროპული რომანტიზმის შესახებ იხ. შოთა რუსთა-ველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა – „რომანტიზმი. ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრე-ბი“ (რედ. ზ. აბზიანიძე). თბილისი: გამომცმელობა „საარი“, 2012.

ლაპირინთებში იძირება („კუნძული“, „ჩაილდ ჰაროლ-დი“), ხოლო პუშკინს ასე აფიქრებს ეგოცენტრული ხა-სიათის ტრაგიკული პარადოქსები („ევგენი ონეგინი“), ბარათშვილი თავისი ქვეყნის მძიმე აწმყოს დასტირის („ბედი ქართლისა“)! მისი პოეზია გამსჭვალულია რუ-სეთის იმპერიის მარნუხებში მოქცეული საქართველოს ბედ-იღბალზე ფიქრითა და დარდით, იმ სულიერ გა-ორებაზე წუხილით, რომელშიც უხდებათ ცხოვრება მის თანამემამულებს! ეროვნულობა, რომანტიზმისათვის ზოგადად ნიშანდობლივი განცდა, სწორედ ქართული რეალობიდან გამომდინარე, მეტი ხაზგასმით დომინი-რებს ბარათაშვილის პოეზიაში; რუსული კოლონია-ლიზმის საწყის ეტაპზე გაორებულ, დაბნეულ, დაშ-ლილ საზოგადოებაში, ამიტომაც გაისმის საბედისწე-რო სიმწვავით პოეტის ფრაზა:

**„სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს,
ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“.**

შეიძლება ითქვას, ბარათაშვილი აღმოჩნდება ის ერთადერთი ქართველი შემოქმედი XIX საუკუნის პირ-ველი ნახევრის საქართველოში, რომელიც არა მარტო მიაკვლევს ქართველთა მთავარ პრობლემას, არამედ საკუთარ პოზიციასაც გააცხადებს. პოეტის ფრაზა ცხადყოფს მის რწმენას კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ტრადიციული ხერხის – ოდენ სარწმუნოე-ბრივის – არასაკმარისობასა და ახალი გზის ძიების საჭიროებაში: ეს არის გზა ეროვნული თვითშემეცნე-ბისა, რომელმაც უნდა იხსნას ქართული იდენტობა და სახელმწიფოებრიობა!

3.2. რეალიზმის რეალიზმი

ბარათაშვილის იდეა მეტ დატვირთვას იძენს XIX საჟურნალის 60-იანი წლებიდან, როდესაც დაუფარავი ხდება ახალი კოლონისტის პოლიტიკური კურსისა და სოციალური სტრატეგიის ჭეშმარიტი მიზანი – გარდაქმნას საქართველო სოციალ-პოლიტიკური და კულტურული მოვლენების პერიფერიულ ზონად (რაც შეესაბამება „კოლონიის“ ცნების კლასიკურ ინტერპრეტაციას). ასევე დაუფარავი ხდება ქართული მოწინავე საზოგადოების რეაქციაც რუსულ კოლონიალიზმზე და რომანტიზმის ხანის ამბივალენტურ სტატუსს რადიკალური დაპირისპირება ცვლის: **ანტიკოლონიური მოძრაობის ისტორიულად გამომუშავებულ სარწმუნოებრივ სტრატეგიას ეროვნული სტრატეგია ჩაანაცვლებს.** შემთხვევით არ ჩაეჭიდება ქართული რეალიზმის ლიდერი, ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ფიგურას – ის ბარათაშვილისტია რუსეთის კოლონიურ პოლიტიკასთან მიმართებაში და არა მხოლოდ ის: ეროვნული ლირებულებების რეკონსტრუქცია საფუძვლად უდევს სხვა ქართველი რეალისტი მწერლებისა და პუბლიცისტების შემოქმედებას¹.

თუმცა, აღნიშნული კერძო ტენდენცია სულაც არ გამორიცხავს ქართული რეალიზმის მჭიდრო კავშირს რეალიზმის დასავლურ და რუსულ მოდელებთან.

რეალიზმის როგორც დასავლური, ისე – რუსული მოდელი წარმოადგენდა რეაქციას რომანტიზმისათვის ნიშანდობლივ სუბიექტივიზმზე: „რომანტიზმი ინარჩუნებდა გარკვეულ ილუზიებს და ახალი ცხოვრების არასრულყოფილების განცდას ამკვიდრებდა. კრიტიკული რეალიზმი კი იყო ფხიზელი ანალიზი „დაკარგული ილუზიებისა“, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა, რომ

1 ამ წიგნში ჩვენ არ განვიხილავთ XIX საუკუნის ქართულ პუბლიცისტიკას, არამედ მხოლოდ ლიტერატურულ პროცესებს.

სამყაროს „ღვთაებრივი კომედია“ თანდათან იძენდა ყოფით მახასიათებლებს და „ადამიანურ კომედიად“ ყალიბდებოდა“ (ბორევი 2001ბ: 390). ეს იყო „მკვდარი სულების“, „ცოცხალი გვამების“, „დამცირებულებისა და შეურაცხყოფილების“, „ღარიბი ადამიანების“, აგრეთვე – გორიოების, ჩიჩიკოვების, ობლომოვების სამყარო, მოთხოვნებილი დინჯი, აუჩქარებელი და დაკვირვებული მანერით. მწერლები უკირკიტებდნენ პრობლემას – „ადამიანი და სამყარო“, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან უკვე შეიძლება გადაინათლოს პრობლემად – „მე და სამყარო“ და განისაზღვროს, როგორც გარეხედვის უკელაზე კრიტიკული პოზიცია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში¹.

რეალიზმის ეპოქის წამყვანი ლიტერატურული უანრები – რომანი, მოთხოვნა, პოემა და სხვ. – წარმატებით იყენებენ არა მარტო თხრობის კლასიკურ სტილს, არამედ – სატირასა და იუმორს, გროტესკსა და ირონიას, რათა უკეთ გამოხატონ ლიტერატურის პოზიცია: იდეალის აღმოჩენა მხოლოდ არსებულის კრიტიკისა და უარყოფის გზითაა შესაძლებელი! მწერლები ცდილობენ ჩასწვდნენ იდეალს, საამისოდ კი მეტად უნდა შეიჭრან ცხოვრებაში, იქ, სადაც ადამიანი მუდმივ ჭიდილში იმყოფება ისტორიასთან. რეალიზმის კულტურული მისია ხომ ადამიანის ისტორიული დანიშნულებისა და ჰუმანურობის ძიებაა!“ (ბორევი 2001ბ: 388)

რეალიზმი მუშაობს პოლიტიკურად ინტენსიურ და სოციალურად დიფერენცირებულ ეპოქაში. დასავლურ ცივილიზაციაში მარტივი ფეოდალური სტრუქტურე-

1 აქ, ცხადია, მხედველობიდან არ უდა გამოგვრჩეს ის გარემობა, რომ ასახვის რეალისტური მანერით შესრულებული პირველ ტექსად ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“ მიიჩნევა. რაბლეს ეპოქაში ძალზე ნაადრევია რეალიზმის ლიტერატურულ მიმდინარეობაზე საუბარი – ის მხოლოდ XIX საუკუნეში დაიმკვიდრებს თავს, მაგრამ რეალიზმი, როგორც მეთოდი, სრულ ასახვას პპოვებს აღორძინების ეპოქის ამ გენიალური ავტორის თხზულებაში.

ბი დიდი ხანია შეცვალა სოციალურად აჭრელებულმა საზოგადოებამ:

არისტოკრატიის ჩრდილში აქამდე მოკრძალებით მდგარმა ბურჟუაზიამ ისტორიული ძლევამოსილება შეიძინა და მთელი ძალითა და ენერგიით აღიძრა დამსახურებული პატივისცემის მოსაპოვებლად. ღირებულებათა ჭიდილი – ყველა სახისა და სირთულის – კრიტიკული რეალიზმის განმსაზღვრელ მახასიათებლად იქცა: ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა დაუპირისპირდა არისტოკრატიულს, ფული – გვარსა და წარმომავლობას, სიმდიდრე – საუკუნეობით გამყარებულ ტრადიციასა და ეტიკეტს. სოციალური საკითხი ერთ-ერთ ძირითად პრობლემად ჩამოყალიბდა. გამოიკვეთა კონცეპტუალური ოპოზიციები: ფული/უფულობა, მატერიალური ბედნიერება/სულიერი სიმდიდრით მიღწეული ბედნი-ერება, „პატიოსანი ფული“/„არაპატიოსანი ფული“...

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფორმირებული კრიტიკული რეალიზმისთვის (დიკენსი, სტენდალი, ბალზაკი, ფლობერი) ურთულეს პრობლემად ჩამოყალიბდა ადამიანის მიერ ბედნიერებისა და დამოუკიდებლობის მიღწევის შეუძლებლობა ფულის პრიმატზე დაფუძნებულ საზოგადოებაში. ამგვარ საზოგადოებაში ბედნიერების მიღწევა მხოლოდ სიმდიდრის მოხვეჭას უკავშირდება, რაც ან მიუღწეველია, ანაც – სულიერად დამანგრეველი ამაღლებული და სულიერად მდიდარი პიროვნებისთვის... ადამიანის მთავარ ამოცანად ალტერნატივის მიღწევა ისახება: მან ან უნდა ეძიოს ბედნიერება სიმდიდრის მიღმა, ანაც გამდიდრდეს „თეთრი ხელებით“, პატიოსანად. თავისთავად ამგვარი ალტერნატივის უტოპიურობა იქცევა ბურჟუაზიული საზოგადოების მწვავე კრიტიკის იარაღად, საზოგადოებისა, რომელიც აყენებს პიროვნებას ესოდენ მერყევ და უპერსპექტივო მდგომარეობაში“ (ბორევი 2001ბ: 399).

საგულისხმოა, რომ ქართულმა კრიტიკულმა რეალიზმმა, მისი ფორმირების ადრეულ ეტაპზევე, წარმატებით შეითავსა კრიტიკული რეალიზმის დასავლეთ ევროპული გამოცდილება (ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, გ. ერისთავის „გაყრა“, ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“) და ხედვის არეალში შემოიტანა დიფერენცირებული სოციალური გარემოს აღწერა და ანალიზი, როგორც რეალობის შეფასების უტყუარი კრიტერიუმი.

მთავარ პერსონაჟებად გამოიკვეთნენ, ერთი მხრივ, წვრილი ბურუჟული – ვაჭრები, ხოლო მეორე მხრივ, „ახალ დროებას“ ვითომ ფეხაწყობილი თავადიშვილები, რომლებმაც თავიანთი საგვარეულო ქონება ქარს გაატანეს, დაივიწყეს ღირსება და ცდილობენ, გადაირჩინონ თავი ახლადგამდიდრებულ ბურუჟუებთან აღიანსით.

რას წარმოადგენდა „ბურუჟუა“ როგორც კლასი და რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის ქართული მიზნისთვის?

თავის ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში – „ბურუჟუა. ისტორიასა და ლიტერატურას შორის“, ეძიებს რა ბურუჟუას ცნების ახალ განმარტებას, ფრანკო მორეტი იმოწმებს იმანუილ ვალერშტეინის ნაშრომს – „ბურუჟუა, როვორც კონცეპტი და რეალობა“: „ბურუჟუა საფლაც შუაში აღმოცენდა. ის არც გლეხი იყო, არც ფეოდალი და არც – დიდგვაროვანი“ და სწორედ „შუაში-მყოფობა“ იყო ბარიერი, რომლის დაძლევასაც ის გამუდმებით მიეღწვოდა“ (ვალერშტეინი 1988: 98). თუ ბურუჟუაზის კლასის აღმოცენება ეკონომიკური პროცესებით ნაკარნახევი ისტორიული აუცილებლობა იყო, მე-19 საუკუნის შუაწლებიდან მან პოლიტიკური მნიშვნელობაც შეიძენდა და აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში (კოკა 1999: 193); ბურუჟუას „ახალი მდიდრის“ პირვანდელი სტატუსი, ესოდენ არასასურველი და მიუღებელი თავად ბურუჟუებისთვის, სხვა სტა-

ტუსებით შეიცვალა – „ენერგიული“, „ნათელი გონების მქონე“, „წესიერი საქმისმნარმოებელი“, „მიზანდასახული“ და სხვ. თუმცალა, ეს „კარგი“ თვისებები მაინც არასაკმარისად კარგი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ბურჟუასაგან შექმნილიყო თხრობითი ჟანრის გმირი, ისეთი, როგორიც იყო მეომარი, რაინდი, დამპყრობელი ან ავანტიურისტი – გმირები, რომელთაც ასობით წლების მანძილზე ეყრდობოდა დასავლური ლიტერატურის სიუჟეტები“ (მორეტი 2013: 8). ბურჟუა ვერ იქცა გმირად, არამედ უფრო – ანტიგმირად, რომელმაც ცალკეულ შემთხვევებში დადებითი ინტერპრეტაცია შეიძინა. ასეთი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, ალბათ, „იმ უზარმაზარ განხეთქილებაში უნდა ვეძიოთ, რომელიც ძველსა და ახალ მმართველ ძალებს შორის არებობდა: თუკი არისტოკრატიას ეყო თავხედობა, შეექმნა უშიშარი და უნაკლო რაინდების მთელი გალერეა და ამით მოეხდინა საკუთარი თავის იდეალიზაცია, ბურჟუაზიამ ეს არ ჩაიდინა. თავგადასავლის დიადი მექანიზმი თანდათან დაიშალა ახალი ბურჟუაზიული ცივილიზაციით, თავგადასავლის გარეშე კი გმირმა დაკარგა უნიკალურობა, რომელიც მოულოდნელობასთან შეხვედრის ხიბლით იყო განსაზღვრული. რაინდთან შედარებით ბურჟუა არაფრით გამორჩეული და მოუხელთებელი მოჩანდა, ნებისმიერი სხვა ბურჟუების მსგავსი“ (მორეტი 2013: 16)...

მე-19 საუკუნის 50-60-იანი წლების ქართული პროზა და დრამატურგია საერთოდაც შორს იდგა ბურჟუას მომწიფებული გაგებისაგან, ბურჟუას სოციალურმა კლასმა ჯერ კიდევ ვერ შექმნა საქართველოში ის აუცილებელი დისტანცია, რომელიც უკვე არსებობდა ევროპასა და ამერიკაში „ძალიან მდიდრებსა“ და „ძალიან ღარიბებს“ შორის; არც „მესაკუთრეებისა“ და „საკუთრებას მოკლებული მშრომელების“ ან – „მწარმოებლებისა“ და „მუშახელის“ გაგება იყო დამკვიდრე-

ბული¹. შესაბამისად, ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში ბურუუას არ ჰქონდა შეძენილი ისეთი თვისებები, რომლითაც ის დასავლურ მწერლობაში გზის გაკვალვას ცდილობდა – მშრომელი, სერიოზული, განათლებული, გამოსადეგარი, კომფორტის მოყვარული, გავლენიანი². ქართულ ცნობიერებაში ის ჯერ კიდევ უმნითარი, უტიფარი, უინტელექტო და უსულგულო დახლიდარი იყო – მხოლოდ დახლიდარი³. მეტიც, დასავლური სამყაროსგან განსხვავებით, სადაც მე-19–მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ბურუუა მმართველ კლასად იქცევა, ხოლო ბურუუას ცნება სოციალური და კულტურული განვითარების სხვადასხვა ეტაპებს გაივლის, საქართველოს, მისი ისტორიული ფატუმის გამო, თითქმის არ დასცალდება ბურუუას გააზრების ჩანასახოვანი ფაზის დაძლევა: საზოგადოებრივ-სოციალურ არენაზე მას მარქსისტულ-ბოლშევიკური მოძრაობა და ბოლშევიკური რევოლუციის ზვირთები შათნთქავს, ლიტერატურულ სიბრტყეზე კი ჯერ „ხალხოსნური“, ხოლო მოვიანებით – სოციალისტური მწერლობის იდეოლოგია დაუბირსიპირდება. და მიუხედავად ამისა, თავისი ისტორიული მოცემულობის ფარგლებშიც კი, ქართული მწერლობა შეძლებს ბურუუაზის ფუნქციისა და როლის, აგრეთვე, არის სტოკატიასთან მისი მიმართების ქართული რაკურსის წარმოჩენას; შეიქმნება არაერთი საინტერესო ლიტერატურული ტექსტი, სადაც გამორჩეულ ადგილს უდაოდ დრამატურგიული გამოცდილება დაიკავებს.

ბურუუას სახე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ დრამატურგიაში (გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი)

1 იხ. ემანუილ ვალერშტეინი, „ბურუუა როგორც კონცეპტი და რეალობა“ (1988), იურგენ კოკა, ინდრუსტრიული კულტურა და ბურუუაზიული საზოგადოება“ (1999), ჯემს მილი, „ესსე მთავრობის შესახებ“ (1937) და სხვ.

2 მორეტისეული კლასიფიკაცია.

3 კლასიფიკაცია ჩემია.

ასახვის ირონიულ-გროტესკული მანერის ჩარჩოებშია მოქცეული. ცნება ბურჟუა ჩანაცვლებულია ცნებით ვაჭარი, რომელიც ბურჟუას გაგების შედარებით ადრეული და პრიმიტიული მოდელის ექვივალენტია, ხოლო მთავარ ოპოზიციად განსაზღვრულია სოციალური ოპოზიცია: ვაჭარი/თავადი, იგივე – წვრილი ბურჟუა/არისტოკრატია, სადაც ვაჭარი ანუ წვრილი ბურჟუა ფულის პრიმატზე დაფუძნებული ახალი დროების სიმბოლოა, თავადი ანუ არისტოკრატი კი – ისტორიულად, „ძველ დროში“ გამომუშავებული ქართული რაინდული ცნობიერების დევალვაციისა. ქართული დრამატურგია შეურიგებელია როგორც ერთის, ისე – მეორეს მიმართ: მას ჯერ არ სჯერა ბურჟუაზიის, რომელიც ფულით იკვლევს გზას და უკვე აღარ სჯერა არისტოკრატიის, რომელმაც დაკარგა ზნეობრივი ორიენტირები. სრულიად ცხადია, რომ ამ სახით არც ერთი მათგანი არ ერგება ქართულ მიზანს.

მაგრამ, მსოფლიო კრიტიკული რეალიზმის ესთეტიკური და ლიტერატურული მოდელი არ რჩება ოდენ სოციალური და ეთიკური პრობლემების ასახვის დონეზე, არამედ – მიზანდასახულად ფართოვდება მსოფლიმედველობრივი ჰორიზონტებისაკენ. რეალისტი მნერლების ხედვის არეალში მოქცეულია ცხოვრება მისი ყველა დეტალითა და პრობლემით – რეალისტები ფართოდ გახელილი თვალებით შეჰყურებენ ცხოვრებას და ცდილობენ ასახონ ის მაქსიმალური შეგრძნებით. ასე მაგალითად, რუსული კრიტიკული რეალიზმი (გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი) ამუშავებს პიროვნებისა და სამყაროს გლობალური შეუთავსებლობის პრობლემას: ამ კონცეფციის წიაღში სრულად ვლინდება ადამიანსა და სამყაროს შორის არსებული წინააღმდეგობანი, მაგრამ სამყაროს ბოროტების აღმოფხვრის გზას წარმოადგენს არა ძალადობა, რომელიც ისტორიულად საშიში და გაუმართ-

ლებელია, არამედ – მისი გაკეთილშობილების მცდელობა: სხვა გამოსავალს, თუ არა პიროვნების თვით-სრულყოფა და ბოროტებაზე შენდობით პასუხი, რუსული რეალიზმი ვერ ხედავს.

ქართველი რეალისტები, „თერგდალეულები“¹, კარგად იცნობენ მსოფლიო რეალიზმის ლიტერატურულ კანონს (როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ტექსტების მეშვეობით) და მისი ძირითადი წარმომადგენლების – გოგოლის, ზოლას, ბალზაკის, დიკენსის, ნეკრასოვის, ტოლსტოის, ტურგენევის, დოსტოევსკისა და სხვათა ტექსტებს; ახდენენ ისეთი საბაზისო რეალისტური თემების ადაპტირებას, როგორიცაა – პიროვნებისა და საზოგადოების გართულებული ურთიერთობები, სოციალური ყოფის დეტალები, ფსიქოლოგიური დილემები და სხვ. ქართულ სალიტერატურო არენას თანდათან იპყრობს მწვავე რეალისტური თემები – პოლიტიკური საკითხების აქტუალიზაცია; სოციალური პრობლემების მხილება და გამათრახება; გალაშქრება საზოგადოების მერკანტილობის, გულგრილობისა და ინერტულობისადმი და იმ დამღუპველი შედეგებისადმი, რომელიც მათ მოაქვთ; მოწოდება ადამიანის უმაღლესი დანიშნულებისადმი და რეალურ ცხოვრებასთან ადამიანის მიმართების დადგენა. სწორედ ამ თემებზეა დაწერილი „აჩრდილი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „განდეგილი“, „გამზრდელი“, „ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“, ვაჟა-ფშაველას (და სხვა ავტორების) ლექსები და მოთხოვობები და სხვ. რომანტიკოსების მიერ უარყოფილი და ნიველირებული აწმყო თანდათან იბრუნებს პოზიციებს, პოეტი/მწერალი თავპრუდამხვევი სისწრაფით ეშვება „ცოდვილ მიწაზე“

1 მწერალთა ამ ჯგუფის თითქმის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელს განათლება მიღებული ჰქონდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში, რაც, წმინდა გეოგრაფიული თვალსაზრისით, გულისხმობდა მდინარე თერგის გადაკვეთას საქართველოდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალ სამხედრო გზაზე და – უკან.

და ფარად რეალობას ირგებს. რეალიზმის ეს ფუძემ-დებლური მახასიათებელი, გამყარებული საერთო ეს-თეტიკური და პოეტიკური პრინციპებით, გვევლინება კიდევაც მსოფლიო რეალისტური სკოლების, მათ შორის ქართულის, ინტერაქციის მიზეზად. რეალისტი მწერლები – ქართველები, ფრანგები, ინგლისელები, რუსები, გერმანელები თუ სხვ. – ხშირად ერთსა და იმავე კონცეპტებს უტრიალებენ და, კონცეპტუალური ძიების პროცესში, თითქოს შეთანხმებულად არღვევენ რომანტიკოსების მიერ დამკვიდრებულ ჟანრულ და ნარაციულ სტრატეგიებს. რეალისტური რომანი და მოთხოვობა იპყრობს ლიტერატურულ სივრცეს, პოეტური ჟანრებიდან კი ყველაზე მეტად პოემა ფასობს. ლიტერატურული პროცესი არნახულად გამჭვირვალე და, თანაც, მართვადი ხდება: ავტორის ფიგურა რომანტიკული ბურუსიდან გამოდის და ტექსტში გადაინაცვლებს – რამდენადაც მცირდება მწერლის ბიოგრაფიის როლი მის შემოქმედებაში, იმდენადევ იზრდება მისი შემოქმედების როლი ბიოგრაფიაში. რეალიზმის ეპოქის ავტორი აღარ არის ტექსტის გარეთ მოგიზგიზე ადამიანი, არამედ თავად ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ოსტატურად იყენებს ლიტერატურას საჭირბოროტო სოციალ-ეროვნული, ეთიკური და მსოფლმხედველობრივი ხასიათის პრობლემების გამიანების ტრიბუნად. გარეფაქტორების აქტიური ჩართვა ლიტერატურულ პროცესში განსაკუთრებულ მიზანდასახულობას სძენს მათ: ავტორები ყურადღებით უსმენენ ეპოქის ხედებს (ბახტინი). ონორე დე ბალზაკი, ჩარლზ დიკენსი, ლევ ტოლსტოი, ფიოდორ დოსტოევსკი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა – თავიანთ ეპოქაზე მიყურადებული ავტორები არიან: მათი შემოქმედების მეტაფორად უფრო „ინტელექტუალური მგრძნობელობა“ შეიძლება დასახელდეს, ვიდრე – „მგრძნობიარე

ინტელექტი“.
რეალისტები არ იფარგლებიან მხოლოდ საკუთარი აზრით, არამედ, აინტერესებთ სხვათა აზრიც თავიანთი აზრის შესახებ: მკითხველი აღარ არის გარეშე მსმენელი, ის ინტელექტუალური პარტნიორია იმ უზარმაზარ რეალისტურ დიალოგში, რომელსაც ცხოვრება ჰქვია. ლიტერატურა ორატორული პრაგმატიკის ფაზაში შეაბიჯებს. რომანტიკული ინტროვერტულობა თანდათან ტრანსფორმირდება რეალისტურ ექსტრავერტულობაში, ლიტერატურის პოლიტიზაცია და სოციალიზაცია კი მეტი თვალსაჩინოებით ავლენს ნაციონალურ განსხვავებებს: ქართული რეალიზმი „ქართული საკითხავითაა“ დატვირთული, რაც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გარდაუვლად უკავშირდება ახალი ნაციონალური იდენტობის ძიებას, როგორც მიზანდასახულობას.

ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა სწორედ ის ლოკალური პრობლემაა, რომელსაც განსაკუთრებული სიმტკიცით უტრიალებს კლასიკური რეალიზმის ეპოქის ქართული მწერლობა და, ამ თვალსაზრისით, ის მსოფლიო რეალიზმის საკმაოდ სპეციფიკურ ფრთას ქმნის. ქართული რეალიზმი ძალდაუტანებლად ითავსებს რეალიზმის როგორც დასავლეთ ევროპულ, ისე რუსულ გამოცდილებას (ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, გ. ერისთავის „გაყრა“, ი. ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“), მაგრამ თავის მთავარ სათქმელად სხვა პრობლემას გამოკვეთს: ეროვნული თვითმყოფადობის იდეა არის ქართული კრიტიკული რეალიზმის მთავარი იდეა, რომელიც მოიცავს და ფარავს მის გზაზე ამოსვეტილ მწვავე სოციალ-პოლიტიკურ პრობლემებს. ასახვის რეალისტური მანერის მრავალნაირი შესაძლებლობები საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ნაციონალური იდენტობისა და ეროვნული საკითხის გადაჭრას ემსახურება! სწორედ ეროვნული თვითმყო-

ფადობის იდეის გააქტიურებისა და აღორძინების გამო ქართული კრიტიკული რეალიზმი განსაკუთრებულ ადგილს იმკვიდრებს რეალისტური მწერლობის საერთო ევროპულ სივრცეში. ამ თვალსაზრისით საეტაპო მნიშვნელობას იძენს ისეთი ტექსტები, როგორებიცაა ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“, ალექსანდე ყაზბეგის „ელგუჯა“ და სხვ.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ – აცხადებს ილია ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებში“ და ამ ფრაზით აფუძნებს ქართული პოლიტიკური და კულტურული სტრატეგიისა და ქართული იდენტობის ახალ სტანდარტს¹.

საგულისხმოა, რომ ქართული კრიტიკული რეალიზმის მიერ გახმიანებული ეროვნულის თვითმყოფადობის იდეა პირდაპირ კავშირშია „კავკასიელის“ ცნების ისტორიული ღირებულების აღორძინებასთან, რომელმაც, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, მნიშვნელოვანი დევალვაცია განიცადა რომანტიზმის ამბივალენტურ ეპოქაში. რეალიზმის ეპოქაში იცვლება დამოკიდებულება საკითხისადმი: ცხადი ხდება, რომ თუკი საქართველო გაემიჯნება კავკასიის დარჩენილ რეგიონებს, ის აღმოჩნდება იზოლაციაში, პირისპირ „რუსულ დათვთან“, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან განსაკუთრებით ააქტიურებს თავის იმპერიალისტურ გეგმებს საქართველოსა და კავკასიაში. ამ ფონზე აკაკი წერეთლის ლექსი „შამილის სიზმარი“ (1859 წ.) უდერს როგორც მიმართვა და პოზიცია: შემთხვევითი არ არის, რომ აკაკი სწორედ ამ ლექსს გადაუგდებს ხელთათმანივით ქართველ რომანტიკოს პოეტს და რუსული არმიის გენერალს, გრიგოლ ორბელიანს, რითაც ხაზს

1 ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვა ქართული ეკლესიის მიერ და მისი სახელდება წმინდა ილია მართალად, მწერლის სიცოცხლისა და სიკვდილის, მხატვრული შემოქმედებისა და პუბლიცისტიკის მთავარი ღირებულებების კვლავალიარება იყო.

გაუსვამს „შვილთა“ ბანაკის „მამებისაგან“ განსხვავებულ პოზიციას კავკასიის საკითხთან მიმართებაში. ვითარებას გაამწვავებს აღ. ყაზბეგი, ხაზგასმულად გადაანაცვლებს რა აღნიშნული პრობლემის ლიტერატურულ ინტერპრეტაციას ანტირუსულ სიბრტყეზე: მის ტექსტებში ცხადად გამოიკვეთება ტრაგიკული შიში იმ ნაციისადმი, რომელიც „უცხო“ ენით, ზნეობითა და წეს-ჩვეულებებით იქრება საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის ტერიტორიაზე; რუსულ მმართველობასთან დაკავშირებული პერსონაჟები ყაზბეგთან იმთავითვე უარყოფით კონტექსტშია გააზრებული, ან, პირიქით, თუკი პერსონაჟი უარყოფითია, ის აუცილებლად არის დაკავშირებული რუსულ კონტექსტთან, სამაგიეროდ, კავკასიის მთიანი რეგიონის ხალხები უპირატესად გმირობასთან, თავდადებასთან, კეთილშობილებასთან, სიყვარულთან ასოცირდება. იგივე ტენდენციას შეიძლება დავაკვირდეთ აკაკი წერეთლის პოემაში „გამზრდელი“, რომელშიც აფხაზი დადებითი პერსონაჟიც არის და უარყოფითიც, ხოლო მათი ბრძენი აღმზრდელი სულაც ყაბარდოელია¹. ნურც ვაჟა-ფშაველას მუცალსა და ჯოყოლას და მათ-დამი ქართველ მთიელთა დამოკიდებულებას დავივინებთ. ეთიკური და საზოგადოებრივი Pro et Contra, რომელსაც ვაჟა-ფშაველა საფუძვლად უდებს თავისი პერსონაჟების ლირებულებათა შეალას, სცდება ვიწრო სეპარატიზმის სტანდარტს და ჰუმანიზმის უღრმესი შრეებისაკენ მიემართება. ქართველი რეალისტებისათვის ესოდენ მტკიცნეულ „კავკასიის თემას“ მხატვრული ვირტუოზულობით დააგვირგვინებს იაკობ გოგებაშვილი ტექსტში „იავნანამ რა ჰქმნა?“, როდე-

¹ საგულისხმოა, რომ რეალისტი ავტორი, რომელიც, ტრადიციულად, ეთიკური და ზნეობრივი ნორმების მეცნ რეგულატორად გვევლინება ტექსტში, არც ერთხელ არ ახდენს ეთნიკური სხვაობების აქცენტირებას.

საც ქართული ოჯახის ტრაგიკული ხვედრის ფონზე გამწვავებული ეთნიკური დაპირისპირება ქართველებ-სა და ლეკებს შორის მოთხოვნის ბოლოს საყოველთაო ჰარმონიასა და იდილიაში გადაიზრდება. ამრიგად, XIX საუკუნის დასაწყისში რომანტიზმის ეპოქაში დასმული შეკითხვა – „რატომ უნდა ვიდგეთ კავკასიის ხალხები ერთად, თუკი სარწმუნოებრივი ერთობა არა გვაქვს?“, XIX საუკუნის მიწურულს, კრიტიკული რეალიზმის ეპოქაში, სხვაგვარ შეკითხვაში ტრანსფორმირდება – „რა გვაქვს გასაყოფი, როდესაც საერთო პოლიტიკური მტერი გვყავს?“

„დამოუკიდებელი და ძლიერი ქვეყნის“ იდეა იპყრობს ქართული კრიტიკული რეალიზმის სივრცეს. სოციალური პრობლემატიკის აქცენტირებაც კი, ქართული კრიტიკული რეალიზმისთვის ნიშანდობლივი კიდევ ერთი მძლავრი ტენდენცია, ეროვნული თვითმყოფადობის იდეის წარმატებით რეალიზებას ემსახურება. ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი მხატვრული სახე ლუარსაბ თათქარიძისა ამ თვალსაზრისით საეტაპო აღმოჩნდება: მწერალმა შექმნა თუმცადა უბოროტო, მაგრამ მუქთახორა, ზარმაცი და ინერტული ხასიათიტიპი, რომელიც არა მხოლოდ იმიტომაა საშიში, რომ სოციალურად დრომოქმული და რეგრესულია, არამედ იმიტომაც, რომ მისი გაძლიერების შემთხვევაში საქართველოს სულ უფრო მეტად გაუჭირდება მისთვის ესოდენ სანუკვარი მიზნის – დამოუკიდებლობის მიღწევა: დამოუკიდებლობის გზა გადის ბძოლაზე, რომლის უნარიც თათქარიძეს და მისნაირებს არ გააჩნიათ! სოციალური პრობლემა არ რჩება ოდენ სოციალური პრობლემის დონეზე, არამედ მიემართება ეროვნული თვითმყოფადობის იდეას, როგორც ქართული კრიტიკული რეალიზმის მთავარ სათქმელს.

ეროვნული იდეა ცენტრალურ იდეად რჩება მწერალთა ახალი, შედარებით რადიკალური დაჯგუფე-

ბისთვისაც, რომლებიც ქართველი ხალხოსნების (ე.წ. „ნაროდნიკების“) სახელითაა ცნობილი. მიუხედავად მისი დასახელების სიმილარობისა ანალოგიურ ლიტერატურულ სკოლასთან რუსეთში, ის უფრო პრო-ევროპეისტული იყო თავისი ამოცანებითა და მიზან-დასახულობებით, ვიდრე პრო-რუსული¹. ქართველი ხალხოსნების დიდი ნაწილი ევროპულ მეცნიერებასა და კულტურასთან დაახლოებაში ხედავდა ქვეყნის სწორი განვითარების წინაპირობას; მათთვის ეროვნული გრძნობის ღირებულება იმდენად იყო ღირსების მატარებელი, რამდენადაც ის ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ემსახურებოდა. ხალხოსნებმა თამამად შემოიტანეს ქართულ მწერლობაში გენ-დერული პრობლემები.

XIX საუკუნის მიწურულისათვის ესოდენ სპექტრული და მრავალფეროვანი ქართული რეალიზმი **გვიანი რეალიზმის²** ფაზაში გადაინაცვლებს და ამითაც ის „სოლიდარობას“ უმჯდავნებს ევროპულ ლიტერატურულ პროცესებს: ქართული ლიტერატურა წარმატებით უფლება გვიანი რეალიზმის ესთეტიკას, რომელიც რამდენადმე განსხვავდა კრიტიკული რეალიზმის ძირითადი ტენდენციებისგან.

რეალისტმა მწერლებმა, რომლებმაც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გვიანი რეალიზმის მგრძნობელობაში გადაინაცვლეს (დოსტოევსკი, ჩეხოვი, გი დე მოპასანი), მთელი სისრულით შეიმეცნეს ის საშიშროება, რომელიც არნახულად გააქტიურებულ პოლიტიკურ უტოპიებსა და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს მოჰქონდა საუკუნეების განმავლობაში შემუშავებულ და დადგენილ სულიერ ღირებულებათა სისტემისთვის. განგაშის ზარი რომანტიკოსებმა (მერი შელი – „ფრანკეშტაინი“)

1 წინამდებარე წიგნის ავტორს დაგეგმილი აქვს ამ საკითხის საგანგებო კვლევა.

2 ტერმინი ჩვენია – ი.რ.

და ფილოსოფიის ახალი ტალღის წარმომადგენლებმა შემოჰკრეს: „პირველადი მნიშვნელობის პრობლემას წარმოადგენდა არა მხოლოდ თანა მედროვე მიღწევების შედეგად გამეფებული ძალადობისა და ტერორის ატ-მოსფერო, არამედ ინდივიდუალურობის დაკარგვის სახიფათო ტენდენცია „კოლექტიურისა“ და „საყოველ-თაოს“ წიაღში. შოპენჰაუერის, კირკეგორისა და ნიცშეს ფილოსოფიაში ცხადად აისახა კაცობრიობის წინაშე წამომართული ამ საფრთხის სიღრმისეული პროექცია. მათ მოძღვრებებში გამოიკვეთა ერთსულოვანი აგრე-სია პოზიტივიზმისა და „მოანგარიშე-ბუხჰალტრული“ ტექნიკური აზროვნების მიმართ, მწვავედ დაისვა ადამიანის თავისუფალი აქტივობის, შემოქმედებითი ნებისა და ინდივიდუალური აზროვნების დაკარგ-ვის პრობლემა... ახალი ფილოსოფიური აზროვნების წიაღში ჩამოყალიბდა პესიმისტური განწყობილება, ღრმა სკეფსისი არსებული რეალობისადმი. „სიცოცხ-ლის ფილოსოფიის“ მესვეურთა მიზანს წარმოადგენდა სიცოცხლის გარეგანსაზღვრულობის იდეის შეცვლა თვითგანსაზღვრულობის იდეით, ანუ მიმართების – „მე და სამყარო“ – ტრადიციული და რაციონალური გარეხედვის პოზიციის ტრანსფორმირება გრძნობადი-სა და აღქმადის პრიმატზე დაფუძნებულ შიგახედვის პოზიციაში. შიგნით და შიგნიდან ხედვის პროექცია წინ წამოსწევდა მე-ს ინდივიდუალურ ასპექტებს, ამკიდ-რებდა კონდიციას, რომლის პირობებშიც ადამიანი აღარ სჯერდებოდა უკვე არსებული, გამყარებული, თავისთავადი „სამყაროს რეპროდუცირებას“ და კონ-ცენტრირდებოდა საკუთარი ინდივიდუალური შესაძ-ლებლობებისა და პერსპექტივების რეალიზებაზე... შოპენჰაუერის, კირკეგორისა და ნიცშეს ფილოსოფია სრულ ანტაგონიზმში აღმოჩნდა XIX საუკუნეში გან-ვითარებულ სოციალისტურ და დემოკრატიულ მოძღ-ვრებებთან, გაბატონებულ მეცნიერულ პროგრესთან

და საერთო-რევოლუციურ ატმოსფეროსთან. მათ ნა-აზრებში ცხადად აისახა არა მხოლოდ ეპოქის კრიზი-სი, არამედ კრიზისული ეპოქის ჩარჩოებში მოქცეული ადამიანის ტრაგედია“ (რატიანი 2010ა: 36-40).

სოციალ-უტოპისტების მოძღვრებების, მარქსისა და ენგელსის „ზიარი საკუთრების“ თეორიის, ჩარლზ დარვინის „ევოლუციის თეორიის“, ფიზიკოსთა მიერ ატომის აღმოჩენის, დიდი ქიმიური ძვრებისა და ბი-ოლოგიური ექსპერიმენტების მონაცვლეობის პირობებში ადამიანები დაეჭვდნენ (რემი დე გურმონი) – ისინი დაეჭვდნენ საკუთარ წარმომავლობასა და წარმავლობაში, ღმერთსა და სამყაროში. იდეალური სამყარო დაინგრა, – აცხადებდა ფრიდრიხ ნიცეს, – „კაცობრიობას გამოეცალა საყრდენი. ადამიანი რჩება ორიენტირების გარეშე, ის რჩება თავისი თავის ანაბარა. ადამიანმა აღარ იცის, თუ რისთვის ცხოვრობს, საით მიდის, არ იცის რით გაამართლოს თავისი მოქმედება და აზროვნება. მას ეუფლება მარტობის, უპერსპექტივობის, უიმედობის გრძნობა“ (ბუაჩიძე 1970: 26). იდეალური ღირებულებები უფასურდება, „ღმერთი მოკვდა, ღმერთის არსებობით გამართლებული ღირებულებები, რომელთაც ადამიანი აქამდე ეთანხმებოდა, კარგავენ თავის ფასს. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ კართან მომდგარია „ყველა სტუმართაგან ყველაზე შემზარავი“ – ნიჰილიზმი“ (ბუაჩიძე 1970: 26). ნიცეს ფრაზამ – „ღმერთი მოკვდა“ – გამოხატა ფილოსოფოსის ღრმა პირადული ტრაგედია, ამოზრდილი „ევროპული კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ისტორიული მოძრაობის შინაგანი ლოგიკიდან“ (ბუაჩიძე 1986: 76). „ჩვენი ეპოქა არის ძველი იდეალების შეცვლა ძალადობით და ეს მხოლოდ მეცნიერების დამსახურებაა“, – შფოთავდა ბერტრან რასელი (ბეკერი 1990: 64); „სამყარო თავის დასასრულს უახლოვდება, – აცხადებდა შეძრწუნებული შარლ ბოდლერი, – ტექნოკრატია

საბოლოოდ გაგვანადგურებს ჩვენ, პროგრესი კი ისეთ სულიერ შიმშილს დასთესს, რომ უტოპისტთა სისხლნაკრავი, ფუქსავატი და არაბუნებრივი ოცნებები მოგონება იქნება მასთან... სამყაროს ნანგრევები საცნაური გახდება არა პოლიტიკური სისტემების ან სხვა რაიმე უბედულების სახით, არამედ ჩვენი გულების სიღრმეებში“ (ჯუმარი 1991: 117).

ევროპული საზოგადოება აშკარად დადგა ინდივიდუალური ფენომენის ნიველირების საფრთხის წინაშე. შედეგად, დეკადენსი მთელი სისრულითა და ენერგიით მოედო ევროპულ ლიტერატურას, ხოლო კრიტიკულმა რეალიზმმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა და და გვიანი რეალიზმის მოდელს მისცა დასაბამი.

გვიანი რეალიზმის ფაზაში მწერლებმა თითქოს შეიგრძნეს, რომ დრომ შეცვალა ადამიანის „ქიმიური შედგენილობა“! საუკუნეების მანძილზე ლიტერატურაში ჩამოყალიბებული გარეხედვის პერსპექტივა – „ადამიანი და სამყარო“, ანუ „მე და სამყარო“ – ჩაანაცვლა სრულიად განსხვავებულმა შიგახედვის პერსპექტივამ: „ადამიანი სამყაროში და სამყარო ადამიანში“ ანუ „მე სამყაროში და სამყარო ჩემში“. გვიანი რეალიზმის ერთ-ერთ წამყვან თემად იქცა პიროვნების თავისუფალი ნების ძიება და მის მიერ გაუცხოებული სამყაროს შეცნობის მცდელობა. რაც უფრო სასტიკი ხდებოდა სამყარო, მით უფრო მეტად იკეტებოდა ადამიანი თავის თავში. ხედვის ეს ახალი პერსპექტივა, დეკადენსის კონცეფციასთან წყვილში, წარმოადგენდა პირდაპირ გზას მოდერნიზმისკენ¹.

განსაკუთრებული კონტრიბუცია ლიტერატურული ხედვისა და პრინციპების გარდაქმნის ამ რთულ სისტემაში ეკუთვნის ფიოდორ დოსტოევსკის, რომელიც მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგებოდა ინდივიდუალიზმის დაკარგვის საშიშროებას. მისთვის ახდე-

1 ამ საკითხს მოგვიანებით ქვემოთ დავუბრუნდებით.

ნილ კოშმარს წარმოადგენდა რაციონალიზებული საზოგადოების ჩამოყალიბების პერსპექტივა. საზოგადოების რაციონალიზაცია დოსტოევსკისეული „შეუზღუდავი დესპოტიზმის“ რელევანტური ცნება იყო, მეცნიერულის, ლოგიკურისა და საყოველთაოს წიაღში სამუდამოდ ჩაკარგული თავისუფლების სინონიმი. „დოსტოევსკი დაჯილდოებული იყო გენიალური ნიჭით, მოესმინა თავისი ეპოქის დიალოგი, – წერდა მიხაილ ბახტინი, – უფრო ზუსტად, მოესმინა თავისი ეპოქა როგორც უზარმაზარი დიალოგი, მოეხელთებინა მასში არა მხოლოდ ცალკეული ხმების უღერადობა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, დიალოგური ურთიერთობები ხმათა შორის, მათი დიალოგური ურთიერთქმედება“ (ბახტინი 1972: 150). ეს დამოუკიდებელი, ერთმანეთთან შეურწყმელი და, შესაბამისად, არაინტეგრირებადი ხმები ერთმანეთზე ზედდებით ხასიათდება და არც ერთი მათგანი არ ღალადებს უმაღლეს და საბოლოო ჭეშმარიტებას: ჭეშმარიტება, როგორც მხატვრული ტექსტის კონცეფცია, მხოლოდ ამ ხმათა ყველა პოზიციის, როგორც მრავალხმიანი, პოლიფონიური ჰარმონიის შედეგია. დოსტოევსკის მთავარ აღმოჩენად ადამიანი იქცა, ადამიანი, რომლის სულსა და გონებაში მომხდარი ღრმა ცვლილებები გასაოცარი მრავალფეროვნებით დააფიქსირა ავტორმა.

გვიანი რეალიზმის აღნიშნული თემები ქართულ რეალისტურ მწერლობაში 1880-იანი წლებიდან აქტიურდება. ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“ და „განდეგილი“, ალექსანდრე ყაზბეგის „მოძღვარი“ და „მამის მკვლელი“ ამ ტენდენციის შესანიშნავი დადასტურებაა. მოგვიანებით, ანალოგიურ პრობლემებს ჩაუღრმავდება დავით კლდიაშვილი („სამანიშვილის დედინაცვალი“, „სოლომან მორბელაძე“, „ირინეს ბედნიერება“ და სხვ.), სრულიად გამორჩეული ხელწერისა და ნარაციული სტილის მქონე მწერალი, რომლის თითქმის ყოველ

ტექსტში, სიუჟეტი, რომელიც ბანალური და კომიკური ამბით იწყება, თხრობის დასასრულს უკიდურეს და-ძაბულობასა და სიმძაფრეს აღწევს; კომიკური ამბავი ტრაგიკული ფინალისკენ მიემართება და ცხოვრებაც, ამბის თითოეული მონაწილისათვის, ტრაგიკული მოვ-ლენების ერთიან ჯაჭვად იქცევა. მაგრამ, თუკი ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში პიროვნების შეჯახება სამყაროსთან იმთავითვე ტრა-გიკული შუქ-ჩრდილებითაა განსაზღვრული, კლდიაშ-ვილთან ის სევდიანი ირონით არის გაჯერებული.

გვიანი რეალიზმის თემებისა და ტენდენციების დამ-კვიდრების თვალსაზრისით, ქართულ მწერლობაში ფასდაუდებელია ვაჟა-ფშაველას როლი და დამსახ-ურება. ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეო-ბა თავისი თემებითა და მიზნებით ევროპული გვიანი რეალიზმის ეპოქის ღირებული ქართული რეფლექსიაა. ვაჟას შემოქმედება ნასაზრდოებია როგორც პრო-გრესული ფილოსოფიური და ლიტერატურული პრინ-ციპებით (ადამიანის შინაგან, სულიერ-ფსიქოლოგიურ შრეებში ჩაღრმავება, ადამიანისა და სამყაროს რთულ ურთიერთდამოკიდებულებაზე ფიქრი), ისე — ქართუ-ლი მითოლოგიური და ფოლკლორული ტრადიციებით: ის სრულად აირეკლავს მითოლოგიური არქეტიპების გავლენას ლიტერატურაზე და წარმოაჩენს ხალხური სიტყვიერების არა მხოლოდ მხატვრულ-გამომსახვ-ელობითი ხერხების, არამედ ყოფითი კულტურისა და მსოფლმხედველობრივ წარმოდგენათა ასახვის ფუნ-ქციას მხატვრულ ტექსტებში¹. ვაჟა-ფშაველას შემოქ-მედების ცენტრალურ ტექსტებს — „ალუდა ქეთელაუ-რი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გოგოთურ და აფშინა“, „გველის მჭამელი“ და სხვ. — ცხადია, განსხვავებული სიუჟეტები აქვს, მაგრამ ერთი საერთო პრინციპი ამ-

¹ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში რეფლექსირდება ქართული კულ-ტურის უძველესი არქეტიპული შრეები.

თლიანებს: პიროვნებისა და პიროვნული ღირსების დამკვიდრების პრინციპი! ვაჟა-ფშაველას ყურადღების უმთავრეს საგანს ადამიანი წარმოადგენს, სუბიექტი, დამოუკიდებლად მისი რელიგიური მრწამსისა და სოციალური კუთვნილებისა, რომელიც არსებობს გარკვეული საზოგადოების ანუ ობიექტური გარემოს პირობებში და ცდილობს დამკვიდრდეს მასში, როგორც ინდივიდუალური პიროვნება. ისინი არ არიან მრავალთაგან ერთ-ერთნი, არამედ ერთნი – მრავალში, ხოლო პიროვნების თავისუფლების ერთადერთ პროექციად სულიერი პროექცია იკვეთება. ვაჟა-ფშაველას ღვაწლი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იმდენადვე სასარგებლოა კაცობრიობისათვის, რამდენადაც სასარგებლო და გონივრულია სამშობლოსათვის („კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“).

სწორედ ამ პათოსით შეაბიჯებს ქართული მწერლობა XX საუკუნეში და ბუნებრივად შეუდგება მო-დერნისტული ძიებების საერთოევროპულ გზას¹...

¹ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება აღმოჩნდება ის სიმძიმის ცენტრი, რომელსაც დაეფუძნება XX საუკუნის ქართული ლიტერატურული პროცესების – თამამი მოდერნისტული ტენდენციებისა თუ ექსპერიმენტების – შინაგანი კავშირი ქართულ კლასიკურ მწერლობასთან.

თავი მეოთხე

XX საუკუნის ძართული მცენლობა: მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ციალში და მის მიღმა

4.1. საბჭოთა ტოტალიტარიზმის სათავეებთან. ბოლშევიკური რევოლუცია და ლიტერატურა: ინტეგრაციიდან იზოლაციისაკენ

ლიტერატურა წარმოადგენს კონცეპტუალურ რეფ-
ლექსიას რეალურად მიმდინარე პროცესებზე. კონ-
ტექსტი, რომლის წიაღშიც ყალიბდება მხატვრული
ტექსტი, ყოველთვის პოულობს ასახვას ამავე ტექს-
ტის აზრობრივ თუ გამომსახველობით შრეებში. თუ-
კი გავითვალისწინებთ ლიტერატურის თანდაყოლილ
სწრაფვასაც ინტელექტუალური და რეპრეზენტაცი-
ული თავისუფლებისაკენ, ცხადად შეიძლება წარმოვ-
იდგინოთ ის წინააღმდეგობა, რომელიც ტოტალი-
ტარული რეჟიმების პირობებში იქმნება მხატვრულ
ტექსტსა და რეალურ კონტექსტს შორის. ტოტალიტა-
რიზმის, როგორც ძალადობრივი მმართველობის უპ-
ირველესი ნიშანი იდეოლოგიური დიქტატურის შექმ-
ნაა, კლიშების ფორმირება და დანერგვა, რაც, ცხადია,
მნიშვნელოვნად ზღუდვას ლიტერატურული თავისუ-
ფლების ფარგლებს. ამის წათელი მაგალითია გასული
საუკუნის 20-იანი წლები, **ბოლშევიკური რევოლუციის**
შემდგომი პერიოდი, როდესაც ქართულ მწერლობაში
დასავლური კანონის კვალდაკვალ დამკვიდრებული
მოდერნისტული ტენდენციები კონცეპტუალურ ან-
ტაგონიზმში აღმოჩნდა ახალბედა საბჭოთა დიქტატუ-

რის იდეოლოგიურ პრინციპებთან. სულიერი ღირე-ბულებების დესტრუქციით აღნიშნული პოლიტიკური კურსი იმთავითვე დაუპირისპირდა მოდერნიზმს – შინაგანი, სულიერი ძიებით აღნიშნულ ლიტერატურულ პროცესს, რომელმაც, თავის მხრივ, ზუსტად აირეკლა ეპოქის კრიზისი, ის საერთო სკეპტიციზმი და ნიპილიზმი, რომელიც სუფევდა ინტელექტუალური ტერორით დათრგუნულ საზოგადოებაში. დაპირისპირებამ ტოტალიტარულ რეჟიმსა და მხატვრულ-ლიტერატურული აზროვნების ბუნებრივ კურსს შორის მტკიცნეული გამოცდილების ათეული წლები მიითვალა და ქართული კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპი შექმნა. ამგვარ ვითარებაში ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზის თვალსაზრისით, ცხადია, მნიშვნელობს ტექსტის არა მარტო კონცეპტუალური ან მოტივაციური მოდელების შეფასება, არამედ ინტელექტუალურ ტერორზე ლიტერატურული პროცესის რეაქციის გამოვლენა, იმ სტრუქტურული მოდელების სისტემატიზება, რომლებსაც გვთავაზობს საკმაოდ ვრცელი ლიტერატურული მასალა.

ათეული წლების მანძილზე საბჭოთა კავშირი ისტორიული და კულტურული ეკლექტიზმის სიმბოლოს წარმოადგენდა, თუმცა შეუთავსებლობანი წარმატებით ინილებოდა ჰიპერტროფირებული სახელისუფლებო მანქანის გამართული მუშაობითა და ხელისუფლების ცენტრალიზების პრინციპით: რაც სჭირდება ერთს, საჭიროა ყველასათვის, რაც წესია ერთისათვის, წესია ყველასათვის, როგორც ცხოვრობს ერთი, ისე უნდა ცხოვრობდეს ყველა – გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს ცენტრი; ეროვნება, ისტორია, ტრადიცია, აზროვნება, მისწრაფება მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებია მასშტაბური წითელი საბჭოთა მარკერის ფონზე. ამ სისტემის შემადგენელ ნაწილად საქართველო 1921 წლიდან იქცა, რაც იმის მომასწა-

ვებელი იყო, რომ XIX საუკუნეში ესოდენ მომწიფებული და ინტელექტუალურად შემზადებული ნაციონალური იდენტობის პრობლემა ხანგრძლივი ნიველირებისათვის, ხოლო დასავლურ ლიტერატურულ კანონთან ინტეგრირებული ქართული ლიტერატურა იძულებითი იზოლაციისთვის აღმოჩნდა განწირული.

ბოლშევიკურმა რევოლუციამ, რომელიც 1917 წელს მოხდა რუსეთში, საქართველომდე 1921 წელს მოაღწია და ნერტილი დაუსვა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამწლიან არსებობას (1918-1921 წ.წ.)¹. საქართველო იძულებით იქნა გაერთიანებული საბჭოთა კავშირში – საერთო-კომუნისტური აჯანყების პოლიტიკურ ნაყოფში. პოლიტიკური ტერორის, სისხლის, სიკვდილისა და მსხვერპლის გზით ქვეყანა ჩათრეულ იქნა „ახალი სოციალური წყობილების შექმნისა“ და ადამიანების „გადაკეთების“ პროცესში, რომელიც სრულად ემთხვეოდა ბოლშევიკური დიქტატურის იდეოლოგიურ კურსს. არადა, მარქსიზმის იდეოლოგებისა და პროლეტარიატის ინტერესთა დამცველების ჩანაფიქრი სულ სხვა მომავალს ჰპირდებოდა „ბურჟუაზის ბორკილებისაგან გათავისუფლებულ“ ხალხებს: კითხვაზე – „როგორი იქნება ამ რევოლუციის [პროლეტარულის] მსვლელობა“, ენგელსი პასუხობდა: „უწინარეს ყოვლისა, იგი შექმნის დემოკრატიულ წყობილებას და მით, ჰპირდაპირ თუ არაპირდაპირ, პროლეტარიატის პოლიტიკურ ბატონობას“ (ენგელსი 1972: 17). იქვე: „დემოკრატია სრულიად უსარგებლო იქნებოდა პროლეტარიატისათვის, თუ მას იგი და-

1 სწორედ ეს გარემოება მიგვაჩნია მთავარ მიზეზად, რომ ვამტკიცოთ: ლირებულმა ფრთამ ქართული მნერლობისა რევოლუცია არ მიიღო. მიუხედავად რევოლუციის თემაზე შექმნილი ტექსტებისა, რომელთა დაწერაც მათ უწევდათ, რევოლუცია პრინციპულად არ იქნა და ვერ იქნებოდა მიღებული ქართული მწერლობის ლირებული ფრთის მიერ, ვინაიდან მან დაასრულა ქართველთა ყველაზე სანუკვარი ოცნება — პოლიტიკური თავისუფლება.

უყოვნებლივ არ გამოიყენებდა როგორც საშუალებას იმ ფართო ღონისძიებათა გასატარებლად, რომელიც წარმოადგენებს უშუალო იერიშებს კერძო საკუთრებაზე და უზრუნველყოფებ პროლეტარიატის არსებობას“ (ენგელსი 1972: 17). დემოკრატიის ამ უცნაურ მოდელს, განსაზღვრულს ძალადობის თითქმის აუცილებელი წინაპირობით, ნიკოლაი ბერდიაევმა „ავტორიტარული ანუ კომუნისტური დემოკრატია“ უწოდა და დემოკრატიის ყველაზე წარუმატებელ მოდელად მიიჩნია: „მასებისა და უპიროვნო სიმრავლეთა მბრძანებლობა, რომელიც ხან ბურჟუაზიული დემოკრატიისა და ფულის დიქტატურის – ყოველთვის ფარული და შენიღბული დიქტატურის, ხან კი ავტორიტარული სახელმწიფოებისა და ბელადების აშკარა დიქტატურის სახეს იღებს, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებს კულტურის შემოქმედთა ფენას, კულტურულ ელიტას. ეს კულტურული ელიტა სასიკვდილო აგონიას განიცდის, მისი მორალური და მატერიალური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდება. ლიბერალურ დემოკრატიაში ის კაპიტალისა და ბრძოს ვულგარულ გემოვნებაზეა დამოკიდებული, ავტორიტარულ, ანუ კომუნისტურ დემოკრატიაში კი – სულის დამთრგუნველ მსოფლმხედველობრივ დიქტატურაზე, სულის ორგანიზების პრეტენზიას რომ აცხადებს“ (ბერდიაევი 2001: 91). ე.ნ. კომუნისტური დემოკრატიის მთავარი პრობლემა ბერდიაევმა „სოციალური დაკვეთის სისტემაში“ დაინახა: „არ არსებობს დაკვეთა, უმაღლესი ხარისხის კულტურას, სულიერ კულტურას, ნამდვილ ფილოსოფიასა და ნამდვილ ხელოვნებას რომ მოითხოვდეს“ (ბერდიაევი 2001: 91-92).

პროლეტარულმა რევოლუციამ, რომლის შედეგადაც დამყარდა პოლიტიკურად ერთპარტიული, ხოლო სოციალურად უნიფიცირებული (ფურცელზე მაინც) წეს-წყობილება, ე.ნ. კომუნისტური დემოკრატია,

კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანებს შეუზღუდა თავისუფალი არჩევანის უფლება, რამაც სავალალო დალი დაასვა კომუნისტური ქვეყნების კულტურულ ისტორიას. დეგრადაცია განიცადა კულტურის მთლიანობის იდეამ: კულტურის დაქვემდებარება მასების გემოვნებისა და მოთხოვნილებისადმი ზოგადკულტურული პროცესის დაკინების მიზეზად იქცა – წარმოიქმნა კულტურის ორი მოდელი: ერთი მხრივ, მასების გემოვნებასთან გათანაბრებული კულტურა, რომელმაც გადაირჩინა თავი, მაგრამ დაკარგა ლირსება და მასთან ერთად – ლირებულება, მეორე მხრივ – ელიტური კულტურა, რომელმაც „მაღალი კულტურის“ კვარცხლბეკზე დგომა ირჩია, თუმცადა, საბოლოოდ ჩაიკეტა საკუთარ თავში და, როგორც ხალხისათვის (ამ სიტყვის ფართო გაგებით) უსარგებლო კულტურამ, ლრმად კრიზისულ ფაზაში შეაბიჯა. შექმნილ ვითარებაში ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურთათვის სირთულეს აღარ წარმოადგენდა „ჩვენიანისა“ და „მტრის“ დიფერენციაცია კულტურის სფეროში, მეტიც: ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო აღეზევებინა მორჩილები, დაესაჯა ურჩები, ანაც მოესყიდა ისინი ყველა შესაძლო საშუალებით – დაპირებით, მუქარით, შიშით, მატერიალური წახალისებით, მარგინალები კი... მარგინალები ხომ მუდმივად განიცდიან სოციალური და მატერიალური გარანტიების დეფიციტს... ასეთ დროს ყველაზე მეტად სინდისი ზარალდება: „მსოფლმხედველობრივი დიქტატურა ადამბლავებს სინიდისს და მხოლოდ თავისუფალი სინდისის გმირულ შემართებას თუ შეუძლია მას წინააღმდეგობა გაუწიოს“ (ბერდიაევი 2001: 95).

ბოლშევიკური რევოლუციის შემდგომ პირველი და ყველაზე მნვავე ათწლეულის ზემოქმედება ქართულ (და არა მარტო ქართულ), კულტურულ-ლიტერატურულ პროცესზე მტკიცნეული აღმოჩნდა: „მამაცი“

ბოლშევიკი-რევოლუციონერები მაღევე ჩამოყალიბდნენ ცინიკოსებად და ფანატიკოსებად. იდეალური საზოგადოების აშენების აგრესიული სურვილი ერთგვარ სახელისუფლებო იდეოლოგიად გარდაიქმნა, ირაციონალურ სტრუქტურად, რომელიც საკუთარი წებით ითავსებდა დემიურგიულ ანუ აღმშენებლურ ფუნქციას, რაც გულისხმობდა ახალი საზოგადოებრივი მოდელის „შექმნას“ და ადამიანების „გადაკეთებას“ შესაბამის ყაიდაზე. მაგრამ „შექმნისა“ და „გადაკეთებისკენ სწრაფვა“, აგებული ძალადობასა და ტერორზე, თანდათანობით გადაიზარდა ქაოსსა და უბედურებაში და, საპოლოოდ, ორგანიზებული ბოროტების სახე მიიღო¹. ს. ლ. ფრანკი აღნიშნავს: „უტოპიურ მოძრაობებს ყოველთვის იწყებენ თავდადებული ადამიანები, ანთებულნი ხალხისადმი სიყვარულით, რომლებიც მზად არიან თავიანთი სიცოცხლე გასწირონ მოყვასისათვის; ასეთი ადამიანები არა მარტო ჰგვანან წმინდანებს, არამედ, რაღაც თვალსაზრისით, ნაზიარები არიან კიდევაც სიწმინდესთან. მაგრამ თანდათან, სწორედ დასახული მიზნის პრაქტიკული განხორციელების მოახლოების გამო, ისინი ან თავად გარდაიქმნებიან სატანური ბოროტების ძალით შეპყრობილ ადამიანებად, ან, როგორც მემკვიდრეებს, ადგილს უთმობენ ძალაუფლების გარყვნილ და უსულგულ მაძიებლებს. ასეთია ყველა რევოლუციის პარადოქსული განვითარება, ყველა უტოპიური ჩანაფიქრის ცხოვრებისეულ წესად გარდაქმნის მცდელობა“ (ფრანკი 1992: 54).

ლიტერატურა, როგორც ახალი ხელისუფლებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ბერეკეტი, მაღევე გადაიცა პოლიტიკური და სოციალური „დაკვეთების“ ავანსცენად: მავანნი სი-

1 დეტალურად ამის შესახებ იხ. ი. რატიანი, ლიტერატურული დისკურსის მოდელები საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში // სჯანი, 11, 2010, გვ. 49-58.

ამოვნებით დაემორჩილნენ ამ ტენდენციას, მავანნი – იძულებით, და მხოლოდ მცირედმა ნაწილმა გაბედა ნინააღმდეგობის გაწევა. დისკურსის კვალდაკვალ დიფერენცირდა სინდისი, ვინაიდან ავტორიტარული გარემო ავტორიტარული სინდისის ფორმირების პირველმიზეზად იქცევა. „ავტორიტარული სინდისი არის ხმა ინტერიორიზებული გარეშე ავტორიტეტისა... – აღნიშნავს ერის ფრომი თავის საეტაპო ნაშრომში „ავტორიტარული სინდისი“, – ჩვეულებრივ, ავტორიტარული სინდისის მქონე ადამიანი მიჯაჭვულია გარეშე ავტორიტეტებზე და მათს ინტერიორიზებულ ანარეკლზე... გარეშე ავტორიტეტების არსებობა, რომელთა მიმართ ადამიანი მოწინებით შიშს განიცდის, ინტერიორიზებული ავტორიტეტის – სინდისის – მუდმივად მკვებავ წყაროს წარმოადგენს“ (ფრომი 1998: 1,4).

ბოლშევიკთა სახელისუფლებო იდეოლოგიის უშუალო ლიტერატურულ რეფლექსიად საბჭოთა დისკურსი იქცა, ხელისუფლების მიერ საგანგებოდ ორგანიზებული სისტემა, რომელიც საფუძვლად დაედო ხელოვნური სისტემის – საბჭოთა ლიტერატურული კანონის – შექმნას და თანდათან ჩაენაცვლა ნაციონალურ ლიტერატურულ კანონებშის. საბჭოთა დისკურსი საქართველოში (ისევე როგორც სხვა საბჭოთა ქვეყნებში) სოციალისტური რეალიზმის (მაქსიმ გორგის ტერმინი) სახით დამკვიდრდა და იმთავითვე რამდენიმე შენაკადად განიტოტა: პროლეტარული მწერლობა, სოცრეალისტური მწერლობა, საბჭოთა პუბლიცისტიკა.

კლასიკური განმარტებით, „საბჭოთა დისკურსი არის ლინგვორიტორიკული ბუნების მქონე სოციოკულტურული ფენომენი“ (ვოროჟბიტოვა: 2000), რომლის მენტალობის სოციოფსიქოლოგიურ გასაღებს წარმოადგენს ჰიმნი. ეს არის, ერთი მხრივ, „ახალი

დემოკრატიისა“ და მემარცხენე ინტელიგენციის დისკურსი, სადაც სიტყვა-ფიქცია დომინირებს სიტყვა-საგანზე, მეორე მხრივ კი – „ზედაპირული დისკურსი“, რომელსაც არ გააჩნია სილრმე და ნაციონალური ინდივიდუალობის განცდა. ამ დისკურსის ფარგლებში შეუძლებელი იყო რაიმეს გაგება, არამედ მხოლოდ სიმულაცია, სიმულაციის რადიკალურ გამოვლინებას კი იდეოლოგიზებული მაკულატურა წარმოადგენდა.

„აღმშენებლობის გზაზე“ შემდგარი ქვეყანა კი ჯიუტად მიიჩნევდა დასახული მიზნისკენ (კომუნიზმის მშენებლობა): პროლეტარიატი მიიჩნეოდა მესიანისტურ კლასად, რომელსაც დაეკისრა ისტორიული მისია, მოეხდინა რევოლუცია და ძალის გამოყენებით გარდაექმნა უსამართლო საზოგადოება სამართლიანად; პროლეტარიატს ხელმძღვანელობდა პარტია, რომელსაც, რევოლუციის შემდგომ, კვალიფიციური კადრების მეშვეობით უნდა აეშენებინა „ახალი, თანასწორი საზოგადოება“ და საბოლოოდ აღმოეფხვრა „კერძო საკუთრების“ გაგება. სწორედ ამ მარქსისტულ პოსტულატებს ეფუძნებოდა სოციალისტური რეალიზმი, „ხელოვნურად ორგანიზებული კულტურულ-ლიტერატურული სისტემა, რომელიც პიროვნებას მოიაზრებდა სოციალურად აქტიურ ელემენტად, რომელიც ძალადობრივი ხერხების გამოყენებით, ჩართული იყო ისტორიის შექმნის პროცესში“ (ბორევი 2001გ: 403). „სოციალისტური რეალიზმი ქადაგებდა ისტორიზმის აუცილებლობას ხელოვნებაში: ისტორიულად კონკრეტულ მხატვრულ რეალობას ხელოვნებაში უნდა მიეღო „სამგანზომილებიანი“ მოდელის სახე (გორკის სიტყვებით რომ ვთქვათ, მწერალი ცდილობს აღბეჭდოს „სამი რეალობა“ – წარსული, აწმყო და მომავალი“ (ბორევი 2001გ: 405).

ახალგაზრდა საბჭოთა წყობილება გაშლილი ფრონტით მკვიდრდებოდა იძულებით გაერთიანებული ქვეყ-

ნების ტერიტორიებზე; სპეციფიკური საბჭოთა ნარა-
ტივის სივრცეში, სხვა პოლიტიზებული ტერმინების
გვერდით, საპატიო ადგილი ეჭირა ცნებებს – „პრო-
ლეტკულტურა“, „საბჭოთა მწერლობა“, „სოციალის-
ტური რეალიზმი“, „საბჭოთა კრიტიკული სკოლა“,
რომლებიც ზედმინევნით კარგად გამოხატავდა იდე-
ოლოგის ნიშნით მარკირებული ლიტერატურის პრი-
ორიტეტულობას და განსაკუთრებულ პრივილეგიებსა
და პატივს პეირდებოდა მუზის მსახურებს.

„გასაბჭოებული მუზების“ სამსახურში, სხვადასხვა
მიზეზითა და მოტივაციით, სრულიად განსხვავებული
გემოვნებისა და შესაძლებლობის ავტორები აღმოჩნ-
დნენ. მათ შორის:

**ა) „მასების ხსნის“ იდეით ანთებული (თუ მოწამლუ-
ლი? – ი.რ.) ენთუზიასტების მცირე ჯგუფი, რომელიც
ქმნიდა საბჭოთა დისკურსის უტრირებულ მოდელს:**

პროლეტარული მწერლობის რადიკალური ფრთა,
რომელიც რევოლუციის იდეა-ბირთვის რეალიზების
მიზნით, მხარს უჭერდა სოციალური ინოვაციების
რადიკალურ საშუალებებს, მათ შორის, ვანდალურსც
კი – წამებას, მკვლელობას, განადგურებას, ზოგადად,
ტერორს, როგორც უმოკლეს გზას მასობრივის
კულტივირებისაკენ.

**ბ) საშუალო ნიჭის ავტორები, რომელთათვისაც
იდეოლოგიური მანქანისადმი ერთგულება სტაბილუ-
რი კეთილდღეობის მინიმალურ გარანტიას მაინც
წარმოადგენდა:**

სტაბილური კეთილდღეობის გარანტია ძლიერი ბიძ-
გი აღმოჩნდა მათთვის, ვინც ნაკლებად ფიქრობდა სა-
უკუნო დიდებაზე: იქმნებოდა დითირამბული ლექსები
და ოდები საბჭოთა ქვეყნის მესაჭეებზე, იწერებოდა
სქელტანიანი რომანები საბჭოთა ადამინების კოლექ-
ტიურ შრომასა და შრომით გმირობებზე, ძმობის, ერ-
თობისა და თანასწორობისათვის მებრძოლი ხალხის

ცხოვრებაზე და მათ დაუნდობელ ბრძოლაზე ჯერ კიდევ შემორჩენილ ბურუუა-არისტოკრატებთან.

გ) იდეოლოგიურად ზომბირებული ინტელექტუალები, რომლებისთვისაც ჩვეულებრივი, ადამიანური (და სავსებით გასაგებიც) შიში განსაზღვრავდა მორჩილებას ლიდერისა და სახელმწიფო სტრუქტურისადმი:

დაშინებული ინტელექტუალების ნაწილი გულმოდგინედ არწმუნებდა თავს საბჭოთის, როგორც ნარმატებული პროექტის ჭეშმარიტებაში: ისინი გასაოცარი სიჯიუტით მიუჟვებოდნენ იდეოლოგის ზიგზაგებს და ასეთივე სიჯიუტით არ აღიარებდნენ ზიზღს საკუთარი არსებობისადმი (ბზარი აღიარებულ მეტრებსაც შეეპარათ). ხელისუფლებისადმი მათი მორჩილების მიზეზად ძნელად თუ დავასახელებთ გულწრფელ ნდობას საბჭოთა იდეოლოგიური კურსისადმი და, მით უმეტეს, აღფრთოვანებას. მიზეზი, უპირატესად, იყო შიში და ტერორი, მონობა კი – იძულებითი არჩევანი.

დ) ლაქიებად ქცეული კრიტიკოსები, რომლებსაც საერთო-აგიტაციური ფონის შექმნა ევალებოდათ:

საბჭოთა კრიტიკა ხოტბას ასხამდა ფუყვე ლიტერატურულ ექსპერიმენტებს, თუმცა ამასაც არ სჯერდებოდა და უმოწყალოდ ასახიჩრებდა იშვიათობად ქცეული ხარისხიანი მწერლობის ინტერპრეტაციასაც. ამგვარი არასწორი, მიუღებელი ინტერპეტაციის მსხვერპლად არაერთი ქართველი მწერლის საეტაპო მნიშვნელობის მქონე ტექსტი იქცა.

ე) მცირედი ჯგუფი ნიჭიერი ავტორებისა, რომებსაც სწამდათ კომუნიზმის ნათელი მომავლისა და რომლებიც განწირულნი იყვნენ უდიდესი იმედგაცრუებისთვის:

ადრე თუ გვიან, მათ „რომანებს“ საბჭოთა ხელისუფლებასთან განბილება მოელოდა და ეს განბილება სხვადასხვა ფორმით იჩენდა თავს – იზოლაცია, ინფანტილიზმი, ლოთობა, თვითმკვლელობა და სხვ.

ცალკე აღნიშვნის დირსია ავტორთა ძალიან მცირე ჯგუფი – ჭეშმარიტი ტალანტები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი „რეკლამისა“ და „პიარის“ მიზნით „შეიწყალა“ და „დაინდო“ საბჭოთა ხელისუფლებამ და ისინიც შეგნებულად მიდიოდნენ „დროსთან ნებაყოფლობით გარიგებაზე“ (ბორის პასტერნაკის ფრაზა)¹:

სწორედ მათ შექმნეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ის ინტელექტუალური ოაზისები, რომლებითაც ასე ამაყობდა ახალბედა ქვეყანა და თამამად ებმებოდა საერთაშორისო ლიტერატურულ კონკურენციაში. თუმცადა, ტალანტების დიდი ნაწილის ბედი ერთჯერადი მოხმარების ჭურჭლის ბედსა და ილბალს უფრო წააგავდა, ვიდრე ძვირფასი ფაიფურისას. ისინი განიცდიდნენ დანაშაულის გრძნობას.

კითხვები, რომლებიც პასუხგასაცემია, შემდეგი სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- ამ ტრაგიკულ ფონზე, რა ბედი ეწიათ მათ, ვინც განდევნილი აღმოჩნდა ყველა ზემოთ დასახელებული კატეგორიიდან, ანუ რა ბედი ეწიათ მარგინალებს?
- რამდენად ინარჩუნებს პოსტრევოლუციური ქართული მწერლობა ორგანულ კავშირს საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესთან?

1 ასეთი გარიგების მიზეზი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იყო სხვადასხვა.

4.2. ბოლშევიზმი და „მარგინალუები“:
საბედისწერო ბრძოლა ცენზურისა
და იზოლაციის წინააღმდეგ

କେବଳ-ର୍ଯୁଗାଲ୍ୟୁପ୍ରିୟରୀ ସାଦକ୍ଷତା ଏପର୍କ୍ୟିସ ମାରଗିନା-
ଲ୍ଲେବଥୀ ସାଖ୍ୟଦରିସାବୀ, ଧିରଜ୍ୟେଲ ପ୍ରାଣିଶା, ସାଫିରିଂରୀ ଫାଦ-
ଗିନଦେଶ, ତୁ ରଙ୍ଗମରୀର ମାରଗିନାଲୋବିସ ଗାଗେବା ଆବାଲ-
ଭ୍ୟେକାଧଗମ୍ୟାଲ ସାଦକ୍ଷତାତଥିଲି. ଶେମତେବେବେତି ଏହି ପ୍ରାଣ, ରନ୍ଧି
କୋର୍ଟିଶାଦକ୍ଷତା ପ୍ରେରିତିରେ ଲୋତ୍ରେରାତ୍ମ୍ୟରିଶମତିରେନ୍ଦ୍ରିଯବାମ
ଗାନ୍ଧାଶିନ୍ଦ୍ରା ମିମାରତ୍ତେବା ମାରଗିନାଲୋବିସ ଫ୍ରେଡିଶାଲମି:
ମତେଲା ରିଗି ତ୍ରୈକ୍ସଟ୍ରେବିଶା, ରନ୍ଧିଲ୍ୟେବିଚ ସାଦକ୍ଷତାରୀ ମନିଷ-
ବନ୍ଦେଲୋବିତ ପ୍ରାଣ ମାରଗିନାଲ୍ୟରୀ ଏହି ମେନର୍କ୍ୟେବାରିଶ୍ବରା-
ନୀ, ଆରାଫିନିନାନ୍ତ୍ର୍ୟରୀ, ତାନାମେଫରାନ୍ତ୍ର୍ୟ ନିତ୍ୟେରପରେତ୍ରାତ୍ମି-
ତିତ, ତିରିକ୍ଷିତ, ଗାନ୍ଧାଶିନ୍ଦ୍ରା ରନ୍ଧିଲ୍ୟେ ସାଦକ୍ଷତା ଏପର୍କ୍ୟାଶି
ଶେକ୍ଷମିନିଲା ବାରିଶିବାନୀ ଲୋତ୍ରେରାତ୍ମ୍ୟରିଶି ନିମ୍ନମୁଖୀ. ଅମ୍ବାରି
ପ୍ରତିଲିଙ୍ଗେବା ନିତ୍ୟେରପରେତ୍ରାତ୍ମିତାପ୍ରିୟାଲ୍ୟ ପ୍ରତିକ୍ରିଯାଶିଲି, ରାଶାକ-
ବିରାଗେଲାଇ, ଉକାବଶିରଦେବା XX ସାହ୍ୟନିଃ ତ୍ରୁତିଲ୍ୟିତ୍ଵା-
ର୍ୟୁଲ ଗାମନପ୍ରଦିଲ୍ଲେବାଶ. ସର୍ବାଲୋକାଦ ପ୍ରକାଶିତ, ରନ୍ଧି 20-30-ଟାନ
ନେଲ୍ଲେବିଶି କୋର୍ଟିର୍ଯ୍ୟାକାଲ୍ୟୁପ୍ରିୟରୀ ଗାନ୍ଧିନ୍ୟାନ୍ଦିଲ୍ୟେବିତ
ଗା-
ଜ୍ୟେର୍ହ୍ୟୁଲ କ୍ଷେତ୍ରବାନାଶି ମାରଗିନାଲୋବାଶ ଗାନ୍ଧିଶାଖିରାବଦା
ନିଧେନ୍ଦ୍ରିୟଗାଇବା: ମାରଗିନାଲ୍ୟରାଦ ମିନିନ୍ଦେବା ନିତ୍ୟିଶାଦକ୍ଷତା
ଫିଲ୍ୟୁରିଶି, କ୍ରେମିଡ, ମନ୍ଦେରନିଶତ୍ରୁଷିଲି ଓ ଆବାନଗାରିଷ୍ଟ-
ଲ୍ୟ ଲୋତ୍ରେରାତ୍ମ୍ୟରୀ, ରନ୍ଧିଲ୍ୟେବିଚ ମିତାବିତିତ୍ଵେ କାନ୍ଦିପ୍ରତ୍ଯୁଷ-
ନ୍ଦ୍ରିୟ ନିତ୍ୟାଗନ୍ଧିନିଥିମିଶି ଅନ୍ତର୍ବିନ୍ଦିଦା ଆବାଲ୍ବେଦା ସାଦକ୍ଷତା
ଫିଲ୍ୟେତ୍ରାତ୍ମ୍ୟରିଶି ନିଧେନ୍ଦ୍ରିୟଗାଇବା କେବଳନିଶତ୍ରୁଷିଲି¹.

მაღლალი მოდერნიზმი, მისთვის ნიშანდობლივი განსხვავებული ფორმებითა და შენაკადებით, სწრაფვით რეპრეზენტაციული თავისუფლებისაკენ, აგრეთვე, ჭეშმარიტების ძიებისა და ინდივიდუალობის დამკიცებულების განსაკუთრებული მნიშვნელობით.

1 იხ. ი. რატიანი, ლიტერატურული დასკურსის მოდელები საჭიროა ტომასტურიზმის პირობებში // სჯანი 11, 2010, გვ. 49-58; ბ. ნიცუ-რია, პოსტმოდერნიზმი // ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები. თბ. 2008, გვ. 259-262.

რების მხატვრული ტენდენციებით, მთავარ საშიშრო-ებას წარმოადგენდა საბჭოთა დემაგოგებისათვის და გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა. ბელა წიფუ-რიას სამართლიანი შენიშვნით, „იმისდა მიუხედავად, რომ ქართველი მოდერნისტების მიერ ჩატარებული მუშაობა, უპირატესად, კულტურულ-ესთეტიკურ არე-ალში მიმდინარეობდა, დასავლური გამოცდილების ადაპტაცია გავლენას ახდენდა სოციოკულტურულ არეალზე“ (წიფურია 2010: 10). მწერლობის ეს ფრთა, რომელიც უარს ამბობდა სოციალისტურ რეალიზ-მზე, პროგრესული დასავლური სულისკვეთებითა და მოდერნისტული ფილოსოფიით (ინტუიტივიზმი, ფრო-იდიზმი, პრაგმატიზმი, ნეოპოზიტივიზმი) იყო ნასაზრ-დოები, თუმცადა, თითქმის ყველგან შეინიშნებოდა ქა-რთული მწერლობისათვის ესოდენ ტრადიციული სინ-თეზი ეროვნული ღირებულებებისა დასავლურ ტენ-დენციებთან, კერძოდ: „ქვეყნის [საქართველოს – ი.რ.] განახლების იდეის“ დამკვიდრება, ანუ – სინამდვილის შეცვლის სურვილის დემონსტრირება; ნაციონალური იდენტობის ახლებური გააზრება, „რაც უკავშირდება ევროპეიზაციის პროცესის გარდაუვალობის ფონზე ნაციონალური კულტურული სახის გაცნობიერებას – ევროპული კულტურის წინაშე მტკიცე პოზიციის მოსაპოვებლად“ (წიფურია 2010: 11); მწერლობის მოქ-მედება „კულტურტრეგერის სტატუსით“ და სხვ.

ქართული პროზის ალტერნატიული ფრთის წარმო-მადგენლის, სტალინისა და ბერიას ხელისუფლების მიერ 1937 წელს სიკვდილით დასჯილი ქართველი მწერ-ლის – მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში სრუ-ლად შეიგრძნობა გემო იმ განხეთქილებისა, რომელიც არსებულ, მოცემულ სინამდვილესა და მის პიროვნულ მისწრაფებებს შორის სუფევდა. მწერლის დამოკიდე-ბულება ქართული რეალობის მიმართ უაღრესი სკეპ-ტიციზმითა და ნეგატიურობით იყო აღბეჭდილი.

„გარყვნილებამ იმატა, – წერდა იგი, – ავაზაკობამ, ჭორმა, შიმშილმა; ძონძები ეცვათ. ყველა გამგელდა. სიტყვა, დაპირება, პატიოსნება ალარაფრად ფასობდა... საქართველო დაემგვანა მუნიან მშიერ ძალლს, სიყვარული მოკვდა“ (წიქარიშვილი 2001: 90), „გულთა ნგრევა, ტვინთა ნთხევა, სულთა ხევა – აი, ჩვენი ეპოქა“ (წიქარიშვილი 2001: 91). მომავალი ფუყე და გამოუსადეგარ ცნებად იქცა. არსებული ვითარების უკიდურესად დესტრუქციული ხასიათი მწერალს კატეგორიული შეფასებებისაკენ უბიძგებდა, ცხადი იყო, რომ თავსმოხვეული „იდეალური“ წესრიგიდა რეალიზებული უტოპიური ილუზიები მონური მორჩილებისაკენ მიერეკებოდა ხალხს: „ბუნება სმენადახშული იყო, ხოლო ზეცა – ბრმა და უძირო. დარჩა მხოლოდ ირონია და მორჩილება“ (წიქარიშვილი 2001: 91). მაშ სად არის გამოსავალი? გამოსავალი მხოლოდ ადამიანშია, ინდივიდუალური „მე“-ობით გაბრწყინებულ სუბიექტში, რომელიც იღვიძებს, იბრძვის და აყალიბებს საკუთარ კოსმოგონიას. ჯავახიშვილის მწერლობა რეალიზმისა და მაღალი მოდერნიზმის მიჯნაზე დგას და ითვალისწინებს არა ოდენ ქართული რეალობის ხაზგასმულად ტოტალიტარულ, ინდუსტრიალურ და პრაგმატულ არსებითობას, არამედ მის ტრაგიკულ შედეგს – პიროვნების სრულ გაუცხოებას სამყაროსთან და ლტოლვას თვითლოკალიზაციისაკენ, რაც მისივე თანამედროვე მსოფლიო მწერლობის მთავარი თემაა. ამ გაზრდილი სუბიექტივიზაციისა და სამყაროს ესქატოლოგიური შემეცნების მიზეზი არის კომუნიკაციის რღვევა ადამიანსა და გარემოს შორის. ნდობას ცვლის სკეფსისი, სამყაროში ინტეგრირებულ გმირს – ავტონომიურობის ნიშნით აღბეჭდილი ნონკონფორმისტი გმირი. იკვეთება თემა საშიში სამყაროს ჰიპერტროფირებული მოდელის წიაღში გამომწყვდეული უარყოფილი ინდივიდისა, რომელიც ეძებს ხსნას. ამ შემთხვევაში, გადარჩენის შესაძ-

ლებლობა წარმოადგენს არა მხოლოდ იმედს, არამედ მოთხოვნილებას, გარდაუვალ აუცილებლობასაც კი, რომელიც აიძულებს ადამიანს, ჩაუღრმავდეს საკუთარ არსებითობას და ფასეული საზღვრის, ამბივალენტური ლიმინალური ზონისა და ურთულესი, მტკივნეული ტრანსფორმაციების მიღმა გამოიმუშაოს სხვა, ალტერნატიული რეალობა¹. დასახული ამოცანების მასშტაბურობითა და სიღრმით მიხეილ ჯავახიშვილი თავისი თანამედროვე დასავლელი მოდერნისტი ავტორების ღირსეული თანამოაზრეა (ფრანც კაფკა, მიხაილ ბულგაკოვი, ვლადიმირ ნაბოკოვი და სხვ.).

თუმცადა, ჯავახიშვილის პროზაში მსოფლიო ლიტერატურული თემების ნაკადს კონცეპტუალურად აძლიერებს ქართული თემატიკა (კოლონიზებული საქართველო, სოციალური გადატრიალება, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი და სხვ.), მათ შორის, ქართველებისათვის (და არა მხოლოდ ქართველებისათვის) ესოდენ მნიშვნელოვანი იდენტობის პრობლემა და „კავკასიის საკითხი“. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი მთავარი წიგნი – რომანი „ჯაყოს ხიზნები“. რომანის ანტიგმირი, ჯაყო ჯივაშვილი მკვეთრად დროის სიმბოლიკის მატარებელი პერსონაჟია, ოსური ქუდით, ოსური ჩიხით, თათრული წინდებით, დაბახანური ჩუსტებით, ქართული ხმლითა და რუსული თოფით. „ჯაყო დროის მიერ ხელოვნურად შექმნილი შარიკოვია, რომელიც ძალური ერთგულებით ემსახურება თავის მშობელს“ (რატიანი 2010: 143). მასში ერთიანადაა აზელილი და გადაზელილი ის, რასაც ჯერ კიდევ დამოუკიდებელი ერთეულების იერსახე აქვს შენარჩუნებული XIX საუკუნეში: თუკი XIX საუკუნის ფუნდამენტური კითხვა კავკასიურ ხალხებთან მიმართებაში მათი დისპარმო-

1 უფრო დეტალურად იხ. ი. რატიანი „ტექსტი და ქრონოტოპი“. თბ., 2010.

ნიული ან, პირიქით, ჰარმონიული არსებობის ირგვლივ ტრიალებს, საბჭოეთის პირობებში ის ყოფნა-არყოფნის პრობლემაში ტრანსფორმირდება: „ახალი დროების“ ნაშიერი ჯაყო ე.წ. „საბჭოური ინტეგრაციის“ შედეგია – ტიპური „უგვარტომო“, ვერავინ გაიგებს, სად იწყება ქართველი და სად მთავრდება დაღესტნელი, სად იწყება ოსი და სად მთავრდება რუსი? ვის სჭირდება ამგვარი მახინჯი ინტეგრაცია, რომელიც იდენტობის განადგურების ტოლფასია? რასაკვირველია, კოლონიალისტს, რუსეთის იმპერიას, რომელიც ახლა საბჭოეთის გაუგებარი სიმბიოზის ნიღაბსაა ამოფარებული. ამ ფონზე ერთგვარ ნოსტალგიურ მნიშვნელობასაც კი იძენს კონსტანტინე გამსახურდიასა და ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში გამოკვეთილი პოზიცია კავკასიურ პრობლემასთან მიმართებაში: მიუხედავად იმისა, რომ ტექსტები ხშირად საბჭოთა იდეოლოგებისათვის თვალისასახვევად სოციალური თემებითაა გადაფარული, სილრმეში ქართველთათვის მტკვინეული კავკასიელი ხალხების იდენტობის პატივისცემისა და ურთიერთდაფასების განწყობილება იკითხება. თუმცა, ეს მხოლოდ გამონაკლისია. „ჩემი მისამართი არც სახლია და არც ქუჩა, ჩემი მისამართია საბჭოთა კავშირი!“ აი, სლოვანი, რომელიც სპობს განსხვავებებს. განა ვინეს ეყოფა გამბედაობა, ისაუბროს კავკასიური ეთნოსის დიფერენციაციაზე, როდესაც საბჭოეთის დიქტატორული რეჟიმის სათავეში ეროვნებით ქართველი დგას?

საბედნიეროდ ქართული კულტურისათვის, მიხეილ ჯავახიშვილი არ არის მარტო არც თავის ნაციონალურ მიზნებში და არც თავის ინტერნაციონალურ ტენდენციებში. მის მხარდამხარ მუშაობენ სხვა მნიშვნელოვანი ქართველი მწერლები, რომელთათვისაც ზნეობრივი პოსტულატები და ჰუმანიზმის პრინციპები სრულად აღემატება ბოლშევიზმის ეპოქის პრაგ-

მატულ-პოლიტიკურ ამოცანებს და ჯიუტად უერთდება თავისი დროის წამყვან ლიტერატურულ ტენდენციებს: პიროვნებისა და სამყაროს ურთიერთობის იმპრესიონისტულ მოდელს ამუშავებს ნიკო ლორთქიფანიძე, რომელსაც ქართულ პროზაში თამამად შემოაქვს დასავლურ კულტურულ წრეებში გენერირებული, იმპრესიონიზმისათვის ნიშანდობლივი მახასიათებლები – სამყაროს აღქმა შთაბეჭდილების ეფექტით, ლაკონური ნარატიული ტექნიკა, კონტრასტული ფერების სიუხვე და სხვ.; პიროვნების სულიერი განხეთქილების თემას უღრმავდებიან ვასილ ბარნოვი და ლეო ქიაჩელი; გამოსახვის ექსპრესიონისტულ მანერას ნერგავენ კონსტანტინე გამსახურდია (ადრეული პროზა) და გრიგოლ რობაქიძე: თუ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ადრეულ ეტაპზე ვაკვირდებით „ხელოვნების აქტივიზაციის“ ექსპრესიონისტული პრინციპის რეალიზებას, რაც რეალობის ახლებურად აღქმის სხვადასხვა ფორმების ძიებასა და ორიგინალური სტილისტური გადაწყვეტილებების მიღებაში გამოიხატება, გრიგოლ რობაქიძის, შემდგომში ცნობილი ქართველი ემიგრანტი მწერლის, შემოქმედებაში „ხელოვნების აქტივიზაციის“ პრინციპი ერწყმის ექსპრესიონიზმისათვის ნიშანდობლივ მეორე პრინციპს – „დემონსტრატიულობას“, რის შედეგადაც მიიღწევა სიტყვის ძლიერი გამომსახველობითი ეფექტი და აზროვნების არსობრივი აბსტრაგირება. აյ დასახელებული ქართველი ავტორების ყველა კლასიკური ტექსტი, მიუხედავად იმისა, რომ მათმი მეტ-ნაკლები დოზით რეალიზდება მოდერნიზმის კლასიკური პრინციპები, ტიპოლოგიური სტრუქტურის დეკონსტრუქციის შედეგადაა შექმნილი: კლასიკური ტექსტების ცალკეული ელემენტები თითქოს ექსპერიმენტის საგანს წარმოადგენს – ის, რაც კლასიკურ მწერლობაში დაბალანსებულია, აქ უკვე ავტორის არჩევანს ექვემდებარება. ირლვევა

მთავარი: სუბიექტურისა და ობიექტურის თანაფარ-დობის ბალანსი მხატვრულ სახეში. საგულისხმოა ისიც, რაც ზემოთ აღვნიშნეთ: გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში, მართალია, სხვადასხვა აქცენტების გამოსაკვეთად, მაგრამ ერთნაირი პათოსით არის გაშუქებული კავკა-სის თემა – ისინი ულრმავდებიან კავკასიური ეთნიეს, ქართველისა და კავკასიის სხვა რეგიონების მცხოვრებ-ლების ისტორიულ წარსულს, დღევანდელობას, ზნეობ-რივ და კულტურულ ღირებულებებს და ამ ლოკალურ სატკივარს მაღალი ოსტატობით აქსოვენ მოდერნიზ-მის ლიტერატურულ ამოცანებში.

კიდევ უფრო ქმედით როლს მოდერნიზმის ევროპუ-ლი ტენდენციების საქართველოში დანერგვის საქმეში ასრულებენ ქართველი პოეტები: ქართული ლექსის რეფორმატორი და თანამედროვე ქართული პოეზიის გამორჩეული ფიგურა – გალაკტიონ ტაბიძე, ესკიპის-ტური ფილოსოფიით გაჯერებული ტერენტი გრანელი, აგრეთვე, ქართველი პოეტი-სიმბოლისტები – ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ვალერი-ან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ნიკოლო მიწიშ-ვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე, შალვა კარმელი და სხვ. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ 1919 წელს, გალაკტიონ ტაბიძის ლექ-სების კრებულის „არტისტული ყვავილების“ დასტამ-ბვა. თ. დოიაშვილის აზრით, „გალაკტიონის, როგორც რეფორმატორისა და „ახალი პოეზიის“ მესაძირკვლის პოზიცია გაამყარა ეპოქალურმა წიგნმა „არტისტული ყვავილები“ (1919), რომელიც დღემდე ეროვნული ლი-რიკის მწვერვალად რჩება... გასული საუკუნის 10-იან წლებში გალაკტიონის მიერ განხორციელებულმა რე-ფორმამ შვა თვისებრივად ახალი პოეზია და ლექსი – განახლებული ვერსიფიკაციით, მრავალხმოვანი რით-მით, უნიკალური ევფონიურ-მელოდიური ორგანიზა-

ციით და, რაც მთავარია, მანამდე არ არსებული პო-
ეტური ენით, რომელსაც პიროვნების შინარეალობის
ადეკვატური გადმოცემის უნარი ჰქონდა“ (დოიაშვილი
2009: 26). და ზოგადადაც, კრიტიკოსი მიჩნევს, რომ
„ქართულმა მოდერნისტულმა პოეზიამ ხელოვნების
სასარგებლოდ დაძლია პოეზიისადმი უტილიტარული
მიდგომა და სალექსო კულტურის დონე დასავლურ
სტანდარტებს შეუთანადა“ (დოიაშვილი 2009: 27). აკ-
ვირდება რა ქართული მოდერნისტული პოეზიის კიდევ
ერთი ფრთის – სიმბოლისტების მოღვაწეობას, ბელა
ნიფურია მართებულად შენიშნავს: ქართველმა პო-
ეტმა-სიმბოლისტებმა, „ცისფერყანწელებმა“, მიზნად
დაისახეს და განახორციელეს კიდევაც ერთი საკმაოდ
ამბიციური ამოცანა: „საქართველოს, როგორც მო-
დერნიზმის კულტურული ცენტრის პოზიციონირება.
ამით, ცხადია, ისინი უარს აცხადებდნენ მიეღოთ
საქართველოს, როგორც პერიფერიის (რუსულ იმპერი-
ულ ცენტრთან მიმართებით), მოდელი, რაც, ცხადია,
საუკუნეზე მეტხანს კოლონიზებულ ქვეყანაში მოქმე-
დი მოდელი იყო. პაოლო იაშვილის „პირველთქმაშივე“
გაისმის განაცხადი: „საქართველოს შემდეგ უწმინდესი
ქვეყანა არის პარიზი“ (იაშვილი 1916: 4), რაც ნიშნავს,
რომ იმპერიული მოდელის სანინააღმდეგოდ, კულტუ-
რულ ცენტრად არ აღიარებენ სანქტ-პეტერბურგს
ან მოსკოვს, ასეთად აღიარებენ ევროპულ ცენტრს,
პარიზს, და ამით იცვლიან კულტურულ კონტექსტს და
კოლონიალურ სტატუსს. თუმცა, „უწმინდეს ქვეყანად“
– პოეზიის საკრალურ ადგილად სწორედ საქართველო
ცხადდება“, (ნიფურია 2012 : 177), მათი ქვეყანა.

**„წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული,/
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის“,** აცხადებს
გალაკტიონ ტაბიძე 1916 წელს, რაც არის კიდევაც
ნაციონალური იდენტობის იდეასთან პოეზის შერ-
წყმის ბრწყინვალე გამოვლინება.

ქართული მოდერნიზმი, საბჭოთა ცენზურის ბასრი ცელის მიუხედავად (ლევ ტროცკის ინიციატივა), საუკუნის დასაწყისში (1905-1920 წ.წ.) ჯერ კიდევ ინარჩუნებს ადაპტირებულ მოდერნისტულ პრინციპებს და ავლენს თანაზიარობას საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესთან, რომელიც, თავის მხრივ, საგრძნობლად გლობალური ხდება: XX საუკუნიდან დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობა სცდება ოდენ „ერთმანეთის აღმოჩენის“ ფაზას და ინაცვლებს „ერთმანეთის აღიარების“ ფაზაში – ღრმავდება კულტურათაშორისი დიალოგი; მსოფლიო ლიტერატურული პროცესის გაგება ფართოვდება ინდური, იაპონური, ჩინური, მოგვიანებით – აფრიკული, აფრო-ამერიკული, სამხრეთ-ამერიკული კულტურების მიმართულებით. ევროპული მოდერნიზმი უარს ამბობს ტრადიციულ კონცეპტუალურ ჩარჩოებზე, მის წიაღში ფორმირებული სკოლები და მიმდინარეობები აშკარა კეთილგანწყობას იჩენენ აღმოსავლური კულტურისა და ლიტერატურის მიმართ: მწერლები მოგზაურობენ აღმოსავლეთის ქვეყნებში, თარგმნიან, ეცნობიან, ესესხებიან სიუჟეტებს. რაც შეეხება ევროპული ლიტერატურული ტრადიციის გამოვლინებას აღმოსავლურ კულტურულ ზონაში, ნიკოლაი კონრადის საგულისხმო დაკვირვებით, ეს პროცესი „იმ ფორმებსაც ავლენს, რომლებითაც ეს გამოჩენა ხორციელდებოდა“ (კონრადი 1972 : 320). „გამოჩენის“ მთავარ ფორმად კი კონრადი ენას მიიჩნევს: ევროპული ლიტერატურების „შეჭრა“ აღმოსავლური ლიტერატურების ზონაში ხორციელდებოდა აღმოსავლელი ავტორების მიერ ცალკეული ევროპული ენებისა და ლიტერატურების ზედმინევნითი ცოდნის ხარჯზე (ჰასეგავა ფთაბათეი, ცუბოუტი შოო, მირზა მალკოლმი, ზეინ ალ-აბედინი და სხვ.). აღმოსავლური კულტურა და მწერლობა ყურადღებით უსმენს დასავლურს: იხსენებს რა „ოთხ მარტოსულ

სტამბოლელ მწერალს“ (თანფინარს, იაჰია ქემალს, აბდულჰაკ შინას ჰისარს და რეშათ ექრემ ქოჩუს), ორპან ფამუქი წერს: „თავის დროზე ყველა ეს მწერალი დაბრმავებული იყო დასავლური, ძირითადად, ფრანგული ლიტერატურით და დასავლური ხელოვნებით... ფრანგული ლიტერატურით და მთლიანად დასავლური ხელოვნებით გატაცების შედეგად ამ მწერლებმა დასავლური მანერით წერა დაიწყეს და უკან დასახევი გზა აღარ დაიტოვეს... ფრანგულმა ლიტერატურამ მათ არა მარტო თანამედროვე შეხედულებები, არამედ უტყუარობის, თვითმყოფადობისა და სინამდვილისაკენ სწრაფვა შთააგონა“ (ფამუქი 2012, 2013: 168-169). ცხადია, ფამუქი აქვე არაერთგზის მიუთითებს პრობლემებზე, რომლებიც აღმოსავლელი ავტორების მიერ მაღარმეს, ვერლენის, გოტიეს, უიდის, პრუსტის და, მაშასადამე, დასავლური ლიტერატურული კანონის მიღებას მოსდევდა და განსაკუთრებით მწვავედ მიიჩნევს „განხეთქილებას“, რომელიც არსებობდა წერის დასავლურ მანერასა და „ორიგინალურ“ აღმოსავლელ მწერლად დარჩენის რეალობას შორის, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: ორი სამყარო ერთმანეთს უახლოვდებოდა. ამ ფონზე ზედმიწევნით კარგად რეალიზდა ქართული მწერლობისათვის ესოდენ ორგანული ტოლერანტულობა როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კულტურის მიმართ უკვე დაძლეული კულტურული გამოცდილებიდან გამომდინარე, ქართველი ავტორებისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა წარსულის პრაქტიკას-თან დაბრუნება (XVI-XVIII საუკუნეები). ამის ერთ-ერთ დადასტურებას წარმოადგენს ტიციან ტაბიძის ცნობილი ფრაზა, რომელიც ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთ სლოგანად იქცა:

„ჰაფიზის გარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში // ბესიკის ბალში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰაფიზი XIV საუკუნის ირანელი პოეტია, პრუდომი – XIX საუკუნის ფრანგი პოეტი – „პარნასელი“, ბესიკი – XVIII საუკუნის ქართველი პოეტი, განთქმული აღმოსავლური სალექსო ფორმისადმი მისი სიმპატიით, ხოლო ბოდლერი – თვალსაჩინო ფრანგი პოეტი, სიმბოლისტი, მოდერნისტი, ტიციან ტაბიძის ფრაზის ინტერპრეტაცია, რომელიც გაუდენთილია გოეთეს „აღმოსავლურ-დასავლური დივანის“ სულისკვეთებით, დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენს. დასავლეთისა და აღმოსავლეთის შეხვედრა საკმაოდ მძლავრად რეფლექსირდება იოსებ გრიშაშვილის პოეზიაშიც: გრიშაშვილისეული ქალაქური ტექსტი აშკარად განიცდის აღმოსავლური სალექსო ფორმის ზეგავლენას და, ამ თვალსაზრისით, ახდენს ქართული რომანტიზმისათვის ნიშანდობლივი ქალაქური ტექსტის რეკონსტრუქციას. ქართული კულტურისა და ლიტერატურისათვის არ იყო ძნელი ჩაბრუნება ორიენტალურ სუნთქვაში.

ასე თუ ისე, ქართული მოდერნიზმი თავისი სიღრმით, სუბიექტივიზმით, სააზროვნო და სტილური საზღვრების გახსნილობით სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს საბჭოთა იდეოლოგიური სისტემისათვის. მიუხედავად მისი გარიყვისა საბჭოთა იდეოლოგების მიერ, უგულებელყოფისა და უარყოფისაც კი, XX საუკუნის თითქმის 20-იანი წლების ბოლომდე, ქართული მოდერნიზმი რჩება მსოფლიო ლიტერატურული პროცესების წიაღში და შეიგრძნობს მის მაჯისცემას, ემსახურება ქართული მწერლობის „გამართვას მსოფლიო რადიუსზე“ (ტიციან ტაბიძის ფრაზა).

არანაკლები საფრთხე შეუქმნა საბჭოთა კულტურპოლიტიკას ავანგარდმა. მიუხედავად იმისა, რომ ავანგარდმა უარი თქვა მაღალი მოდერნიზმისათვის ნიშანდობლივ „სულიერ პრობლემათა, ექსისტენციურ მიმართებათა მთელ სისტემაზე“ (ნიფურია 2008:

262), ის აქტიურად რეალიზდა გამომსახველობითი ფორმების ექსპერიმენტულ მოდელებში. ქართული ავანგარდი, წარმოდგენილი უაღრესად ნიჭიერი და საინტერესო ავტორებით (სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ შენგელაია და სხვ.), მხატვრულ-ესთეტიკურ ნათესაობას ამჟღავნებდა ავანგარდის დასავლურ მოდელთან და, ამავდროს, თანაუგრძნობდა რუსულ ავანგარდს (მაგალითად, იზიარებდა ზაუმური ენის კონცეფციას)¹. ცხადია, ავანგარდის როგორც ქართული, ისე რუსული მოდელები გენერირებული იყო ევროპული ავანგარდის წიაღში, თუმცალა არცთუ უმნიშვნელო როლს თამაშობდა ტერიტორიული სიახლოვე და მწერლებს შორის გააქტიურებული პირადი კონტაქტები². ქართული ავანგარდი, მსგავსად ევროპული ავანგარდისა, წარმოადგენდა მხატვრულ რეაციას ჩიხში მოქცეულ კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე; ის თაყვანს სცემდა ურბანიზაციას, ინდუსტრიულ პროგრესს და მატერიალურ ღირებულებებს, ნერგავდა აგრესიასა და ნერგის ენერგიას – ომს კაცობრიობის ერთადერთ ჰიგიენად აცხადებდა (მარინეტი). ლიტერატურის „ჩაფიქრებული განრიდება, ექსტაზი და ძილი“ ჩაანაცვლა „დინამიკამ“, „შეტევითმა მოძრაობამ“, „ქრონიკულმა უძილობამ“ და „სახითათო ნახტომმა“. ავანგარდმა კიდევ ერთხელ მძლავრად აგრძნობინა ქართულ მწერლობას საერთაშორისო ლიტერატურულ მოძრაობასთან თანაზიარობის გემო, ესოდენ განსხვავებული უკვე მზარდი, საბჭოური იდეოლოგის სტანდარტებში ჩაკეტილი სოციალისტური რეალიზმის მომჟავო გემოსგან. თუმცა, საბჭოთა ლიდერებიც მალევე მიხვდნენ, რომ ავანგარდი, მისი პა-

1 ქართველმა ავანგარდისტებმა შექმნეს დაჯგუფება H_2SO_4 და გამოსცეს ამავე დასახელების ჟურნალი.

2 იხ. ბ. წიფურია, „ცისფერი ყანწები“ და ავანგარდი // ლექსმცოდნეობა IV, თბ., 2012.

თოსიდან გამომდინარე, შესაძლოა, კარგად მორგებოდა ახალბედა საბჭოთში გამეფებულ რევოლუციურ განწყობილებას. ექსპერიმენტმა თითქოს გაამართლა: ავანგარდისტების გარკვეულმა ნაწილმა (ცხადია, არა ყველამ, ვინაიდან ავანგარდის წიაღში ნამდვილად შეიმჩნეოდა აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხზე) ღიადაც კი გამოუცხადა ნდობა საბჭოთა ხელისუფლებას და ე.ნ.

საბჭოთა ავანგარდის რევოლუციური ფრთა შექმნა. თუმცა, მალევე დადგა იმედგაცრულების ჟამი: „პოლიტიკური და არტისტული რადიკალიზმის ალიანსი“ (პოჯიოლი 2011: 11) დასრულდა; საბჭოთა ავანგარდის წარმომადგენლებს თვალწინ დაემსხვრათ რევოლუციური ილუზიები; ისინი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე იდეოლოგიური დიქტატურის ბრჭყალებში აღმოჩნდნენ და სასტიკადაც დაისაჯნენ (თვითმკვლელობა, დახვრეტა, გადასახლება, გაძევება ან – თვითცენტურა და კომპრომისი).

ასეთი პათოსისა და განწყობის მატარებელი მოდერნიზმი და ავანგარდი, როგორც ანტისაბჭოთა დისკურსი, რომელიც გამოხატავდა საბჭოთა რეჟიმისადმი ნეგატიურად განწყობილ შემოქმედთა პათოსს, გამორჩეულს თავისუფალი იდეოლოგიური პოზიცითა და არასტანდარტული ლიტერატურული ჟანრებით, საბჭოთა ხელისუფლების მიერ პრინციპულად იქნა გადანაცვლებული მარგინალურ პოზიციაზე, მის ფონზე კი დომინანტურ მოდელად გამოცხადდა საბჭოთა დისკურსი, გამოვლენილი, უპირატესად, პროლეტარული და სოცრეალისტური მწერლობისა და საბჭოთა პუბლიკისტიკის სახით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ: „აყვავებული ბოლშევიზმის“ ხანაში მარგინალობის გაგება, ისევე როგორც ზოგადად ლიტერატურული ვითარება, ორმაგ სტანდარტს ექვემდებარება: დიქონტომია **საბჭოთა დისკურსი/ანტისაბჭოთა**

დისკურსი, შესაბამისად — დომინანტური/მარგინალური, გამოხატავს არა ლირებულებათა რეალურ შეას-ლას, არამედ წარმოადგენს მნერლების შემოქმედებისა და ლიტერატურული პროცესის შეფასებას წინას-წარ დადგენილი იდეოლოგიური კრიტერიუმებით:

ა) ანტისაბჭოთა დისკურსი, რომელიც ეწინააღმ-დეგება წარმმართველ იდეოლოგიურ კურსს, საბჭოთა იდეოლოგების მიერ გამოცხადებულია მარგინალურ დისკურსად; მნერლები ან თავად ირჩევენ მარგინალის პოზიციას, ანაც ემორჩილებიან მას იძულების წესით;

ბ) დომინანტურ დისკურსად აღიარებულია საბჭოთა დისკურსი, ვინაიდან სრულად შეესატყვისება იდე-ოლოგიურ მოთხოვნებს; მნერლები კომფორტულად გრძნობენ თავს საბჭოთა სოციალური და კულტურუ-ლი თეატრის სცენაზე.

ცხადია, ამ გზით შეუძლებელია მარგინალობის ნამდვილი სტანდარტის შემუშავება, ვინაიდან ცნების ობიექტური განსაზღვრების ერთადერთ გზად ლი-ტერატურული პროცესის, როგორც წინააღმდეგობ-რივი პარადიგმის შეფასება გვესახება. შეფასების ეს კრიტერიუმი არ მუშაობს საბჭოთა ლიტერატურულ სივრცეში: საბჭოთა დისკურსი, როგორც ხელოვნუ-რად, ზემოდან შექმნილი სისტემა იდეოლოგიური დომინანტას პოზიციიდან ეწინააღმდეგება მარგინა-ლურად გამოცხადებულ ანტისაბჭოთა რიტორიკას, რომელიც განაგრძობს ქართული ნაციონალური ლი-ტერატურის განვითარების ბუნებრივ გზას და, ამავ-დროს, წარმოადგენს მიმდინარე საერთაშორისო ევ-როპული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესების ადეკვატურ მოდელს. სახეზეა ლირებულებათა შეას-ლის ხელოვნური დეფორმაცია: ის, რაც ლირებულია, მაგრამ იდეოლოგიურად მიუღებელი, გამოცხადებულია მარ-გინალურ დისკურსად, ხოლო ის, რაც არ არის ლირე-ბული, მაგრამ იდეოლოგიურად მისაღებია — დომინა-

ტურად. სამწუხაროდ, პოსტრევოლუციური პერიოდის ქართველ (და არა მარტო ქართველ) მკითხველთა დიდი მასა უპირატესად გაუნათლებელი და გულუბრყვილო, ამ „ოპტიკური ტყუილის“ მსხვერპლად იქცევა, ინტელექტუალური მკითხველები კი, რომელთა რიცხვიც შედარებით მცირეა, მკაცრად დაისჯებიან „აკრძალული გემოვნებისა და სურვილების გამოვლენისათვის“... თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობამ, გადააფასა რა ვითარება, სრულიად საპირისპირო დასკვნა გამოიტანა: 20-30-იანი წლების საბჭოთა ეპოქის მარგინალური ლიტერატურა, ხანგრძლივი დროის მანძილზე მისი უგულებელყოფის მიუხედავად, შეფასდა როგორც შინაგან ლოგიკაზე დაფუძნებული და მომავალ ლიტერატურულ პერსპექტივებზე ორიენტირებული ლიტერატურული მოდელი – ტრანსნაციონალური ლიტერატურული დიალოგის ორგანული ნაწილი, მის წიაღში ფორმირებული ლიტერატურული მიმდინარეობების, უანრებისა და ცალკეული ტექსტური ნიმუშების თვალსაზრისით.

თუმცადა, შეფასებამ რამდენადმე დააგვიანა: პოსტრევოლუციურ ეპოქაში „სხვაგვარად განწყობილი“ მწერლები მარტივად ცხადდებოდნენ „საბჭოთა ქვეყნის მტრებად“, ხოლო მათი ხარისხიანი, ხშირად გენიალური შემოქმედება – ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობად, რასაც ყოველთვის ერთი დასასრული ჰქონდა: დასჯა. და ამ მიზეზით დასჯილ პროგრესულ, მოდერნისტული და ავანგარდული ფრთის წარმომადგენელ ქართველ მწერალთა საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი შეიძლება გაკეთდეს. ვითარების ტრაგიზმს ასეთ შემთხვევაში ქმნის არა მარტო ცალკეული ადამიანების ბედის მსხვრევა, არამედ ლიტერატურული პროცესის მთლიანი პარადიგმის წყვეტა, რასაც, როგორც წესი, ხანგრძლივი კულტურული რეაბილიტაცია ესაჭიროება. „თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ ავ-

ტორიტეტის მიერ ნაკარნახევი პოზიტიური ნორმების ნებისმიერი დარღვევა დაუმორჩილებლობას წარმოადგენს და, შესაბამისად, დამნაშავეობას გულისხმობს (იმისდა მიუხედავად, კარგია თუ ცუდი ეს ნორმები თავისთავად), ნორმების ამგვარი დარღვევა ნებისმიერ ავტორიტარულ სიტუაციაში ფასდება როგორც დანაშაული. ამის პირველი და მეაფიო მაგალითი არის ბუნტი ავტორიტეტის მიერ დადგენილი წესრიგის წინააღმდეგ. დაუმორჩილებლობა „ყველაზე საშინელი ცოდვაა, დამჯერობა – მთავარი ზნეობრივი ღირსება“, – წერდა ფრომი (ფრომი 1998: 7).

მწერლები მიდიოდნენ მსხვერპლზე, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ყველა სხვა გზა ან კომპრომისი იყო, რომელსაც ისინი ვერ დაუშვებდნენ, ან – არსებობის გახანგრძლივების გაუმართავი მექანიზმი. შედეგად, მონური საზოგადოების „იდეალური ტიპის“ წინააღმდეგ ამბოხებული არაერთი ქართველი შემოქმედი შეგნებულად შეგებებია დახვრეტას (მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე), დაპატიმრებას (ნიკო სამადაშვილი), ემიგრაციას (გრიგოლ რობაქიძე), ანაც – თვითმკვლელობას (პაოლო იაშვილი). პრობლემის „გადაჭრის“ ყველა ეს ფორმა შინაარსობრივად იდენტური იყო, განსხვავებას მხოლოდ განხორციელების სტრატეგია ქმნიდა. მწერალი თავად იყო ტრაგიკული პერსონაჟი, რომელიც მხვერპლად ენირებოდა საკუთარ პრიციპებს.

მწერლების ბედს იზიარებდნენ პროგრესულად მოაზროვნე კრიტიკოსები, რომელთა რიცხვიც, მიზეზთა გამო, საკმაოდ მცირე იყო (ასე შეენირა 1937 წლის რეპრესიებს ვახტანგ კოტეტიშვილი).¹

1 XX საუკუნის ქართული კრიტიკის ისტორია ცალკე კვლევის თემაა და მისი ამომწურავი ანალიზი ამ ეტაპზე არ შეადგენს ჩვენს ამოცას.

იძულებულნი ვართ ვალიაროთ, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში, ხელისუფლების მიერ ჩატარებული დიდი „პოლიტიკური წმენდის“ შედეგად, ქართული ლიტერატურა (ისევე როგორც ბევრი სხვა საბჭოთა ქვეყნების ლიტერატურები) სრულიად იზოლირებული აღმოჩნდა საერთაშორისო ლიტერატურული პროცესისგან: ქართულმა მოდერნიზმა და ავანგარდმა შეწყვიტა არსებობა; ქართულმა მწერლობამ ვერ მოასწრო სრულყოფილად გადანაცვლება ექსისტენციალიზმისა და „ცნობიერების ნაკადის“ მწერლობის სიბრტყეზე; ახალმა, საბჭოთა ლიტერატურულმა კანონმა ჩაანაცვლა უნივერსალური კანონი და ქართული ლიტერატურა დისტანცირდა საერთაშორისო ლიტერატურული სივრცისგან.

მაგრამ... ეს არ იყო ბუნებრივი მდგომარეობა ქართული ლიტერატურისთვის, რომელიც საუკუნეების მანძილზე მსოფლიო ლიტერატურული რუკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა!¹ საჭირო რეაქციამაც არ დაახანა: საზოგადოებამ თანდათან იწყო გამოსვლა პოსტრევოლუციური შოკიდან, ანუ იწყო იძულებითი ადაპტაცია კონტექსტთან; მწერლებმა „ისწავლეს“ ირიბი გზებით სარგებლობა: ტოტალიტარული პოლიტიკური მმართველობა გარდაუვალ ისტორიულ რეალობად შეფასდა, ხოლო მისგან თავის დაღწევა – ხანგრძლივ პოლიტიკურ პროცესად, რომელსაც „შემოვლითი გზებით“ თუ დაუპირისპირდებოდა მწერლობა. ანტისაბჭოთა ლიტერატურული დისკურსის ეს მოდელი ნიღბის ეფექტით მუშაობდა და კონცეპტუალურად შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ირიბად ნასროლი ქვების“ სტრატეგია; მწერლები იბრძვიან მათ ხელთ არსებული ყველა იარაღით – ალეგორით, სატირით,

1 იხ. ი. რატიანი ქართული ლიტერატურა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. შუასაუკუნეებიდან XX საუკუნემდე // ჟ. „ჩვენი მწერლობა“, № 23, 2012.

ირონიით, აბსურდით; იბრძვიან საკუთარ ტერიტორიაზე და მის გარეთ – ემიგრაციაში, ღიად და იატაკ-ქვეშეთში. ყველა გზა ეფექტურია მიზნის მისაღწევად, თუმცა ასეთ შემთხვევაში მწერალი თავად აღარ არის ტრაგედიის პერსონაჟი, არამედ მხოლოდ ტრაგიკოსია, რომელიც ცდილობს, მითისქმნადობის მძაფრი პროცესით ჩაანაცვლოს რეალობა¹.

საგულისხმოა, რომ სატირა და იუმორი, რომლებიც საბჭოთა დიქტატურის წინააღმდეგ წარმოებული ინტელექტუალური ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე მარჯვე იარაღი გახდა, ჯერ კიდევ XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე იქცევა დავით კლდიაშვილის მწერლობის მთავარ ბერკეტად. კლდიაშვილისეული იუმორი თითქმის ყოველთვის წარმოადგენდა დრამატულის, დაძაბულის, ხშირად ტრაგიკულის ესთეტიკურ უკუფენას: XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მოლვანე მწერლის ტექსტებში, გამწვავებული პოლიტიკური ქაოსისა და სოციალური სიდუხჭირის ფონზე, იუმორმა პაროდირების თითქმის შუასაკუნეობრივი სიღრმე (რაბლე, სერვანტესი) და ამაღლობინებელი (დაკარგულ ღირებულებათა) ფუნქცია შეიძინა. დავით კლდიაშვილმა შეძლო სიცილის ორგემაგვე ბუნების რეალიზება – სიცილისა საკუთარ უსუსურობაზე და სიცილისა გარესამყაროზე, რასაც დრამატიზმის მძიმე ელფერი დაჰკერავდა. ანტონ ჩეხოვის მსგავსად, სევდიანად მომ-

1 წილბის ეფექტით მიმტებვე ანტისაბჭოთა ლიტერატურული დისკურსი, გამომდინარე რეპრეზენტაციული მოდელების მუდმივი ძიებებიდან, საბჭოთა პერიოდის ლიტერატურის უანრული მრავალფეროვნების გენერატორადც მოგვევლინა. მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული უანრები, როგორიცაა **ლიტერატურული ანტიუტოპია, მითო-რეალისტური რომანი ან სატირული ნოველა და დრამა, ანტისაბჭოთა დისკურსისათვის იდეალურ უანრულ მოდელებად შეიძლება მივიჩნიოთ.** ცხადია, არ ვამტკიცებთ, რომ ამ უანრების გენეზისი მაინცდამანც საბჭოთა იდეოლოგიას უკავშირდება, თუმცა ჩვენი კვლევის ამ ეტაპზე, ცალკეულ შემთხვევებში, არც გამოვრიცხავთ ამგვარ დასკვნას.

ღიმარმა კლდიაშვილმა ადამიანის არა სიკვდილი, არ-ამედ ცხოვრება აქცია ტრაგედიად!

„იგი სწორედ შეეცოდებოდა კაცს, თვით ამბავი სასაცილო რომ არ ყოფილიყო“, – წერს ქართველი კლასიკოსი, დავით კლდიაშვილი თავის მოთხობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“ და ამ ფორმულით გამოხატავს მთელი ქართული მწერლობის მიმართებას იუმორის ხერხთან. „სამანიშვილის დედინაცვალი“ ამ მიმართების წარმატებული მხატვრული იმპლიკაციაა. სიუჟეტი თითქოსდა ბანალურია: გაღარიბებული აზნაური, რომელიც ძლივს ახერხებს საკუთარი ოჯახის რჩენასა და გამოკვებას, თავზარდაცემულია ქვრივი მამის გადაწყვეტილებით, შეირთოს ცოლი! მამა და შვილი ერთ სახლში, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ და იყოფენ იმ მცირედს, რაც გააჩნიათ. მაგრამ მამის გადაწყვეტილებამ შეიძლება ერთბაშად დაარღვიოს ეს ჰარმონია: გამორიცხული არ არის, რომ მამის ახალმა ცოლმა ბავშვი გააჩინოს, ხოლო ბავშვი არა მარტო ძმა იქნება მთავარი პერსონაჟისთვის, არამედ – მემკვიდრეობის მოცილეც! მემკვიდრეობის თემა, ცხადია, არ წარმოადგენს ქართული ლიტერატურული ნარატივის ორიგინალურ ფაბულას – ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა ხალხისა და ეპოქის ლიტერატურებისათვის, განსხვავებას კი მწერლის მიზანდასახულობა, ოსტატობა და შემოქმედებითი შესაძლებლობები წარმოადგენს: სიუჟეტი ან ბანალურ დონეზე დარჩება, ანაც ძლიერ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მუხტს შეიძენს და სამუდამოდ აღიბეჭდება მკითხველის მეხსიერებაში. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ავტორი ორი არჩევანის წინაშე დგას: ა) მაქსიმალურად გაამუქოს ფერები და დრამატიზმით დატვირთოს თავისი პერსონაჟების ისედაც აუტანელი ყოფის სურათი; ბ) აღმოაჩინოს დრამატულში კომიკური და გარდაქმნას ის ფილოსოფიურ სატირად. დავით კლდიაშვილი

მეორე გზას ირჩევს: მომავალი დედინაცვლის შერჩევას პოტენციური გერი ითავებს და შეუდგება ძიების რთულსა და ტრაგიკომიკურ გზას. ტრაგიკომიკურობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პერსონაჟი მიზნად დაისახავს, მოძებნოს, სულ მცირე, ორჯერ განათხოვარი ქალი, რომელსაც წინა ქორწინებებში შვილი არ ჰყოლია და, შესაბამისად, ვერც მის მამას მიანიჭებს ამ ბედნიერებას! არადა, „კაცი ბჭობდა...“ რომ არა კომიკური ანტურაჟი, რომელიც წარმოადგენს ამბის ბირთვს – ორჯერ განათხოვარი და უშვილო ქალი (პაროდია რაინდული რომანების მაძიებელ პერსონაჟებზე) – ეს ამბავი იქნებოდა კიდევ ერთი მოსაწყენი აღწერა იმ ტრაგიკული სოციალური კატაკლიზმებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში.

ეს მიზანდასახულობა – კომიკურის აღმოჩენა დრამატულში და დრამატული სიტუაციის იუმორით შენიღბვა – რაც ახასიათებდა ქართულ მწერლობას და რასაც დავით კლდიაშვილმა მხატვრული ასახვის მეთოდის სახე შესძინა, განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან, როდესაც საქართველო საბჭოთა ტერორმა მოიცვა. იუმორი დიქტატურის წინააღმდეგ წარმოებული ინტელექტუალური ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ იარაღად იქცა და საფუძვლად დაედო ისეთი სპეციფიკური ლიტერატურული ჟანრების ფორმირებასა და დამკვიდრებას, როგორიცაა სატირული დრამა, სატირული რომანი, იუმორისტული მოთხოვბა, ნოველა, ფელეტონი. სატირისა და იუმორის გამოყენება პოსტრევოლუციურ ლიტერატურაში ზნეობრივი და ეთიკური ღირებულებების ძიებისა და აღმოჩენის მცდელობად შეიძლება შეფასდეს, ეკლიან გზად, რომელიც ტოტალიტარული რეჟიმის ჯურლმულებიდან მოიკლავნება და გზას იკვლევს დაშინებული ადამიანების გულებისაკენ. ამის ნათელი

მაგალითია პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ (1929 წ.).

1929 წელს, საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან სულ რაღაც რვა წლის შემდეგ, მწერალი და დრამატურგი პოლიკარპე კაკაბაძე აქვეყნებს ცნობილ პიესას „ყვარყვარე თუთაბერი“, რითაც საგონებელში აგდებს ახლადფეხადგმული საბჭოთა მთავრობის მესვეურებს. პიესაში მოთხოვობილია უსაქმური, მშიშარა, გაუნათლებელი და ეშმაკი კაცის, ყვარყვარე თუთაბერის „რევოლუციური“ თავგადასავალი უმოკლეს დროში, საბჭოთა წეს-წყობილების დამყარების პირველ თვეებში: ყვარყვარე ხან მეფის ხელისუფლების მომხრეა, ხან დროებითი მთავრობის წარმომადგენელია და ხანაც – ბოლშევიკების მხარდამჭერი. მის „პოლიტიკურ“ ორიენტაციას ყოველთვის ერთი პრინციპი განსაზღვრავს: ვინ არის ხელისუფლების სათავეში? თუ ხელისუფლების სათავეში მეფეა, მაშინ ყვარყვარე მისი ერთგულია, თუ დროებითი მთავრობაა – ყვარყვარე მის ჯარს მეთაურობს, ხოლო თუ ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს – ყვარყვარე მათი ამხანაგია. ახალგაზრდა საბჭოთა ცენზურა უკიდურესად დააბნია პიესის იუმორისტულმა ხასიათმა: სცენები გაუდენთილია კომიკური სიტუაციებით, დიალოგები – აბსურდული, დაუჯერებელი „ლოგიკით“, პერსონაჟები კარიკატურული და ხშირად ჰიპერბოლიზებულია. პიესა, ერთი მხრივ, პოლიტიკურად უმწიფარი, „ახალი დროებისათვის“ მენტალურად მოუმზადებელი, ბრიყვი, მლიქვნელი ადამიანისა და მისთანების გაშარებას წარმოადგენდა, რაც სავსებით მისაღები იყო საბჭოთა კრიტიკისათვის, ხოლო, მეორე მხრივ – მოცემული გარემოსა და მისი მკვიდრების სატირულ-გროტესკულ დაცინვას, რასაც აღარ ჩაეჭიდა საბჭოთა ცენზურა ტექსტის იუმორისტული განწყობილების გამო. იუმორმა პირველად შეასრულა იდეოლოგისა-

გან დამცავი მექანიზმის მხატვრული ფუნქცია! დღეს, თითქმის ასწლიანი გადასახედიდან, სავსებით ცხადია პიესის ავტორის მიზანი: ყვარყვარე იმ ამაზრზენი და მიუღებელი თვისებების სიმბიოზია, რომლებიც არა-სოდეს წარმოიქმნება ნორმალურ საზოგადოებაში, არა-მედ მხოლოდ ისეთში, რომელიც იდეოლოგიური წე-სის ქვეშაა მოქცეული. ყვარყვარე გარემო-პირობების, ამ შემთხვევაში, საბჭოთა რეჟიმის უშუალო ნაყოფია, ტრაგედიაა, უბედურებაა, რომელსაც ვერასოდეს და ვერც ერთი დიქტატორული მმართველობა ვერ დააღ-ნევს თავს, ხოლო ყვარყვარიზმი – ნონკონფორმისტე-ბის მიერ დასაძლევი ბარიერია¹.

ტოტალიტარიზმის ჩიხიდან გამოსავალს მხოლოდ ნონკონფორმისტები პოულობენ იმ ისტორიული გა-რანტიით, რომ ჭეშმარიტი ლიტერატურული სახეების გადარჩენას უკიდურესად ტირანულ ვითარებაშიც კი არ ემუქრება საფრთხე, ვინაიდან ლირებულს გადაარ-ჩენს დრო და არა ცალკეული ადამიანების ნება-სურ-ვილი, როგორი წარმატებული დიქტატორებიც არ უნდა იყვნენ ისინი. არსებობს ისტორიული გამოცდი-ლება, რომელიც გვაფრთხილებს: ლირებული ლიტე-რატურა, დიქტატურის პირობებში იქმნება ის თუ ლი-ბერალური პოლიტიკისა, ერთნაირად ემყარება თავი-სუფალ აზროვნებას, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავთან ჭიდილში გამომუშავდება. დიქტატურის, რო-გორც დამატებითი წინაღობის პირობებში ეს უფრო რთული ამოცანაა, ლიბერალური პოლიტიკის პირო-ბებში – შედარებით ადვილი, მაგრამ, ნებისმიერ შემთხ-ვევაში, ეკლიანი არჩევანია: კონტექსტი განსაზღვრავს მხოლოდ რაოდენობას და არა ხარისხს. ბოლშევიკურმა

1 „მწარე იუმორი“ ქართული მწერლობის საბჭოთა პერიოდის შე-დარებით გვიანდელ ეტაპებზეც იჩენს თავს ისეთი ცნობილი ავ-ტორების შემოქმედებაში, როგორებიც არიან: ნოდარ დუმბაძე, რე-ვაზ ინანიშვილი, რეზო ჭეშვილი.

ტერორმა შეიწირა არა მარტო ცალკეული მწერლების სიცოცხლე, არამედ ბევრი იდეა, ჩანაფიქრი, დაუწერელი ტექსტი. ეს იყო არარეალიზებული შემოქმედებითი პროექტების ეპოქა. ახალი თაობის ქართველი მწერლები დაზღვეულნი იყვნენ და არიან მსგავსი საშიშროებისაგან, თუმცადა მონბისა ყოველთვის და ყველა დროში შეიძლება აირჩიოს მწერალმა – ნებით თუ ძალით, ის ხომ მაინც არჩევანია?!

4.3. სამამულო ომიდან „ოტტეპელამდე“: ქვემეხები, „მარლბორო“, ტვისტი...

ლიტერატურული დისკურსის რეაქციის სიმყარეს თუ ფლექსიურობას ნებისმიერი ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ კონტექსტი განაპირობებს. როდესაც პროცესი ხანგრძლივია, ანუ ტოტალიტარული მმართველობა თითქმის საუკუნეს ითვლის, ის, რასაკვირველია, განსხვავებულ პერიოდებს მოიცავს: რევოლუციური ეიფორიის შემდგომ მოინიშნება მეტად და ნაკლებად რადიკალური, შედარებით ლიბერალური, ინერტული, ან, პირიქით, გააქტიურებული და სხვა ტიპის პერიოდები. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მათგანი სერიოზულ ზიანს აყენებდა ლიტერატურული თავისუფლების იდეას, საბჭოთა ეპოქის ქართული ლიტერატურული დისკურსის ფლექსიურობა ეჭვგარეშეა. ამის ნათელი მაგალითია ჯერ მეორე მსოფლიო ომის, იგივე „სამამულო ომის“, მოგვიანებით ე. წ. „დათბობის პერიოდის“ („ოტტეპელის“) ანუ 50-60-იანი წლების, დაბოლოს „უძრაობის ხანის“ ანუ 70-80-იანი წლების ქართული ლიტერატურა.

სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა დისკურსის ყველაზე წარმატებულ ფუნქციურ და სტილურ რეალიზაციას საბჭოთა პუბლიცისტური დისკურსი წარმოადგენს.

პუბლიცისტიკა, თავისი ჟანრობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, სრულად უნდა მორგებოდა იდეოლოგიური აგიტაციისა და პროპაგანდის წარმოების პროცესს და ასეც მოხდა. თუმცა ამ ტიპის დისკურსშიც შეიძლება გავარჩიოთ განსხვავებული პლასტები:

ა) **ოფიციალური პრესა**, როგორც საბჭოთა იდეოლოგთა პოზიციის გამოვლინება („მოწინავე“ გაზეთები – „კომუნისტი“, „პრავდა“, „იზვესტია“ და სხვ.; ურნალები, რომლებიც გაფაციცებით აკონტროლებდნენ ყველა პოპულარულ თუ სამეცნიერო პუბლიკაციას; რადიორეპორტაჟები – რად ღირდა თუნდაც ცენტრალური რადიოს დიქტორის, ლევიტანის ცნობილი ტემბრი და დრამატული ტექსტები);

ბ) ავტორიტეტული მწერლების მხატვრულად დახვეწილი **პატრიოტული ტექსტები**, რომლებშიც გამოხატული იყო გულწრფელი თანადგომა საერთო-ეთნოკური პრობლემისადმი;

გ) დაბოლოს, მწერლების **ეპისტოლური ტექსტები** – **პირადი ჩანაწერები ან მიმოწერა**, თითქმის ერთადერთი სფერო, სადაც იგრძნობოდა განხეთქილება ოფიციალურ პოზიციასა და რეალურ მდგომარეობას შორის.

ფაშიზმის, როგორც საერთო მტრის და საერთო ფიზიკური საშიშროების განცდის მიზეზით, 1941-1945 წ.წ. ანტისაბჭოთა დისკურსის იატაკევეშეთის პერიოდი იყო, როდესაც ის შედარებით ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა, მისი ამ „მოდუნების“ ფონზე კი წარმატებით მიმდინარეობდა საბჭოთა მენტალური კორელატის – **homo sovieticus**-ის ჩამოყალიბება: სამამულო ომი დიქტატურის წისქვილზე ასხამდა წყალს

– ცნებამ „ჩვენ“ დიდი ხანია ჩაანაცვლა ცნება „მე“ და ეს ჩანაცვლება გასაბჭოებული რუსეთის კოლონიალისტური პოლიტიკის უნიშვნელოვანესი მიღწევა იყო. საბჭოთა ხალხების იდენტობათა გამოკვეთის სურვილიც კი ღალატად მიიჩნეოდა: ომის პერიოდის საბჭოთა ფილმების რეჟისორები ვალდებული იყვნენ დაეტვირთათ ფილმი პერსონაჟთა „მრავალნაციონალური“ გალერეით, რაც კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა ეროვნულ თვითგამორკვევაზე ბევრად მნიშვნელოვანი საყოველთაო კონსოლიდაციისა და ჰარმონიული თანაარსებობის პათოსს. მოწოდებები საერთო-საზოგადოებრივი საფრთხისა და კონსოლიდაციისაკენ კიდევ მეტად აბათილებდა იდენტობათა დადგენის აუცილებლობას: ნაციონალური იდენტობის ესოდენ მწვავე საკითხი კარგა ხნით მიეცა დავიწყებას.

მეტიც, დიქტატურამ ინტერპრეტაციული დამახინჯების მსხვერპლად აქცია ქართველ კლასიკოსთა ტექსტები: სამამულო ომის პერიოდში აღინიშნა პოსტრევოლუციური ვნებათლელვების ფონზე უარყოფილი ქართული კლასიკური ლიტერატურისა და მისი იძულებით მივიწყებული ავტორების – ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა – შემოქმედებასთან დაპრუნების პროცესი¹, რაც კარგად გათვლილი იდეოლოგიური მანევრი იყო: საბჭოთა კრიტიკამ „მოწოდებულად“ გადაწერა კლასიკური ტექსტების ინტენციონალური სტრატეგიები და ნაციონალური იდენტობის უმწვავესი საკითხი, ესოდენ

1 იხ. ილია ჭავჭავაძე, რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია // ილია ჭავჭავაძე 170, საიუბილეო კრებული. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2007; ვაჟა-ფშაველა, რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია // ვაჟა-ფშაველა 150, საიუბილეო კრებული. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2011; აკაკი წერეთელი, რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია // აკაკი წერეთელი 170, საიუბილეო კრებული. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2011.

მნიშვნელოვანი და არსებითი ზემოთ ჩამოთვლილი ქართველი კლასიკოსების ტექსტებში, პატრიოტული სულისკვეთების გასაღვივებლად გამოიყენა, ცხადია, მიზანმიმართული დიდაქტიკური რიტორიკის წყალობით! ეს სულისკვეთება უმაღვე გავრცელდა ვიზუალური ხელოვნების სფეროზეც (თეატრი, კინო, ფერწერა და სხვ.) და, შედეგად, მივიღეთ საბჭოთა ყაიდაზე „მოდერნიზებული“ ისტორიები და ლიტერატურული ტექსტები: „არსენა“, „გიორგი სააკაძე“, მოგვიანებით – „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“ და ა.შ. და საერთოდაც, სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა ხელისუფლებას საკმაოდ დიდ დახმარებას უწევდნენ კინოსცენარისტები და დრამატურგები, რომლებიც საგანგებოდ ქმნიდნენ სცენებს – საბჭოთა ხალხის გმირობაზე ომის დღეებში, ანაც მსუბუქი, გულუბრყვილო კომედიებით ამხნევებდნენ მაყურებელს!

ამ ფონზე, ცხადია, მეტი სიმწვავით მოჩანდა ყოველი ნაბიჯი, გადადგმული დინების საწინაამღდევო მიმართულებით: 1942 წელს, ანტისაბჭოთა შეთქმულებისთვის, თანამოაზრებთან ერთად, დახვრიტეს ახალგაზრდა მწერალი კოტე ხიმშიაშვილი და, მასთან ერთად, ოცამდე ნიჭიერი, იმედისმომცემი ქართველი ჭაბუკი.

თუკი მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ლირებულ ლიტერატურულ მიმართულებაზე ვისაუბრებთ, ზემოთ მოხსენიებული ეპისტოლული ტექსტების გარდა, უნ-და დავასახელოთ ახალგაზრდა პოეტების – ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის და ალექსანდრე ჯაფარიძის შემოქმედება. მათი ტალანტი ომის წლებში გაიშალა, მაგრამ თითოეული მათგანის სიცოცხლე ნაადრევად და ტრაგიკულად დასრულდა: გელოვანისა

¹ აქ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ იორნია და იუმორი ხშირად ასრულებდა „მაშველი რგოლის“ როლს და გზას უხსნიდა შედევრებსაც („დაკარგული სამოთხე“, „ქეთო და კოტე“).

და ჯაფარიძის სიცოცხლე ტყვიამ იმსხვერპლა, ლადო ასათიანი კი 26 წლის ასაკში ჩაიფერფლა ტუბერკულოზით. მათი ლექსები, მიძღვნილი თბილისისადმი, მეგობრობისადმი, საქართველოს ისტორიული წარსულისა თუ წრფელი სიყვარულისადმი ათბობდა მკითხველთა გულებს, არა მარტო ავსებდა ახალი ენერგიით, არამედ აბრუნებდა ისტორიულ წარსულში. ეს იყო ახალგაზრდულ-რომანტიკულ განწყობილებებთან შეჯერებული რეალიზმი, სადაც ტკივილიც კი ფაქიზმერებში მოსჩანდა. სტილური ინოვაციის თვალსაზრისით, მათ პოეზიაში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა მკითხველთან დამოკიდებულებამ: „თქვენობითი“ მიმართვა მკითხველთან თითქოს ბუნებრივად ტრანსფორმირდა „შენობით“ მიმართვაში და მეტი უშუალობა შესძინა ლექსს. ამ ახალმა სტილმა, მოგვიანებით, კერძოდ, 1960-70-იანი წლების ქართულ პოეზიაში, კიდევ უფრო მყარად დაიმკვიდრა თავი!

ომის შემდეგ და, განსაკუთრებით, 50-იანი წლების შუახანებიდან, საბჭოთა კავშირში პოლიტიკური ცვლილებების სიომ დაუბრა. მიყუჩდნენ ომის ქვემეხები და ლიტერატურასაც თითქოს ლეგიტიმურად მიეცა „გამარჯვებული ქვეყნის“ გმირობის, თავდადებისა და სამომავლო პერსპექტივების ასახვის მანდატი. თუმცადა, როგორც კი მწერლები ისტორიული სინამდვილის ძიების და, მითუმეტეს, მიგნების, პრეტენზიას აცხადებდნენ, ისინი მაშინვე რეპრესიების ახალი ტალღის მსხვერპლი ხდებოდნენ. ასე გადაუარა საქართველოს და ქართულ ლიტერატურულ წრეებს რეპრესიების კიდევ რამდნიმე ტალღამ ომის შემდგომ წლებში.

1953 წელს გარდაიცვალა ქვეყნის მატერიალიზტული სიმბოლო – იოსებ სტალინი, რასაც მალევე მოჰყვა

¹ ომის პერიოდში შესანიშნავი ლექსები და ციკლებიც კი პატრიოტულ თემებზე შექმნეს ქართული პოეზის უკვე აღიარებულია ისტატებმა – გალაკტიონ ტაბიძემ, გიორგი ლეონიძემ, სიმონ ჩიქოვანმა და სხვებმა.

კომუნისტური პარტიის გახმაურებული XX ყრილობა. კომპარტიის მაშინდელი ლიდერის, ნიკიტა ხრუშჩოვის სიტყვაში (რომელიც სრულ სიჩუმეში იქნა მოსმენილი დამსწრეთა მიერ ისე, რომ ტაშის დაკვრაც კი ვერავინ გაბედა¹), ნათქვამი იყო:

„ამხანაგებო! ჩვენ რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავუმკლავდეთ პიროვნების კულტს, გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები როგორც იდეურ-თეორიული, ისე – პრაქტიკული მუშაობის სფეროში.

ამისათვის საჭიროა:

პირველ ყოვლისა, ბოლშევიკური პოზიციიდან გავასამართლოთ და ამოვდირკვოთ მარქსიზმ-ლენინიზმისათვის სრულიად უცხო და პარტიული ხელმძღვანელობისა და პარტიული ცხოვრების ნორმებთან შეუსაბამო პიროვნების კულტი. დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ რაიმე სახით მისი აღორძინების ყოველგვარ მცდელობას. აღვადგინოთ და ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობაში თანამიმდევრულად გავატაროთ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების უმნიშვნელოვანესი მოწოდებები ხალხზე, როგორც ისტორიის შემოქმედზე, კაცობრიობის ყველა სახის მატერიალური და სულიერი სიმდიდრის შემქმნელზე, და – მარქსისტული პარტიის გადამწყვეტ როლზე რევოლუციურ ბრძოლაში, რომელიც მიემართება საზოგადოების გარდაქმნასა და კომუნიზმის გამარჯვებას. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ დიდი სამუშაო უნდა ჩავატაროთ – მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციიდან, კრიტიკულად უნდა განვიხილოთ და გამოვასწოროთ პიროვნების კულტთან დაკავშირებული, საყოველთაოდ გავრცელებული მცდარი შეხედულებანი ისტორიული, ფილოსოფიური, ეკონომიკური და სხვა მეცნიერებების სფეროში, ასევე, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში. კერძოდ,

1 ა. იაკოვლევის მოგონებიდან, <http://histrf.ru/ru/lenta-vremeni/event/view/xx-siezd-kpss-doklad-khrushchieva-o-kul-tie-lichnosti-stalina>

საჭიროა, უახლოეს მომავალში ჩატარებულ იქნას მუშაობა, რათა შეიქმნას მეცნიერული ობიექტურობით შედგენილი ჩვენი პარტიის ისტორიის სახელმძღვანელო, ასევე, სახელმძღვანელოები საბჭოთა საზოგადოების ისტორიაში, სამოქალაქო ომის ისტორიასა და დიდი სამამულო ომის ისტორიაში.

მეორე: თანამიმდევრულად და ბეჯითად გაგრძელდეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ბოლო წლებში ჩატარებული მუშაობა ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპის დასაცავად უკლებლივ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში, ზემოდან ქვემოთ, და, უპირველეს ყოვლისა, განხორციელდეს მისი უმაღლესი პრინციპის – კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის დაცვა, პარტიის წესდებით გათვალისწინებული პარტიული ცხოვრების წესის დაცვა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის აღორძინება.

მესამე: სრულად იქნას აღდგენილი საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ლენინური პრინციპები, გამოხატული საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში, გამოეცხადოს ბრძოლა თვითნებობას, რაც გამოიხატება ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაში. აუცილებელია, რომ ბოლომდე აღმოიფხვრას დარღვევები, რომლებიც არსებობს რევოლუციური სოციალისტური სამართლიანობის მიმართულებით და რომლებიც საკმაოდ დაგროვდა ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში პიროვნების კულტის უარყოფითი გავლენის შედეგად“ (იხ. <http://histrf.ru/ru/lenta-vremeni/event/view/xx-siezd-kpss-doklad-khrushchieva-o-kul-tie-lichnosti-stalina>)...

კომუნისტური პარტიის XX ყრილობას საქართველოში სერიოზული პოლიტიკური არეულობა და მსხვერპლი მოჰყვა (1956 წლის 9 მარტის მოვლენები), თუმცადა, საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე გამოუცხადებელი „დათბობის“ ანუ „ოტტეპელის“ (ილია ერენბურგის ტერმინი) ხანა დაიწყო, ქვემეხების გრი-

ალს კი დასავლეთიდან შემოჭრილი რიტმული ტვისტი ჩაენაცვლა. საბჭოური ცხოვრების წინა დეკადებისა-გან განსხვავებულ სურათს იძლევა „ოტტეპელის“ პე-რიოდის ლიტერატურული პროცესიც: პოლიტიკური ლიბერალიზაციის პირობებში, ერთი მხრივ, საბჭოთა იდეოლოგიის სამსახურში გაჭადარავებული ავტორები გრძნობენ საკუთარი ტექსტების გადაფასების საჭიროებას (რაც ცალკეულ შემთხვევებში ტრაგიკულ დასასრულემდეც კი მიდის – ფსიქიკური დაავადება, თვითმკვლელობა და სხვ.), მეორე მხრივ კი, თითქმის ოცნლიანი ინტერვალის შემდეგ, დაუფარავად იზრ-დება დასავლური ლიტერატურული ტენდენციების ზეგავლენა.

საბჭოთა ქვეყნების და, მათ შორის საქართველოს, ლიტერატურულმა ცხოვრებამ თვისებრივად განსხვავებულ საფეხურზე გადაინაცვლა. კომუნისტური რეჟიმის პირობებში ინტელექტუალური ტერორით, რეპრესიებით, ბრძოლით, წინააღმდეგობებითა და შიშით აღსავსე მტკვინეული გამოცდილების ფონზე, საბჭოეთის „რკინის ფარდის“ ოდნავმა აწევამაც კი მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ხელოვნურად კონსტრუირებული ქვეყნის კულტურულ და ლიტერატურულ ცხოვრებაზე. თუ რკინის ფარდის მიღმა დანახულმა სამყარომ საბჭოთა ლიდერების სახლებში ამერიკული „მარლბოროებითა“ და სხვა „იმპორტული“ (საბჭოთა ტერმინია) საქონლით შეაღწია, ლიტერატურას დასავლური მიმდინარეობებისა და კონცეფციებისათვის „თვალის შევლების“ შესაძლებლობა მიეცა. ტვისტის რიტმზე გადაწყობილ ქვეყანაში დაუფარავად იზრდება ზეგავლენა დასავლური ლიტერატურული ტენდენციებისა, რომლებიც პემინგუეისეული თემებითა და თამამი ნეორეალისტური ექსპერიმენტებით იქრება საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიებზე და თან მოიყოლებს რომანტიკულ ოცნებებს მეგობრო-

ბაზე, გულახდილობაზე, ურთიერთობების სიფაქიზეზე
და ესოდენ ნანატრ თავისუფლებაზეც კი! შეიცვა-
ლა 1937, 1949, 1953 წლების რეპრესიებგამოვლილი
მასების ფსიქოლოგიაც – მორჩილებით დახრილ თავებ-
ში სკეპტიციზმი გაბატონდა...

კითხვები, რომლებზე პასუხის გაცემაც გვაინტე-
რესებს, ასე უდერს: რამდენად ჰგავდა **საბჭოთა ნეო-**
რეალიზმი იტალიურ და, ზოგადად, ევროპულ ნეო-
რეალიზმს? რამდენად მკაცრად აისახებოდა მასში
რეალობა? თუ იგრძნობოდა რეალისტური შუქ-ჩრდი-
ლების კონტრასტული თამაში?

როგორც ცნობილია, იტალიური და ევროპული ნეო-
რეალიზმი, კინოსა და ლიტერატურაში, ასახავდა ჩვე-
ულებრივი ადამიანის რთულ მდგომარეობას XX სა-
უკუნის შუაწლების პოსტფაშისტურ ევროპულ საზო-
გადოებაში, როგორც პოლიტიკური, ისე – სოციალური
და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით; განსაკუთრებუ-
ლი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანის ღირსეულ
საქციელსა და სწორ ცხოვრებისეულ პრინციპებს, ამ
ფონზე კი დიდი ყურადღება ეთმობოდა დეტალებსა
და ნიუანსებს, რომლებიც აადვილებდა მოთხოვნილი
ამბის გაიგივებას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ
მძიმე ცხოვრებისეულ რეალიზმთან; გაბოროტებულ
და გასასტიკებულ საზოგადოებაში მწერლებისათვის

1 საბჭოეთში ნეორეალიზმზე საუბარი ჯერ კიდევ 20-იან წლებში
დაიწყო ევგენი ზამიატინმა, რითაც შეეცადა განესაზღვრა საკუ-
თარი ლიტერატურული ექსპერისტების სტილი. ტერმინის ინტერ-
პრეტაცია ეფუძნებოდა რეალიზმის ესთეტიკის შეჯერებას რომან-
ტიზმისა და მოდერნიზმის, მეტადრე — სიურეალიზმის ესთეტიკას-
თან. მიუხედავად იმისა, რომ რუსული ლიტერატურათმცოდნეობა
დღემდე აღიარებს ზამიატინის მიერ დამკვიდრებული ტერმინის
ქმედითობას რუსულ მწერლობაში და მისდევს ამ კურსს, როგორც
ჩანს, ტერმინის ზამიატინისეული, ოდენ ესთეტიკური დასაბუთება
არ აღმოჩნდა საკმარისი ნეორეალიზმის მსოფლიო აღიარებისათ-
ვის. ეს ცოტა უფრო გვიან მოხდა, როცა ნეორეალიზმი კონკრეტულ
პოლიტიკურ მოვლენას – მეორე მსოფლიო ომს და მის შემდგომ-
დროინდელ საზოგადოებრივ ყოფას დაუკავშირდა.

მნიშვნელობდა, ერთი შეხედვით, უბრალო ცხოვრები-სეული ღირებულებები: ჰუმანიზმი, ზნეობრიობა, სიკეთე და ადამიანური ურთიერთობების გულწრფელობა, მიუხედავად იმისა, მდიდრები იყვნენ ეს ადამიანები თუ ღარიბები... საბჭოთა ნეორეალიზმი ევროპული ლიტერატურული მოდელის საინტერესო ნაირსახეობას წარმოადგენდა: საბჭოთა ხელისუფლება, განსხვავებით დამარცხებული ფაშიზმისაგან, მართალია სახეცვლილი, მაგრამ კვლავაც მტკიცედ განაგრძობდა არსებობას – ის კვლავაც რეალობა იყო და „ლენინური პრინციპების“ აღდგენასა და დაცვას სთავაზობდა საზოგადოებას, რითაც წინ ეღლობებოდა ნეორეალიზმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპის – იდეოლოგიური ძალადობის, ეკონომიური სიდუხხირისა და ზნეობრივი დამცირების წინაშე პიროვნების სამართლიანი ამბობის რეალიზებას! მიუხედავად ამისა, საბჭოთა მწერლებმა, რომლებიც ნეორეალიზმის ლიტერატურულ მოდელში ინტუიტიურად ჭვრეტდნენ სამამულო ომის შემდგომი საბჭოთა და არასაბჭოთა ევროპული ქვეყნების ლიტერატურების კვლავ შეხვედრის პერსპექტივას, გადაწყვიტეს ესარგებლათ ხელისუფლების „მილულული თვალებით“ და ჩასჭიდებოდნენ ნაპირზე მომდგარ ნავს. გამოსავალიც მოიძებნა: **საბჭოთა ნეორეალიზმი** იმთავითვე ჩამოშორდა პოლიტიკურ თემატიკას და იდეოლოგიისაგან დისტანცირებულ ფიქრიან ლიტერატურად ჩამოყალიბდა, რომელიც გაჯერებული იყო თავისისუფლების უფრო მოლოდინითა და შეგრძნებით, ვიდრე მისი რეალური შედეგების ძიებითა და ანალიზით¹. იდეოლოგიისაგან დისტანცირება მას არსებობის საშუალებას აძლევდა, ხოლო

¹ ამის ერთ-ერთ დადასტურებას ისიც წარმოადგენს, რომ 1956 წლის 9 მარტის საქართველოს მოვლენებმა პრაქტიკულად არ ჰპოვა ადეკვატური ასახვა ქართულ ლიტერატურაში და მხოლოდ ყრუთემის სახით გაიქვა რამდენიმე ტექსტში.

იდეოლოგიური მანქანის ძრავის შეცვლა – ადამიანურ პრობლემებზე ორიენტირებისა და ღრმა, ხშირად მოუ-შუშებელ რეალურ ჭრილობებზე რეაგირების შესაძლებლობას. ვინძლო ამაში მდგომარეობს ნეორეალიზმის ხიბლი, რომელსაც, განსხვავებით XIX საუკუნის კლასიკური რეალიზმისგან, შესწევს უნარი, თითქმის თანაბარი ეფექტურობით იარსებოს არასიმილარული პოლიტიკური და სოციალური სისტემების პირობებში.

თუ ზემოთ ჩამოყალიბებულ განმარტებას მივიღებთ, მაშინ ნეორეალისტური ლიტერატურული ტალღის წარმომადგენლებად 50-იანი წლების მიწურულის ქართულ პროზაში თამამად შეიძლება დავასახელოთ გურამ რჩეულიშვილი, არჩილ სულაკაური და ერლომ ახვლედიანი. მათი შემოქმედება შეიძლება განვიხილოთ, როგორც იზოლაციაში მყოფი ქართული საბჭოთა ლიტერატურის საერთაშორისო ლიტერატურულ ორბიტაზე დაბრუნების წარმატებული მცდელობა, განხორციელებული ქართული მოდერნიზმის მეთოდური განადგურებიდან თითქმის ოცდაათწლიანი ინტერვალის შემდეგ. გურამ რჩეულიშვილის პროზა არის დასტური ლიტერატურული თემატიკისა და სტილის ძირეული და პრინციპული ცვლილებებისა, რითაც მწერალი სრულად ემიჯნება “Homo Sovieticus”-ის კულტურულ-სტილისტურ მოდელს და მიმართულია კონცეპტუალური, ემოციური და რეპრეზენტაციული თავისუფლებისაკენ. მისი შემოქმედებითი მექანიზრობა არაერთ შესანიშნავ მოთხრობასა თუ ნოველას ითვლის, რომლებშიც ხედვის რეალისტური მანერისა და თხრობის ლაკონური სტილის მეშვეობით თითქოს ოკეანის სიღრმიდან ამოტივტივდება ომისშემდგომი ქალაქები, ადამიანები, რომლებიც გრძნობენ სევდას, ტკივილს, უმკლავდებიან მოძველებულ სტერეოტიპებს, ყოველდღიურობის ერთფეროვნებას და წვრილ-წვრილ პრობლემებს, იცავენ მაღალ ზნეობრივ პრინ-

ციპებსა და მოქალაქეობრივ ღირებულებებს და, ამავე დროს, ისინი სავსენი არიან შინაგანი თავისუფლებით, სიყვარულით, მონატრებით, ერთმანეთის მხარში დგომის დაუოკებელი სურვილით. რჩეულიშვილის სამყარო არც თეთრია და არც შავი, არამედ აგებულია შუქ-ჩრდილების ნეორეალისტურ თამაშზე. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ახალი ნარატიული სტრატეგიის დანერგვის მიუხედავად, რჩეულიშვილი არ ივიწყებს ქართული კლასიკური ნარატივის მნიშვნელოვან მახასიათებლებს, გამოხატულს ქართული ხასიათისა და ტკივილის ასახვის ტრადიციულ მანერაში და ჰარმონიულად განაზავებს მას ახალ ლიტერატურულ გემოვნებასთან. გურამ რჩეულიშვილი დამსახურებულად იქცევა ახალი თაობის ქართველ მწერალთა ლიდერად, რომლის გავლენაც დღემდე არის შენარჩუნებული ქართულ ლიტერატურულ სივრცეში.

ნეორეალისტური განწყობილებითაა დატვირთული არჩილ სულაკაურის პირველი მოთხობებიც: „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“, „წყალდიდობა“, „მტრედები“, „ბიჭი და ძაღლი“. ჰაერში ჯერ კიდევ ტრიალებს ომის სურნელი, თუმცა, ადამიანები ნელნელა უბრუნდებიან ცხოვრების ჩვეულ რიტმს და მასთან ერთად – ომის სიცივეში მოყინულ ან, იქნებ, ომის-შემდგომი ცრემლით გამლევალ ადამიანურ განცდათა სამყაროს: სიყვარულს, მოლოდინებს, აღმაფრენებს, იმედებს... თუმცა, სადღაც, ყოველთვის, როგორც აუცილებელი ტექსტურა, არსებობს ხსოვნა – ღია ჭრილობა, ნაკვალევი, დარდი, რომელსაც ვერ გადაფარავს დრო.

დასავლურ ლიტერატურულ სტანდარტზეა ორიენტირებული რჩეულიშვილისა და სულაკაურის კიდევ ერთი თანამედროვე, ერლომ ახვლედიანი, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა მენტალობის მატარებელ ქართველ მკითხველს თამამად შეუძლვება წარმოსახვის

უჩვეულო და სიღრმისეული შრეებისაკენ. მოგვიანებით, ერლომ ახვლედიანის წიგნი „ვანო და ნიკო“, რომელმაც მძლავრად შეარყია მსოფლალქმის კლიმები, საეტაპო მნიშვნელობას შეიძენს ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის.

ნეორეალისტური განწყობილებით იწყებს თავის სამწერლო კარიერას ნოდარ დუმბაძე¹. 1960 წელს დიდი ხმაური მოჰყვა მწერლის ნეორეალისტური სულისკვეთებით გამსჭვალულ რომანს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ეს, ერთი შეხედვით, უნყინარი, იუმორით გაჯერებული ტექსტი, რომელიც გადმოგვცემს მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ქართული სოფლის ცხოვრებასა და მისი ბინადრების კეთილ, ხშირად გულუბრყვილო თავგადასავლებს, დიდი ადამიანური ნაღველითა შეფერილი: სიცილი კვლავაც დამცავი ნიღაბია, რომლის მიღმაც ადამიანების უზარმაზარი სევდა იმალება – პატარა ბიჭის უდედმამო არსებობა, ომის შედეგები, ტკივილი და სიცარიელე, ადამიანთა უსუსურობა და უუნარობა, წინ აღუდგნენ ომის ტრაგედიას. ავტორი, სევდიანი სიცილის მიღმა, პასუხს ითხოვს გლობალურ შეკითხვებზე: რა საჭიროა ომი? რატომ იწყებენ ომებს? რატომ კვდებიან ომებში ადამიანები? როგორ დალს ასვამს ომი ახალგაზრდა თაობის ცხოვრებას? ნოდარ დუმბაძის სევდანარევმა იუმორმა წარმატებით გადაინაცვლა მის რამდენიმე სხვა ტექსტშიც.

50-ინი და 60-იანი წლების ქართული ლიტერატურა აშკარად იდგა ახალი გამოწვევების წინაშე, ხოლო დროისა და კონცეპტების მეტამორფოზის, ისევე როგორც ათწლეულთა გზაგასაყარის მთავარ წილულად ერთი სიკვდილის ისტორია უნდა მივიჩნიოთ: 1959 წელს ტრაგიკულად დასრულდება XX საუკუნის ქარ-

1 მოგვიანებით ის სხვა ლიტერატურული სკოლების ფორმატსაც მოსინჯავს.

თული პოეზიის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი, აღნიშნული საბჭოთა დიქტატურისა და ჭეშმარიტი პოეზიის საბედისნერო შეჯახებით, – თავს მოიკლავს გალაკტიონ ტაბიძე, რომლის დამოკიდებულებაც საბჭოთა ხელისუფლებასთან იმთავითვე წეგატიური ნიშნით იყო აღმდეგდილი.¹ გალაკტიონის თვითმკვლელობამ გაყო არა მარტო ეპოქა, არამედ ქართული მწერლობის ისტორია: მის შემოქმედებასთან მიმართებაში, თანხმობასა თუ წინააღმდეგობაში, ჩამოყალიბდება შემდგომი პერიოდის ქართული პოეზია და ლიტერატურული გემოვნება, აღნიშნული მასშტაბური თემატური და სტილისტური ტრანსფორმაციებით. დროის სწორედ ამ სინკოპაში, ამ ნაპრალში ფორმირდება კონტურები **თანამედროვე ქართული მწერლობისა**, რომელსაც წილად ხვდა ამოზრდა უაღრესად საინტერესო ნიადაგზე: 50-იანი-60-იანი წლების მიჯნაზე ქართული მწერლობის ღირებულ ფრთას უკვე დაძლეული აქვს იდეოლოგიურ რეჟიმთან მწვავე დაპირისპირების – ბრძოლის, ლიკვიდაციისა და კვლავ აღორძინების ეტაპები, ის ახალ პორიზონტებს გაჰყურებს – უფრო გამოცდილი, ვიდრე 20-30-იან წლებში, გამობრძმედილი, ადაპტირებულიც კი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – დამორჩილებული: მიუხედავად ჯერ კიდევ ძლიერი რეჟიმისა, ის ემზადება ძლევამოსილი რეკონსტრუქციისთვის.

1 განიხილავს რა გალაკტიონის ერთ ლექსს, თეიმურაზ დოიაშვილი აღნიშნავს: „გასაბჭოების თითქმის წინა დღეებში დაბეჭდილი ლექსი „1920“ პოეტისათვის შეიძლება სახიფათო აღმოჩენილიყო. მიუხედავად ინტიმურ-ლირიკული ხასიათისა, ტექსტი აშეარად შეიცავს ახალი, პოსტრევოლუციური დროის ნეგატიურ დახასიათებას: ჩვენ წინაშეა არა უამი განახლებისა – დაადი რევოლუცია, რომელსაც ხალხისთვის ნანატრი თავისუფლება უნდა მოეტანა, არამედ „საშინელი ხანა“ – „საუკუნე უმეცარი“, როდესაც „დროის შეჩვენება“ სოციალური თანასწორობის სახელით ფიზიკურად და სულიერად ანადგურებს ადამიანებს“ (დოიაშვილი 2012: 110-111).

4.4. თანამედროვე ქართული მწერლობა: **ფორმირება და გზა**

ყოველი ლიტერატურული ეპოქა წინასწარი, ხშირად ხანგრძლივი კულტურული მომზადების, ერთგვარი პრეპარაციის შედეგია, შესაბამისად, თანამედროვე ქართული მწერლობის ისტორიის ათვლა გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან და 60-იანი წლების პირველი ნახევრიდან უნდა დავინიოთ, იმ ეპოქიდან, როდესაც ქართული ლიტერატურა მასშტაბურად მოიცვა საეტაპო მნიშვნელობის თემატურმა და სტილისტურმა ინოვაციებმა. თუმცალა, XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობა, მიუხედავად მისი განსხვავებული ფორმატისა, მჭიდროდა გადაჯაჭვული არა მარტო ამავე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობასთან, არამედ – წინარე ეპოქების ქართულ ლიტერატურულ ტრადიციასთან. ახალი ტალღის ქართველი პოეტები და პროზაიკოსები მჭიდრო კონატაქტში არიანი უფროსი თაობის უკვე აღიარებულ და ჯერ კიდევ მოქმედ თვალსაჩინო ავტორებთან – გიორგი ლეონიძესთან, სიმონ ჩიქოვანთა, კონსტანტინე გამსახურდიასთან. ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ „XX საუკუნის მწერლობა (ზოგადად – ი.რ.) მემკვიდრეობითობის ერთი „გრძელი ხაზის“ გამოვლინებას წარმოადგენს, სადაც ტრადიციები მიედინება არა მხოლოდ უშუალო წინამორბედებისაკენ, არა მხოლოდ „თაობების მიღმა“ (მაგალითად, „მამების“ თაობებს მიღმა „პაპების“ თაობებისაკენ), არამედ ისინი ხშირად მიედინება კულტურის სილრმისეული ისტორიული პლასტებისაკენ (ეს იქცა კიდევაც ინტერტექსტუალობის, როგორც მოვლენის აღმოჩენის ერთ-ერთ სტიმულად)... მემკვიდრეობითობის ხაზები, მხატვრული ურთიერთმიმართების ვექტორები არა მარტო გრძელდება და მიემართება

საუკუნეთა სილრმეში, კულტურის დასაბამთან, არამედ განიტოტება კიდევაც. განტოტებულობა და განშტოებანი კულტურისა და მისი ძირებისა ვლინდება იმაში, რომ XX საუკუნის ევროპული კულტურა მიემართება არა მარტო საკუთარ, ევროპულ ტრადიციებს (შუა-საუკუნეების კულტურული ტრადიცია უმპერტო ეკოს რომანებში), არამედ აფრიკულ ტრადიციებს (ზიკასოს კუბიზმი) და აღმოსავლურ ტრადიციებს (ფაზილ ის-კანდერის მოთხრობები)“ (ბორევი 2001დ: 461-462). ამ ტენდენციას ვერც საბჭოური მანქანა აღუდგა წინ, მით უფრო ომგამოვლილი, როდესაც რიგით ჯარისკაცებ-საც კი ევროპული ქვეყნების ნახვისა და დაგემოვნების საშუალება მიეცათ (ბევრი მათგანი აღარც დაბრუნებულა საბჭოებში): „მემკვიდრეობითობისა“ და „განტოტების“ მსოფლიო ტენდენციამ ნელ-ნელა იჩინა თავი ან უკვე მოდიფიცირებულ საბჭოთა ლიტერატურულ სივრცეში. კოპერენტულობას არა მხოლოდ ქართულ, არამედ არაქართულ, მსოფლიო კულტურულ და ლიტერატურულ ტრადიციასთან ავლენს XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობაც, რომელიც თანდათან ხსნის რეჟიმის მიერ ჩაკეტილ წრეს, აქცევს მას ჯერ სპირალად, შემდეგ კი გახსნილ კონსტრუქციად, რათა საბოლოოდ მოიპოვოს თავისუფლება.

პირველი ავტორი, რომელსაც ტრანსფორმაციების ამ რთულ გზაზე დავასახელებთ, არის ანა კალანდაძე, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლებასთან ურთიერთობის საკმაოდ რთული გზა დაძლია, ვიდრე თავისი პოეზიის ღირებულ ფრთას გააუქცებდა. გარდა იმისა, რომ მისი პოეტური ხმა ახალი ეპოქისათვის აქტუალური ინოვაციურობითა და პროგრესულობით გამოირჩა, ნიჭიერი პოეტი-ქალის გამოჩენა სამწერლო სივრცეში, სადაც ქალთა ლიტერატურა მარგინალურ პოზიციაზე იყო გადანაცვლებული, მნიშვნელოვან გენდერულ დატვირთვასაც ატარებდა: სწორედ ანა

კალანდაძის შემოქმედება იქცა ერთ-ერთი უადრეს გამოვლინებად პოეტური დისკურსის ლიბერალიზაციისა საბჭოთა პოლიტიკური ზეგავლენისგან. ღრმა, ემოციური, ფიქრიანი, გამოხატვის მინიმალისტურ მანერაზე დაფუძნებული ლექსის მეშვეობით კალანდაძის შემოქმედება ორგანულ თავსებადობას ამჟღავნებს თავის თანამედროვე დასავლელი ქალი-პოეტების შემოქმედებით ხედვებთან, თუმცა ანა კალანდაძის პოეზიაში ქალური ხედვა ელეგანტურად იკვეთება ნაციონალური ცნობიერების ტრადიციულ ქართულ მოდელთან, ისტორიული, მითოლოგიური და კულტურული არქეტიპების სისტემასთან, რაც ორიგინალური პოეტური ლანდშაფტის სახეს უნარჩუნებს მის პოეზიას. 50-60-იანი წლების მიჯნაზე და შემდგომ, 60-70-იან წლებში, თანამედროვე ქართული პოეზიის ისტორიას, **ლიბერალიზებული პოეტური დისკურსის სახით**, ანა კალანდაძესთან ერთად ქმნიან: შოთა ჩანტლაძე, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, გივი გეგეჭყორი, შოთა ნიშნიანიძე, არჩილ სულაკაური; აგრეთვე – ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახაძე, მიხეილ ქვლივიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, ემზარ კვიტაიშვილი, რეზო ამაშუკელი, მორის ფოცხიშვილი. აი, არასრული ნუსხა ქართველი „სამოციანელებისა“, რომელთა პოეტურ ტექსტებში ცხადად შეიგრძნობა ზეგავლენა დასავლური ლიტერატურული მოდისა, მოჭარბება თავისუფალი პოეტური სტილისა, გულწრფელი ლირიზმისა და მკითხველთან კომუნიკაციის უშუალო, ხანდახან – ფამილარულისაც კი, მოდელებისა. თუმცა, ამავდროს, ნინა პლანზე იწევს ქართული კლასიკური ლექსის მახასიათებლები და ტრადიციული პოეტური სულისკვეთება: გააქტიურებულია პატრიოტული და ანტიდეოლოგიური თემატიკაც კი! ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მუხრან მაჭავარიანის „1832 წლის

შეთქმულების ციკლი”, სადაც საცნაურია ეროვნული ღირებულებების ხაზგასმა:

„ქართული მარტო ენაა?!-/ქართული ქართველთ რწმენაა! /ღმერთია! /ბედისწერაა!”. მუხრან მაჭავარი-ანის ეს ფრაზა ცხადჰყოფს, რომ ფიქრი ნაციონალურ იდენტობაზე, ნაციონალურ ღირებულებებსა და ღირ-სებაზე არსად გამქრალა; რომ ის ისევ ცოცხლობს „საბჭოთა საქართველოში”.

„სამოციანელები“ თანდათანობით იპყრობენ ლი-ტერატურულ სივრცეს: იბეჭდებიან წამყვან ლიტე-რატურულ ჟურნალ-გაზეთებში, გამოსცემენ პოეტურ კრებულებს და ქართველ მკითხველს სთავაზობენ ერთმანეთისაგან საქმაოდ განსხვავებულ პოეტურ ხედვებსა და რითმებს, შინაარსობრივ თუ ფორმალურ ინოვაციებს... თუმცა, დისკურსის ეს შედარებით თა-ვისუფალი, პროდასავლური მოდელი, ერთნაირად დამკაიდრებული ქართულ პოეზიასა და პროზაში, არცთუ ხანგრძლივი პოლიტიკური „დათბობის“ შედე-გი ალმოჩნდება: 70-იანი წლებიდან, როგორც კი ყინუ-ლის დნობა საშიშ სახეს მიიღებს, საბჭოთა ლიდერებს კვლავ გაუაქტიურდებათ უცხო ხილის აკრძალვის ინ-სტინქტი – მძაფრდება საბჭოთა ხელისუფლების აგ-რესია ყოველგვარი სიახლისადმი, რაც, ერთი მხრივ, იძენს უკიდურესად ხელოვნურ ხასიათს, ხოლო, მე-ორე მხრივ, არღვევს კომუნიკაციის ელემენტარულ ნორმებს; შედეგად, მწერალი, როგორც ინფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიცირებული მომხმარე-

1 უნდა აღინიშნოს, რომ პოეტთა ახალგაზრდა თაობის გვერდით მუშაობენ, მაგრამ ანტიდეოლოგიურ პათოს ემიჯნებიან შედარე-ბით უფროსი თაობის პოეტები – ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, რომელთა პოეტურ გემოვნების ფორმირება საბ-ჭოთის პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის პერიოდს დაე-მთხვა და ბევრი საკამათო ფურცელიც მიითვალა, თუმცალა მნიშ-ვნელოვანი ცვლილებები განიცადა „ახალი დროებისა და თემების“ პირობებში (ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ირ. აბაშიძის პალესტინის ციკლის ლექსები).

ბელი, განიცდის ინფორმაციულ დეფიციტს. პოლიტიკური მარწუხებით შებოჭილმა ამ ეპოქამ სამართლიანად შეიძინა „უძრაობის“ ხანის სტატუსი, ხოლო მწერლობა მოთმინებით შეუდგა რეპრეზენტაციის ალტერნატიული გზების ძიებას. მიუხედავად იმისა, რომ „მწერლობის მოთვინიერება“¹ გრძელდებოდა და წარმატებითაც (ცალკეულ მწერლებს, ისევე როგორც კულტურის სხვა სფეროს პროგრესულ მოღვაწეებს, „თავაზიანად“ სთავაზობდნენ ქვეყნის დატოვებას, ზოგიც ნებაყოფლობით ირჩევდა ემიგრაციის გზას), ამ პერიოდის ქართული მწერლობის ალტერნატიული ფრთა მაინც აღარ იზიარებდა ქართველ მოდერნისტთა განწირული თაობის ტრაგიკულ ბედს. ეს, ერთი მხრივ, საბჭოთა ხელისუფლებაზე დასავლეთის გაძლიერებული ზენოლის შედეგი იყო, ხოლო, მეორე მხრივ, მწერლობის მიერ შეძენილი გამოცდილებისა: ვიჩქაროთ ნელა!

შექმნილ ვითარებაში, ქართულ ლიტერატურულ სივრცეში გამოკვეთილი დისეურსის სხვადასხვა მოდელების ფონზე, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ექსისტენციალური პროზა - სუბიექტივისტური დისკურსი, როგორც ანტისაბჭოთა ნარატივის შენიღბული, სიღრმისეული მოდელი, წარმოდგენილი ე.წ. „სხვაგვარად“ მოაზროვნე მწერალთა შთამბეჭდავი ჯგუფით - ოთარ ჭილაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჩხეიძე, გურამ დოჩანაშვილი, გურამ გეგეშიძე, ჯემალ ქარჩხაძე². ამ მწერლების შემოქმედებაში დასუსტება-სა და გაუჩინარებას იწყებს საბჭოთა სოციალისტური რეალიზმისათვის ნიშანდობლივი კონცეპტუალური და

1 აკაკი ბაქრაძის ტერმინი.

2 ექსისტენციალიზმისათვის ნიშანდობლივი თემები უკვე ქართული მოდერნიზმის ნიაღში შეინიშნება, მაგრამ ის ისეთივე „შენტვეტილი პროექტი“ (ბელა წიფურიას ტერმინი) აღმოჩნდება, როგორც თავად მოდერნიზმი.

სტილისტური მახასიათებლები და წინა პლანზე იწევს მათივე თანამედროვე მსოფლიო და ევროპული მწერლობისათვის აქტუალური თემები: სულიერი ღირებულებების დევალვაცია; ფუჭი მიზნებითა და იდეებით ნაკვები საზოგადოების ზნეობრივი კრიზისი; ინტელექტის მწვავე დეფიციტი; მარტობა, გაუცხოება და საკუთარი თავის ძიება. ეს მსოფლიო თემები სიღრმისეულად იკვეთება, ერთი მხრივ, აზროვნების ანტისაბჭოთა მოდელთან, ხოლო, მეორე მხრივ, ლოკალურ პრობლემებთან და თემებთან, როგორიცაა: „უძრაობა“, სწრაფვა თვითრეპრეზენტაციული თავისუფლებისაკენ, იდეოლოგიური კლიშეებისაგან თავდაცვის ინტელექტუალური მექანიზმების ძიება, პრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისა და ნაციონალური იდენტობისათვის (ამ უკანასკნელს არც არასდროს დაუტოვებია ქართული მწერლობა). საგულისხმოა, რომ მწერლები მიზნის მისაღწევად სრულიად განსხვავებულ ჟანრებს, მეთოდებსა და სტილისტურ მოდიფიკაციებს მიმართავენ. თუ ოთარ ჭილაძე, ჭაბუა ამირეჯიბი და ოთარ ჩხეიძე უპირატესობას ანიჭებენ რომანის ჟანრს – „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ (ოთარ ჭილაძე), „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ (ოთარ ჭილაძე), „დათა თუთაშხია“ (ჭაბუა ამირეჯიბი), „კვერნაქი“ (ოთარ ჩხეიძე), „ბორიაყი“ (ოთარ ჩხეიძე), და სხვ., გურამ დოჩანაშვილი, გურამ გეგეშიძე, ჯემალ ქარჩხაძე არც-თუ იშვიათად ირჩევენ მოთხოვნის ჟანრს – „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ (გურამ დოჩანაშვილი), „ვატერპოლოო“ (გურამ დოჩანაშვილი), „ჟამი“ (გურამ გეგეშიძე), „იგი“ (ჯემალ ქარჩხაძე) და სხვ. თხოვნის ამპლიტუდა მერყეობს რეალისტურ დისკურსს, მითოლოგიურ დისკურსს, დრამატულ ნარატივს, გროტესკსა და, ხშირად, აბსურდს შორის. სახეზეა არა მარტო ჟანრების, არამედ მხატვრული მეთოდების დიდი მრავალფეროვნება. ერთმანეთს

ენაცვლება მაგიური რეალიზმის, ფსიქოლოგიური რეალიზმის, ინტელექტუალური რეალიზმის, ფანტასტიკური იმაგოლოგის ელემენტები: მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეში შემუშავებული ეს ლიტერატურული სკოლები მაშველი რგოლების ფუნქციას ასრულებს გვიანი საბჭოური ეპოქის ქართული პროზისთვის.

მაგიური რეალიზმი, რომელმაც ახალი სუნთქვა შეიტანა სამხრეთ-ამერიკულ, ამერიკულ და ევროპულ მწერლობაში, თავის კვალს ქართულ მწერლობაზეც ტოვებს. „ადამიანი ცხოვრობს რეალობაში, რომელიც თავის თავში მოიცავს თანამედროვეობას და ისტორიას, ბუნებრივს და ზებუნებრივს, ჩვეულებრივს და პარანორმალურს“ (ბორევი 2001: 421). სამყაროს არსი გამონაგონისა და დაუჯერებლის უცნაური სინთეზით აიხსნება, „მაგიური (ფანტასტიკური ანდა ჯადოსნური) რეალიზმის მიზანია, დაარღვიოს დემარკაციის ხაზი, რომელიც გავლებულია იმას, რაც რეალობად გვეჩვენა, და იმას, რაც ფანტასტიკურად გვეჩვენება, შორის, ვინაიდან ამგვარი ბარიერი სამყაროში არ არსებობს“ (ბორევი 2001: 424). ამ პათოსითაა გაუღენ-თილი ალექს კარპენტიერის „მინიერი ცხოვრება“, კარლოს ფუენტესის „არტემიო კრუსის სიკვდილი“, გაბრიელ გარსია მარკესის „მარტონბის ასი წელიწადი“, „პოლკოვნიკს არავინ სწერს“, „პატრიარქის შემოდგომა“, მარიო ვარგას ლიოსას „ქალაქი და ძალლები“, „მწვანე სახლი“, „ხულია დეიდა და მოკალმე“, მიგელ ანხელ ასტურიასის „მულატი ქალი, როგორც მულატი ქალი“, „მალადრონი“, ხულიო კორტასარის „მოგებანი“, „კლასობანა“ და სხვ. ქართულ მწერლობაში ზოგან თვალნათლივ (ოთარ ჭილაძე, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“), ზოგან – ცალკეული ელემენტების სახით (ოთარ ჭილაძე, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, ჯემალ ქარჩხაძე, „მდგმურები“) შეინიშნება მაგიური რეალიზმისათვის ნიშანდობლივი მარკერების დამკვიდ-

რება ტექსტში: აუხსნელი, დაუჯერებელი მოვლენების შემოტანა ისე, რომ პერსონაჟებს ეჭვიც არ შეაქვთ ამ მოვლენათა ლოგიკაში; სენსორული აღქმის ელემენტების გააქტიურება; სიმბოლოებისა და მეტაფორული სახეების გამოყენება; დროის სუბიექტივიზაცია (ის ხან ციკლურია, ხან შექცევადი, ხანაც – აგონიური); ფოლკლორული და მითოლოგიური ელემენტების გასიუჟეტება (მითოლოგიზაციის სიმძლავრით ქართული მწერლობის ეს ფრთა, როგორც ანგარიშგასასნევ წინაპარს, გრიგოლ რობაქიძის ნარატივსაც ითვალისწინებს); ტექსტის დასრულება ღია ფინალით და ა.შ. როგორც ჩანს, მაგიური რეალიზმი, მისთვის დამახასიათებელი მოჭარბებული რომანტიკული ფანტაზიით, არარეალური რეალიზმითა და სიკეთის ზღაპრული რწმენით, ნაკლებად საშიშ მოწინააღმდეგედ მიიჩნია საბჭოთა ცენზურამ. მხედველობიდან იქნა გაშვებული ის ფაქტი, რომ მაგიური რეალიზმის წიაღში წარმოსახული ყოველთვის ერწყმის ყოფითს და, რაბლეანური სიცილით შენიღბული, ხშირად ამარცხებს ამ უკანასკნელს, როგორც არასაკმარისად ვარგისიანს.

ანალოგიური ეფექტურობით მკვიდრდება XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში **ინტელექტუალური რეალიზმიც**, რომლის მთავარ პისტულატს წარმოადგენს სიკეთის ქმნით მიღწეული ბედნიერება, ხოლო მთავარი კითხვა ასეთია: არსებობს გზა, რომ სამყარო გახდეს უფრო ადამიანური? ინტელექტუალური რეალიზმის ფარგლებში გამძაფრებული ავტორის კონცეპტუალური და ფილოსოფიური აზროვნება, მიმართული სამყაროს შეცნობისა და მისი სულიერ-ინტელექტუალური დილემის გადაჭრისაკენ, ახლობელი აღმოჩნდა მთელი რიგი ქართველი მწერლებისათვის. ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, ოთარ

ჩხეიძის „ბორიაყი“, გურამ გეგეშიძის „უამი“, ოთარ ჭილაძის „გოდორი“, ჯემალ ქარჩხაძის „ზებულონი“, განსხვავებული მანერისა და თემატური მიზნების მიუხედავად, გაჯერებულია სურვილით, რომ მოვლენა აქციოს აზრად, იდეად, ხედვად, კონცეფციად. ამ ტექსტების ემოციური ფონი მათივე ინტელექტუალური ენერგიითაა განპირობებული: სამიზნეს წარმოადგენს არა ცალკეულ პერსონაჟთა მარტოსულობა ან გაუცხოება, არამედ სამყაროს ინტელექტუალური და სულიერი კრიზისი და ამ სამყაროში გამოკეტილი თანამედროვე ადამიანის ტრაგედია. ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ XX საუკუნის ქართული ინტელექტუალური რეალიზმი ეყრდნობა ამ ლიტერატურული სკოლის არა მარტო დასავლური ნაკადის ტრადიციას (უილიამ საროიანი, ჰენრი მანი), არამედ ქართველი წინამორბედების – მიხეილ ჯავახიშვილის, ვასილ ბარნოვის, ლეო ქიაჩელის ლიტერატურულ გამოცდილებას.

ცოტა მოგვიანებით, თუმცადა ამავე ფრთის ქართულ მწერლობაში, შეინიშნება ფსიქოლოგიური რეალიზმის ტენდენციებიც (აյ შუძლებელია, როგორც ნიმუში, არ გაგვახსენდეს მიხეილ ჯავახიშვილის „კურდლელი“, დაწერილი 1935 წელს): მთელ რიგ ტექსტებში შეიგრძნობა პიროვნების გაზრდილი პასუხისმგებლობა, რაც, პირველ ყოვლისა, მისი შინაგანი სამყაროს, ფიქრების, განცდების, ემოციების რეპრეზენტაციაზეა ორიენტირებული და არა ქცევასა თუ მოქმედებაზე. მაგალითისათვის, ოთარ ჭილაძე რომანში „აველუმი“ და ჯემალ ქარჩხაძე მოთხოვნებში „იგი“ მიზნად ისახავენ, დაძლიონ „ექსისტენციალური განწირულობა“ ადამიანისა დარჩეს მარტო, სრულიად გაუცხოებული სამყაროსა და ადამიანებთან. სხვა საკითხია, რამდენად წარმატებულია ეს მცდელობა?..

საგულისხმოა, რომ აქ დასახელებული ყველა ქართველი მწერალი დღეს უკვე სამართლიანად არის

მიჩნეული ქართული ლიტერატურის კლასიკოსად, მიუხედავად იმისა, განაგრძობს თუ არა ამჟამად თავის მოღვაწეობას. ან გარდაცვლილი ჭაბუა ამირეჯიბი და ოთარ ჭილაძე მრავალგზის იყვნენ წარდგენილნი ნობელის პრემიაზე, 2009 წელს ოთარ ჭილაძის სახელი ნომინანტთა საბოლოო ნუსხაშიც იქნა შეტანილი. 2014 წელს კი ნობელის პრემიაზე წარდგენილი იყო გურამ დოჩანაშვილი. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი რომანი „სამოსელი პირველი“ არის წიგნი სიკეთისა და ბოროტების შემეცნებაზე, რომელსაც სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ „ცხოვრების წიგნი“. თავის ხანგრძლივ შემოქმედებით გზაზე (XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე) გურამ დოჩანაშვილი სრულად ავლენს ფენომენალურ შესაძლებლობას, არა მარტო აირეკლოს თავისი ეპოქისა და საერთაშორისო ლიტერატურული ტენდენციების მრავალფეროვნება, არამედ შეახსენოს მსოფლიოს, რომ არსებობს პატარა, მაგრამ უძველესი ტრდიციების მქონე ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვია.¹

60-70-იანი წლების ქართულ სალიტერატურო პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას მივაძებევდი ქართველ მწერალთა კიდევ ერთ ჯგუფს, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოების არა მარტო სულიერინტელექტუალურ თუ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ, არამედ ყოფით-სოციალურ პრობლემებსა და ცვლილებებზე. მათი მოღვაწეობა ათწლეულებზეა განვრცილი: რევაზ ინანიშვილი, ნოდარ დუმბაძე, რეზოჭეიშვილი, არჩილ სულაკაური, ვაჟა გიგაშვილი, ნოდარ წულეისკირი, თამაზ ბიბილური, ნუგზარ შატაიძე. ორდინარული, თუმცა ხშირად არაორდინარული სიტუაციებიც, სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემები, ადამიანური დილემები, ღირსეული გამოსავლის მუდმივი ძიება – ამ თემების რეალიზაციისათვის დასახე-

¹ ეულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანია არა მარტო „მიღების“, არამედ – „გაცემის“ უნარი.

ლებული მწერლები წარმატებით იყენებენ როგორც
რომანის, მოთხოვბისა და ნოველის, ისე ზღაპრისა
და იგავის ჟანრს. წერის მანერა ძალზე დინამიურია,
ხშირად აღსავსე იუმორით, სატირითა და პაროდიით.
ინანიშვილი ვირტუოზულად ფლობს მოთხოვბისა
და ნოველის ჟანრებს და ქმნის შეუდარებელი მწერ-
ლური ალლოთი და გემოვნებით გამორჩეულ ქარ-
თულ შედევრებს – „დავითის ხმალი“, „კაცი და ქალი“,
„ნეკერჩელის წითელი ფოთოლი“, „უკულმა დაჭედი-
ლი“ და სხვ., რომლებიც არნახული ლიტერატურული
გულწრფელობითა და სისადავით მიემართება მკითხ-
ველს. ინანიშვილის ტექსტების ენა, მართალია, ქარ-
თულია, მაგრამ სათქმელი – საყოველთაო.¹

მიუხედავად იმისა, რომ 1960-70-იანი წლების ქარ-
თველ პროზაიკოსთა ტექსტები სხვადასხვა ენებზეა
თარგმნილი, თარგმანის სტრატეგია მაინც საბჭოური
სტანდარტით იყო განსაზღვრული და, ვფიქრობთ,
საფუძვლიან გადახედვას საჭიროებს. ამ მწერალთა
შემოქმედების ამეტყველება საერთაშორისო ენებზე
თანამედროვე ქართული მთარგმნელობითი სკოლის
პრიორიტეტადაც შეიძლება განისაზღვროს: ქართვე-
ლი ავტორების თარგმანის გააქტიურება, ენობრივი
არეალის გაფართოება და გამოცემა მნიშვნელოვნად
აამაღლებს თანამედროვე ქართული კულტურის ავ-
ტორიტეტს საერთაშორისო კულტურულ სივრცეში და
წარმოაჩენს მისი ჩართულობის ხარისხს. მკითხველის
(არაქართულენოვანის) ინტერესი ქართული მწერლო-
ბის ამ პერიოდისადმი რომ მაღალია, ამაზე არაერთი
ბოლოდროინდელი ფაქტი მეტყველებს: ნიდერლან-
დურ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ერლომ ახვლედი-
ანის „ვანო და ნიკო“ (მთარგმნელი ინგრიდ დეხრავე)
და წარმატებით დაიმკვიდრა ადგილი ბაზარზე, დას-
რულებულია წიგნის ინგლისურენოვანი თარგმანიც

1 ამავე პერიოდში იწყებს მოლვანეუბას შესანიშნავი მწერალი - გივი
მარგელშვილი, მაგრამ მისი შემოქმედება, სპეციფიკურობისადა
გამო, ცალკე კვლევის საგანი გახდება.

(მთარგმნელი მერი ჩაილდსი); სლოვენიურ ენაზე 2012 წელს გამოიცა „XX საუკუნის ქართული მოთხოვბა“, რომელშიც დაიბეჭდა გურამ დოჩანაშვილის, რეზო ჭეიშვილის, რევაზ ინანიშვილის, ნუგზარ შატაძის მოთხოვბები (მთარგმნელი – ლიუანა დეჯაკი); ინგლი-სურ ენაზე დასრულდა ოთარ ჭილაძის რომანის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ თარგმანი (მთარგმნელი – მერი ჩაილდსი); რამდენიმე წლის ნინათ იაპონურ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ნოდარ დუმბაძის რომანი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (მთარგმნელი იასუჭირო კოჯიმა), რომელებიც დიდი ინტერესით მიიღო მკითხველმა. ინგლისურ ენაზე ითარგმნება ჯემალ ქარჩხაძის რომანები. ყოველივე ეს დადასტურებაა იმისა, რომ გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ქართული ლიტერატურული პროდუქცია საინტერესო და მიმზიდველია უცხოელი მკითხველისათვის, მით უფრო, რომ მასალის არჩევანი საკმაოდ ფართო და არაერთგვაროვანია – 60-70-იანი წლების მიჯნაზევე და მოგვიანებით ქართულ სალიტერატურო სივრცეში დისკურსებისა და ნარატივის ფორმების დიდი მრავალფეროვნება შეინიშნება: **ნეორომანტიკული დისკურსი, წარმომადგენლები** – გიორგი ბაქანიძე, ვლადიმერ (ვოვა) სიხარულიძე, მერაბ აბაშიძე, ჯემალ თოფურიძე, სოსო პაიჭაძე, რომელთა მწერლური ხმა განსაკუთრებული სიახლითა და სიხალასით უღერს „უძრაობის ხანის“ ლიტერატურულ სივრცეში და ინტელექტუალური ოპტიმიზმით აღავსებს ჩარჩოებში იძულებით მოქცეულ საბჭოთა ახალგაზრდობას; ამავე სიბრტყეზე მუშაობენ, თუმცა უფრო **მოზარდების ნარატივის** მიმართულებით – ყარამან კიკვიძე, ედიშერ ყიფიანი, გურამ პეტრიაშვილი; კვლავაც რეკონსტრუირებულია **ისტორიული დისკურსი**, წარმომადგენლები – ლევან გოთუა, გრიგოლ აბაშიძე; ფიქსირდება ფანტასტიკის ჟანრიც, წარმომადგენელი – გურამ ფანჯიკიძე. არც ტრადიცი-

ული საბჭოთა დისკურსი გამქრალა სადმე: უბრალოდ, გარესამყაროდან გაძლიერებული პოლიტიკური თუ კულტურული ზენოლის ფონზე, აგრეთვე, სახეცვლილი შიდაიდეოლოგიური მართვის პირობებში, მანაც იცვალა სახე და მოდერნიზებული ფორმა შეიძინა – მომრავლდნენ წინდახედული აპოლოგეტები, რომლებიც, ერთი მხრივ, „თანაუგრძნობდნენ“ და ყოველმხრივ „ეხმარებოდნენ“ შედარებით თამამ და ამის გამო მარგინალიზებულ კოლეგებს, ხოლო, მეორე მხრივ, სიამოვნებით იღებდნენ ხელისუფლებისაგან საჩუქრად თანამდებობებს, პრემიებს, ბინებს, აგარაკებს, მანქანებს... ხარისხის თვალსაზრისით რამდენადმე მოისუსტებდა მწერლობის რადიკალური ფრთა (ე.ნ. დისიდენტური მწერლობა)¹, თუმცადა, მაინც ინარჩუნებდა ზეგავლენას ქართულ საზოგადოებაზე (ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას პოეზია, პეტრე გრუზინსკის – „შიშში აღზრდილი“, მე მეცოდება კასტრირებული ჩემი თაობა....). სწორედ ანტისაბჭოთა დისკურსის უტრირებული მოდელის სისუსტე მეტ სივრცეს ტოვებდა მოდერნიზებული საბჭოთა დისკურსის აყვავებისთვის, რომელიც განსხვავებული მიზანდასახულობისა და ფუნქციის კონცეპტუალურ მოდელებში რეალიზდა:

- ე.ნ. ადაპტირებული დისკურსი, კონფორმისტები, როგორც ანტისაბჭოთა და საბჭოთა დისკურსების ინტელექტუალური მორიგების მცდელობა;
- ნეიტრალური დისკურსი (ჩაურევლები).

ამგვარი დიფერენციაციის საფუძველი, ცხადია, უკვე აღარ იყო მხოლოდ იდეოლოგიური ანტაგონიზმი დისკურსებს შორის ან, თუნდაც, ლიტერატურული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები, არამედ მწერლების პოზიცია, პროგრესული თუ რეგრესული, როგორც სოციალური იდენტიფიკაციისა და კომუნიკაციის ფორმის გამოვლინება.

¹ გაზუსტებთ: არა დისიდენტური მოძრაობა, არამედ – დისიდენტური მწერლობა.

ასევე მრავალფეროვანი და დისკურსული თვალ-საზრისით დატვირთული აღმოჩნდება 70-80-იანი წლების ქართული პოეზია. ვლინდება პოეტური ნარა-ტივის როგორც ანტისაბჭოთა, ისე დასავლური ხედვე-ბით გაჯერებული სილრმისეული მოდელები. ნაციო-ნალური პრობლემებისა თუ ფილოსოფიური ჭვრეტის ზღვარზე იქმნება შესანიშნავი პოეტური ტექსტები, რომელთა ავტორები, სამოციანელებთან ერთად, არიან ბესივ ხარანაული და ლია სტურუა. მათ ქარ-თულ პოეტურ სივრცეში დიდი ნარმატებით შემოაქვთ დასავლეთში უკვე აპრობირებული თავისუფალი ლექ-სის ფორმა – **ვერლიბრი.**¹ ამავე პერიოდში იძეჭდება გივი ალხაზიშვილის, იზა ორჯონიგიძის, დავით მჭედ-ლურის, თედო ბექიშვილის, ჯარჯი ფხოველის, მამუკა წიკლაურის, თამაზ ბაძალუას (ნაადრევად გარდაცვ-ლილი ნიჭიერი პოეტის), ბათუ დანელიას, ელა გოჩი-აშვილის პირველი პოეტური კრებულები, გამორჩეული თემატური და ჟანრული ძიებებით.

საგულისხმოა, რომ ამ პერიოდის ქართულ მწერ-ლობაში რამდენადმე შემცირებულია ქართული კულ-ტურისათვის ტრადიციული აღმოსავლური კანონის გავლენა და გაძლიერებულია შედარებით უცხო და ეგზოტიკური აღმოსავლური მოდელების – იაპონური და ჩინური მწერლობის შეცნობა. ამას ადასტურებს არა მარტო იაპონელი და ჩინელი ავტორების თარგმნა და გამოცემა ქართულ ენაზე ან იაპონური ფილმების პოპულარობის ზრდა, არამედ – ცალკეული ქართველი პოეტების მიერ ჰაიკუსა და ტანკას ფორმების ადაპ-ტირება. ამის მიზეზი, შესაძლოა, იყოს თავად რიგი აღ-მოსავლური ქვეყნებისა და კულტურების დეკადანსი:

1 ვერლიბრის მკვლევარი ქართველი კრიტიკოსები ამ ჟანრის დამკვიდრებას ქართულ პოეზიში ბოლო დროს ხშირად უკავშირებენ 50-იანი წლების გამორჩეული ქართველი პოეტის, შოთა ჩანტლაძის სახელს.

ოსმალეთის იმპერიის დაცემა, დასავლეთის გავლენის გაძლიერება, „გადასავლურების“ ტენდენციის მოძალება, ზოგან შეიარაღებული ბრძოლა დასავლური ექსპანსიის წინააღმდეგ, და, საპირისპიროდ ამისა, იზოლირებული და შეუცნობელი იაპონური სამყაროს მოახლოვება...

პროზისა და პოეზიის კვალდაკვალ, 60-70-იანი წლებიდან, მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება ქართულ ორიგინალურ დრამატურგიაში, რომელიც წარმოდგენილია საინტერესო ავტორებით – თამაზ ჭილაძე, რეზო გაბრიაძე, რეზო ჭეიშვილი, ერლომ ახვლედიანი, ოტია იოსელიანი, მერაბ ელიოზიშვილი, ირაკლი კვირიკაძე, ზაირა არსენიშვილი, რეზო ესაძე. მათ დრამატულ ტექსტებში აქცენტირებულია ინტელექტუალური, ფსიქოლოგიური და სოციალური თემატიკა. ეს უკანასკნელი ხშირად განზავებულია საბჭოთა რეჟიმის ირონიზებისა და პაროდირების ტენდენციასთან. ქართველი დრამატურგების სცენარების მიხედვით არა მარტო საეტაპო მნიშვნელობის სპექტაკლები იდგმება, არამედ იქმნება მსოფლიო დონის კინოფილმები: „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ და სხვ., რომლებიც არაერთი პრესტიული საერთაშორისო პრემიით არის აღნიშნული. აქედან, პირველი სამი თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ ანტი-უტოპიური დრამის ჟანრს და, მეტიც, – საბჭოთა აპსურდი ვუწოდოთ.

80-იანი წლებიდან დრამატურგთა ამ გუნდს შეემატებიან ახალგაზრდა ავტორები – ლაშა თაბუკაშვილი, შადიმან შამანაძე, ლალი როსება, ირაკლი სამსონაძე. მათი პიესები იმთავითვე მიიქცევს ყურადღებას გაბედული თემატური ექსპერიმენტებით. შადიმან შამანის პიესებში „ღია შუშაბანდი“ და „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში“ მწვავედ შეიგრძნობა საბჭოური

ცხოვრების მოყირჭებული რეალობა, იდეალების დამხობა, ღირებულებების გადაგვარება, ახალგაზრდების შეუთავსებლობა დადგენილ წესთან, პროტესტი და გამოსავლის ძიების მძაფრი სურვილი; ლაშა თაბუკაშვილის პიესები „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, „შენკენ სავალი გზები“ ფართო კონტექსტში გააზრებს თავისი თანამედროვე ქართული საზოგადოების პრობლემებს, არ ერიდება ტაბუდადებულ თემებს, ცდილობს მიაგნოს სიმართლეს და ზნეობრივ ღირებულებებს; ირაკლი სამსონაძე კი თანდათან გადაიქცევა ანგარიშგასაწევ ძალად თანამედროვე ქართულ დრამატურგიაში თავისი სიღრმისეული, მრავალფეროვანი პრობლემატიკით გამორჩეული პიესებით, რომელთაგანაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პიესა „ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი“. აღსანიშნავია, რომ დასახელებული ახალგაზრდა დრამატურგები აღარ მიმართავენ ირონიზებისა და პაროდირების ნაცად ნილებს, არამედ „პირდაპირ ნასროლი ქვებით“ ეწინააღმდეგებიან საბჭოურ სტანდარტს.

საგრძნობლად აქტიურდება ქალთა მწერლობა. ის უკვე აღარ არის მარგინალური დისკურსი, დაფუძნებული ცალკეულ შემოქმედთა ხმებზე, არამედ ირგებს ქართული მწერლობის ერთ-ერთი ძირითადი მოდელის სტატუსს. ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ქალთა მწერლობა 80-იანი წლების საქართველოში ნაკლებად ემთხვევა მსოფლიო ფემინისტური პროზის სტანდარტს. ის განსხვავებულია და სწორედ ეს განსხვავებულობა უმკვიდრებს მას განსაკუთრებულ ადგილს საერთაშორისო გენდერულ მწერლობაში. დავასახელებთ ავტორებს: ანა მხეიძეს, თავისი საეტაპო მოთხოვობით „არჩევანი მე“; ნაირა გელაშვილს, შესანიშნავი ტექსტებით – „დედის ოთახი“, „ამბრინი, უმბრინი და არაბნი“, „სერსო“, „პირველი ორი წრე“; ზაირა

არსენიშვილს, ძალზე ყურადსაღები რომანით „ვა, სოფელო...“; მაკა ჯოხაძეს ფაქიზი, სიღრმისეული მოთხოვნების კრებულებით – „გურამ-გურამ“, „გა-დარჩენილი პეიზაჟი“, რომანით „მარადიული ბალა-განი“; ქეთი ნიუარაძეს რომანით „ავტოპორტრეტი“. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის ქალთა მწერ-ლობა საქართველოში უტრიალებს ინტერნაციონალურ თემებს, როგორებიცაა: ფსიქოლოგიური პრობლემები, გაუცხოება, მარტოობა, ტრაგიული სიყვარული (ინ-ტიმური ურთიერთობების მინიმალური აქცენტირების ფონზე), ის ინარჩუნებს ორგანულ კავშირს ტრადიცი-ულ ქართულ სტანდარტთან, როგორიცაა – ზნეობრი-ობის პრევალირება, ნეორომანტიკული განწყობილე-ბების შემოტანა, ეროვნული ღირებულებების ძიება და, ამავე დროს, არ ერიდება ხმამაღლა საუბარს საბჭო-ური რეალობის გამწვავებულ თემებზე.

80-იანი წლების შუაპერიოდიდან საქართველო უმ-ძიმეს პოლიტიკურ ფაზაში შეაბიჯებს: წინ არის საბ-ჭოთა რეჟიმის დასასრული, სამოქალაქო ომი, მსხვერ-პლი, ქაოსი... იცვლება რეალობა, დისკურსი, სტილი. 50-60-70-იან წლებში შემუშავებული ნარატიული მოდელები, როგორც ახალი ტრადიცია, თუმცადა ინ-არჩუნებს პოზიციებს, აშკარად ექვემდებარება კონ-ტექსტით ნაკარნახევ ცვლილებებს. მწერლობა თით-ქოს ავისმომასწავებელი მოლოდინის რეჟიმში გადა-ინაცვლებს, ის უაღრესად გულახდილი ხდება, რადიკა-ლიზმი ერწყმის თაობის ტრაგიზმს, სოციალური პლანი გაჯერებულია ბრაზით, პროტესტით, ტკივილით, ფსი-ქოლოგიური დილემის შეგრძნებით; სწორედ ეს ტენ-დენციები მრავალფეროვან რეალიზებას პოულობს ნეონატურალისტური რეალიზმის სახით კოტე ჯანდი-ერის, ზაალ სამადაშვილის, ირაკლი ლომიოურის, ირაკ-ლი სამსონაძის, ზაზა თვარაძის და სხვათა ტექსტებ-

ში,¹ იკვეთება პოსტმოდერნიზმის ადრეული ნიშნებიც.

ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში სტილის უაღ-რესი თავისთავადობით გამოირჩევა ან უკვე გარდაც-ვლილი შესანიშნავი მწერლის, სცენარისტისა და რე-ჟისორის, გოდერძი ჩოხელის შემოქმედება. მის წიგნებ-ში – „ბინდისფერი ხეობა“, „ადამიანთა სევდა“, „მგელი“ თუ სხვა – რეალობა მუდმივად არსებობს ქართული მითოლოგიური არქეტიპებისა და სამყაროს ილუზო-რულობის განცდის საზღვარზე. მისი ტექსტები გაუ-ღენთილია ექსისტენციალური კითხვებით, მთელ რიგ მოთხოვებში კი სამყაროს დარღვეული ჰარმონიისა და ადამიანის ტანჯვის აბსურდულ განცდამდე მისუ-ლი ტკივილი იკითხება. გოდერძი ჩოხელის პროზაში, ისევე როგორც ამ ეპოქის მთელ ქართულ მწერლობაში, უმნივერსად იგრძნობა რეალობის ტრაგიული განც-და, ზნეობრივი ღირებულებებისა და საყრდენების ძიების გარდაუვალი აუცილებლობა – სამწუხაროდ, ხშირად უშედეგო...

წარმოდგენილი მიმოხილვა ცხადყოფს, რომ XX საუკუნის საბჭოთა პერიოდის ქართული მწერლობა, პოლიტიკური და იდეოლოგიური რეჟიმის არაერთ-გვაროვანი პარადიგმის ფონზე, ასეთსავე არაერთ-გვაროვან და არათანაბარ პროექციას ქმნის: ბოლშე-ვიკური რევოლუციის შემდგომი ოცნლეულის მანძილ-ზე (1921-1941 წ.წ.) ის დიქტატურის მიერ დანერგილი საბჭოთა დისკურსის (სოციალისტური რეალიზმი) და ქართული ლიტერატურის განვითარების ბუნებრივი გზით დამკვიდრებული ანტისაბჭოური, პროდასავლუ-რი – მოდერნისტული და ავანგარდული – მწერლობის

1 ნეონატურალისტური რეალიზმი განსხვავდება ნატურალიზმის „პრეანგარდული“ სულისკვეთებისა და კრიტიკული რეალიზმის რიტორიკული სტილისგან. ის უფრო მეტად უახლოვდება ნატურა-ლისტური სკოლის ტენდენციებს, რომელიც, გოგოლის თაოსნო-ბით, ამკვიდრებს რეალობის ტრაგიულობის გულახდილ და ირო-ნიულ განცდას.

საბედისწერო დაპირისპირების ასპარეზია: მწერლობის პროგრესული ფრთა თავგანწირულად ცდილობს დაიცვას საკუთარი ლირსება და „მაღალი ლიტერატურის“ ავტორიტეტი, შეინარჩუნოს კავშირი მსოფლიო ლიტერატურულ პროცესთან, რასაც ტრაგიკულად ეწირება კიდევაც; 30-იანი წლების შუახანებიდან სამამულო ომის დასასრულამდე, ქართული მწერლობა სრული საერთაშორისო იზოლაციის ფაზაში იმყოფება და, უპირატესად, საბჭოთა დისკურსის ბრჭყალებშია მოქცეული; „ოტტეპელის“ ხანიდან კვლავ იწყება ქართული მწერლობის ლირებული ფრთის აღდგენა: მიუხედავად რთული იდეოლოგიური ვითარებისა, XX საუკუნის 50-70-იანი წლების ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურული პროცესების ლირებულ იმპლიკიას წარმოადგენს, რომელიც არა მარტო აირეკლავს ამ ინტერკულტურულ მოდელს (ნეორეალიზმი, მაგიური რეალიზმი, ინტელექტუალური რეალიზმი, ფსიქოლოგიური რეალიზმი, ლიტერატურული ანტიუტოპია და სხვ.), არამედ ამდიდრებს მას საკუთარი, ორიგინალური ქართული თემებითა და წარმოსახვებით; 80-იანი წლების ბოლოს კი ცხადი ხდება, რომ საბჭოთა იმპერიას საძირკველი შეერყა, საბჭოთა ლიტერატურა, როგორც ცნება, ღიად განიცდის კონცეპტუალურ დევალვაციას და ახალი პროცესების მოლოდინში იმყოფება: წინ არის იმპერიის რღვევა, კონცეპტების ტრანსფორმაცია, დაპირისპირებათა გააქტიურება. საგულისხმოა, რომ 70-იანი წლების უკვე მიწურულს ჯერ გაუბედავად, შემდეგ კი მკვეთრად გაისულერებს ფრაზა: „კავკასიური ნაციონალობის სახე“. ერთ-ერთ პირველ მარკერად დავასახელებდი გიორგი დანელიას ფილმს „მიმინო“, რომელშიც ტრაგიკომიკური შუქ-ჩრდილების მიღმა ნაციონალური იდენტობის პრობლემა შეიძლება წავიკითხოთ, ხოლო ქართველი პილოტისა და სომეხი მძღოლის ურთიერთობა ვებერთელა, უცხო რუსულ

გარემოში ჩაკარგული ორი კავკასიელის კონსოლიდაციის ნიშნების მატარებელია (თუმცა, რეჟისორს იქვე უხდება ხარკის გადახდა საბჭოთა კონიუნქტურისათვის მეორე ქართველის, როგორც უარყოფითი პერსონაჟის გამოვლენის მეთოდით). მიუხედავად იმისა, რომ დანელიას ფილმში პრობლემის პოზიტიური ინტერპრეტაცია უფროა ჩადებული, ვიდრე ნეგატიური, ერთი რამ ცხადია: ბარათაშვილისეული „თვისება ერთა“ კვლავაც დეკლარირებულია! მოგვიანებით, 90-იანი წლებიდან, საბჭოთა სისტემის რღვევის შედეგად, დაძაბული პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო უკიდურესად გაამძაფრებს ეთნოსის ტოპონიმიკას – საბჭოთა დიქტატურა თავის დასასრულს, ხოლო მასში იძულებით გაერთიანებული ნაციონალური ერთეულები კვლავ აღიარების ესოდენ ნანატრ ფაზას მიუახლოვდებიან, თუმცალა, როგორც მოსალოდნელი იყო, ნეგატიური ინტერპრეტაციით: „საბჭოთა მთლიანობის“ პოლიტიკა იმპერიის ნანგრევებში გადაინაცვლებს, მაგრამ ადგილს დაუთმობს არანაკლებ საშიშლია ეთნიკურ კონფრონტაციებს კავკასიის რეგიონში – კვლავაც ნამოტივტივდება „კავკასიისა“ და „კავკასიელის“ ცნებები, თუმცალა, ორივე ეს ცნება სრულიად ახალი ტიპის დისკურსის ნარმოქმნის საბაბადი იქცევა, დისკურსისა, რომელიც გაჯერებული იქნება ერთმანეთთან დაპირისპირებით, ომით, ტკივილითა და უსამართლობით.

თუკი შევუდგებით საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურული დისკურსის დეკონსტრუქციის დასაბამის ძიებას, რასაკვირველია, 1978 წლის 14 აპრილს მოვნიშნავთ, როდესაც ქართულმა საზოგადოებამ პროტესტის მანამდე არნახულ ფორმას მიმართა, რათა დაეცვა ქართული ენის ღირსება და ეროვნული მნიშვნელობა. ეს დღე მრავალი თვალსაზრისით იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში

და, მათ შორის, ქართული ლიტერატურული დისკურსის ტრანსფორმაციის თვალსაზრისითაც. თუმცადა, საბჭოთა დიქტატურის დასასრული 1991 წელს გაფორმდა და ქართულმა ლიტერატურამაც, ისევე როგორც თავად პოლიტიკურმა ცხოვრებამ, ახალი სტატუსით განაგრძო არსებობა.

როგორი იქნება პოსტსაბჭოთა ქართული მწერლობა? როგორ დაძლევს იგი ტრანსფორმაციის რთულფაზას და თუ მოძებნის ახალ ბმულებს მსოფლიო ლიტერატურულ პროცესთან?

თავი მეცნიერება

**პოსტსაბჭოთა ქართული მეცნიერება:
ტრანსფორმაციის, გადანაცვლების და
იდენტობის კვლავაღმოჩენის რთულ გზაზე**

5.1. პოსტსაბჭოთა რეალობა, გარესამყარო და ქართული პოსტმოდერნიზმი

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინტელექტუალურ წრე-ებში დღეს ძალიან ხშირად გაისმის გერტრუდა სტე-ინის ცნობილი ფრაზა „დაკარგული თაობა“ და ის XX საუკუნის 80-90-იანი წლების თაობას მიემართება, თაობას, რომელიც საბჭოთა გარემოში დაიბადა და აღიზარდა, მაგრამ სრულიად განსხვავებულ, პოსტ-საბჭოთა რეალობაში მოუწია ცხოვრების გაგრძელება. ისტორიამ არ დაინდო ეს თაობა: სამოქალაქო და ქვეყანათაშორისი ომები, ეთნიკური დაპირისპირებანი, მსხვერპლი, სიბნელე, შიმშილი, უკიდურესი გაჭირვება – ყველა ეს უბედურება ერთბაშად დაატყვდათ თავს საბჭოური წესის პირობებში აღზრდილ ახალგაზრდებს და რადიკალურად შეცვალა მათი სამომავლო გეგმები, იმედები, ილუზიები.... ეროვნული დამოუკიდებლობის, სიტყვისა და ფიქრის თავისუფლების ესოდენ ნანატ-რმა გზამ უდიდეს ადამიანურ ტკივილზე, სევდასა და მიუსაფრობაზე გაიარა. საბჭოთა ეპოქაში პრივილე-გირებული „ოქროს ახალგაზრდობის“, ისევე როგორც ახალგაზრდობის ნაკლებად პრივილეგირებული ფენის დიდი ნაწილი ომებს, ნარკომანიასა და ალკოჰოლიზმს ემსხვერპლა და მხოლოდ ერთეულები გადარჩნენ – გა-დარჩნენ ისინი, ვინც იპოვა ძალა, თავის თავში აღმო-

ეჩინა სასიცოცხლო და შემოქმედებითი ენერგია, რა-საც უნდა ეხსნა ღვთის ანაბარად მიტოვებული ქვეყ-ნები და ხალხები. ასეთი იყო ისტორიის ბასრი ცელის მოსავალი...

90-იან წლებში საქართველო აღარაფრით ჰგავდა საბჭოთა კავშირის „ყველაზე მზიან და აყვავებულ რესპუბლიკას“: თოფის სროლის ხმა, ბნელი ქუჩები და გამოციებული სახლები სივრცეს აღარ ტოვებდა წიგ-ნის კითხვისა და ინტელექტუალური საუბრებისთვის – ოჯახის დაპურება ადამიანთა ცხოვრების მთავარ მიზნად იქცა და ხალხიც მოთმინებით იდგა ქარავა-ნივით გრძელ და უსასრულო პურის რიგებში. საქარ-თველო ჩათრეული აღმოჩნდა სამოქალაქო ომში, აფ-ხაზეთთან ომში, რამაც შედეგად მოიტანა სისხლი, სიკვდილი, ტერიტორიების დაკარგვა. ქვეყანა ეკონო-მიკურმა კრიზისმა, კორუფციამ და პოლიტიკურმა ქა-ოსმა მოიცვა; შემოქმედებითი კრიზისის ფაზაში აღ-მოჩნდა კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა...

დაშლილი საბჭოთა კავშირი, დანგრეული ბერლი-ნის კედელი, დარღვეული, ერთ დროს მონოლითური ტერიტორიები კარდინალური ცვლილებების მაუწყე-ბელია. დასავლეთი კვლავაც ირგებს პოლიტიკური და კულტურული ლიდერის როლს: მსოფლიოს დიდ ნაწილში, ყოფილი საბჭოთას ტერიტორიებზე და სხვა ცხელ წერტილებში გამეფებული კრიზისი ამძაფრებს გარდაუვალი კატასტროფის შეგრძნებას, ხოლო ვითა-რების დრამატიზმი ხელს უწყობს დასავლეთში ახალი ტიპის მატერიალური და კულტურული დოკუმენტების დაგროვებას. ლიტერატურული პროცესების თვალ-საზრისით, თავის ძლიერების ფაზაში შეაბიჯებს **ინ-ტერტექსტუალობა**, რაც გულისხმობს ტექსტის შინა-გან კავშირებს, მიმართულს არა გარეთ, ცხოვრები-სეული რეალობისკენ, არამედ ნაციონალური და საერ-თაშორისო კულტურული წიაღისაკენ. დასავლური

კანონი ახალ წესრიგს აწესებს, ხოლო პროცესი განსაკუთრებულ სიღრმეს იძენს გახსნილი საზღვრების პირობებში და თანდათან იპყრობს მსოფლიო სივრცეს.¹ მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეში მკვიდრდება ინტერტექსტუალობა და მასთან დაკავშირებული ისეთი ცნებები, როგორიცაა: ტექსტი, კონტექსტი, ქვეტექსტი, მეტატექსტი და სხვ. ლიტერატურული პროდუქცია გაცილებით ეკლექტური, კოლაჟური ხდება, დაფუძნებული ასოციაციებსა და ალუზიებზე; პოლიტიკური ავტორიტეტების დაცემის კვალდაკვალ იწყება ავტორიტეტების ტოტალური დევალვაცია, იზრდება ირონიისა და თვითირონიის ხარისხი, მაღალ იდეალებს ფსევდოიდეალები ენაცვლება; დეკონსტრუქცია ეუფლება ინტელექტუალურ სამყაროს. შესაბამისად, პოსტმოდერნიზმი, რომელიც 70-80-იან წლებში მხოლოდ ევრო-ამერიკული კულტურის მარკერია², ახლა „მთელი სიდიადით“ მკვიდრდება მსოფლიო ხელოვნებასა და მწერლობაში და ზუსტად ერგება კრიზისული საზოგადოების ფსიქოლოგიას: „ადამიანი ვერ უძლებს სამყაროს ზენოლას და პოსტადამიანად იქცევა“ (ბორევი 2001გ: 323). პოსტმოდერნიზმი მსოფლიო მასშტაბით ახალ ნაციონალურ და კულტურულ იდენტობათა ძიებისა და აღმოჩენის წყაროდ იქცევა. ამ გამოწვევას იღებს პოსტსაბჭოთა ფაზაში გადანაცვლებული ქართული მწერლობაც და, მართალია, გარკვეული დაგვიანებით, მაგრამ ძალზე საინტერესოდ უერთდება მსოფლიო ლიტერატურულ პროცესს: პოსტმოდერნიზმი არამარტო კრიზისის ფაზაში შესული კულტურული ცნობიერების რეკონსტრუირების, არამედ სა-

1 თუმცა ლიტერატურის კრიტიკოსების ერთი ნაწილის აზრით, აღმოსავლურმა კულტურამ ინტერტექსტუალობის თავისი მოდელი შესთავაზა მსოფლიოს და პირიქითი გავლენა იქონია დასავლურ პროცესზე.

2 ჩვენი ნაშრომის მიზანს არ შეადგენს პოსტმოდერნიზმის ფორმირების ისტორიის განხილვა.

ჭოთა ლიტერატურული კანონის დაძლევის საუკეთე-
სო საშუალებად მოგვევლინება.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან და XXI საუ-
კუნის 10-იან წლებში ქართული ლიტერატურის დიდი
ნაწილი პოსტმოდერნისტული მგრძნობელობის სივ-
რცეშია განთავსებული. თუმცა, პროცესი შედარებით
ადრე იწყება – გასული საუკუნის 80-90-იანი წლების
მიჯნაზე, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურუ-
ლი გარდატეხის პერიოდში. „გარდატეხის პერიოდში
მოღვაწე ქართველი მწერლები შეგვიძლია ე.წ. თაობა
X-ს შევადაროთ; თაობას, რომლისთვისაც პიროვნული
თავისუფლება და ადამიანის უფლებები უმთავრესი
იყო. მათ გადაწყვიტეს, სამყაროს უსამართლობა შე-
ეცვალათ. 1960-80-იან წლებში, საბჭოთა კავშირში და-
ბადებულ ამ თაობას ირაკლი ჩარკვიანმა „გაგარინის
თაობა“ უწოდა – პირველი კოსმონავტის, იური გაგარი-
ნის პატივსაცემად” (ლომიძე 2016: 12). სწორედ ეს თა-
ობა დგას ქართული პოსტმოდერნიზმის სათავეებთან.
80-იანი წლების ბოლოს, ნიჭიერმა მწერალმა, პოეტმა
და მუსიკოსმა ირაკლი ჩარკვიანმა (მოგვიანებით აიღო
ფსევდონიმი მეფე – ი.რ.), პოეტ კოტე ყუბანეიშვილთ-
ან ერთად, ჩამოაყალიბა პოეტური ორდენი „რეაქტი-
ული კლუბი“, რომლის მეტაფორადაც იქცა „მშვიდი
ცურვა“. „მშვიდი ცურვა თუ დინების საწინააღმდეგოდ
სვლა – ინდივიდუალისტების ხანა; – შენიშნავს გაგა-
ლომიძე, – ადამიანების, რომლებიც ცდილობენ ბედის-
წერას დაუპირისპირდნენ და ნინასწარგანსაზღვრუ-
ლი მოცემულობის საზღვრები შეცვალონ“ (ლომიძე
2016: 13). ჩარკვიანი ამ ახალი ტრენდის ლიდერი ხდება.
„პათეტიკისგან სრულიად დაცლილ ირაკლი ჩარკვია-
ნის ლექსებს, რომელიც ხშირად მისივე სიმღერების
ტექსტებად იქცეოდა, თავისი სისადავით, ექსპერი-
მენტული ძიებებით და არსებული სინამდვილისადმი
პროტესტით თუ დასავლურ ლირებულებებზე აპელი-

რეპით, რევოლუციური მნიშვნელობა ქონდა და მათში ტრაგიკული ელემენტები და ცინიზმი თანაარსებობდა. ფრაზა მისი ლექსიდან – „გულმავიწყი სირაქლემა ჩვენი წარსულის“ (forgetful ostrich of my past), გარდამავალ ხანაში, წარსულის დავიწყების და სიახლის მიღების მტკიცნეულ პროცესზე მიუთითებს („გოლრო“)“ (ლომიძე 2016: 14). გარდატეხის ეპოქის აპოკალიპტურობას აღნიშნავს პოეტის კიდევ ერთი ფრაზა – „ჯვარს აცვი ჯვრები!“ ლექსიდან „რბოლა“, რომელიც გაისმის „როგორც იმ დროინდელი სამოქალაქო დაპირისპირებების ექო, – განმარტავს გაგა ლომიძე, – მაგრამ ლექსის ბოლო სტრიქონები იმედისმომცემ პასუხად იქცევა და ნიცშეანური მარადიული დაპრუნების თეორიიდან მომდინარეობს: „გაზაფხულდება, გაზაფხულდება!“ („რბოლა“)“ (ლომიძე 2016: 14)¹.

ირაკლი ჩარკვიანის ფრაზა – „**გაზაფხულდება, გაზაფხულდება!**“ – იყო გამოძახილი არა მარტო თაობის ტკიცვილებისა, არამედ – იმედებისაც. სწორედ ამ ტკიცვილებისა და იმედების გამოხატვა დაეკისრა პოსტ-საბჭოთა ქართულ კულტურასა და ლიტერატურას.

საბჭოთა კავშირის კოლაფსმა, რასაც თან მოჰყვა ჯაჭვი ახალგაზრდა პოეტის მიერ ნანინასნარმეტყველები ტრაგიკული მოვლენებისა, პოსტმოდერნისტულ კულტურაში პპოვა გამოხატულება. **პოსტმოდერნისტული დისკურსი**, როგორც რეპრეზენტაციის სპეცი-ფიკური მოდელი, შეიძლება ითქვას, მთელი სისრულით რეალიზდა 90-იანი წლების და უფრო გვიანდელ ქართულ მწერლობაში. თავისი ადგილი დაიმკვიდრა პოსტმოდერნიზმის წიაღში ჩამოყალიბებულმა ისეთმა მიმართულებებმა, როგორებიცაა: პოპ-არტი, ჰიპერ-რეალიზმი, ჰეფენნინგი, სოც-არტი. ქართული პოსტ-

1 ირაკლი ჩარკვიანის ეს ფრაზა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი პასუხის-ალუზია ილია ჭავჭავაძის შეკითხვაზე – „მამულო, საყვარელო, შენ როსდა აყვავდები?“, ლექსიდან „გაზაფხული“.

მოდერნისტული მწერლობა ახდენს ამ ლიტერატურული მიმდინარეობისათვის მნიშვნელოვანი ყველა მხატვრული ხერხის აკუმულირებას: სიმულაკრულობა იქნება ეს, ორმაგი კოდირება, ირონია, შენიღბვა, პარანოია, მხატვრული ენის ლიბერალიზაცია, ჟარგონის მოზღვავება თუ სხვ. პოსტმოდერნიზმისათვის ნიშანდობლივი ამ მხატვრული ხერხების მეშვეობით ქართველი მწერლები დიდი წარმატებით ართმევენ თავს ზოგად-პოსტმოდერნულ თემებს, როგორიცაა: კრიზისულობა, უნდობლობა, სიმულაცია, კლასიკური ტექსტების რე[დე]კონსტრუქცია პაროდირების ეფექტით და ა.შ. პოსტმოდერნიზმა იმდენად საფუძვლიანი და მასშტაბური ლიტერატურული მიმდინარეობის სახე მიიღო საქართველოში, რომ მის წიაღშივე მოხდა ცალკეული, ერთმანეთისაგან განსხვავებული მოდელების გენერირება. გამოიკვეთა რამდენიმე ნაკადი: წარატიული, ანტინარატიული, ირონიულ-პაროდიული, ფრაგმენტირებული.

ქართული წარატიული პოსტმოდერნისტული დისკურსის ნიშანდობლივი გამოვლინებაა აკა მორჩილაძის ტექსტები, გამორჩეული აკინძული მხატვრული თხრობით და შესრულებული ბაზისური პოსტმოდერნისტული მანერით: ძველი, წაცნობი სიუჟეტებისა და პერსონაჟების პაროდირება-ინტერპრეტირება, ალუზიების ეფექტის გამოყენება, ავტორის, პერსონაჟებისა და მკითხველის კონტექსტების გამთლიანება ირონიზების მეშვეობით. აკა მორჩილაძის შემოქმედება ძალზე ფლექსიურია ჟანრული თავლსაზრისითაც: მწერალი მუდმივად მერყეობს რეალობასა და ფსევდო-რეალობას, მისტიფიკაციასა და ფანტასმაგორიას, ალუზიასა და დეტექტივს შორის. ის წარმატებით ახდენს წაცნობი თემების არანულირებასა და პაროდირებას, მონტაჟის ტექნიკის გამოყენებით ქმნის კოლაჟებს, აპლიკაციებს, აგროვებს და თავს უყრის ცოდნას, თამაშით „ართობს“

მკითხველს. მისი რომანები „გადაფრენა მადათოვზე და უკან“, „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, „აგვისტოს პასეანსი“, „მეიდ ინ ტიფლის (Maid in Tiflis)“, „სანტა ესპერანსა“, „შენი თავგადასავალი“ და სხვა, აგრეთვე ცალკეული მოთხრობები და დოკუმენტური ჩანაწერები, ზედმინევნით ერგება თანამედროვე ქართველი (და არა მარტო ქართველი) მკითხველი საზოგადოების გემოვნებას. აღსანიშნავია, რომ მწერალი, პოსტმოდერნიზმის საუკეთესო ტრადიციების დაცვით, ხშირად მიმართავს ქართული კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეული პერიოდების ინტერპრეტაციას. პოსტმოდერნისტ მწერლებს ბრალად სდებენ, რომ მათი „რეალიზმი“ და „დოკუმენტალიზმი“ იშვიათად სცდება ისტორიის წილიდან „შემთხვევით“ ამორჩეული ამბების ზედაპირულ მიმოხილვას, მიმართულს საკითხის არა სილრმისეული გააზრების, არამედ მისი მარტივი პოლიტიზირებისკენ. აკა მორჩილაძე იმ იშვიათ ავტორთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც თავს აღწევს ამგვარ ქაოტურობას: მის ტექსტებში კონტრასტული კოლაჟებისა და მონტაჟის მიღმა ქართული რეალობა (ხშირად ისტორიული) იკითხება და, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ავტორს რომელიმე ისტორიული მოვლენის ან ფაქტის ამომწურავი ანალიზის პრეტენზია, მძლავრი მხატვრულ-გამომსახველობითი ენერგიისა და სწორი ინტუიციის წყალობით, ის მაინც ახერხებს საკითხის ძირითადი არსის გადმოცემას. საგულისხმოა, რომ აკა მორჩილაძე ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა კავკასიის რეგიონში გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებას და თანამედროვე ომის თემა შემოიტანა ქართულ სამწერლობი სივრცეში. ამის ნათელი დადასტურებაა მისი პოსტმოდერნისტული მანერით დაწერილი ტექსტი „მოგზაურობა ყარაბახში“ (1992 წ.), რომელიც მოგვიანებით, 2005 წელს, ფილმად გადაიღო ლევან თუთ-

ბერიძემ (ოდნავ შეცვლილი სათაურით – „გასეირნება ყარაბახში“). ამ ძალზე დრამატულ ტექსტში ქართველი მწერალი ეხება სომები და აზერბაიჯანელი ხალხები-სათვის მტკიცნეულ თემას – მთიანი ყარაბახის პრობ-ლემას და „კითხულობს“ მას ჩვეულებრივი ქართველი ბიჭების თვალით... აკა მორჩილაძე, მრავალი ბესთ-სელერის ავტორი, არაერთი ლიტერატურული პრემი-ის ლაურეატი და ერთ-ერთი ყველაზე თარგმნადი თანამედროვე ქართველი მწერალია.

ანტინარატიული პოსტმოდერნისტული დისკურსის ნიმუშია ზაზა ბურჭულაძის ტექსტები: „მინერალური ჯაზი“, „სახარება ვირისა“, „ხსნადი კაფკა“, „ტურის-ტის საუზმე“ და სხვ. დასავლური პოსტმოდერნისტული ტექსტების მსგავსად, მის რომანებში თხრობა ანტი-ნარატიულია. მწერალი მიუთითებს ნარატივის შეუძ-ლებლობაზე, ვინაიდან ყველაფერი უკვე დაწერილია! თუმცა, პოსტმოდერნისტული ამოცანების პარალე-ლურად, ამ უდავოდ ნიჭიერი ავტორის ტექსტები გარე-მომცველი სინამდვილის რეფლექსიაცაა, კონცეპტუა-ლური პროზაა, სადაც ეპატაჟიც კი იკითხება როგორც სინამდვილეზე რეაგირების კონკრეტული ფორმა. მკითხველის ეპატაჟი, როგორც პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი არსებითი მარკერი, ბურჭულაძის პროზაში მისი ყველა სტანდარტითა დაცული – კითხვის პრო-ცესი ეპატაჟურია მანამ, ვიდრე მკითხველი არ შეეგუ-ება კითხვის ამგვარ პრაქტიკას და არ გამოიმუშვებს „ირონიული თამაშის“ სტრატეგიას: ის ახალ-ახალი სი-ურპრიზების მოლოდინშია და ემოციური „შემოტევის“ „რეგისტრიდან“ „სიუჟეტურ პერიპეტიაში“ ინაცვლებს.

ანტინარატიული სტილის მიმდევარია ზურაბ ქარუ-მიძეც. ქარუმიძემ თავი დაიმკვიდრა არა მარტო რო-გორც მწერალმა, არამედ როგორც პოსტმოდერნიზმის კრიტიკოსმა. ამ მეთოდური სინთეზის გამოვლინებაა მისი ერთ-ერთი ბოლო ტექსტი „ჯაზის ცხოვრება“, რო-

მელიც წარმოადგენს დოკუმენტური პროზის კვალი-ფიციურ შერწყმას თხრობის პოსტმოდერნისტულ მა-ნერასთან. ასევე, ანტინარატიული პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი პირველი ქართული ნიმუშია დათომ ბარბაქაძის ტექსტი „ტრფობა წამებულთა“ (ტექსტი 90-იანი წლებში დაიწერა), რომელშიც, პოსტმოდერნისტული გადათამაშებისა და მონტაჟის გზით, კონკრეტულ კონ-ცეპტუალურ ღერძზე ასხმულია ტრადიციული ქარ-თული ლიტერატურული ნიმუშები. მიუხედავად იმისა, რომ ბარბაქაძე პრიორიტეტულად პოეზის მიმართულე-ბით მუშაობს, მისი პროზაული ტექსტები ანგარიშგა-საწევი ნიშნულია ქართული პოსტმოდერნიზმის გან-ვითარების გზაზე.

პოსტმოდერნისტული ირონიისა და პაროდიის მო-დიფიკაციებს გვთავაზობს ლაშა ბულაძის პროზა. მისი მოთხრობები, რომანები და პიესები გამოირჩევა რო-გორც რეალობის არაორდინარული რეცეფციით, ისე სტილისტური მრავალფეროვნებით. მწერალი ეფექტუ-რად იყენებს პოსტმოდერნიზმისათვის ნიშანდობლივ მხატვრულ ხერხებს და, არცთუ იშვიათად, ახდენს მათ ჩართვას ტრადიციულ ლიტერატურულ მოდელებში. მისი ტექსტები „საუკუნის მკვლელობა“ და „პირველი რუსი“ პოსტმოდერნისტული ტექნიკით შესრულე-ბულ ისტორიოგრაფიული მეტაპროზის ნიმუშებს წარ-მოადგენს, თუმცალა, პოსტმოდერნიზმისთვის ნიშან-დობლივი რეალობისადმი ირაციონალური მიდგომისა და რეალობის სუბიექტური დეისტორიზაციის გამო, რიგი საკითხებისა კამათის საგნადაა ქცეული. ბულაძე ინტენსიურად მუშაობს დრამატურგიის დარგში. სო-ციალურ გარემოზე ორიენტირებულ და ირონიულ-პაროდიული თუ სატირული ეფექტებით გაჯერებულ მის პიესათა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირ-სია: „ნუგზარი და მეფისტოფელი“, „ოთარი“, „ჯარის-კაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და პრეზიდენტი“.

პოსტმოდერნიზმი, მისთვის დამახასიათებელი „უარყოფის უარყოფის“ ფილოსოფიითა და სამყაროს, როგორც ტოტალური სიყალბის განცდით, საუკეთესო ნავმისადგომი აღმოჩნდა ნგრევის, კორუფციის, ომებისა და იმედგაცრუებების წინაშე მდგომი პოსტსაბჭოთა ქართული მწერლობისთვის. მან ზუსტად აირევდა ის ნიჰილიზმი და უნდობლობა, რომელიც ქართულმა ლიტერატურამ გამოუცხადა გარესამყაროს! თუმცა-ლა, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ პოსტმოდერნიზმი არ აღმოჩნდა ათასწლეულთა მიჯნაზე მდგომი ქართული მწერლობის მიერ არჩეული ერთადერთი გზა: თავს იჩენს სხვა გზები და ნარატივებიც, რომლებიც ქართველ მკითხველს სთავაზობენ საკმაოდ საინტერესო სურათს, ალავსეს ხშირად მოულოდნელი ჟანრული და სტილისტური ინოვაციებით.

ამ მრავალფეროვნების ერთ-ერთ მიზეზად დავასახელებთ იმ ფაქტს, რომ 90-იანი და უფრო გვიანდელი პერიოდის ქართული მწერლობის მგრძნობელობაში დინამიურად ერთვებიან 80-იანებიც. ამის დადასტურებაა: კოტე ჯანდიერის მოთხრობები, განსაკუთრებით კი ბოლოდროინდელი კრებული „კონკიას დამე“, გამორჩეული თემატური მომცველობით – რეალური კონტექსტიდან ვიდრე ფსიქოლოგიურ ასოციაციებამდე, სოციალური პრობლემებიდან ვიდრე გლობალიზაციამდე; ზაალ სამადაშვილის ხაზგასმულად ნარატიული, ნეორეალისტური პროზა, ორიენტირებული ავტორისა და მკითხველის კონტექსტთა ინტელექტუალურ თამაშზე – „პლეხანოვური ამბები“, „მოთხრობები ბიჭებისათვის“; ლაშა იმედაშვილის პოსტმოდერნიზმის მხატვრულ მოდელში ორგანულად არის ჩართული ბიოგრაფიული თუ დეტექტიური ნარატივი; ირაკლი ლომოურის მისტიფიკაციური და დეტექ-

ტიური უანრის პროზა – მოთხრობები, ნოველები, რო-
მანები „მკვლელობა სექსოლოგიურ ცენტრში“, „ქალაქ
ტფილისის მარკა, ანუ მკვლელობა ოჯახურ წრეში“,
– რაც სწორედ იმ მიზეზით, რომ დეტექტივი არ წარ-
მოადგენს ქართული ლიტერატურისათვის ტრადიცი-
ულ უანრულ მოდელს, უზრუნველყოფს თანამედროვე
ქართული პროზის საინტერესო მრავალფეროვნებას;
ზურაბ ლეჟავას ნაივური ნარატივით შესრულებული
ტექსტები, რომელთაგანაც ერთ-ერთი – მოთხრობა
„მაცივარი სექსისა წილ“ – ამერიკულმა გამომცემლო-
ბამ, Dalkey Archive Press-მა, 2011 წლის „საუკეთესო
ევროპული მოთხრობის“ ანთოლოგიაში შეიტანა: ნაი-
ვური სტილი, შერწყმული „შავ იუმორთან“ და ფან-
ტასმაგორიულ წარმოსახვებთან, თხრობის ნატურა-
ლისტური ხერხი, დაფუძნებული შინაგან, რითმულ
დიზაინსა და არაორდინარულ სტილისტურ მანერაზე,
რეალიზმებული როგორც სიუჟეტისა და კომპოზიცი-
ის, ისე ტექსტის მხატვრულ-ენობრივი მოდელის დო-
ნეზე (გამოვყოფდი რომანს – „იყიდეთ ჩვენი სულები“,
მოთხრობებს – „მსტოვარი და მზვერავი“, „მილიონი
ბედნიერება“ და სხვ.); დათო ტურაშვილის მოთხრობები
და პიესები: 80-იანი-90-იანი წლების მიჯნაზე ამბოხებ-
ული ქართველი სტუდენტობისა და ახალგაზრდა თაო-
ბის მოძრაობის ლიდერი უპირატესად ამავე პრობლემ-
ატიკით გადაინაცვლებს ლიტერატურულ სიბრტყეზე
(„ჯინსების თაობა“). ის აქტიურად ერთვება პოსტმოდ-
ერნისტულ მგრძნობელობაში, თუმცა ნარატივის სხვა
ნაკადების ადაპტირებასაც ცდილობს – ტურაშვილი
მხატვრული პროზისა და პუბლიცისტიკის, ხშირად უუ-
რნალისტიკის ზღვარზე მუშაობს. თემები, რომელთაც
მწერალი უტრიალებს, მერყეობს ღირებულებებისაგან
დაცლილი საზოგადოების ტრაგიკულ რეცეფციასა და
ნაცი-ონალური იდენტობის პრობლემას შორის.

ეს უკანასკნელი – ნაციონალური იდენტობისა და ეროვნული ღირებულებების დაცვის თემა – უფრო და უფრო მეტ დატვირთვას იძენს 90-იანი წლების შუა-სანებიდან და გრძელდება XXI საუკუნის ქართულ მწერლობაშიც, მით უფრო, რომ 2008 წელს საქართველო ახალი სამოქალაქო ომისა და ტერიტორიული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება.

5.2. ტრანსფორმაციისა და გადანაცვლების სირთულეები

2003 წლის ნოემბერში, პოლიტიკოსთა ახალგაზრდა ფრთის ინიციატივით, საქართველოში მომზადდა და განხორციელდა მშვიდობიანი რევოლუცია, რომელიც **ვარდების რევოლუციის** სახელით შევიდა ისტორიაში. განსხვავებით ბოლშევიკური რევოლუციისგან, ამჯერად სახეზე იყო თუმცადა ხალხმრავალი, მაგრამ მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელიც მიზნად ისახავდა, გამოეყვანა ქვეყანა საბჭოთა წარსულის ფსიქოლოგიური რემისიებიდან და დაეყენებინდა გადამწყვეტი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების გზაზე. საქართველო მნიშვნელოვანი ცვლილებების პირისპირ აღმოჩნდა, რამაც, ცხადია, დიდი ზეგავლენა იქონია ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროზეც. ვარდების რევოლუციამ დაადასტურა, რომ რევოლუციების ზეგავლენა ლიტერატურაზე განსხვავებული შეიძლება იყოს: ის განსაზღვრულია რევოლუციის საშუალებებითა და მიზნებით, ისევე როგორც მასზე რეაგირების ფორმებით. მიუხედავად იმისა, რომ

პროცესი, ისტორიული თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ნედლია, დღევანდელი გადასახედიდან უკვე შესაძლებელია ვისაუბროთ ვარდების რევოლუციის პოზიტიურ და ნეგატიურ გავლენებზე თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ პროცესზე. ერთ-ერთ ყველაზე პოზიტიურ შედეგად კულტურული პროცესის აღმავლობა უნდა მივიჩნიოთ: ქართული კულტურის სფეროსათვის ვარდების რევოლუცია მოასწავებდა საზღვრების გახსნას, კულტურული იზოლაციის დასასრულს და თავისუფალი შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისს; ნეგატიურ ტენდენციებად კი შეიძლება შეფასდეს ის ქვედინებები, რომლებიც, როგორც ჩანს, ნიშანდობლივია ზოგადად პოსტრევოლუციური პერიოდებისათვის, მაგრამ არცოუ სასურველია ლიტერატურული თავისუფლების სწორი სტანდარტის დასადგენად – გამოცხადებული დემოკრატიის საეჭვო შესაბამისობა რეალურ გადაწყვეტილებებთან, დაუმსახურებელი პრივილეგიების მინიჭება, კლანურობა და სხვ.¹

რეფორმატორული ხელისუფლების წარმატებული სტარტის მიუხედავად, 2008 წელს საქართველო ახალი პოლიტიკური განსაცდელის წინაშე დადგა: აგვისტოს თვეში ისტორიული სამაჩაბლოს, ე.ნ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე გაჩაღებული საომარი მოქმედებების შედეგად, საქართველოს ტერიტორიის კიდევ ერთი ნაწილი აღმოჩნდა მისგან უკანონოდ იზოლირებული². სამაჩაბლოს ანუ „სამხრეთ ოსეთის“ ტკივილი ქართველი ხალხის ცნობიერებაში და, შესაბამისად, კულტურასა და მწერლობაში, შეუერთდა ტკივილის იმ დიდ ნაკადს, რომელსაც აქამდე მხოლოდ აფხაზეთი ერქვა: ქართულმა ლიტერატურამ სრულად აირევლა

1 დეტალურად ამის შესახებ იხ. ი. რატიანი, რევოლუცია და შემოქმედებითი პროცესი. ქართული ლიტერატურული გამოცდილება. // საქანი, 14, 2013.

2 ეს ომი ცნობილია „აგვისტოს ომის“ სახელით.

ნაციონალური იდენტობისა და ნაციონალური ღირებულებების დაცვის აუცილებლობის პრობლემა, გაჯერებული საქართველოს უახლესი ისტორიის ეტაპზე დაკარგულ ტერიტორიებზე ფიქრითა და გამოსავლის ძიებით.

ომის დისკურსი, როგორც ფიქრი აფხაზეთისა და აგვისტოს ომის თემებზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დევნილ მოსახლეობასა თუ დარღვეულ ისტორიულ მთლიანობაზე, და როგორც ქართველი ხალხის დიდი ტკივილის გამოხატულება, თანამედროვე ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. ამ თემებზე მუშაობენ არა მხოლოდ ის მწერლები, რომლებმაც საკუთარ თავზე ფიზიკურად გამოსცადეს ომების სიმწარე, არამედ ისინიც, ვინც მხოლოდ სულიერად აღმოჩნდნენ ჩართულნი ამ პრობლემებში. დავასახელებდი აფხაზეთიდან დევნილი მწერლების გურამ ოდიშარიასა და გელა ჩქვანავას ტექსტებს. ოდიშარიას „სოხუმში მოსალოდნელია წვიმა“ და „სოხუმში დაბრუნება“, მისი სხვა მოთხრობები და თარგმანები, გელა ჩქვანავას მოთხრობები თვილთმხილველის სიცხადით აირეკლავს პრობლემის მთელ სიმძიმეს.

აგვისტოს ომის ტრაგიკულ მოვლენებს ასახავს თამარ ბართაიას პიესა „სარდაფი გორში“. ამ საკითხსვე სხვადასხვა ლიტერატურული მანერით ეხმიანებიან ახალგაზრდა მწერლები: ზაზა ბურჭულაძე – „ადიბასი“, ბასა ჯანიკაშვილი – „ომობანა“, თამთა მელაშვილი – „გათვლა“. თამთა მელაშვილის ნაწარმოებში, რომელმაც 2013 წელს მოიპოვა გერმანიის ნაციონალური ლიტერატურული პრემია ახალგაზრდა ავტორებისთვის, ომის თემა უფრო ფონია, ვიდრე ძირითადი სიუჟეტური ხაზი, თუმცა ის მნიშვნელოვნად შეიგრძნობა საერთო-კომპოზიციურ ქარგაში. **თანამედროვე ომების თემა ქართული პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთ**

წამყვან თემად იქცა თავისი რეალური მოვლენებითა და შედეგებით.

ზოგადად, ქართული მწერლობის დამოკიდებულება ამ პოლიტიკური პრობლემისადმი თანხმობაში აღმოჩნდა 2010 წელს საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ გაეროს ტრიბუნიდან გამოთქმულ პოზიციასთან. სააკაშვილმა განაცხადა, რომ: საქართველო ემსრობა „ერთიანი და მშვიდობიანი კავკასიის“ იდეას; დროა, რეგიონში გამეფებული აგრესია და ოკუპაციური პოლიტიკა შეიცვალოს მშვიდობიანი კოპაბიტაციითა და განვითარებით; ტრანსფორმაციის ამ პროცესში თანაბრად უნდა ჩაერთოს ყველა დაინტერესებული მხარე; ამ პოლიტიკის წარმატებულად გატარება უზრუნველყოფს რეგიონის სამომავლო აღმშენებლობასა და გლობალურ უშიშროებას... ქართულ ლიტერატურულ სამყაროში ამ მიმართულებით საკმაოდ ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა: მწერალ გურამ ოდიშარიასა და მისი აფხაზი კოლეგის ბათალ კობახიას ინიციატივით დაფუძნდა და მათივე რედაქტორობით გამოიცა უურნალი „სამხრეთ კავკასია“, რომლის კოლეგის წევრებად მოგვევლინნენ მწერლები კონფლიქტური რეგიონებიდან და რომელიც, უთუოდ, შეიძლება განვიხილოთ კვალიფიციური ლიტერატურული დიალოგის დაწყების საწინდრად.

ცხადია, ომის თემა, ისევე როგორც პოსტმოდერნისტული თემები და მიზნები, სრულად ვერ ფარავს XXI საუკუნის პოსტსაბჭოთა ქართული მწერლობის სივრცეს. პოსტსაბჭოთა ქართული კულტურა და ლიტერატურა იდენტობის ძიების ახალ ფაზაში შედის, რასაც კონცეპტუალური და რეპრეზენტაციული მოდელების ძიება მოსდევს. სახეზეა როგორც რიგი ტრადიციული დისკურსების რეკონსტრუქცია, ისე ახალი მიდგომების ფორმირება. ერთი მხრივ, თავს

იჩენს ტრადიციული თემები და მეთოდები, რომლებიც აახლოვებს თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ პროცესს XX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ან ცოტა მოგვიანებით გამომუშავებულ გამოცდილებას-თან, თუმცადა, მეორე მხრივ, ინერგება ისეთი თემები და მეთოდებიც, რომლებიც, პირიქით, აშორიშორებს მათ. მაგრამ კავშირი, რომელიც არსებობს პოსტსაბჭოთა და წინარე ქართულ ლიტერატურულ მოდელებს შორის კულტურული ცნობიერების დონეზე, უზრუნველყოფს ამ პროცესების კონცეპტუალური თუ სტილური კოპერენტულობის საკმაოდ მაღალ ხარისხს.

ამ განცხადებას კიდევ მეტად ამყარებს შემდეგი არგუმენტები: **პოსტმოდერნისტული დისკურსის** გვერდით XX საუკუნის 90-იან წლებში კვლავ აქტიურდება **სუბიექტივისტური დისკურსი ცნობიერების ნაკადის** სილრმისეული ეფექტით, რომელსაც ჩინებულად ართმევს თავს გურამ დოჩანაშვილი რომანით „ლოდი ნასაყდრალი“; რეკონსტრუირდება **მხატვრულ-დოკუმენტური დისკურსი**, რომლის ნიმუშადაც დავასახელებდით ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, ოთარ ჩხეიძის რომანებს „არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, სადაც რეალისტური მანერით გაშუქებულია ურთულესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი პრობლემატიკა, ხოლო ისტორიული ნარატივი, ამ მწერლისათვის ნიშანდობლივი ინდივიდუალური სტილით, სინთეზირდება დოკუმენტური თხრობისათვის ნიშანდობლივ გულწრფელობასთან; იკვეთება **ავტობიოგრაფიულ-დოკუმენტური** (გივი ალხაზიშვილის „მომავალი წარსული“), ისტორიული და **პუბლიცისტური** (ჯანსულ ღვინჯილიას „ქართლოსის საფლავი“, რეზო ჭეიშვილის „კუდიანი ვარსკვლავი“), და **ფილოსოფიური დისკურსები** (ჯანსულ კორძაის პოეზია) და სხვა. დისკურსის ამ მოდელებს წარმატებით იყენებენ როგორც წინარე, ისე ახალი თაობის პროზაიკოსები

და პოეტები. საგანგებო აღნიშვნის ღირსია კლასიკური ლიტერატურული ტრადიციისათვის ნიშანდობლივი ბიოგრაფიული ნარატივის აღორძინება – როსტომ ჩხეიძის დინამიური ტექსტები ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე: ალექსანდრე ორბელიანზე, ალექსანდრე ყაზბეგზე, იაკობ გოგებაშვილზე, ქაჯუცა ჩოლოყაშვილზე, მიხაკო წერეთელზე, არჩილ ჯორჯაძესა და სხვ. – როგორც მცდელობა საქართველოს ისტორიის მხატვრული რეკონსტრუირებისა; მიხო მოსულიშვილის მხატვრულ-დოკუმენტური რომანი „ვაჟა-ფშაველა“, რომელშიც თანამედროვე ნიჭიერი მწერლის თვალით არის დანახული ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების დეტალები. ბოლოხანს როსტომ ჩხეიძე, ამავე შემოქმედებითი მიზნებით, ქმნის საინტერესო პიესებს და უერთდება ქართველ დრამატურგთა დღევანდელ თაობას: გურამ ქართველიშვილს, ბასა ჯანიკაშვილს, თამარ ბართაიას, მანანა დოიაშვილს და სხვ. თუ დოიაშვილის დრამატურგია უფრო დასავლურ სტილზეა ორიენტირებული, ბართაია და ქართველიშვილი ტრადიციულ ქართულ თემატიკას უბრუნდებიან. მაგალითად, პიესაში „ქაჯუცა ჩოლოყაშვილი“ ავტორი ექსპრესიულად აცოცხლებს ქართველი ერისათვის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ პერიოდსა და გმირებს. მასვე ეკუთვნის პიესები „ქრონიკა“ და „ცერკოვნი ბუნტი“. ქართველიშვილი საკმაოდ საინტერესო მოთხოვების ავტორიცაა, რომლებიც თავმოყრილია კრებულში „ჩემი ქარის წისქვილები“. დრამატურგიასა და პროზაში ერთდროულად მუშაობს ბასა ჯანიკაშვილიც. მისი ტექსტი „აბსურდისტანი“ შეტანილია გერმანულ ენაზე გამოცემულ „თანამედროვე ქართული ლიტერატურის ანთოლოგიაში“, რომელშიც, აგრეთვე, დაბეჭდილია ლაშა ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესი“, დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“, აკა მორჩილაძის „ტერცო მონდო“, ზაზა ბურჭულაძის „Passive At-

tack“ და „ადიბასი“ და ბესო ხვედელიძის „თაგვის გემო“. „თაგვის გემო“-ს ავტორი თანამედროვე დემორალიზე-ბული სამყაროს ფრაგმენტულ ასახვას უღრმავდება: ბესო ხვედელიძე მხოლოდ ნაწილობრივ იყენებს პოსტ-მოდერნისტულ მანერას და მეტად ფართოვდება ახალი ფორმების ძიების მიმართულებით. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ირაკლი ჯავახაძის ტექსტებიც – „შავი სიის კავალერები“, „თავიდან ბოლომდე მოგონილი ამბავი“, „ობლიგაცია“ და სხვ., რომლებშიც თითქოს ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამბების ფონზე ჭარბად შეიგრძნობა ორიგინალური თემატური და სტილური ექსპერიმენტები. თავისი თაობის ხედვებისა და პრობლემების ინტელექტუალურ გამოძახილად უნდა შეფასდეს არჩილ ქიქოძის პროზაც, რომელშიც იკითხება ინტელექტუალური რეალიზმის მარკერები, აგრეთვე, ერთგულება ქართული კლასიკური ნარატივისადმი. ქიქოძე საკმაოდ მრავალფეროვანი მწერალია, რომლის შემოქმედებაშიც ასეთივე მრავალფეროვანი პიროვნება მოჩანს: ლიტერატურა, ფოტოხელოვნება, კინოდოკუმენტალისტიკა, პუბლიცისტიკა, ეთნოგრაფია თითქმის თანაბრად შემოდის მის ინტერესთა სფეროში. მის მოთხრობებს და უკვე რომანსაც გამოარჩევს ზომიერი და მოქნილი სტილი, სათქმელის ფართო ამპლიტუდა.

ანგარიშგასაწევ ძალას თანამედროვე ქართულ სა-ლიტერატურო სივრცეში წარმოადგენს ქალთა მწერლობა: თამრი ფხავაძე პროზაული კრებულებით „სანამ დაგვიძახებენ“, „ვნებანი“, რომანებით „ჩვენ სამნი და ანგელოზი“, აგრეთვე, საბავშვო წიგნებითა და პიესებით; ანა კორძაია-სამადაშვილი, კრებულებით „ბერი-კაობა“, „მე, მარგარიტა“, რომანით „შუშანიკის შვილები“; თეონა დოლენჯაშვილი მოთხრობების კრებულით „იანვრის მდინარე“, რომანით „მეტისი“; ნენე კვინიკაძე მოთხრობებითა და რომანით „ისპაჰანის ბულ-

ბულები“, მაკა მიქელაძე პროზაული კრებულით „წე-
როს ჯვარი“. ეს ქალბატონები 90-იანი წლებისა და XXI
საუკუნის თაობის თემებითა და ინტერესებით იჭრები-
ან ქართულ მწერლობაში: მათ ჩაანაცვლეს 80-იანები
ქალი მწერლების თემები თამამი ექსპერიმენტებითა და
სტილური ინოვაციებით. მათი მწერლობა უფრო მეტად
უახლოვდება ფემინისტური დისკურსის ზოგად გაგე-
ბას, ნაკლებად არის შეზღუდული კონცეპტუალური ან
მორალური კლიშეებით. სოციალური თუ ფსიქოლოგი-
ური დისკურსის პარალელურად, გაძლიერებულია ავ-
ტობიოგრაფიული დისკურსი, ქალაქური და ეროტიული
ტექსტი, რეალიზტული ტრადიციულ ან პოსტმოდერ-
ნისტულ, ან, სულაც – მინიმალისტურ სტილში. თანა-
მედროვე ქართული ფემინისტური პროზა წარმოაჩენს
არა მხოლოდ მის სიახლოვეს საერთაშორისო სტან-
დარტთან, არამედ მის გამოკვეთილ ინდივიდუალობას,
დაფუძნებულს ქართულ კულტურულ მარკერებზე.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ქართველი ავ-
ტორები თავისუფლად მოძრაობენ პროზისა და დრა-
მატურგის, პროზისა და პოეზიის ჟანრულ სივრცეებს
შორის. საზღვრები საკმაოდ მყიფე და ფლექსიურია.
ასე მაგალითად, ბოლო წლებში ჩვენ მომსწრენი ვართ
ბესიკ ხარანაულის არა მარტო პოეტური, არამედ პრო-
ზაული ტექსტების წარმატებისა. მისი პუბლიცისტური
პოემა „წიგნი ამბა ბესარიონისა“ დიდი ინტერესით მი-
იღო ქართველმა მკითხველმა. წიგნი ითარგმნა ფრან-
გულ ენაზე და გამოიცა კიდევაც. ასეთივე პროდუქ-
ტიულობით მუშაობს ხარანაული პროზაში. მის ტე-
ქსტში „ეპიგრაფები დავიწყებული სიზმრებისათვის“
მოდერნისტული მანერა შერწყმულია ნეორეალისტურ
რეცეფციასთან, ხოლო „სამოცი ჯორზე ამხედრებული
რაინდი, ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებული
ერთგვარი სუბჟანრული წარატივია, მრავალი განს-

ხვავებული შრითა და თხრობის ფორმით. აღსანიშნავია, რომ ბესიკ ხარანაულის პირველი პოეტური კრებული 70-იანი წლების დასაწყისისთვის დაიბეჭდა, მაგრამ პოეტი უაღრესად ორგანულად ჩაერთო თანამედროვე რეცეფციებში და მიმდინარე ქართულ პოეტურ პროცესში, რომელიც თავისთავად ძალიან საინტერესოა.

ახალი თაობის ქართულ პოეზიაში სტილისტური რადიკალიზმი ერწყმის პოეტური აზროვნების შედარებით ტრადიციულ ფორმებსაც, მათ შორის ნეოკლასიცისტურს, ხოლო თემატური სპექტრი გამოკვეთილად ფართო და მასშტაბურია: ფილოსოფიური ძიებები, სულიერ ღირებულებათა კრიზისი, რეალობის ირონიული განცდა, აბსურდულობის შეგრძება, გაუცხოება, არქეტიპული ძიებები, მითოლოგიური სახისმეტყველება; დომინირებს მედიტაციური დისკურსი, რაც პოეტებს სუბიექტური განცდების უფრო სიღრმისეული გამოვლინების საშულებას აძლევს. ეს არის პოეზია „საზღვრებისა და ჩარჩოების გარემე“, რომელმაც 90-ინი წლებიდან მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება თავისი სტილური და ვერსიფიკაციული მრავალფეროვნებით; მასში კვლავაც საინტერესოდაა წარმოდგენილი დასავლური და აღმოსავლური პოეტური ტრადიციების წარსახეობანი. დავასახელებდით შემდეგ ავტორებს: რატი ამაღლობელი, ზვიად რატიანი, გაგა ნახუცრიშვილი, დათო ბარბაქაძე, შოთა იათაშვილი, მაია სარიშვილი, გიორგი ლობჟანიძე და სხვ. აქვე, 80-იანები – გიგი სულაკაური, ირაკლი ჩარკვიანი, დათო ჩიხლაძე, დათო მალრაძე, ნინო დარბაისელი, ზურა რთველიაშვილი, რომელთა პოეზია გამოირჩევა ტრადიციული და ალტერნატიული პოეტური ფორმების უაღრესოდ საინტერესო მრავალფეროვნებით, და ბოლოს, დიდი გუნდი სრულიად ახალგაზრდა პოეტებისა, რომლებიც **XXI** საუკუნის 10-იანი წლებიდან გამოჩნ-

დნებ ქართულ სალიტერატურო სივრცეში და რომელთა ლიტერატურათმცოდნეობითი შეფასებაც, ალბათ, ჯერ კიდევ წინ არის¹. თანამედროვე ქართველი პოეტები არა მარტო ქმნიან ნაციონალური პოეზიის ახალ ისტორიას, არამედ – დიდი წარმატებით თარგმნიან სხვა ქვეყნების პოეტთა ნიმუშებს გერმანული, ინგლისური, ფრანგული, სპარსული, არაბული, რუსული ენებიდან (გიორგი ლობჟანიძე, დათო ბარბაქაძე, ზვიად რატიანი) და თავადაც ხშირად იბეჭდებიან პრესტიულ უცხოურ გამოცემებში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავისი თემებითა და სტილისტური მოდელებით, დისკურსული პლანებითა და ამოცანებით თანამედროვე ქართული მწერლობა გლობალური ლიტერატურული სამყაროს სრულუფლებიანი წევრია: ის მრავალფეროვანია, მრავალწახნაგოვანი, და, ამავდროს, მყარად ორიენტირებული საკუთარ ღირებულებებზე, რაც იმისა საწინდარია, რომ დიდი ქართული თემები ჯერ კიდევ დამუშავდება. **პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულმა მწერლობამ შეძლო ახალ ესთეტიკურ პრინციპებზე მორგება.** შესაბამისად, ქართული ნაციონალური კანონის უახლესი მოდელის პლაცდარმად ლიტერატურულობის ესთეტიკური კრიტერიუმი იქცა, თუმცალა, ნაციონალური იდენტობის კრიტერიუმის გათვალისწინების აუცილებელი პირობით. მიუხედავად იმისა, რომ „მსოფლიო“-ს ცნება საკმაოდ დავიწროვდა, მანძილები „შემცირდა“, ხოლო დრო არნახულად აჩქარდა, ქართული მწერლობა, ტრადიციულად, ითვალისწინებს ქართული ნაციონალური თვითობის სპეციფიკას – კონკრეტულ ეროვნულ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ მიზნებს.

1 ამ წიგნის ავტორს დაბეჯითებით მიაჩინია, რომ ლიტერატურული პროცესის სიღრმისეულ შეფასებას გარკვეული დროითი დისტანცია ესაჭიროება.

საუკუნეების განმავლობაში ქართული მწერლობა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ფაზებს სძლევდა და მოქნილად ესადაგებოდა ინდივიდუალური ესთეტიკური ხედვებით გამორჩეული ეპოქების კულტურულ-ლიტერატურულ მოთხოვნილებებსა და გემოგნებას, მაგრამ მუდმივად უწევდა ანგარიშს ისეთ ცნებებს, როგორიცაა: „ქართული მწერლობა“, „ნაციონალური კანონი“, „ქართული რეალობა“, „იდენტობა“, „კავკასია და კავკასიელი“; არ ერიდებოდა სიახლეებს, არ ეპუებოდა სირთულეებს, უშურველად გასცემდა თავის უზარმაზარ ენერგიას – ინტელექტუალურს, სულიერს თუ ემოციურს. ზენაციონალურ კანონთან და ტრანსნაციონალურ სივრცესთან მისი „შეთავსების“ პროცესი არასოდეს გულისხმობდა და არც ახლა გულისხმობს მექანიკურ გავლენებს, არამედ – მიღებას ან არმიღებას საკუთარი ნაციონალური ღირებულებებისა და ეთიკის პოზიციიდან, რაც ძირეულად ვერ ეთანხმება უელეკისა და უორენის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, „რთულია განიხილო ნაციონალური ლიტერატურა როგორც ხელოვნება, მაშინ როდესაც დადგენილი ჩარჩო გენევა არსობრივად არალიტერატურული რეკომენდაციებისაკენ, ნაციონალური ეთიკითა და ნაციონალური ხასიათით სპეცულაციისაკენ, რასაც არაფერი აქვს საერთო ლიტერატურის ხელოვნებასთან“ (უელეკი, უორენი 1986: 268).

თუ დავუბრუნდებით წიგნის პირველ თავში მოხსენიებულ საბაზისო კოგნიტურ მეტაფორებს, რომლებიც გამოხატავს ორ განსხვავებულ მიდგომას კულტურისადმი მსოფლიო კონტექსტში – ხეს და ტალღას, ვიტყოდი შემდეგს: ქართული ლიტერატურა საუკეთესო ნიმუშია ამ ორი მიდგომის გადაკვეთის აუცილებლობისა, რათა შედეგად მივიღოთ კულტურული ისტო-

რიის კომპოზიტური პროდუქტი, როგორც მას მორეტი უწოდებს. ორივე მიდგომა გასაოცრად ეფექტურად მუშაობს ქართული მწერლობის შემთხვევაში, თუმცა, „შრომის გადანაწილების” თვალსაზრისით დომინანტურ მექანიზმად ხე მიგვაჩნია, უხვად განტოტილი, რომელიც ფართოდ, მაგრამ გონივრულად ღიაა ტალღებისადმი.

თუმცალა, ჩვენი დასკვნა, შესაძლოა, დისკუსიის თემად იქცეს: კომპარატივისტი ხომ ერთი მარტივი მიზეზის გამო ვხდებით – დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს თვალსაზრისი ჯობს მეორეს...

ବ୍ୟାକେଣ୍ଠ ମହାନ୍ତିର

ପରିଚ୍ୟାଳନାକାରୀଙ୍କ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟ

წიგნის პირველ ნაწილში ჩვენ შევეცადეთ, შედა-
რებითი ანალიზის სიბრტყეზე აგვესახა ქართული
მწერლობისა და მსოფლიო ლიტერატურული პროცე-
სის ურთიერთობის თეორიული კანონზომიერებანი,
მოგვეხდინა პრობლემების არა მარტო დეფინიცია
ან სისტემატიზება, არამედ – როგორც ერთიანი,
მსოფლიო ინტელექტუალური პროცესის შეფასება
ქართული ლიტერატურული კანონის სპეციფიკის
გათვალისწინებით. მაგრამ საინტერესოა, რამდენად
მართლდება თეორიული მოსაზრებანი ქართული
ტექსტების პრაქტიკული ანალიზის ჭრილში: რამდე-
ნად განწყობილია ქართული ლიტერატურული ისტო-
რიის სხვადასხვა ეტაპზე შექმნილი მხატვრული
ტექსტები მსოფლიო ლიტერატურული ისტორიის
ცალკეული ეტაპების მიმართ და რამდენად მაღალია
მათი ჩართულობის ხარისხი საერთაშორისო ლი-
ტერატურულ პროცესში. ამის საილუსტრაციოდ,
წიგნის მეორე ნაწილში რამდენიმე ქართული ტექ-
სტის (მხატვრულის და არა-მხატვრულის) კომპარა-
ტივისტულ ანალიზს შემოგთავაზებთ.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ქართული მწერლობა
თანდათან მეტად წაკითხვადი და ხელმისაწვდომი
გახდება მკითხველთა ფართო აუდიტორიისთვის და
ჩვენს პათოსსაც მეტი მომხრეები და მხარდამჭერები
ეყოლება.

ტექსტის ინტერპრეტაციული შესაძლებლობები

„ინტერპრეტაცია გაუგებრობით იწყება“, – აცხადებდა ჰერმენევტიკული მეთოდის ფუძემდებელი ფრიდრიხ შლაიერმახერი, შესაბამისად, ინტერპრეტაციის ხელოვნების უპირველეს დანიშნულებად ამ გაუგებრობის თავიდან აცილება მიაჩნდა. გაუგებრობის პირველწყაროდ შემეცნების პროცესის გართულებას ასახელებდა, გადაჭრის გზად კი – მეთოდოლოგიურ დახმარებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა გაგების პროცესის გარდაქმნას მეთოდოლოგიზებულ მოვლენად.

ინტერპრეტაცია, თუკი მას აქვს მართებული გაგების პრეტენზია, წარმოადგენს უკვე შექმნილი პროდუქციის თავიდან შექმნის, ანუ კვლავშექმნის მონესრიგებულ სისტემას. შლაიერმახერისავე აზრით, არაფერი ღირებული, მათ შორის არც ლიტერატურული ტექსტი, არ იქმნება ავტორის მიერ წინასწარ დადგენილი წესების ფარგლებში, მაგრამ ინტერპრეტატორი, ანუ კვლავშემქმნელი, რომელიც ახდენს ტექსტის რეკონსტრუქციას მასში გამოკვეთილი თუ წაგულისხმევი წესების გათვალისწინებით, ხშირად უფრო სწორ ახსნას აძლევს ტექსტის დაფარულ და გაუგებარ შრეებს, ვიდრე ავტორი. ამგვარი, წესებზე დაფუძნებული რეკონსტრუქცია ველარ ჩაითვლება მექანიკურ პროცესად, ვინაიდან მოიცავს სულ მცირე, ორ, მეთოდოლოგიურად გამართულ მიმართულებას. ეს მიმართულებებია: а) გრამატიკული, ისტორიული და კომპარატივისტული რეკონსტრუქცია; б) ინტუიციური რეკონსტრუქცია.

რეკონსტრუქციის პირველი ტიპი ტექსტს მიიჩნევს შემეცნების პარადიგმატულ ობიექტად. ისევე როგორც

თითოეული სიტყვის შემეცნება ტექსტში დამოკიდებულია წინადადებაზე და, ხშირად, ფრაზეოლოგიურ კონტექსტზე, ტექსტის შემეცნებაც ფართოვდება მას-შტაბური კონტექსტის მიმართულებით: თუ ტექსტი განიხილება ავტორის კანონებთან მიმართებაში, ავტორის კანონები განიხილება ლინგვისტურ კანონებთან მიმართებაში, მოცემული ენის ლინგვისტური კანონები განიხილება სხვა ენების ლინგვისტურ კანონებთან მიმართებაში, ენების ლინგვისტური კანონები განიხილება მათი განვითარების ეტაპებთან მიმართებაში და ა.შ. და ა. შ. რეკონსტრუქციის ამ ტიპის თანახმად, ინტერპრეტაციის პროცესი შეიძლება იყოს სასრული, მაგრამ შემეცნების სფერო ამოუწურავი და უსასრულოა.

რეკონსტრუქციის მეორე ტიპი ინტუიციურია. განსხვავებით შემეცნების სფეროსგან, რომელიც ამოუწურავი და უსასრულოა, შესამეცნებელი ობიექტის მნიშვნელობა ყოველთვის განსაზღვრულია, ვინაიდან წარმოადგენს კონკრეტული ავტორის შემოქმედების პროდუქტს მისი მოღვაწეობის კონკრეტულ ეტაპზე. ინტერპრეტატორი, ცხადია, ვერ მოახერხებს ავტორის მსოფლმხედველობრივი თუ სტილისტური მანერის სრულყოფილად აღდგენასა და შეთვისებას, შესაბამისად, ინტერპრეტაციის პროცესის წარმართვისათვის იგი საჭიროებს კონკრეტული მასალის ინტუიციურ წვდომას. რეკონსტრუქციის ამ ტიპის თანახმად, ინტერპრეტატორი შემოქმედის თანაშემოქმედად იქცევა.

სრულიად ცხადია, რომ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ინტერპრეტაცია დაფარულის შესამეცნებლად წარმართული პროცესია და თუ გავითვალისწინებთ მარტინ ჰაიდეგერის მართებულ შენიშვნას, რომ დაფარულის შესამეცნებლად საკმარისი არ არის აღნერა, არამედ საჭიროა საფარის ახდა, მივალთ დასკვნამდე, რომ ინტერპრეტაცია მუდმივად მოქმედებს საზღვარზე დაფარულსა და გაცხადებულს შორის.

საინტერესოა, წარმოდგენილი მოდელის ფარგლებში როგორ სახეს იღებს ტექსტისა და ინტერპრეტატორის სტრუქტურული ურთიერთმიმართება?

ნამრომში „ჭეშმარიტება და მეთოდი“ ჰანს გეორგ გადამერი მიუთითებს, რომ ტექსტი კი არ ემორჩილება ინტერპრეტატორის, ანუ ინდივიდის უკვე ჩამოყალიბებულ და კრისტალიზებულ სისტემას, არამედ, პირიქით, თავად ინდივიდი ინტეგრირდება ტექსტში და განიცდის ტრანსფორმაციას. ინტერპრეტატორის ხედვის ჰორიზონტი მუდმივად ესაზღვრება ტექსტის ჰორიზონტს და წარმოადგენს მასთან მუდმივ დიალოგს. ინტერპრეტატორი შეკითხვებს უსვამს ტექსტს და, პირიქით, ტექსტი უსვამს შეკითხვებს ინტერპრეტატორს. მსგავს ვითარებაში სავსებით დასაშვებია ინტერპრეტატორის გამოცდილების გადანაცვლება ტექსტის დონეზე, მისი შერწყმა ტექსტის თვითშემეცნებასთან და ახალი გამოცდილების გამომუშავება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტექსტის ინტერპრეტაცია წარმოადგენს მუდმივ დიალოგს აწმყოსა და წარსულს შორის, სადაც აწმყოს განსაზღვრულობა მხოლოდ წარსულის მიღმაა შესაძლებელი. იქმნება განგრძობითობა, რომლის წიაღშიც ერთმანეთს ერწყმის ისტორიული და თანამედროვე ხედვის ჰორიზონტები. პრინციპული მნიშვნელობა აქ ენიჭება არა ავტორისეულ ინტენციებს, არამედ ტექსტის გადანაცვლების პროცესს ერთი კულტურულ-ისტორიული კონტექსტიდან მეორეში. ამ პროცესს გადამერი ჰერმენევტიკული აქტის ისტორიულ ასპექტს უწოდებს, კონდიციას, რომელიც წარმოაჩენს ისტორიის დიალექტიკურ ხასიათს და ინტერპრეტაციის განპირობებულობას კონკრეტული კულტურულ-ისტორიული კონტექსტით.

იბადება კითხვა: ასეთ შემთხვევაში, დაცულია თუ არა ავტორის უფლებები? პირშის დაბეჯითებული მტკიცებით, ინტერპრეტაციული წრის გაფართოვება

ოდნავადაც ვერ არყევს ავტორის უფლებებს: ნებისმიერი ინტერპრეტაციის პროცესი წარმოადგენს გახსნილ პერსპექტივას, მასალის მართებულად გააზრებათა ინვარიანტულ სისტემას, რომელიც ავტორის მიერ შემოთავაზებულ ალბათობებსა და ვარაუდებზეა ორიენტირებული. ავტორი ამკვიდრებს ტექსტის „აზრსა“ და „არსს“, მრავალრიცხოვანი მკითხველი კი ინდივიდუალურად ადგენს მის „მნიშვნელობას“. კრიტიკოსის ინტერესის საგანს უნდა წარმოადგენდეს არა კონკრეტული ავტორისეული წიაღსვლები, არამედ, „არსებითობის“ ზოგადტიპოლოგიური სივრცე, ტექსტის ე.ნ. „შინაგანი ჟანრი“, რომელიც წარმოაჩენს ავტორის ზოგად მოსაზრებებსა და ხედვის ძირითად პერსპექტივას შემოქმედებითი აქტის პროცესში. ჰირში ზრუნავს ავტორის „კერძო მესაკუთრის“ სტატუსის შენარჩუნებაზე. მისი აზრით, ტექსტის „არსებითობა“ არ უნდა დაექვემდებაროს სოციალიზაციის, ანუ ტექსტის „საერთო-სახალხო“ საკუთრებად ქცევის პროცესს: ტექსტი ეკუთვნის ავტორს და თუ მკითხველს არ გააჩნია მოწინება ავტორის მიერ დადგენილი ნორმებისადმი, მაშინ არც ინტერპრეტაციის ნორმა გააჩნია და მექანიკურად ახდენს კრიტიკული ანარქიის პროვოცირებას.

მოგვიანებით, როდესაც პოლ რიკიორი გამიჯნავს „განმარტებისა“ და „ინტერპრეტაციის“ ცნებებს, აღნიშნავს, რომ „განმარტება“ ცხადყოფს ტექსტისმიერ ინფორმაციას, ხოლო „ინტერპრეტაცია“ აღნიშნავს ტექსტზე კრიტიკოსის რეაქციის სიღრმეს. შესაბამისად, „შეგრძნება“ ტექსტის ობიექტურ თვისებად მიიჩნევა, „შენიშვნა“ კი წარმოაჩენს კრიტიკოსის ცოდნის პერსპექტივას, მის ინტერციონალობას, რომელიც განსაზღვრავს რეაქციას.

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, შეიძლება დავასკვნათ: ინტერპრეტაციის ხიბლი თავისუფლე-

ბაა, მაგრამ არა სუმბურული, არამედ ლოგიკური, და-ფუძნებული კონკრეტულ მეთოდოლოგიურ ხერხებზე და მოწოდებული დაფარულის შესამეცნებლად. ინტერ-პრეტაციის პროცესი წარმოაჩენს ინტერპრეტატორის შემეცნებით შესაძლებლობებს ავტორის უფლებების დაცვითა და გათვალისწინებით. შესაბამისად, კითხ-ვაზე: გვაქვს თუ არა უფლება გავაფართოვოთ ტექს-ტის ინტერპრეტაციის საზღვრები, პასუხი ცალსახად დადგებითაა. ხოლო კითხვაზე, შეიძლება თუ არა ინ-ტეპრეტაციის პროცესი იყოს უმართავი, პასუხი არის ცალსახად უარყოფითი.

ტექსტი შრეობრივი სისტემაა. ჯერ კიდევ რო-მან ინგარდენი წერდა, რომ ტექსტის სტრუქტურა შრეებად დაყოფილ ფორმულას წარმოადგენს, ხოლო ავტორისაგან ტექსტის ზოგადი პერსექტივის შერჩევის პროცესი გარკვეული სიზუსტით აირეკლავს მწერლის შემოქმედებით რესურსებსა და სტილისტურ თავისე-ბურებებს. მაგრამ ავტორს არ ძალუდს სრულგანზო-მილებიანი სამყაროს შექმნა, ის სჯერდება ცალკეული ფრაგმენტების წარმოჩენას იმ პირობით, რომ ავტორის შემოქმედებითი ინტენციონალობა სწორედ აღნიშ-ნული ფრაგმენტების ფარგლებში გადაიკვეთება ინ-ტერპრეტატორის რეცეფციულ ინტენციონალობას-თან. გამომდინარე აქედან, ერთი მხრივ, ავტორისა და მკითხველის ინტენციონალობა და, მეორე მხრივ, რედუქციული სტრატეგია, რომლის მიღმაც განირჩე-ვა ტექსტის სტრუქტურული შრეები, წარმოადგენს ლიტერატურულ კრიტიკასთან შეთავსებად ბაზისურ ფენომენოლოგიურ კონცეფციებს. ლიტერატურული ტექსტის შემეცნების ეს თავისებურება განასხვავებს მხატვრულ ნაწარმოებს სამეცნიერო ნაშრომისაგან: თუ მეცნიერული ნარკვევის შემეცნების შედეგად წარ-მოიქმნება ან გროვდება ცოდნა, რომელიც აღნიშნული ნარკვევისგან დამოუკიდებლად არსებობს, ლიტერა-

ტურული ტექსტის შემეცნება საფუძველს უყრის ფასეული ესთეტიკური გამოცდილების დაგროვებას.

შესაბამისად, რაც მეტად ფრაგმენტულია ლიტერატურული ტექსტი და რაც უფრო ფართო ესთეტიკური იმპულსების გენერატორად გვევლინება იგი, მით უფრო მაღალია მისი მხატვრული ლირებულება. ამის დადასტურებად ქართული ლიტერატურული ისტორიისათვის მნიშვნელოვანი არაერთი მხატვრული ტექსტი მოჩანს, რომლებიც წაკითხვათა ხშირად დიამეტრულად საპირისპირო ვერსიებს ემორჩილებიან.

ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ყველა წაკითხვას აქვს არსებობის უფლება, გარდა იმ წაკითხვისა, რომელიც:

1. ავტორის კონცეფციას აქცევს ინტერპრეტაციული კლიშეს პირობებში;

2. საკუთარ ინტერპრეტაციას მიიჩნევს იმპერატიულად სწორ ვერსიად.

პირველ შემთხვევაში, კრიტიკოსი არღვევს ავტორის უფლებას და ახორციელებს ინტერპრეტაციულ ძალადობას ავტორზე, მეორე შემთხვევაში – უგულებელყოფს შემეცნების პროცესის შესაძლებლობებს და უშვებს უხეშ შეცდომას თავად ინტერპრეტაციის იდეის მიმართ. რა უწყობს ხელს ინტერპრეტაციული კლიშების ჩამოყალიბებას? ერთი მხრივ, პიპერტროფირებული იდეოლოგიზმებული მანქანა, როგორც მთავარი გამღიზიანებელი, მეორე მხრივ – ლიტერატურათმცოდნეობითი ინერცია, პასიური მოკრძალება ავტორიტეტების წინაშე, რაც ხშირად არანაკლებ „ეფექტურია“ ვიდრე, პირველი. როდის იძენს ინტერპრეტაცია იმპერატიულ ტონს? როდესაც კრიტიკოსი მხედველობის არედან კარგავს ავტორს, ან როდესაც ავტომატიზდება საკუთარივე მეთოდოლოგის ფარგლებში.

თუკი ინტერპრეტაციას გავათავისუფლებთ ამ ხელოვნური შეზღუდვებისგან, მივიღებთ ძალზე საინ-

ტერესო შედეგს: ინტერპრეტაციულ თავისუფლებას, როგორც მეთოდოლოგიურ მოვლენას, დაფუძნებულს ტექსტის რეალურ შესაძლებლობებზე (კონტექსტი, სტრუქტურა, კონცეფცია და ა.შ.). ამგვარმა ინტერპრეტაციულმა ექსპერიმენტმა, შესაძლოა, შექმნას გარკვეული ნინააღმდეგობა ტექსტების წაკითხვის ტრადიციულ მოდელებთან, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ის დაეფუძნება მკაცრ მეთოდოლოგიურ პრინციპებს, თავს დააღწევს ლიტერატურათმცოდნეობითი ეთიკის ნორმების დარღვევას და თავის ნიშას დაიკავებს ინტერპრეტაციულ დიალოგში. თუმცა, საფრთხე ყოველთვის არსებობს. მაშინაც, როდესაც მეთოდოლოგიურ პრინციპებზე გამართულ კრიტიკას წარადგენ და მაშინაც, როდესაც ამას არ გააკეთებ. როგორი შეიძლება იყოს ეს საფრთხე?

თომას ელიოტი, განიხილავდა რა სალიტერატურო კრიტიკის საზღვრებსა და შესაძლებლობებს, აღნიშნავდა, რომ ლიტერატურული კრიტიკის უმ-თავრესი დანიშნულება „ხელოვნების ნიმუშების ახს-ნა-განმარტება და გემოვნების დახვენა“ (ელიოტი 2005: 71), რომელიც მოგვიანებით ჩაანაცვლა ფრაზით „გაგება და ლიტერატურით ტკბობის მხარდაჭერა“ (ელიოტი 2005: 71), აქვე მიუთითა, რომ „ტკბობა“ და „გაგება“ სულაც არ არის განსხვავებული მოვლენები, არამედ ერთი და იმავე მოვლენის ემოციური და ინტელექტუალური მხარეებია. შეიძლება გესმოდეს, მაგრამ ვერ განიცდიდე სიამოვნებას, მეორე მხრივ, თუ მხოლოდ გსიამოვნებს და არ გესმის, ეს ნიშნავს, რომ სიამოვნებას მხოლოდ საკუთარი ნააზრევიდან იღებ. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ინტერპრეტაცია არასრულყოფილია. მაშასადამე, სალიტერატურო კრიტიკის დაყვანა არც მხოლოდ მეთოდოლოგიურ ახს-ნა-განმარტებაზე შეიძლება და არც მხოლოდ ესთე-ტიკურ სიამოვნებაზე, არამედ მათ მთლიანობაზე.

ვფიქრობთ, ელიოტის ამ მოსაზრებას მივყავართ ჩვენ მიერ ზემოთ უკვე გამოთქმულ აზრთან: ინტერპრეტაციის პროცესის, როგორც გახსნილი პერსპექტივის, ამოცანას შეადგენს ტექსტის დაფარული აზრის შემეცნება, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, ტექსტის ფაქტობრივი მონაცემების განხილვასა და ასენა-განმარტებას გარკვეული კონტექსტისა და მეთოდოლოგიური ნორმების და არა იდეოლოგიური კლიშეს ფარგლებში, მეორე მხრივ კი, ესთეტიკური გამოცდილების, როგორც ინდივიდუალური რეცეფციის ფორმის გამომუშავებას ტექსტის ცალკეული ფრაგმენტების მიმართ. მსგავსი ინტერპრეტაციული სტრატეგია ავტორისა და ინტერპრეტატორის უფლებების თანაბრად დაცვას გულისხმობს და სწორი ინტერპრეტაციის წინაპირობად გვევლინება.

ვხელმძღვანელობდით რა ამ ინტერპრეტაციული პრინციპებით, ბოლო წლებში გამოვაქვეყნეთ რამდენიმე სტატია, რომლებშიც წარმოვადგინეთ რიგი ქართული ტექსტების წაკითხვის ორიგინალური ვერსიები. კვლევების ობიექტებად შერჩეულ იქნა იმ ქართველ ავტორთა ტექსტები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა ეტაპის ფორმირებისა და დადგენის საქმეში. ვაუა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, მიხეილ ჯავახიშვილი, რევაზ ინანიშვილი ქართველ მწერალთა იმ რიგს განცემულიან, რომელთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის ჩართვა საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესში არათუ შესაძლებელი, არამედ – ძალზე საშურია. სწორედ მათი რანგის მწერლები ასაბუთებენ იმ დებულებას, რომ ყოველი წაციონალური ლიტერატურა, თავსდება რა საერთო ლიტერატურულ კონტექსტში, ამავე დროს ინარჩუნებს ორიგინალურ შემოქმედებით აზროვნებას და, თავის მხრივ, აფართოებს საერთაშორისო ლიტერატურული პროცესის

ჰორიზონტებსა და მასშტაბებსა. მათი ტექსტების წაკითხვების მთავარი სამიზნე იყო არა მხოლოდ უანრული ან სტილური თავისებურებების გამოკვეთა, არამედ ინტერპრეტაცია თანამედროვე ფილოლოგიური კვლევებისათვის აქტუალური მეთოდოლოგიების ჭრილში, საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესთან და კანონთან მათი შესაბამისობის გათვალისწინებით. იმედს ვიტოვებთ, რომ წიგნის წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილი სტატიები, მათი დაკვირვებული წაკითხვა დაარწმუნებს მკითხველს: ტექსტის ყოველი ახალი, დასაბუთებული ინტერპრეტაცია უნდა მოვიაზროთ არა როგორც ტრადიციის დარღვევა, არამედ როგორც ნაცნობი ტექსტის კიდევ ერთი ახალი, უცნობი რაკურსის აღმოჩენა.

ტემპორალური ალტერნატივა მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“

„რამეთუ ვხედავთ ან ვითარცა სარკითა
და სახითა, ხოლო მაშინ პირსა პირისპირ. ან
ვუწყი მცირედ, ხოლო მერმე ვიცნა, ვითარცა
შევემეცნე“ (1 კორ. 13:12).

რა არის „ან“ და რა არის „მერმე“? სად არის „ან“ და
სად არის „მერმე“? თუ „ან“ განფენილია „აქ“, ხოლო
„მერმე“ – „იქ“, მაშინ არის სუბიექტი, რომელიც არ-
სებობს „ან“ და „აქ“ კოორდინატებით შემოზღუდულ
სივრცეში და შემეცნების სასაზღვრო ზოლით ემიჯ-
ნება „მერმე“ და „იქ“ კოორდინტებით აღნიშნულ
სივრცეს? ვინ არის იგი? გულგრილი ინდივიდი, ჯიუ-
ტად რომ გამყარებულა მისთვის განკუთვნილი არ-
სებობის ჩარჩოებში, თუ ძიებით შეპყრობილი ჰომო
საპიენსი, რომელიც ცხადად გრძნობს ტრანსფორმა-
ციის აუცილებლობას და ცდილობს, თავი დააღწიოს
რეალობის მყიფე პარამეტრებს. ერთი ტემპორალურად
რიგიდულია, სუბიექტი, რომლისთვისაც ან/აქ რეალო-
ბა მოცემულ პირობას წარმოადგენს, მასზე მარჯვედ
მორგება კი – არსებობის მიზანს, მეორე – ტემპორა-
ლურად ფლექსიური, სუბიექტი, რომელიც ნებსით თუ
უნებლიერ არღვევს რეალური დროის სტანდარტულ
რიტმს და შეგნებულად თუ ინერციით მიიწევს შემეც-
ნების სასაზღვრო ზოლისაკენ, რომლის მიღმაც მერმე/
იქ იდუმალი განფენილობაა გადაშლილი. მათი მორი-
გება შეუძლებელია: პირველი დროის რეალური მოდე-
ლის მცველი და ქომაგია, მეორე – მსხვერპლი და ოპო-
ნენტი, შესაბამისად, ერთი დიქტატორია, მეორე – ტყვე.
როგორი იქნება კვანძის გახსნა? ჰყავს კი ამ ბრძოლას
გამარჯვებული, ბრძოლას, რომელიც დროის სახელით

წარმოებს და რომლის კვინტესენციასაც ან – აქ/მერმე – იქ კონცეპტუალური ოპოზიცია წარმოადგენს.

ვფიქრობთ, სწორედ ეს ექსისტენციალური პრობლემა არის „ჯაყოს ხიზნების“ მთავარი თემა. პოლიტიკური თუ სოციალური მოტივები ისევე წარმოადგენს ამ რომანის ძირითად სათქმელს, როგორც ტუბერკულოზით დაავადებულთა სანატორიუმის აღწერა „ჯადოსნური მთის“ ავტორისათვის ან სვანის ამბავი მარსელ პრუსტისთვის. „ჯაყოს ხიზნების“ მთავარი გმირია დრო, დრო, რომელთან პირისპირ შეჯახებაც კარდინალურად განსაზღვრავს პერსონაჟთა ბეჭ-იღბალს, არა მხოლოდ მათ ცხოვრებასა და ყოფას, არამედ – აღსასრულსა და განაჩენს.

ვინ არის რომანის მთავარი პერსონაჟი, თეიმურაზ ხევისთავი? გულგრილი ინდივიდი თუ ძიებით შეპყრობილი პომო საპირისი? ტემპორალურად რიგიდული თუ ტემპორალურად ფლექსიური სუბიექტი? ობიექტურ დროს მიჯაჭვული დიქტატორი თუ მისი ტყვე? სიკვდილის ბნელი სამიზნე თუ სარტრისეული „გონების სინათლით“ გასხივოსნებული მეამბოხე?

საქმეც ისაა, რომ თეიმურაზ ხევისთავი ყველა ამ კომპონენტის არათანაბარი ნაზავია, რთული ლიტერატურული ჰიბრიდი, რომლის სათითაოდ გამოძერნვასა და ზნეობრივად ფორმირებას ეძღვნება თითქმის ორასგვერდიანი რომანი.

თეიმურაზ ხევისთავს იმთავითვე გამოარჩევს რამდენიმე სპეციფიკური ნიშან-თვისება: პირველ ყოვლისა, იგი „ხევისთავია“, სადაც ხაზგასმული და აქცენტირებული „თავი“ შეიძლება გავიაზროთ, ერთი მხრივ, როგორც მეთაური და, მეორე მხრივ, როგორც საწყისი ანუ დასაბამი. „თავი“-ს როგორც საწყისის გააზრება გასაგებს ხდის პერსონაჟის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს: თეიმურაზი ნაბატონევი, „ნაკაცარი, ნათავადარი, ნამამულევი, ნამოლვაწარი და ნავექი-

ლარია“ (ჯავახიშვილი 1959: 238). პრეფიქსი „ნა“ და შესაბამისი სუფიქსები – „არი“ და „ევი“ მიუთითებენ ფაქტების ყოფილობას წარსულ დროში, ანუ თუ საწინააღმდეგო მიმართულებით ვიმსჯელებთ, თეიმურაზი ერთ დროს ყოფილა კაცი, ბატონი, თავადი, მემამულე, მოღვაწე და ვექილი, დღეს კი აღარ არის. ამ სურათს ერთგვარად სრულყოფს ავტორის მინიშნება: თეიმურაზი ხევისთავთა გვარის უკანასკნელი ჩამომავალია. გამომდინარე ზემოთქმულიდან, შეიძლება დავასკვნათ: თეიმურაზ ხევისთავი დროის ნიშნით აღბეჭდილი პერსონაჟია, პერსონაჟი, რომელიც თავის თავში იტევს საწყისს, განგრძობადობასა და დასასრულს. თეიმურაზ ხევისთავის პერსონაში იმთავითვეა წარმოდგენილი დროის ყველა სპექტრი, ანუ თეიმურაზი დროით განსაზღვრული, დროის მარწუხებში მოქცეული, დროში გამოკეტილი ინდივიდია. ავტორის ამოცანა ნათელია: თეიმურაზი ან უნდა დაჰყვეს დროის დიქტატს, ან მძლავრად ჩაებლაუჭოს თავის თავშივე გენეტიკურად კოდირებულ ფასეულობებს და, რადაც არ უნდა დაუჯდეს, გადალახოს შემეცნების სასაზღვრო ზოლი. მაგრამ თვითშემეცნება მოვლენათა განვითარების დამამთავრებელი ეტაპია, ასე ვთქვათ, ბოლო ზღვარი, რომელსაც წინ ქარავანად მოუძვის ტყვეობის, ხსნის ძიების, ჯანყისა და სიკვდილთან შეჯახების ურთულესი ეტაპები.

თეიმურაზ ხევისთავი დროის ტყვეა, ობიექტური დროისა, რომელსაც გარკვეული რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები განსაზღვრავს. რაოდენობრივი თვალსაზრისით, რომანის დრო, რომელიც ახლადგასაბჭოებულ საქართველოშია განვითარებული, რამდენიმე თვეს ითვლის. აქედან, დაახლოებით ორი თვე აქტიური ხდომილობების პერიოდის რელევანტურია. რაც შეეხება ობიექტური დროის თვისებრივ მაჩვენებლებს, იგი მკვეთრად დეტერმინირებული ფორმითაა

გამოხატული. რომანში განვითარებულ დროს აქვს წარსული, ანმყო და მომავალი. წარსულის არსებობასა და პასიურ თანდასწრებას მიუთითებს უკვე კარგად ადაპტირებული „ნა“ პრეფიქსითა და შესაბამისი „არი“ და „ევი“ სუფიქსებით ნაწარმოები არსებითი სახელები, გაქვავებული ეპითეტები: ნაშინდარი, ნაფუძარი, ნახუცარი, ნაუფლარი, ნამოურავალი. წარსულის აჩრდილი გამუდმებით დაეხეტება რომანში და, დროდადრო, თეიმურაზ ხევისთავის დაკარგული საგვარეულო ნივთებივით იჩენს თავს. წარსული ლოდივით ანგვს გულზე ანმყოს, რომლის ბინადარნიც ცხვრის ფარის ინერციით მიიწევენ მომავლისაკენ, რომელიც, თავის მხრივ, ბოლშევიკური იდეოლოგისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი კოლექტივიზმის კრებითი ნიშნითაა განსაზღვრული: „მრნამს ჩვენი მშრომელი ხალხის ძალა და მისი მომავალი“ (ჯავახიშვილი 1959: 349). ამდენად, მომავალი, რომელსაც საბჭოური წეს-წყობილებისათვის ნიშანდობლივი კოლექტიური შეგნება გამოიმუშავებს, ხრონოსის ობიექტურ კანონზომიერებას ემორჩილება და, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებს ხრონოსის ჭეშმარიტებაში დაეჭვებული პერსონაჟის ცნობისმოყვარეობას. სწორედ გაურკვეველი მომავლის შეგრძენება გახლავთ დროსთან თეიმურაზ ხევისთავის კონფლიქტის დასაწყისი: მაღაზიათა დახლებზე გასაყიდ ნივთებად დაწყობილი წარსული თეიმურაზის სამომავლო ილუზიების დასასრულია. დრო იყიდება: „ერთნი ამ ქვეყნის ასპარეზიდან უკვე მიდიოდნენ და თავიანთ წარსულს ჰყიდდნენ, ხოლო მეორენი ახალ ქვეყნიდან მოდიოდნენ და თავიანთ მომავალს ჰყიდულობდნენ. თეიმურაზიც დლითიდლე ჰყიდდა თავის ბედნაკრავ ოჯახსა და ისტორიას. დლითიდლე სწვავდა მომავლის იმედებს და თავჩაქინდრული, გულდაწყვეტილი, სულდამწვარი, ზლაზვნით და ბორძიკით ჩამოდიოდა თავდალმა ცხოვრების ეკლიან კიბეზე“

(ჯავახიშვილი 1959: 262). მომავალი უცხო და გაუგებარ ცნებას წარმოადგენს. „გუშინ“ უფუნქციო ღირებულებაა, „ხვალ“ – არშემდგარი პერსპექტივა. მაში, რა არის „დღეს“? ხევისთავთა ბოსტნის კუთხეში ჩადგმულ საფრთხობელასავით თვალახვეული დრო, რომელიც ნაჭრის ტიკინასავით აბურთავებს თეიმურაზ ხევისთავი, ოდესაც აქტიური საზოგადო მოღვაწე, „უდავო მსაჯული და მცოდნე ყველასი და ყველაფრისა“, ახლა წარსულ-დაკარგული და უმომავლო, პირისპირ აღმოჩნდა დროის ულმობელ მანქანასთან. მისი გაუმართავი ძრავის ღრიალმა საბოლოოდ დააკარგვინა ხევისთავს რჩმენა: „ამ ქვეყანამ და თეიმურაზ ხევისთავმა თან-დათან ისე შეიძულეს და შეიზიზდეს ერთმანეთი, როგორც კერპმა მამამ შეიძულა უძღები შვილი, რომელ-მაც განუზომელი ურჩობა, უმაღურება, კადნიერება და ამპარტავნება გამოიჩინა და საკუთარ ფეხებზე დადგომა და საკუთარი გზით სიარული გაპპედა“ (ჯავახიშვილი 1959: 257). თეიმურაზი, რომელსაც „სიცოცხლე კისერზე ისე ჩამოეკიდა, როგორც ლეკვის აყროლებული ლეში“ (ჯავახიშვილი 1959: 257), მხრებჩამოყრილი დაჲყვა დროის დიქტატს და პირთამდე ჩაიძირა გულგრილობის მორევში: „თეიმურაზი თითქოს აღარ იბრძოდა. მოძულებული თავი მოძულებულ ცხოვრების მდინარეს გულგრილად მისცა და საამურ დასასრულს ნატვრით ელოდებოდა“ (ჯავახიშვილი 1959: 267). დრო დაეპატრონა თეიმურაზს. წარსულში გავლენიანი ხევისთავი, კაცი, ბატონი, თავადი, მემამულე, მოღვაწე და ვექილი, დროის პატივაყრილ ტუსაღად იქცა, ფუნქციადაკარგულ ხევისთავად, ნაკაცარად, ნაბატონე-ვად, ნათავადარად, ნამემამულევად, ნამოღვანარად და ნავექილარად, რომელსაც ბედმა ბერწობა და უშვილობაც დაატეხა თავს და გვარის უკანასკნელი მოჰიკანობა დააკისრა. თეიმურაზი დროის სფერული ციხის პატი-

მარია, რომელსაც ყველა გასასვლელი დახშული აქვს და მეციხოვნედ და მებჭედ რომანის კიდევ ერთი ცენტრალური პერსონაჟი, „ნადირივით თავაგლეჯილი“ ჯაყო ჯივაშვილი ჰყავს მიჩენილი.

ჯაყო ობიექტური დროის მედროშეა, დროის ნდობით აღჭურვილი პირი, მისი განმკარგავი და, შესაბამისად, დიქტატორი, საყოველთაო თაყვანისცემის ობიექტი: „ქვეყანამ იცის, რომ ჯაყო ჯივაშვილი ისე დასტრიალებს ჩვენს დარიბლატაკ გლეხობას, როგორც კარგი მეოჯახე თავის კერას... ვინ მოსთვლის, რამდენი მრუდე საქმე გაუსწორა ჯაყომ ჩვენს სოფელს და რამდენ გაჭირვებულ ქვრივ-ობოლს გაუმართა ხელი, – ქლესაობდა ივანე. – ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ-დენი სიკეთის დამთესი ჯაყო არც შემდეგში დაიხევს უკან და ისევ ძველებურად გაგვიწევს დახმარებას. მაშ გაუმარჯოს ჩვენი სოფლის ახალ პატრონს, ახალ აზ-ნაურს ჯაყო ჯივაშვილს“ (ჯავახიშვილი 1959: 294).

საგულისხმოა, რომ ჯაყოს პერსონაჟის ხაზის განვითარება იმთავითვე ანტიუტოპიის უანრული კანონის თანახმად წარმოებს რომანში. ჯაყო არავის აურჩევია ლიდერად: ჯაყო ლიდერია, ვინაიდან ყველა დაწერილი და დაუწერელი ნორმების დაძლევის გზით მიისტრაფვის ლიდერობისკენ. მსგავსივე სიზუსტით ემორჩილება ჯაყო ანტიუტოპიისათვის ნიშანდობლივ „თვითქმნა-დობის“ პათოსს, რაც შთამომავლობითი ანონიმურობის მოტივში რეალიზდება. განსხვავებით თეიმურაზ ხევისთავისაგან, რომელიც „ათიოდე საუკუნის განმავლობაში ბამბაფარჩაში ნაზარდი, ნატიფი, ნამუშავარი, ნათალი და დაფერილია“ (ჯავახიშვილი 1959: 298), ჯაყო ობოლია, „მიუვალ მთებსა და უღრან ტყეში გაზრდილი. იგი ბნელ ხეობიდან გამოვარდნილი ველურია, რომელმაც პირველად მხოლოდ ათი წლის წინათ დაინახა კრამიტი და დანა-ჩანგალი, საათი და სურათი, საყელო და ცხვირსახოცი“ (ჯავახიშვილი 1959: 299).

ჯაყო ტიპური ანტიუტოპიური „უგვარტომოა“, პერსონაჟი არსაიდან. ოსური ქუდი, ოსური ჩოხა, თათრული წინდები, დაბახანური ჩუსტები, ქართული ხმალი და რუსული თოფი ცხადყოფს მის გაურკვეველ, გადღვებილ წარმომავლობას. ჯაყო დროის მიერ ხელოვნურად შექმნილი შარიკოვია, რომელიც ძალლური ერთგულებით ემსახურება თავის მშობელს.

ჯაყოს გარეგნობასა და ქცევა-ჩვეულებებში ძნელი არ არის სატანისეული ნიშნების გამორჩევა, რაც, თავის მხრივ, საცნაურს ხდის თეიმურაზ ხევისთავის პერსონაჟის მითოლოგიურ ასპექტებს და ავლენს მათი დაპირისპირების ჭეშმარიტ არსს. ჯაყოს გარეგნული მონაცემები საქმაოდ ანტიპათიურია: „რამდენიმე ნაჭრილობევით დასერილი თავი და პირსახე ისეთი შავის, ხშირისა და აბურძეგვნილის ჯაგრით ჰქონდა შემოსილი, თითქო ჯაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უზარმაზარი ზღარბი აცოცებულიყო. შავი ჯაგრის ბუჩქნარი თვალებამდე სწვდებოდა და იმ ჯაგნარიდან მხოლოდ ხარის თვალებს, წინ-წამოყრილ ცხენის კბილებსა და გაჭყლეტილ ცხვირს ამოეყოთ თავი. ერთი მტკაველის სიგრძე ულვაშები გადმობრუნებულ ჯამებივით გამოყრილ ლოყებზე გაცვეთილ ცოცხებივით ეყარნენ, ხოლო იმ ჯამებს დინჯად და მედიდურად ლამბაქების ყურები დასცეროდნენ“ (ჯავახიშვილი 1959: 234). კუპრი ქართულ ქრისტიანულ წარმოდგენაში ჯოჯოხეთის, ეშმაკის საუფლოს აუცილებელ ატრიბუტად არის მიჩნეული, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ თვალსაჩინო მახასიათებლებზე, როგორებიც გახლავთ უკიდურესი მიწიერება, ფერ-ხორციანობა, ანუ ხორცის სიუხვე და ჭარბთმიანობა. მაქსიმილიან რუდვინი აღნიშნავს: „ეშმაკი მრავალ ფერში შეიძლება მოგვევლინოს, მაგრამ მათ ხორის უმთავრესია შავი ფერი. შავი მიუთითებს მის ადგილს ცისქვეშეთში. ხორცი ხაზს უსვამს ეშმაკის ცოდვიანობას, ჭარბთმიანობა კი – მის ნათესაობას

ცხოველურ სამყაროსთან“ (რუდვინი 1931: 35). ჯაყო „კბილმახვილი და დაუნდობელი ნადირია“, „კადნიერი და რეგვენი, ხეპრე და მოუხეშავი“, რომელსაც უკი-დურესი თვალთმაქცობა და გარდასახვის იშვიათი უნარი ახასიათებს. სამოთხის ბალიდან და პირველ-ცოდვის დღიდან მოკიდებული, ეშმაკი ფლიდობისა და მზაკვრობის განსახოვნებად არის მიჩნეული, რაც ასახვას პოულობს სახარებისეულ ტექსტებშიც: „ის (ეშმაკი – ი.რ.) კაცისმკვლელი იყო თავიდან და ჭეშმარიტებაში ვერ დადგა, რადგან არაა მასში ჭეშმარიტება. როცა სიცრუეს ამბობს, თავისას ამბობს, რადგან ცრუა იგი და სიცრუეს მამაა“ (იხ. 8:44). ჯაყო მიზანდასახულად და დაბეჯითებით ატყუებს თეიმურაზს, იქნება ეს ნლი-ური შემოსავალ-გასავლის ანგარიში, მიწების მოსავლიანობისა თუ გლეხებთან ურთიერთობის საკითხი და პირწმინდად ძარცვავს ე.წ. ბატონს. ჯაყოს კმაყოფილებასა და თვითდაჯერებულობას ანიჭებს თეიმურაზის მოტყუება, წვალება, დაცინვა. ჯაყოს მიზანია, სრულად და განუყოფელად დაეპატრონოს თეიმურაზს, ხევის-თავიდან ბრინკად გადააქციოს: „შენა, თეიმურაზ, კნიაზი კი არა ხარ, ბრინკა ხარ, ბრინკა“, – უმტკიცებს ჯაყო თეიმურაზს, ბრინკა ჯაყოს „ნათესავი იყო, – დავრდომილი, გონჯი, საბრალო და ყველაფრით უბადრუკი“ (ჯავახიშვილი 1959: 292). თეიმურაზის ბრინკად ქცევა კი უდავოდ მოასწავებს ხევისთავის ინტეგრაციას კვაზინომინაციის ანტიუტო-პიური ნიშნით აღბეჭდილ მასაში. ჯაყოს სატანური ენერგია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის პიროვნული ღირსებების განადგურებისკენაა მიმართული, როგორც ფიზიკური, ისე მორალური და სულიერი თვალსაზრისით. თავითფეხებამდე ქონში ამოვლებულ და ზეთით გაპოხილ ჯაყოს მუდმივად მყრალი სუნი ასდის: „ისე იყო აყროლებული, რომ მისი სუნი, – როცა ჯაყო თეიმურაზის სახლში შევიდოდა ხოლმე, – სამი დღე

მაინც სტრიალებდა იმ ოთახებში და ის სუნი, ის თავ-ბრუდამხვევი სიმყრალე ეხლაც თან დაჰქონდა გამდი-დორებულ ჯაყოს“ (ჯავახიშვილი 1959: 364). სიმყრალე, ამ შემთხვევაში, მეტაფორის რეალიზაცია გახლავთ, სადაც ფიგურალური სიმყრალე ფიზიკურ სიმყრალეს ერთვის და სატანის უწმინდურ სულზე მიგვანიშნებს. თუ „ეშმაკს ძალუძს მოგვევლინოს ნებისმიერი ფორ-მითა და ნებისმიერი ჩაცმულობით“, ანუ თუ „მისი მანიფესტაცია შესაძლებელია ნებისმიერი იერსახით, რაც კი არსებობს სამყაროში“ (რუდვინი 1931: 35), მა-შინ სრულიად გასაგებია ჯაყოს ე.წ. ფერისცვალების ეპიზოდიც, სადაც ჯაყო, გარდასახვის მეშვეობით, ცდილობს დაფაროს თავისი ჭეშმარიტი სახე: მან თავი დაიბანა, კბილები გამოიწმინდა, ყურები გამოიჩიჩქნა, წვერი გაიპარსა, მყრალი ყალიონის ნაცვლად სოხუ-მური პაპიროსი გააბოლა, ახალი საცვლები და ახალუხი შეიძინა, წერა-კითხვის სწავლაც მოინდომა. მაგრამ ტრანსფორმაცია მოჩვენებითა, რეალურად არაფერი შეცვლილა, „ბანჯგვლიანი დათვი პირგაპარსულ მა-იმუნს დაემსგავსა“.

ვფიქრობთ, აქ უფრო შორსმიმავალი დასკვნაც შეიძლება გამოვიტანოთ: თუ ჯაყოს ტრანსფორმაცია მოჩვენებითი და ყალბია, ფალსიფიცირებულია დროის ტრანსფორმაციაც, რომელსაც ჯაყო წარმოადგენს: ობიექტური დრო მოკლებულია თვისებრივი ტრანს-ფორმირების უნარს და მოვლენათა რაოდენობრივ სიმ-რავლეს წარმოადგენს – „დღეს მე გართმევენ, ხვალ თქვენ წაგართმევენ“ (ჯავახიშვილი 1959: 423), – გაჰ-ყვირის თავის გუშინდელ მეხოტბეთაგან უარყოფი-ლი ჯაყო; „დღეს მე გართმევენ, ხვალ კი თქვენი ჯერი დადგება“ (ჯავახიშვილი 1959: 424); „დაგაცადე ჯაყოსა! ჩემი დროც მოხვალ“ (ჯავახიშვილი 1959: 426), – იქად-ნის იგი. ეს კეისრის სამყაროა, სამყარო, რომელშიც საათის დრო მოქმედებს და ერთი მიმართულებით მი-

აქანებს მოვლენებსა თუ ადამიანებს: ცვალებადობა აქ მხოლოდ პირობითია, ცვალებადობა დროის არსს არ ცვლის.

ამდაგვარ დროსთან თეიმურაზის მიმართება ძალზე რთულია: ხევისთავი ჯერ ბავშვის უინიანობით, შემდგომ კი მოწიფულის დარწმუნებით ებრძვის დემონური არქეტიპული მოდელით გამოხატულ დროს, რომლითაც მჭიდროდ არის შებორკილი. დროის ტყვეობის გრაფიკულ პროექციას პერსონაჟის წრიული მოძრაობა წარმოადგენს, რაც, ჩვენი აზრით, არა მხოლოდ გრაფიკულად, არამედ კონცეპტუალურად ეხმიანება აგასფერის მითს. მითის სიუჟეტი ასეთია:

„მაცხოვარი, მიემართებოდა რა გოლგოთისაკენ, სულის მოსათქმელად აგასფერის სახლთან შეჩერდა. მაგრამ ეს უკანასკნელი უხეშად მოექცა მას და არ მისცა ნება, მიახლოვებოდა მის საცხოვრებელს. „მე დავრჩები და შევისვენებ, – თქვა იქსომ, – შენ კი წახვალ“. მართლაც, აგასფერი მყის გაუდგა გზას და მას შემდეგ აღარ გაჩერებულა“ (ბატიუშკოვი 1892: 676). თავისი შეცოდებისათვის აგასფერი მოკლებულია სიკვდილის პრივილეგიას და, ვიდრე მეორედ მოსვლამდე, განწირულია სამუდამო ხეტიალისთვის. აგასფერი მითოლოგიური სასჯელის მატარებელი პერსონაჟია, მისი უკვდავება კი შეჩვენებაა, წყევლა, უაზრო, გამანადგურებელი ერთფეროვნებისაგან მოგვრილი ტანჯვა. როგორც არ უნდა იხეტიალოს აგასფერმა, იგი ვერ შეცვლის საკუთარ ხვედრს, სწორედ ამიტომ, ზოგიერთი ვერსიის თანახმად, ფეხშიშველი და წვერ-მოშვებული აგასფერი გამუდმებით გარს უვლის სვეტს და სვამს კითხვას: „ხომ არ მოდის კაცი, რომელიც ჯვარს ეზიდება?“

დავუბრუნდეთ თეიმურაზ ხევისთავს. ხევისთავი თანდათან, ნელ-ნელა, ნაპიჯ-ნაპიჯ უახლოვდება აგასფერის მითოლოგიურ არქეტიპს. ცხოვრებისაგან

გარიყულმა და გათელილმა „ნათავადარმა“ „ჯერ რამდენიმე ხელი (ტანისამოსი – ი. რ.) გაჰყიდა, და-ნარჩენი გადმოაბრუნა და მარცხენა ჯიბეები მარჯ-ვნივ მოაქცია; მერმე, საყელოების გახამება რომ გაძ-ვირდა, გაუხამებელს იკეთებდა. ბოლოს, საყელოები და ყელსაბამიც მოიშორა, ხალათი ჩაიცვა, ქამარი შე-მოირტყა, წვერიც გაუშვა და გაკოტრებულ მეწვრილ-მანე ურიას დაემსგავსა“ (ჯავახიშვილი 1959: 262). „ურიას“ დამსგავსებულმა თეიმურაზ ხევისთავმა და ქვეყანამ საბოლოოდ აიყარეს ერთმანეთზე გული, „ერთმანეთს გული და სული ვერ შეუგუეს და ვერ მო-ახვედრეს. ორივენი თითქოს სხვადასხვა ენას ლაპა-რაკობდნენ, თითქო სხვადასხვა ქვეყნისა და უამის სუ-ლითა და ხასიათით იყვნენ გაუქდენთილნი. ამიტომ იყო, რომ ერთის „ღვთის წყალობა“ მეორეს „ღვთის რისხ-ვად“ ელანდებოდა, ხოლო მეორეს მადლი პირველს მატლად მიაჩნდა“ (ჯავახიშვილი 1959: 263). ოპოზიცია ღვთის წყალობა/ღვთის რისხვა, მადლი/მატლი, ნათ-ლად წარმოაჩენს რომანის კონცეპტუალურ ოპოზი-ციას თეიმურაზ ხევისთავი/ქვეყანა, სადაც „ქვეყნის“ მიერ ნაწყალობევი თავშესაფარი, ჯაყო ჯივაშვილის კარ-მიდამო (იგივე თეიმურაზისა), თეიმურაზის აბ-სურდული ხეტიალის ათვლის წერტილად გვევლინება. თეიმურაზ ხევისთავმა „აბგაში რამდენიმე წიგნი და ცოტაოდენი წვრილმანი ჩაილაგა“ (ჯავახიშვილი 1959: 277) და ჯაყოსთან გადაბარგდა. აქ „ურიას“ მო-ტივი უდავოდ ივსება „აბგის“ მოტივით: ზურგზე აბ-გამოკიდებული, ურიას დამსგავსებული ხევისთავი ჯაყოს ხიზნობას ირჩევს – „მეყო, რაც შევწირე ჩვენს ხალხს. რა მივიღე სამაგიერო? მათხოვრის აბგა და ჯ... ჯჯაყოს ხიზნობა“ (ჯავახიშვილი 1959: 311). მაგრამ, დროთა განმავლობაში, ასიგრძეგანებს რა მდგომა-რეობის სიმძიმეს, დამცირებული და გალაზული „ნაბა-ტონევი“ ცდილობს, გაექცეს შექმნილ ვითარებას, რო-

გორმე დაალწიოს თავი დროის ტოტალურ ტერორს, იპოვოს გამოსავალი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გულგრილობის მორევში ჩაძირული პერსონაჟი ინსტინქტურად იწყებს ძიებას. გამოსავლის ძიების პროცესში ნათლად იკვეთება ხევისთავის თავს დატეხილი მითოლოგიური სასჯელის გარე და შიდა პროექცია. ხევისთავი იწყებს მოძრაობას, რათა გადარჩეს, მაგრამ მისი მოძრაობა ციკლურია, წრიული. მსგავსად არისტოტელეს ციურ სხეულთა მოძრაობისა, ხევისთავის მოძრაობაც დროის რეალური კოორდინატების ადეკვატური მოვლენაა, რომელიც მუდმივად აბრუნებს პერსონაჟს მოძრაობის საწყის წერტილში. თეიმურაზი რეგულარულად დადის საშველის საძებნელად და მარშრუტი ასეთია: ნაშინდარი – გორი – ნაშინდარი, ნაშინდარი – ცხინვალი – ნაშინდარი, ნაშინდარი – ლევანაშენი – გორი – ნაშინდარი, ნაშინდარი – უმისამართო სივრცე – ნაშინდარი. სადაც არ უნდა წავიდეს თეიმურაზი, იგი გარდაუვალად ბრუნდება ნაშინდარში, ჯაყოს ჭერქვეშ და გზადაგზა აძლიერებს „ურიის“ მოტივს: ურიობას ვაჭრობა ემატება: „ვ...ვაჭრობა? ვაჭრობა ჩემი საქმეა. ძალიან კარგად მაქვს შ...შესწავლილი. ბანკში და კოოპერატივში ვმუშაობდი“ (ჯავახიშვილი 1959: 335), აბგას – ჯოხი და წვერი: „თეიმურაზი მობრუნდა და გზას გაუდგა. ზურგზე პატარა ბოხჩა ეკიდა და ხელში ჯოხი ეჭირა“ (ჯავახიშვილი 1959: 419). ობიექტური დრო ხევისთავის დაბერების პარალელურად მიედინება: „რამდენიმე თვის შემდეგ ოთხმოცი წლის მოხუცივით დაბერებული ხევისთავი იმავე ნაშინდარს მიადგა. ქადილით წასული მებრძოლი ერთგულ ძალლივით უბრუნდებოდა ჯაყო ჯივაშვილს. თავზე ქუდის ნაგლეჯი ეხურა. დაგლეჯილი ჩუსტებიდან ფეხის თითები უჩანდა და ტანზე დაკონკილი ინგლისური ფარაჯა ეცვა. წელში სამად მოხრილიყო, დამსხვრეულ სხეულს ძლივს მოათრევდა და სქელ ჯოხს ყავარჯნად

ხმარობდა. ოთხმოციოდე წლის მოხუცს თეთრი წვერი ჩაზნექილ მკერდზე სცემდა“ (ჯავახიშვილი 1959: 427). აგასფერის სახე და მოტივი დასრულებულია: თეიმურაზ ხევისთავი, მსგავსად ვაჭრული ნიჭით დაჯილდოებული ურიისა (ზოგიერთი ვერსიის თანახმად, აგასფერი იყო ვაჭარი), ბოხჩით ზურგზე და ჯოხით ხელში განუწყვეტლივ მოძრაობს ჯადოსნურ წრესავით შეკრულ აბსურდულ ტეხილზე. საითაც არ უნდა წავიდეს თეიმურაზი, ის მაინც ჯაყოს უბრუნდება. რატომ?

თეიმურაზი რადიკალურად განსხვავდება ველური ჯაყოსაგან. „იგი უმწეო ყვავილივით ნაზი და ლამაზი იყო, ნატიფად ასხმული და ნაქანდაკევი, მაგრამ გამხდარი და გაძვალებული, მხრებაყრილი და მკერდჩავარდნილი, ბეცი და მელოტი, გაფუფქული ქათმის მინამგვარი, მწიგნობრობით დაღლილი, დაშრეტილი, გამოწურული და დამდნარი ნაკაცარი“ (ჯავახიშვილი 1959: 234). თეიმურაზი უძველესი ქართული გვარის ჩამომავალი გახლდათ, სახელოვან წინაპართა მემკვიდრე. „თეიმურაზს მთელი ტფილისი იცნობდა: ზრდილი, პატიოსანი, დინჯი, ჭკვიანი და ენამჭევარი საზოგადო მოღვაწე იყო“ (ჯავახიშვილი 1959: 242), გამორჩეული ერუდიციის, ინტელექტისა და ენამჭევრობის გამო მას „ცოცხალ ენციკლოპედიასაც“ კი უწოდებდნენ. როგორც გარეგნული, ისე ინტელექტუალური და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, თეიმურაზი ჯაყოს ანტიპოდია. მეტიც, თავისი სხეულის ხაზგასმული სიმჩატითა და სიფერმკრთალით თეიმურაზი ფრესკული სიმსუბუქითა და პაეროვნებითაა აღბეჭდილი. მაშ, რა აკავშირებს თეიმურაზს მიწიერ, ფერ-ხორციან ჯაყოსთან? რად ვერ აღწევს თავს მის საძულველ საზოგადოებას? თეიმურაზისა და ჯაყოს გარდაუვალი მეკავშირეა დრო, დრო, რომელმაც ერთი დიქტატორად, ხოლო მეორე ტყვედ აქცია, ერთს ძალაუფლება დაატეხა თავს, მეორეს კი – აგასფერის

წყევლა. დრომ გადააჯაჭვა თეიმურაზი და ჯაყო. ჯაყო თეიმურაზის ტემპორალური ორეულია და არა მარტო ტემპორალური, არამედ სივრცული ირეულიც: თეიმურაზი და ჯაყო ბინარული სივრცული ოპოზიციის ორი ბოლოა, მჭიდროდ დამაგრებული საერთო ძირზე. მათ საერთო აქვთ სახლ-კარი – ხევისთავთა საგვარეულო ციხე-დარბაზი, კოშკი, საგანძურო, რომელიც თავდაპირველად თეიმურაზს ეკუთვნოდა, მაგრამ ნაწილ-ნაწილ მითვისა ჯაყომ; საერთო აქვთ სოფელი ნაშინდარი, რომელიც უნინ თეიმურაზის წინაპრების – ხევისთავთა მამულს წარმოადგენდა, ახლა კი ჯაყოს სათარეშოდაა ქცეული; საერთო აქვთ სოციალური წრე, სოფელ ნაშინდარის მოსახლეობა, რომელიც ქმნის რომანში ფსევდოკარნავალურ ფონს; და ბოლოს, მათ ჰყავთ სიყვარულის საერთო ანუ „საზიარო“ ობიექტი, ქალი, მარგო, იგივე მარგარიტა ყაფლანიშვილი ხევისთავისა, რომელიც თეიმურაზ ხევისთავის ცოლიდან ჯაყო ჯივაშვილის ჯერ ხარჭად, შემდეგ კი ცოლად გადაიქცა. თუ ამას დავუმატებთ ჯაყოსა და მარგოს ვაჟის, პატარა ჯაყოს ხევისთავთა გვარზე დაწერის მცდელობას, სახეზე გვექნება სრული პერსონალური იდენტიფიკაცია: ჯაყო ჯივაშვილი-ხევისთავი. ლოტ-მანი წერდა: „პერსონაჟები, რომელთა სივრცული ველი გარკვეულ დონეზე ემთხვევა ერთმანეთს, გვევლინებიან ინვარიანტულობის მაღალ დონეზე ჩამოყალიბებულ ვარიანტებად“ (ლოტმანი 1887: 391). ყოველივე ამას უეჭველად მივყავართ დასკვნამდე: თეიმურაზ ხევისთავისა და ჯაყო ჯივაშვილის პერსონაჟები წარმოადგენენ რომანის ცენტრალურ ბინარულ წყვილს, საერთო ძირზე ხელოვნურად დამაგრებულ ორეულს, რომელთა შორის არსებული წინააღმდეგობრივი ურთიერთობა თვალნათლივ წარმოაჩენს რომანის მსოფლმხედველობრივ ასპექტებს. „ჯაყოს ხიზნების“ საბედისწერო ორეულის ერთი ნახევარი, ჯაყო, გააფ-

თრებით ცდილობს მეორე ნახევრის, თეიმურაზის და-ჩაგვრას, დაპყრობას, შთანთქმას. თეიმურაზი ან უნდა დანებდეს მას, ანაც ეძიოს ხსნის გზა, გზა, რომელიც გადაარჩენს მის პიროვნებას, მის მეობას და სულს გარშემო გამეფებული ფსევდოკარნავალის დესაკრა-ლიზებულ სამყაროში. აგასფერის გზაც ამ განწირული ძიების ნაწილია.

შეიგრძნობს რა აგასფერის ხვედრის აბსურდულო-ბას, თეიმურაზი კვლავ და კვლავ ულმობელ დროს ეჯახება პირისპირ: „მხოლოდ ჯაყო იყო ახლად შობი-ლი ახალი ჯურის ადამიანი, მხოლოდ მას ჰქონდა დროს შესაფერი კუნთები, ბასრი კლანჭები და ფოლადის კბილები. ჯაყოები ამ კლანჭებით და კბილებით უძ-ლურ ჭიაყელებს დაიპყრობენ. აღვირანყვეტილ მხეცს დაიმორჩილებენ“ (ჯავახიშვილი 1959: 337). ობიექტუ-რი დროით განსაზღვრულ რეალობასთან პიროვნების საბედისწერო შეჯახებას ალბერ კამიუმ „ადამიანის ძახილისა და სამყაროს ჭკუიდან შემშლელი სიჩუმის შეჯახება“ უწოდა და განსაზღვრა, როგორც „გან-ხეთქილება კაცსა და სიცოცხლეს შორის, მსახიობსა და დეკორაციას შორის“ (კამიუ 1996: 8). „შეიძლება გულწრფელად ვალიაროთ, – წერდა კამიუ, – რომ არსე-ბობს პირდაპირი კავშირი ამ გრძნობასა და არყოფნი-საკენ ლტოლვას შორის“ (კამიუ 1996: 8). თავი ვანებოთ ექსისტენციალისტებს და „ჯაყოს ხიზნების“ ტექსტს მიღუბრუნდეთ. რეალობასთან პერსონაჟის შეჯახების პროცესში კიდევ ერთი ორეული იბადება – მეორე თეიმურაზი, თეიმურაზის სარკისმიერი ლანდი, აჩრ-დილი, მისი ალტერ ეგო, რომელიც აქტიურად ერევა ხევისთავისა და დროის უმისოდაც გამწვავებულ ურ-თიერთობაში, ანუ ასრულებს ერთგვარი შუამავლის როლს კაცსა და მისთვის გაუსაძლის, თუნდაც, გა-უგებარ ცხოვრებას შორის.

ორეულის აღმოცენება თეიმურაზის ნაშინდარში გადმოსახლებას უკავშირდება, პერიოდს, როდესაც თეიმურაზის ტყვეობა უხილავიდან თვალნათლივ ფაქტად იქცევა: „ჯაყოს ხიზანს ქალაქიდან ახალი ჩვეულება მოჰყვა, რომელიც შეუმჩნევლად და თანდათანობით განუვითარდა და გაუძლიერდა: საკუთარ თავთან საუბარი, მსჯელობა, კამათი და დავა“ (ჯავახიშვილი 1959: 318). ორეული თეიმურაზ ხევისთავის პიროვნების შინაგანი დეტერმინირების ნაყოფი და ობიექტური დროის ქრონომეტრია, ემპირიკოსი, თეიმურაზის პიროვნებაში კოდირებული დროის კოეფიციენტის მაჩვენებელი. ორეულის გამოჩენა თეიმურაზ ხევისთავის დროსთან ჭიდოლის უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტია, მწერლის მიერ ხელოვნურად შექმნილი ტიხარი, რომელიც ცხადად გამოკვეთს თეიმურაზ ხევისთავის შინაგანი კონფლიქტის, შინაგანი დავისა და მერყეობის პროექციას: „აკი გითხარი, შემჭამა და გამათავა მეთქი. ჩემი განკურნება ძნელია. თვალებზე – შავი ბინდი, გულში – შავი ნალველი და სულშიც შავი – ბურუსი, აი, დღევანდელი თეიმურაზ ხევისთავი“ (ჯავახიშვილი 1959: 330), – მოსთქამს ერთი თეიმურაზი. „ოჲ, ღმერთო, დიდებულო! ნეტა როდის დამიბრუნდება სულიერი მშვიდობა და სიხარული?!“ (ჯავახიშვილი 1959: 330), – ოცნებობს მეორე, „აგრე იყოს. ზოგზე იტყვიან, აღსრულდაო, ზოგზე – განისვენაო, ზოგზე – მოკვდაო. ჩემზე კი იტყვიან – ჩაძალლდაო“ (ჯავახიშვილი 1959: 332), – ბორგავს ერთი თეიმურაზი; „მაგრამ მე, თეიმურაზ ხევისთავი, ჯერჯერობით სიკვდილს არ ვაპირებ! გესმის? მე არ მინდა მეთქი სიკვდილი!“ (ჯავახიშვილი 1959: 351), – გაჰყვირის მეორე. „მაშ ღმერთმა ადლეგრძელოს ჩ... ჩემსავით დამარცხებული გიჟი, რომელმაც თვითონ გ...გგაითხარა საფლავი, ადლეგრძელოს და...გგანუსვენოს“ (ჯავახიშვილი 1959: 351-52), – ნებდება ერთი

თეიმურაზი, „მე მომღუნეს, შეიძლება მომტეხონ, მაგრამ ვერ...რრასოდეს ვერ დამიმორჩილებენ, ვერრასოდეს, გესმით? ვერ-რრ-ასოდეს მეთქი! როცა იქნება, მე ჩემს ნამდვილ სათქმელს ვიტყვი. ის დრო მოვა, მოვა მეთქი“ (ჯავახიშვილი 1959: 351), – იბრძვის მეორე. ინსტინქტური ძიებით შეპყრობილი პერსონა-ჟიდან თეიმურაზ ხევისთავი „აჯანყებული ტყვის“ ფაზაში შედის, ჯანყისა და მორჩილების გზაგასაყარზე კი სიკვდილის აჩრდილია ატუზული.

თეიმურაზის ემპირიკოსი ორეულისათვის თეიმურაზის ცხოვრება აღარ ღირს, მისი ყოველდღიურობა იმდენად უაზროა, რომ ტანჯვაც კი უსარგებლო ხდება: „აღარაფერი შერჩა ოდესლაც უდარდელ თეიმურაზს, არც ცოტაოდენი ქონება, არც ამოდენა ჯაფით ნაშოვნი სახელი, არც მამაპაპეული სახლ-კარი, აღარც ორი-ოდე დღით განახლებული სული, აღარც ოდესლაც ერთგული ცოლი და აღარც ხალხის პატივი – აღარაფერი. აღარაფერი!“ (ჯავახიშვილი 1959: 389), „ეყოფა თეიმურაზს გოლგოთის აღმართი, ეყოფა!.. ეყოფა თეიმურაზს საამქვეყნო ურვა და ძვინვა, ეყო!“ (ჯავახიშვილი 1959: 390). გამოსავალი სიკვდილია, დროში ადამიანის არსებობის უეჭველი სასრული. უძველესი ცივილიზაციები, ერები, ხალხები, „ყველანი დრომ შ...შეჭამა და მოინელა, ხოლო დროის წინაშე უკვდავი არაფერია. მასთან შედარებით ღმერთიც კი უძლურია“ (ჯავახიშვილი 1959: 322), – ჩასჩიჩინებს თეიმურაზს მისი მიწას მიჯაჭვული ალტერ ეგო. სიკვდილი სამუდამოდ მოწყვეტს თეიმურაზს ამქვეყნიურ ჯოჯოხეთს, თვითმკვლელობა იხსნის მას ნამებისაგან... მაშ, რაღად ებლა-უჭება კლდის პატარა შვერილს წყლის მორევში თავის მოსაკლავად გადამხტარი ხევისთავი? რაღად უხმობს საშველად გამვლელებს? რად იბრძვის სიცოცხლი-სათვის? სიკვდილი ჯალათია, რომელიც პედანტურად აღასრულებს დროის განაჩენს. თუკი თვითმკვლელი

ემპირიკოსი გადასძალავს, თეიმურაზს უკვალოდ გაქრობა ელოდება, გაუჩინარება, მოსპობა, მაგრამ თუ დაუსხლტება სიკვდილს კლანჭებიდან, ჯერ ისევ ბჟუტავს გადარჩენის სუსტი იმედი. სიკვდილი ზღვარია, ზღვარი, რომელიც რეალურ დროს ხდის გასაგებს, ზედროულ მარადისობას – შესაძლებელს. ნორთობა ფრაი წერდა: „წყალი, თავის მხრივ, ტრადიციულად მიეკუთვნება რეალური ცხოვრების ქვევით მოქცეულ სამყაროს, ქაოსისა და რღვევის ადგილსამყოფელს, რომელიც შედეგად მოსდევს ჩვეულებრივ სიკვდილს ან რედუქციას არაორგანულში. ამიტომ სული გამუდმებით კვეთს წყალს ან იძირება მასში, როგორც სიკვდილში... აპოკალიპტიკური თვალსაზრისით, წყლის ცირკულაცია სამყაროში ემსგავსება სისხლის ცირკულაციას სხეულში“ (ფრაი 1973: 146). სწორედ წყალში, თეიმურაზი პირველად უპირისპირდება სიკვდილს: წყლიდან მისი ამოსვლა სიკვდილის, როგორც ობიექტური დროის გარდაუვალი კანონის კლანჭებიდან თავის დახსნის ტოლფასი აქტია. თეიმურაზის სხეულში აგონიურად მძაფრდება სისხლის ცირკულაცია: პერსონაჟი ეჭიდება მასში კოდირებულ გენეტიკურ ფესვებს, ახდენს შიშის კონდენსაციას და დასაშვებს ხდის ხორცისა და სულის გამიჯვნის შესაძლებლობას. კვლავაც საცნაურია ანალოგია: თუ აგასფერის სასჯელს განვიხილავთ, როგორც მონანიებისაკენ მიმავალ უმძიმეს გზას, მაშინ თეიმურაზის გადარჩენაც ხსნისაკენ გადებული ბენვის ხიდია. თეიმურაზი უნდა გადარჩეს. ეს თეიმურაზის ღირებული ორეულია, თეიმურაზის წინაპართა სისხლით გაჯირჯვებული ნახევარი, რომელიც, ეჯახება რა პირისპირ სიკვდილს, გაუბედავად, მაგრამ მაინც იწყებს ფიქრს უკვდავებაზე, იქნებ ბრინჯადან ისევ თეიმურაზად იქცეს, ნაკაცარიდან – კაცად, ხატად ღვთისა... პატივაყრილი თეიმურაზის სულში თუმცა ნელ-ნელა, ეტაპობრივად, მაგრამ მაინც

იფრქვევა უცხო სურნელი: „განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ზედა იყარეს წილი“ (ჯავახიშვილი 1959: 373). პროგრესი უაღრესად საცნაურია: თეიმურაზი არა მხოლოდ ნათლად იაზრებს თავის გაუცხოებას გარემოსთან – „მეც ემიგრანტი ვარ, – გაიფიქრა, – ემიგრანტი ჩემივე ქვეყანაში, უცხოელი ჩემივე მოძმეთა შორის“ (ჯავახიშვილი 1959: 375), არამედ გრძნობს, როგორ „მოსწყდა ცოდვილ ქვეყანას და მისწვდა ზეციერ მამას, რომელსაც კარგა ხანს ეძებდა და მოუწოდებდა“ (ჯავახიშვილი 1959: 374). უფლის სიტყვა ნაგვემ სულს უამებს თეიმურაზს; მრუში დედაკაცის იგავით შეძრული ხევისთავი საოცარ შვებას გრძნობს. ეს შვება სინანულია, სინანული და სევდა, რომელიც მაღლა, ზეცისაკენ ეწევა მას. რწმენა უმაღლეს აზრს სძენს თეიმურაზის აქამდე უსარგებლო ცოდნას: თეიმურაზის ცნობიერებაში პოლიტიკის, ისტორიის, ფიზიკისა თუ აგრონომიის წიგნებიდან შეძენილი ცოდნა ღირებულად იწყებს განზავებას ღვთისაგან გარდამოსული რწმენის სიმშვიდეში¹. მზე იხედება „უმზეო ყვავილის“ – თეიმურაზის – სულში, იკვეთება ხსნის გზა, თუმცა, სოკრატეს მოწოდება: „შეიცან თავი შენი!“ – ადვილად შესრულებადი არაა გაორებული ხევისთავისთვის. თეიმურაზის შინაგანი კონფლიქტი, ბრძოლა ორეულებს შორის გადამწყვეტ ფაზაში შედის და ეშმაკისაგან მაცხოვრის ცდუნების მცდელობის სახარებისეულ ეპიზოდს მოგვაგონებს: თუ ერთი თეიმურაზი სინანულის გზას შეუდგება, მეორე დაუფარავად ანთხევს შხამსა და გესლს, თუ ერთ თეიმურაზს უსაზღვროდ უყვარს თავისი ცოლი, მარგო, და მისი „სულიერი ქმრის“, „სულიერი ძმის“ ტვირთს კისრულობს, მეორეს სძულს და ეზიზლება მოღალატე ქალიცა და მისი ქალაჩუნა ქმარიც; თუ ერთი რწმენას დაეძებს, მეორე „ჯაყოსავით

1 განსხვავებული აზრი ამ საკითხზე იხ. აკ. ბაქრაძე, რა არის თათქარიძეობა? // კრიტიკული გულანი. თბ.: მერანი, 1977.

გაძლიერებას“ ლამობს, თუ ერთი თეიმურაზი უფლის სიტყვას შეიმეცნებს, მეორე დროის შესაფერ ათ მცნებას თხზავს. ვინ დარჩება გამარჯვებული? დროის ობიექტური მაჩვენებლებით შებორკილი და სულიერად დაწყლულებული თეიმურაზი, თუ რწმენამიცემული, სინანულით აღვსილი, თვითშემეცნების ზღვართან მიახლებული ხევისთავი?

ამ თვალსაზრისით, რომანის ფინალი არათუ რწმენით აღსავსე, არამედ ესქატოლოგიურია.

ანტყოში მეხსიერების ფასეული პროექციორების გზით, თეიმურაზი შეიმეცნებს თავის გენეტიკურ ფესვებს და ირნმუნებს საკუთარი სულიერების ძალას. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, რომანის კულმინაციურ სცენას წარმოადგენს თეიმურაზის მიერ „მძიმე ტვირთის ქვეშ ორად მოხრილი“, გაუბედურებული მარგოსათვის ტვირთის ჩამორთმევისა და საკუთარ ზურგზე გადმოდების ეპიზოდი. ეს თეიმურაზის სინანულია, მისი შვება, ჩუმი სიხარული, შეცნობილი ბედნიერება, რომლის წინაშეც უძლურია დრო, ე.ო., უძლურია ჯაყო, უძლურია ყოველივე ემპირიული, რეალური, ობიექტური. თეიმურაზი აღარ არის „რწმენით უკიდურესი რადიკალი და ხალხოსანი“ საზოგადო მოღვაწე, ის ახლა ზღურბლთან მდგომი ინდივიდია, დროის სხვა განზომილებისაკენ გადანაცვლებული ფიქრიანი პერსონაჟი, რომელიც გააქტიურებული შინაგანი ტემპორალური ენერგიის მეშვეობით შეგნებულად გადაადგილდება ამბივალენტურ ლიმინალურ ზონაში და მიმართულია რეალური დროის აღტერნატიული ტემპორალური მოდელისაკენ. თეიმურაზის ცხოვრების მიზნად უდავოდ ქცეულა მოლოდინი: მარგოს მოლოდინი, მონანიების მოლოდინი, განწმენდის მოლოდინი, ღვთის მოლოდინი, რაც მარადისობასთან მისი ზიარების წინაპირობას წარმოადგენს. მარადიული ზედროულობა თეიმურაზის ერთადერთი თავისუფლებაა, თავი-

სუფლება, რომლისკენაც შინაგანი მომლოცველობის გზით უნდა წავიდეს ხევისთავი, „მეტანიით, სასოებით და ცრემლით“ (ჯავახიშვილი 1959: 444).

თეიმურაზის ღამეული ლოცვები გეთსიმანიის იდუ-მალ ღამეებს მოგვაგონებს და თუ რომანის ჟანრის უმთავრეს ღირსებად მხატვრულ ტრანსფორმაციას მივიჩნევთ, „ჯაყოს ხიზნების“ დასკვნითი აბზაცი როგორც პერსონაჟის, ისე რომანის ტემპორალური პარა-დიგმის უკიდურესი ფერისცვალების დასტურია:

„კვლავ გარეთ გაიხედავს ნუგეშისცემული თეიმურაზი.

ისევ ასვეტილა ბნელ სივრცეში ბნელი კოშკი.

იმ კოშკიდან კვლავ მოსჩანს იმედის სანთელი.

ისევ მობრუნდება თეიმურაზ ხევისთავი და გულ-შვებით გაიღიმებს:

ალარსად სჩანან ძალის მძორები.

ალარც მათი სუნი მოსდის იმედნაკრავ ნაკაცარს.

ისევ ელის ნაქმრევი ნაცოლარს.

ისევ დაყუდებული შიო მღვიმელივით იცდის თეიმურაზ ხევისთავი“ (ჯავახიშვილი 1959: 444).

შიო მღვიმელის სახება, როგორც ფრესკისა, ზე-დროულის, დროული უსაზღვროების, მარადისობის ანალოგია. ზ. კიკნაძის თვალსაზრისით, „მღვიმე, უფრო ორმო, ვერტიკალური ქვაბული, სადაც შიომ უძრავად ყოფნა არჩია, იმ სვეტის ანტიპოდია, რომელიც სიმონმა აქცია თავის სამყოფელად. უფრო მეტიც: ეს შვეული მღვიმე მისთვის იაკობის კიბეა, რომელმაც იგი ზეცის სასუფევლამდე უნდა აიყვანოს, ხოლო მისმა სიბნელემ დაუღამებელ სინათლემდე... მღვიმე, ყოველი ღრმული – მიწის საიდუმლოთა გამოხატულებაა და, ყოველივე, რაც მიწაში ხდება, თვალისათვის მიუწვდომელია. ადამიანი ვერ ხედავს, როგორ კვდება და იხრნება თესლი, და ამ კვდომასა და ხრნილებაში, მის სახეცვლილებაში, როგორ იბადება ახალი სიცოცხლე... შიო ჩადის სიღრმეში, ის ითესება როგორც თესლი,

რომელმაც (ფიზიკურმა სხეულმა) სულიერი ნაყოფი უნდა გამოიღოს“ (კიკნაძე 2001: 178-179).

ითესება თეიმურაზიც, ითესება, რათა გაბრწყინდეს:

„შაბათი რომ დაღამდებაა,
კვირა გათენდებაა....“,
(ჯავახიშვილი 1959: 376)

– მღერის თეიმურაზი.

კვირა უფლის ბრწყინვალე აღდგომის დღე და დროზე გამარჯვების უეჭველი დასტურია: „ადამიანის გზა გადის ტანჯვაზე, ჯვარსა და სიკვდილზე, მაგრამ მიემართება აღდგომისაკენ. აღდგომა მოასწავებს დროზე გამარჯვებას“ (ბერდიაევი 1995: 151), მარადიულ მშვიდობას ომის შემდეგ, უსაზღვროებას, რომელშიც „აღარ იქნება დრო!“..

მაშ, რა არის „ან“? და რა არის „მერმე“? სად არის „ან“ და სად არის „მერმე“? კონცეპტუალური ოპოზიცია ან-აქ/მერმე-იქ წარმოაჩენს არა მხოლოდ სამყაროს გააზრების კოსმოლოგიურ მოდელს, არამედ ადამიანის ადგილსა და ფუნქციას ამ მოდელში. თუ ელინელი ბრძენებისათვის „ან-აქ“ შემოსაზღვრულობა რეალურად მედინი დროის იდენტური ცნება იყო, „მერმე-იქ“ კი – მარადისობისა, ქრისტიანულმა აზროვნებამ ეს-ქატოლოგიური სიღრმე შესძინა პრობლემას და ერთგვარი კატეგორიულობით განსაზღვრა იგი: დროის ხუნდებით შეტორკილი კეისრის სამყარო სასრულია, ზედროული მარადისობით გაბრწყინებული უფლის სამყარო – უსასრულო: „ამიტომ არ ვცხრებით, მაგრამ თუ გარეგნული კაცი იხრწნება ჩვენში, შინაგანი ახლდება დღითი დღე. ვინაიდან ჩვენი მსუბუქი და ხანმოკლე ტანჯვა დიდ და მომეტებულ საუკუნო დიდებას ქმნის ჩვენთვის. როცა ვუყურებთ არა ხილულს, არა-მედ უხილავს, ვინაიდან ხილული დროებითია, ხოლო

უხილავი – საუკუნო“ (2 კორ. 4:16-18), „ხოლო უფალი სული არის, და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა. ჩვენ კი ყველანი ახდილი სახით ვხედავთ უფლის დიდებას როგორც სარკეში და გარდავისახებით იმავე სახედ დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან“ (2 კორ. 3:17-18).

სიკვდილისა და უკვდავების, დროისა და ზედროულობის პრობლემა „ჯაყოს ხიზნების“ ძირეული პრობლემაა. სამართლიანად შენიშნავდა ვ. ნაბოკოვი: „სალი აზრი გვიმტკიცებს, რომ ჩვენი არსებობა სხვა არა არის რა, თუ არა ორ ბნელ სამყაროს შორის გამომჭოლი სინათლის მოზრდილი ნაპრალი, მაგრამ ეს თვალსაზრისი აშკარად ირონიულია. სიბნელე დროის მყიფე, შეუვალი კედლებითაა პროვოცირებული, კედლებით, რომლებიც გვაშორებენ მე და ჩემს ბრძოლისაგან დალურჯებულ მუშტს ზედროულობის თავისუფალი სამყაროსგან“ (ნაბოკოვი 1951: 375).

საბჭოთა ტოტალიტარიზმის ეპოქაში მოღვაწე ქართველმა მწერალმა შეუძლებელი შეძლო: მან შექმნა თანამედროვე ევროპული და მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ტექსტი, დატვირთული გვიანი რეალიზმისა და მოდერნიზმისათვის ნიშანდობლივი ექსისტენციალური კითხვებით, საბჭოთა რეალობაში დატრიალებული ტრაგედია კი ესქატოლოგიურ განზომილებაში გადაანაცვლა! მიხეილ ჯავახიშვილის ძალისხმევა მუდმივად მიმართულია ობიექტური დროის თვლადი და გაზომვადი პარამეტრების ტრანსფორმირებისაკენ დროის შინაგან ქსოვილად, სადაც ტემპორალური სამყაროს ინდივიდუალური შემეცნების პროცესი შეგნებულად გადაიზრდება მისივე უარყოფის, ანუ სიკვდილის წინააღმდეგობრივ აღქმაში. სიკვდილი მხოლოდ იმდენად გახლავთ დასასრული, რამდენადაც ბოლო ზღვარი, რომლის მიღმაც დროისაგან თავისუფალი, მიღმიერი ხანგრძლივობაა განფენი-

ლი, ესოდენ დაშორებული საპჭოთა საქართველოს რე-
ალობას. დრო გარე სამყაროს გაშინაგნებულ ფორმას
წარმოადგენს და არა განყენებულად მედინ უსასრუ-
ლობას. დრო სუბიექტის პრეროგატივაა, სუბიექტისა,
რომელსაც არ სურს და არ შეუძლია მასაში გადღვება,
პიროვნებისა, რომელიც თავგამოდებით იცავს „მე“-ს
შეურაცხყოფილ ღირსებას „ჩვენ“ ნაცვალსახელით
აღნიშნულ სამყაროში, შემოქმედისა, რომელიც გუ-
ლანთებული მიინევს იდუმალებით მოცულ სხვა,
მიღმიერი განზომილებისაკენ, ალტერნატიული სამ-
ყაროსკენ, სადაც არ არის შიში და ტანჯვა, ტყვეობა
და სიკვდილი, ანუ არ არის დრო.

მსხვერპლის თეორია და ალ. ყაზბეგის პროზა („ხევისბერი გოჩა“)

ალ. ყაზბეგი ქართველ მწერალთა იმ რიგს განეკუთვნება, რომელთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის ჩართვა საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესში არათუ შესაძლებელი, არამედ – ძალზე საშურია. სწორედ ყაზბეგის რანგის მწერლები ასაბუთებენ იმ დებულებას, რომ ყოველი ნაციონალური ლიტერატურა, თავსდება რა საერთოლიტერატურულ კონტექსტში, ამავ დროს, ინარჩუნებს ორიგინალურ შემოქმედებით აზროვნებას და თავის მხრივ, აფართოებს საერთაშორისო ლიტერატურული პროცესის პორიზონტებსა და მასშტაბებს. მაგრამ ნებისმიერი ლიტერატურული დებულების თეორიული დასაბუთება სცდება ოდენ ისტორიულ ან ესთეტიკურ ფაქტორებს და კონკრეტულ მეთოდოლოგიურ მიდგომასა და დამაჯერებელ არგუმენტაციას საჭიროებს. ალ. ყაზბეგის პროზასთან მიმართებაში მსგავს წარმატებულ მცდელობად უნდა შეფასდეს ვახტანგ კოტეტიშვილის გამოკვლევა „ალექსანდრე ყაზბეგი“, სადაც ყაზბეგის ტექსტების ინტერპრეტაცია თანამიმდევრულად და დამაჯერებლადაა განხორციელებული ფსიქოლოგიური (და არა ფსიქოანალიტიკური – ი.რ.) და ეთიკური კრიტიკის ჭრილში¹. ის ფაქტი, რომ ხარისხიანი მხატვრული ტექსტი შრეობრივი სისტემაა და ფართო ინტერპრეტაციული შესაძლებლობები გააჩნია², გვაძლევს მოტივაციას, გადავანაცვლოთ მისი კვლევა თეორიული ანალიზის ახალ ეტაპზე და ვცადოთ ალ.

1 იხ. ვახტანგ კოტეტიშვილი, „ალექსანდრე ყაზბეგი“. ტფილისი, მთავლიტი, № 12, ამიერ კავკასიის რკინის გზების სტამბა-ლიტოგრაფია, 1925.

2 იხ. რ. ინგარდენი, „ლიტერატურული ნაწარმოები როგორც ხელოვნების ნიმუში“, 1931.

ყაზბეგის რიგი ტექსტების გააზრება ანთროპოლოგიური თეორიის, კერძოდ, რენე ჟირარის მიერ დამუშავებული **მსხვერპლის თეორიის** კონტექსტში.¹ აღნიშნული თეორია ჟირარს არ მიუსადაგებია მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის ზოგად მოდელთან, არამედ გამოიყენა ანტიკური ტრაგედიის, უფრო დაზუსტებით, „ოიდიპოს მეფის“ სიუჟეტური ქარგის განმარტების მიზნით. ვფიქრობთ, თანამედროვე ლიტერატურათ-მცოდნეობის გაფართოებული საზღვრები საშუალებას იძლევა განვიხილოთ ჟირარის თეორია, როგორც მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციის ერთ-ერთი საყურადღებო მეთოდოლოგია, განსაკუთრებით, იმ ტიპის ტექსტებში, სადაც აქცენტირებულია პრინციპული დაპირისპირება ინდივიდსა და საზოგადოების ინტერესებს შორის.

ჟირარის თეორია სათავეს იღებს აბრაამისა და ისაკის ბიბლიური მითიდან², და მეთოდოლოგიურად სამ საპაზისო ცნებას ეფუძნება – **მსხვერპლი/მსხვერპლ-შენირვა/განტევების ვაცი.** თეორია მიზნად ისახავს ამ ცნებების ინტეპრეტაციას როგორც მითოლოგიური სტანდარტის, ისე უფრო ფართო თვალსაზრისითაც, კერძოდ, **ინდივიდისა და საზოგადოების** ცნებებთან მიმართებაში. მიგვაჩნია, რომ ალ. ყაზბეგის პროზა, რომელიც ორიენტირებულია როგორც ცალკეული პერსონალიების, ისე – ინდივიდისა და საზოგადოების მტკიცნეულ ურთიერთობებზე, შესაძლებელია წავი-

1 იხ. Girard, R. *Violence and the Sacred*, trans. Patrick Gregory. Baltimore: Johns Hopkins University Press, 1977; Girard, R. *The Scapegoat*, trans. Yvonne Freccero. Baltimore: Johns Hopkins University Press, 1982.

2 ბიბლიის ტექსტის თანახმად, აბრაამი გამოსცადა ღმერთმა და უბრძანა, მსხვერპლად შეენირო თავისი მხოლოდმიბილა ძე, ისაკი. აბრაამი დაემორჩილა უფლის ნებას, მაგრამ, სწორედ მაშინ, როდესაც მამამ დანა ალმართა შეილზე, ის შეაჩერა უფლის ანგელოზმა. მაშინ აბრაამმა ვერძი შესწირა „აღსავლენ მსხვერპლად შვილის ნაცვლად“. ბიბლია, დაბადება, თ. 22. საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989, გვ. 28-29.

კითხოთ **მსხვერპლის ანთროპოლოგიური თეორიის** ჭრილში და გავაფართოვოთ კვლევის კონკრეტული თეორიული მიზნების შესაბამისად. ამგვარი წაკითხვა, ერთი მხრივ, გაამრავალფეროვნებს ყაზბეგის შემოქმედების კვლევას, ხოლო მეორე მხრივ, გაზრდის ქართული ლიტერატურის ჩართულობის ხარისხს საერთაშორისო ინტერპრეტაციულ სისტემაში.

ანთროპოლოგიური მეთოდების გამოყენება ლიტერატურათმცოდნეობით კვლევებში ჩვენი ხანგრძლივი ინტერესის საგანია. პირველად ასეთი ექსპერიმენტი ათიადე წლის წინათ განვახორციელეთ, როდესაც მივუბრუნდით ლიმინალობის თეორიას, შემუშავებულს პოზიტიური ანთროპოლოგიის წიაღში¹, დავეყრდენით მას, როგორც მეთოდოლოგიას, და მივმართეთ მხატვრული ტექსტის ჟანრული და დრო-სივრცული სპეციფიკის დადგენის თეორიული ამოცანისკენ. შედეგად, დაიბეჭდა სტატიები და გამოიცა არაერთი მონოგრაფია, მათ შორის – „ტექსტი და ქრონოტოპი“². წინამდებარე ნარკვევში ჩვენ კვლავ გამოიყენებთ კვლევების ანთროპოლოგიურ ჭრილს, რომლის ფარგლებშიც წარმოებული ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევა ინტერდისციპლინურ ხასიათს შეიძენს და მოგვცემს ლიტერატურულ-თეორიული პოზიციის ანთროპოლოგიურ თეორიასთან გადაკვეთის შესაძლებლობას. ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს რენჯ ჟირარის **მსხვერპლის თეორია** და მასთან ალ. ყაზბეგის პროზის ურთიერთმიმართება წარმოადგენს.

1 იხ. Turner, Victor, *Images of Anti-Temporality. An Essay in the Anthropology of Experience* // Turner , Victor, *On the Edge of the Bush*. Tuscon, Arizona: 1985; Turner, Victor, *The Ritual Process. Structure and Anti-Structure*. New York: 1995.

2 იხ. ირმა რატიანი, „ტექსტი და ქრონოტოპი“. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.

ჟირარის ხედვა, ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებით, სრულიად ინოვაციური აღმოჩნდა გასული საუკუნის 60-70-იანი წლებში. მისი აზრით, საყოველთაოდ მიღებული თეორია, რომლის თანახმადაც ხასიათები, როგორც ტექსტის ძირითად საკომუნიკაციო ბერკეტები, ჩართული არიან ტექსტის ყოველ კონტექსტში და განსაზღვრავენ მას, საჭიროებს გადახედვას. კერძოდ, ხასიათების სწორად მართვა მხოლოდ გენიალურ მწერალს შეუძლია, ვინაიდან ყოველ ტექსტში მუშაობს ხასიათის „ფსიქოლოგიური კანონი“ (მარსელ პრუსტის ტერმინი), რომელიც მწერლის მიერ განსახოვნებული რეალობის თანამიმდევრული რეცეფციის შედეგებს ეფუძნება და რომელსაც ჟირარი „სურვილის მიმეტურ ბუნებად“ ნათლავს. ჟირარის აზრით, არც ერთი ხასიათი არასოდეს არ არის ავტონომიური ერთეული: ყოველი ხასიათი სურვილის ესთეტიკით იკვეთება მეორე ხასიათთან – ხასიათებს ერთმანეთთან ან არიგებს, ანაც – აპირისპირებს სურვილის საერთო ობიექტების სისტემა. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ დამოკიდებულება სუბიექტსა და ობიექტს შორის ტექსტში არ არის პირდაპირი: სახეზეა ერთგვარი სამკუთხედი – სუბიექტი, ობიექტი და სურვილი, როგორც შუალედური მოდელი. სურვილს, რომელიც სცდება ჭამის ან სხვა აუცილებელი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების ფარგლებს, ჟირარი განმარტავს როგორც მეტაფიზიკურ განზომილებას, რომელიც შეესაბამება შუამავლის სტატუსს. **მიმეტური სურვილი** შეიძლება იყოს: აბსტრაქტული ან კონკრეტული, გარეგანი ან შინაგანი, შესაბამისად, იყოს ობიექტური ან სუბიექტური. ყველა ამ შემთხვევაში შუამავლის როგორც ფუნქცია, ისე არსი განსხვავებულია. სწორედ სურვილების (და არა ხასიათების – ი.რ.) ამ განსხვავებულობათა შეჯახების ველია ტექსტი, რომლის კონცეპტუალურ და ფსიქოლოგიურ წინააღმდეგო-

ბათა დაძლევა უჭირს საშუალო რანგის მწერალს¹. მწერალს უხდება ხასიათთა ყველა შესაძლებელი მიმეტური სურვილის – მოქმედების, ქცევის, უესტიკულაციის, აზრობრივი თუ ნერვული მდგომარეობისა და სხვა – დეტალებში გარკვევა და მათი მიმართების რეგულირება ტექსტში. ამრიგად, ჟირარის მიერ შემოთავაზებულ მიმეტური სურვილის თეორიას მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს ხასიათის თეორიის ტრადიციულ მოდელში (არისტოტელედან პეგელამდე და პეგელიდან ფრონიდამდე) და უბიძგებს მეცნიერებს მსჯელობის შემდგომი გაღრმავებისკენ.

მიმეტური სურვილის თეორია აღმოჩნდა პირველი საფეხური ჟირარის ანთროპოლოგიურ პირამიდაში, რომლის შემდეგი საფეხურიც ჩვენთვის საინტერესო მსხვერპლის თეორიაა, დაფუძნებული მიმეტური სურვილის თეორიაზე. **მსხვერპლის** ცნება ჟირარმა იმთავითვე დაუკავშირა რამდენიმე სხვა ცნებას. კერძოდ: **კრიზისს, დევნას, ბრალდებას, ძალადობას, საზოგადოებრივ სისტემას, ინდივიდს და საკრალურს.** კვლევის მეთოდოლოგიად შერჩეულ იქნა ანთროპოლოგიური მეთოდი, რის საფუძველზეც ჟირარმა განაცხადა: მსხვერპლშენირვის პროცესი წარმოადგენს რეფლექსისას არქაულ რელიგიურ მითზე (იგულისხმება აპრამისა და ისაკის ბიბლიური მითი) და აუცილებლად ითვალისწინებს ორ საწინააღმდეგო პოლუსს – **ძალადობას, როგორც აქტს, და საკრალურს, როგორც არსებულ მოცემულობას.**

როგორ შეიძლება მოვახდინოთ მხატვრულ ტექსტში ძალადობის მითოლოგიური მოდელის ტექსტურალიზება და პროვოცირება? ვუბრუნდებით მიმეტური სურვილის თეორიას: **თუკი ორ ადამიანს, ანუ ორ**

1 საგულისხმოა, რომ მიხალ ბახტინი ტექსტს მიიჩნევდა სხვადასხვა ენობრივი მოდელების შეჯახების ველად (იხ. ბახტინ მ. მ., Слово в Романе // М. М. Бахтин, Вопросы литературы и эстетики, М.: 1985).

მხატვრულ ხასიათს, აღეძვრება ერთი და იგივე ტიპის სურვილი, აუცილებლად გამოჩნდება მესამე ხასიათი, შეიძლება მეოთხეც, იგივე მისწრაფებით და პროცესი ჯაჭვური რეაქციით იხლართება. შედეგად, შექმნილ ვითარებაში, პირველადი სურვილი გადაინაცვლებს უკანა პლანზე, გარკვეულწილად, დავიწყებასაც მიეცემა და თითქოს უწყინარი მიმეტური კონფლიქტი მკითხველის თვალწინ ტრანსფორმირდება პრინციპულ ანტაგონიზმში. სახეზეა კრიზისი, რომელიც, სურვილის თავდაპირველი მოდელიდან გამომდინარე, სრულიად სხვადასხვა შინაარსის ანტაგონიზმს შეიძლება იწვევდეს: პოლიტიკურს, სოციალურს, საზოგადოებრივს, ისტორიულს, პიროვნულს და სხვა. კრიზისის პირობებში დაპირისპირებულ მხარეთა წინააღმდეგობის საგანი აღარ არის პირველადი მიმეტური სურვილი, არამედ – მათი ანტაგონიზმი რომელიმე გლობალურ იდეასთან მიმართებაში: **საერთო სურვილის გაზიარების შეუძლებლობა გარდაიქმნება ერთმანეთის განადგურების მიზეზად.** ძალადობა მკვიდრდება, როგორც დიალოგის ერთადერთი ფორმა. თუკი დავუშვებთ ძალადობის არსებობას, მაშასადამე, უნდა დავუშვათ მსხვერპლისა და მოძალადის არსებობაც. ვინ არის მსხვერპლი და ვინ არის მოძალადე?

ძალადობის პაროქსიზმი ფოკუსირებას ახდენს მსხვერპლზე, ინდივიდზე, ამ შემთხვევაში ხასიათზე, რომელიც იმსახურებს (რაღაც მიზეზით) საყოველთაო ანტიპატიას და რომელიც უნდა გასამართლდეს. ბრუტალური წესით მსხვერპლის დასჯა დაამშვიდებს აგზებულ საზოგადოებას. მაგრამ, რა ბედი ეწევა თავად მსხვერპლს? მსხვერპლი დამცირებული დგას საზოგადოების წინაშე და მიიჩნევა ერთი მხრივ, შექმნილი მიმეტური კრიზისის პირველმიზეზად, ხოლო მეორე მხრივ – ამავე კრიზისის განალმვის საშუალებად.

ლიტერატურათმცოდნებით სიბრტყეზე უირარის თეზა შეიძლება ამდაგვარად ჩამოყალიბდეს: **მსხვერპლის ლიტერატურული მოდელი მიმეტური კრიზისის შექმნისა და დაძლევის საშუალებაა.** შეიქმნა კრიზისი? რეაქციაც არ აგვიანებს: „დამნაშავე“, „იძებნება“, „იდევნება“, „მიკვლეულია“, „გასამართლებულია“, „დასჯილია“. მაგრამ, კითხვა, რომელიც ამ თეორიაში გვაწუხებს, შემდეგია: ვინ არის მართალი?

ერთ-ერთ პირველ მსჯელობას ამ მიმართულებით არისტოტელე გვთავაზობს. არისტოტელეს „პოეტიკა“-ში „მართალისა“ და „დამნაშავის“ საკითხი ტრაგედიის **ფორმის თეორიის** ჭრილში წყდება¹: ტრაგედიის გმირი საბედისწერო შეცდომის გამო ვარდება უბედურებაში. მას იმთავითვე აქვს **ბზარი** (მისი ნებისაგან დამოუკიდებლად), რაც იწვევს კიდევაც მის გაუბედურებას, ხოლო მაყურებელს შიშა და სიბრალულს აღუძრავს. ჭეშმარიტი ტრაგედიის ეპიცენტრში მოქცეულია **უდანაშაულოდ დამნაშავე** ადამიანი, რომელიც, ბედისწერის განჩინებით, აღმოჩნდება უბედურ მდგომარეობაში და საკუთარი ქმედებით გამოიმუშავებს მაყურებლის ემოციურ რეაქციას. რენესანსის ეპოქამ, მოხსნა რა „დღის წესრიგიდან“ ანტიკური პოეტიკისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანი ბედისწერის ფაქტორი, გააფართოვა „მართალისა“ და „დამნაშავის“, „მსხვერპლისა“ და „მოძალადის“ ინტერპრეტაციის შესაძლებლობები, რის უშუალო შედეგადაც შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ პოსტრენესანსული ხანის გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა, ანტიკური ტრაგედიის წაკითხვის თვალსაზრისით, **ორი სიმართლის თეორია დაამკვიდრა**².

1 დაწვრილებითი მსჯელობა ამის შესახებ იხ. ი. რატიანის ნაშრომში „ფაბულა და სიუჟეტი. *Pro et Contra*“ (2011).

2 დაწვრილებითი მსჯელობა ამის შესახებ იხ. ჰეგელის „ესთეტიკაში“.

ჰეგელის თეორიის არსი შემდგომში მდგომარეობს (ძალიან მოკლედ): ტრაგედია ორი თვითმყოფადი პოზიციის კონფლიქტია, სადაც ორივე მხარე უძლურია, აღიაროს მეორის კანონიერება ანაც – სამართლიანობა. გამოსავალი მხოლოდ „გმირის დაცემაა“, რის შედეგადაც უნდა აღდგეს დარღვეული კავშირი და განხორციელდეს ეთიკური კათარსისი, როგორც „უნივერსალური შერიგების“ წინაპირობა. ჰეგელის თეორიაში აქცენტირებულია, თუ როგორ იხლართება გმირების შეცდომა მათთავე სიდიადესთან და ტრაგიკული კოლიზიის წიაღში როგორ წარსდგება ერთმანეთის პირისპირ თრი სარწმუნო და დამაჯერებელი, თითქოს სარკისმიერი ორეული (მაგალითად, ანტიგონე და კრეონი). ჰეგელის თეორიის მნიშვნელოვანების მიუხედავად, უნივერსალურობის თვალსაზრისით, ის ვერ უტოლდება არისტოტელესეულ მეთოდოლოგიას, გამორჩეულს მეტი მასშტაბურობით: მაგალითად, ანტიკურ ეპოქაშივე შექმნილი, „დამსახურებული სასჯელისა“ და „მსხვერპლშენირვის“ ტრაგედიები სრულად გამორიცხავს ჰეგელისეული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

ჰეგელი ეძებს ჰარმონიას ტრაგედიაში, რასაც ვერასდიდებით ვერ ხედავს ნიცშე. ნიცშეანური განცდა ტრაგედიისა, ჩამოყალიბებული ნაშრომებში „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“ და „ტრაგედიის დაბადება, ანუ ელინიზმი და პესიმიზმი“, ეფუძნება ისეთ ოპოზიციებს, როგორიცაა აპოლონი და დიონისე, სინათლე და ქაოსი, ელინისტური და პესიმისტური და სხვა. მისთვის ტრაგედია პერცეპტუალურ გამოცდილებაშია განთავსებული (მაგალითად ოიდიპოსის განცდებზე მეტად მნიშვნელობს მაყურებლის განცდები, რომელიც ფიზიკურად დაშორებულია ოიდიპოსისაგან!), რაც იწვევს შუალედური დისტანციის სუბლიმაციას მყისიერ გამოცდილებასთან.

მთლიანად სუბიექტისა და სუბიექტური განცდების მნიშვნელობას დააფუძნა საკუთარი ინტერპრეტაციული მეთოდი ფროიდა: „**ოიდიპოსის კომპლექსით**“ მან ასანა, ერთი მხრივ, პერსონაჟის გაუცნობიერებელი და დათრგუნული სურვილების რეალიზაციის, ხოლო მეორე მხრივ, ავტორის სექსუალური და აგრესიული ლტოლვების სუბლიმაციის პროცესი¹.

საგულისხმოა, რომ უირარის მეთოდოლოგია ყველა ამ პოზიციას ითვალისწინებს და ფარავს კიდევაც: მიმეტური სურვილის თეორიით ის აწესრიგებს ურთიერთობას ნიცშესა და ფროიდის თეორიებთან, ხოლო მსხვერპლის თეორიით – არისტოტელესა და პეგელის თეორიებთან. მოწესრიგება არ გულისხმობს თანხმობას, არამედ – გათვალისწინებას და ხშირად უარყოფას, როგორც ეს ხდება პეგელის თეორიის შემთხვევაში: მსხვერპლისა და მსხვერპლშენირვის ანთროპოლოგიური თეორიის ლიტერატურული იმპლიკაციები გამორიცხავს ორი სიმართლის არსებობას. **სიმართლე ერთია, თუმცა, დასადგენი.** დადგენის კრიტერიუმები კი, რომელსც უირარი გვთავაზობს, ასეთია:

- ა) კრიზისის გამომწვევი რეალური მიზეზის აღმოჩენა;
- ბ) კრიზისის არსის განსაზღვრა;
- გ) კრიზისთან მსხვერპლისა და საზოგადოების მიმართების დეფინიცია;

უირარის პოზიციით, ტრაგიკული სიტუაციის პროვოცირება დამოკიდებულია კრიზისის აღმოცენებაზე: საზოგადოება აღმოჩნდება „რადაც ტიპის“ კრიზისში, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამოზრდილია სურვილის თავდაპირველი მოდელიდან და ინვევს შესაბამისი სახის/გარკვეული სახის ანტაგონიზმს.

1 დაწვრილებითი მსჯელობა ამის შესახებ იხ. ლ. ბრეგაძის წერილში „ფსიქოანალიზი და მსატერიული შემოქმედება“ (კრებულში „ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“, 2008).

ანტაგონიზმი გლობალურ იდეასთან მიმართებაში თანდათან ღრმავდება და საერთო სურვილის გაზიარების შეუძლებლობა გარდაიქმნება ერთმანეთის განადგურების მიზეზად. განადგურების იარაღია ძალადობა.

ძალადობის აქტი ისეთივე რეალურია, როგორც თავად კრიზისი. ძალადობის აქტს განსახორციელებდა და მინიმუმ ორი ინდივიდი ესაჭიროება: მოძალადე და მსხვერპლი, ხოლო მსხვერპლის შერჩევის პროცესი, უირარის აზრით, სულაც არ არის შემთხვევითი. მიგვაჩნია, რომ ამ მოსაზრებით უირარი ლოგიკურ მოტივაციას უქებნის არისტოტელესეულ „უდანაშაულო დამნაშავის“ ცნებას: მსხვერპლი შესაძლოა მართლაც უდანაშაულო იყოს, მაგრამ ის აუცილებლად არის „რაღაც ნიშნით“ გამორჩეული (არისტოტელესეული ხასიათის „ბზარის“ ესთეტიკური გაფართოება). **მსხვერპლის ნიშანი**, როგორც მარკერთა სისტემა, უირარის თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური ბერკეტია. **„გამორჩეულობა“** საგულისხმო კრიტერიუმებს ითვალისწინებს, რომელთა მორგებაც ტრაგიკულ სიუჟეტზე სირთულეს აღარ წარმოადგენს. გამორჩეულობა შესაძლებელია: **ფიზიკური ნიშნით** (ოიდიპოსი კოჭლია), **სოციალური ნიშნით** (ოიდიპოსი მეფეა), **კუთვნილების ნიშნით** (ოიდიპოსი „უცხოელია“), **წარმომავლობის ნიშნით** (ოიდიპოსი მეფის შვილია), **ფსიქოლოგიური ნიშნით** (ოიდიპოსი თავადაც მოძალადეა – მოკლა მამა და ცოლად შეირთო დედა). ნიშანთა სისტემა საზოგადოებრივი სისტემის დონეზე, ცხადია, ინდივიდუალურია და ასევე უნდა ვივარაუდოთ ტრაგედიების გმირებთან მიმართებაშიც – იქნება ეს ანტიგონე, მედეა, ჰერაკლე, ელექტრა, ორესტეა, აგამემნონი, ფედრა თუ სხვა. **პერსონაჟი**, რომელიც ფლობს მსხვერპლის ნიშნებს, თუნდაც მათ წანილს, უკვე აადვილებს მსხვერპლის შერჩევის

პროცესს. როგორც კი აღმოცენებული კრიზისის ფონზე გამოიკვეთება ვინძესამე გამორჩეულობა, ურარის აზრით, პროცესი გადაინაცვლებს ახალ ეტაპზე, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც დევნა და გასამართლება.

ვინ დევნის ვის? კრიზისით თავზარდაცემული საზოგადოებრივი სისტემა უპირისპირდება მას, ვინც მისი აზრით, დამნაშავეა ამ კრიზისში:

საზოგადოება ან მისი გარკვეული ნაწილი დევნის ინდივიდს, რომელიც იმთავითვე მონიშნულია. უირარი გამოყოფს დევნის სხვადასხვა ანთროპოლოგიურ მოდელებს, რომელთაგანაც, ჩვენი აზრით, ყველა ვერ რეალიზდება მხატვრულ ტექსტებში, არამედ მხოლოდ ის მოდელები, რომელებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ტექსტში ესთეტიკური ღირებულებების დეკლარირებას. ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე გვაქვს დაპირისპირებასთან საზოგადოებასა და ინდივიდს შორის, რაც გამოიხატება პრინციპულ ანტაგონიზმში: ერთი მხრივ დგას **სახიფათო ერთნაირობით** შეპყრობილი საზოგადოება, ხოლო მეორე მხრივ – **იდენტიფიცირებული მსხვერპლი**. პრობლემის ძირს საზოგადოება ეძებს არა საკუთარ თავში, არამედ – ადამიანებში, რომლებიც, მისი აზრით, საზოგადოებისათვის მავნებლურად გამოიყურებიან ან იქცევიან. მას აქვს ურყევი რწმენა, რომ მის მიერ დევნილი მსხვერპლი (ან მსხვერპლთა ჯგუფი) დიდ ზიანს აყენებს საზოგადოების სიმყარესა და ავტორიტეტს, რაც აუცილებლად უნდა გამოიხატოს მოტივირებულ **ბრალდებაში**. ბრალდებათა დიდი ნაწილი სტერეოტიპულია, აცხადებს უირარი, და ჩვენ სავსებით მიზანშენონილად მიგვაჩნია ამ განცხადების გადმოტანა მხატვრული ტექსტის სიბრტყეზე: უდიდესი უმრავლესობა ტექსტებისა, რომელიც ზემოთ განხილული პროცესების სიუჟეტურ გაშლას ემსახურება, სტერეოტიპულ ბრალდებებს ეფუძნება (ეს ბრალდებე-

ბი შესაძლოა იყოს მითოლოგიური ხასიათისაც – ი.რ.) – ამგვარი ბრალდებები თითქოს სამოტივაციო ხიდია იმ ნაპრალში, რომელიც არსებობს ინდივიდის უმნიშვნელობასა და საზოგადოების სისასტიკეს შორის. განრისხებულმა საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს ინდივიდის გასამართლება. **მსხვერპლშენირვის აქტი**, რომელიც გარდაუვალად ახლავს თან ზემოთ ჩამოთვლილ პროცესებს, ორ განსხვავებულ ასპექტში ვლინდება: ეს შეიძლება იყოს ა) **საკრალური მოვალეობა** (საღვთო მოვალეობა); ბ) **კრიმინალური ქმედება**. პირველ შემთხვევაში ის კანონიერია და სახალხო, მეორე შემთხვევაში – უკანონო და, ხშირად, დაფარული. ეს ბევრადა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ ასამართლებს მსხვერპლს: **სამართლის ავტორიტეტული ინსტიტუტი თუ ბრძო?**

რასაკვირველია, მითოლოგიური ხასიათის მხატვრულ ტექსტებში, ვგულისხმობთ ანტიკურ ტრაგედიებს, ძალადობისა და მსხვერპლშენირვის პროცესი უფრო „მაღალ რეგისტრშია“ წარმართული, ვიდრე – არამითოლოგიური ხასიათის (თუნდაც ისტორიულ) ტექსტებში. თუმცა არამითოლოგიური ხასიათის ტექსტებში ვითარება რამდენადმე რთულდება: **მითოლოგიურ სიუჟეტებში „დამნაშავე“** (მხვერპლი) თავისი „დანაშაულის“ უტყუარი ნაწილია, ანუ – „დანაშაული“ მისი ონტოლოგიური ატრიბუტია (არისტოტელე, ჰეგელი) და კავშირიც დანაშაულსა და კოლექტიურ კრიზისს შორის ძალზე ძლიერია; არამითოლოგიურ სიუჟეტებში კი რამდენადმე არადამაჯერებელია როგორც „დამნაშავის“ (მხვერპლის), ისე – „დანაშაულის“ იდენტიფიკაცია: რაც მეტად აგრესიულია საზოგადოება, მით მეტად არადამაჯერებლად გამოიყურება იგი და მით მეტად არადამაჯერებელია მსხვერპლშენირვის აქტიც. ამ, მეორე ტიპის ტექსტებს განეკუთვნება ანტიკური ეპოქის შემდგომი ხანის არამითოლოგიური

სიუჟეტების დიდი ნაწილი, რომელიც აღნიშნულ პრობლემატიკას უღრმავდება. მათ შორის შესაძლოა მოვიაზროთ აღ. ყაზბეგის პროზაც („ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“, „მამის მკვლელი“ და სხვა).

აღ. ყაზბეგის პროზა, უპირატესად, ორიენტირებულია საზოგადოებისა და ინდივიდის რთულ ურთიერთობებზე კრიზისის პირობებში. კრიზისი შეიძლება იყოს ცალხაზოვანი (მაგალითად, სასიყვარულო, პოლიტიკური, რელიგიური), ანაც – კომბინირებული (რამდენიმე სახის კრიზისი ერთდროულად). ნებისმიერ შემთხვევაში, ყაზბეგი ქმნის სიუჟეტურ ქსელებს, სადაც „მართალისა“ და „დამნაშავის“ დადგენა მარტივი არ არის. მიგვაჩნია, რომ უირარის თეორიის მომარჯვება ამ საქმეს არამარატო გაადვილებს, არამედ – ნათელსაც მოჰყენს.

ანალიზისათვის ყურადღებას შევაჩერებთ ყაზბეგის ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ტექსტზე (მხატვრული და სტილისტური თვალსაზრისით) – „ხევისბერი გოჩა“. თხზულების ფაბულა წინააღმდეგობრივ სასიყვარულო და საზოგადოებრივ ზნეობრივ სამკუთხედებს ემყარება, შესაბამისად, **სახეზეა პირადი და საზოგადოებრივი კრიზისის მოდელები**, რომლებიც ტრაგიკული გარდაუვალობით იკვეთება ერთმანეთთან. სასიყვარულო სამკუთხედის მოდელი – ონისე/ძიძია/გუგუა – ერწყმის საზოგადოებრივი სამკუთხედის მოდელს – ონისე/ხევისბერი გოჩა/თემი – და ახდენს ღრმა კრიზისისა და კონფლიქტების პროვოცირებას. ორივე მოდელს ჰყავს უცვლელი წევრი – ონისე. ის საბედისწერო ფიგურაა, რასაც ადასტურებს კიდევაც ნარატივის სიუჟეტური დეტალები.

თხრობა იწყება დინამიურად, მაგრამ ავისმომასწავებლად: ტრაგიზმი ტექსტის დასაწყისშივეა ჩადებული – ხელისმომკიდეს უყვარდება პატარძალი. ჩვენი კვლევისათვის ამჟამად ნაკლებად საინტერე-

სოა საკითხი, თუ რა ხდება ონისესა და ძიძიას შორის, სიყვარულია ეს თუ სექსუალური ლტოლვა, ან როგორ შეიძლება ონისემ თავი იმართლოს ძიძიას საქმროს, თავისი მეგობრის, გუგუას წინაშე და სხვ., მაგრამ პერსონაჟთა შეხვედრის **ბედისწერით** განპირობებულობას, რასაც არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს მწერალი, ვალდებული ვართ მივაქციოთ ყურადღება:

„ძიძიას შესტრფოდნენ ბევრნი, ძალიან ბევრნი, რამდენჯერმე მისი მოტაცებაც კი სცადეს, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მისი ბედილბალი გუგუა იყო და მას დარჩა“ (ყაზბეგი 1993: 167);

„ონისე კი ფშავს ნასულიყო... მაგრამ, როდესაც სადმე ქედზედ გასული ბედს დააკვირდებოდა, თავის მაშინვე ძიძიას სახე განმანათლებლად ჩაეშუქებოდა გულში და სანეტარო ტკბილს მკვნესავს ოხვრაში შეიყვანდა“ (ყაზბეგი 1993: 185).

ბედისწერის ფაქტორი, რასაკვირველია, არ და ვერ ასრულებს ტექსტში იმ ფუნქციას, რაც მას ანტიკურ ტრაგედიებში აქვს დაკისრებული, თუმცალა: ა) ამნვავებს კრიზისულობისა და ტრაგიზმის გარდაუვალობას; ბ) გვევლინება პერსონაჟთა ქცევისა და ქმედების „გამართლების“ ერთადერთ არგუმენტად. ვ. კოტეტიშვილი აღნიშნავს, რომ ონისეს („ხევისბერი გოჩა“), ისევე როგორც მათიას („ელგუჯა“), სულში „ვნების გრიგალი არის ატეხილი, ხოლო მოვალეობის შეგნება კი ყალყზე დამდგარ აფთარივით ახრჩობს ამ დევვაუკაცებს. და იწენება მათი სული, იღრღნება მათი ნებისყოფა, მაგრამ ისე ლამაზად, რომ მთელი ჩვენი სიმპატიები მათ გარს ევლებიან. ჩვენ გვესმის ეს დიდი დრამა, რადგან ადამიანის ეთგვარი **„ბედისწერაა“**, და ამ ბრძოლაში დაცემულიც კი პატივსაცემია, როგორც დიდი ომში დამარცხებული“ (კოტეტიშვილი 1925: 101). თხზულებაში აღმოცენებული სასიყვარულო და საზოგადოებრივი კრიზისები ბედისწერის აჩრდილ-

ქვეშაა მოქცეული და გარდაუვალობის ბეჭედი აზის. მაგრამ ბედისწერა არ არის ერთადერთი განსაზღვრულობა, რაც ზღუდავს პერსონაჟთა თავისუფალ ნებას ყაზბეგის ამ ტექსტში. თხზულების პერსონაჟები ორმაგი ხუნდებით არიან შებორკილნი – **ბედისწერისა და საზოგადოებრივი ეთიკის ხუნდებით**: მათ არა აქვთ არჩევანი, ისინი ერთნაირად განიცდიან როგორც საკუთარი, მიუღებელი ვნებებისა და ემოციების ტრაგიზმს, ისე – საზოგადოების წინაშე მათი ეთიკური პასუხისმგებლობის სიმძიმეს. „ხევისბერ გოჩაში“ დანაშაულის შეგრძნება არასოდეს არის ერთი, ის ყოველთვის ორმაგია, ხოლო ონისეს შემთხვევაში – სამმაგიც. ის პასუხს აგებს არამარტო საკუთარი თავისა და თემის, არამედ – მამის, ხევისბერი გოჩას წინაშეც.

ონისე იმთავითვე გამორჩეული პერსონაჟია, მინიმუმ, **მსხვერპლის ორი ნიშნით: წარმომავლობის ნიშნით** – ის ხევის მეთაურის, ხევისბერის ვაჟია, და – **ფსიქოლოგიური ნიშნით:** მას უყვარდება მეგობრის საცოლე, შემდგომში კი – ცოლი, ქალი, რომელსაც თავდაპირველად „დად“ ღებულობს: „იყოს თავდებად ზევით ღმერთი და ქვეშ დედამინა, რომ ძიძია დასავით მეყვარება, გაუწევ ძმობას, მაგისთვის ძმაზედ უფრო მეტი ვიქენები!“ (ყაზბეგი 1993: 169). თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პროცედურას წინ უძლვის ძიძიას საქმროსთან, გუგუასთან მისი მეგობრობა და ძმობა, ონისესა და ძიძიას ვნებას ინცესტის ელფერიც კი დაჰკრავს, რაც კიდევ მეტად აღმომავებს ფსიქოლოგიური ნიშნით პერსონაჟის გამორჩეულობას. სასიყვარულო სამკუთხედის აღმოცენება, თუკი სიუჟეტის ამ მონაკვეთს ჩავუღრმავდებით, ანტიკური ტრაგედიებისათვის ნიშანდობლივი არქაული მოდელის – **ჩანაცვლების რიტუალის** – პირდაპირი შედეგია: ხევის კანონით, პატარძალი, ვიდრე სასიძოს მიჰვრიან, ხელისმომკიდეს უნდა ჩააბარონ, როგორც საქმროს წარმოგზავნილს,

მის შემცვლელს დროის უმცირეს მონაკვეთში – ქალის სახლიდან საყდრამდე. ყაზბეგის აღნიშნულ ტექსტში სწორედ ეს უწყინარი რიტუალი იქცევა პერსონაჟთა პირადი კრიზისის პირველმიზეზად, რომლის უშუალო შედეგსაც „აკრძალული ხილის“ დაუოკებელი სურვილი და, მოვაინებით, დაუფლება წარმოადგენს. ძიძიას სიყვარული ონისეს მიმეტური სურვილის ობიექტია, რითაც ის იკვეთება გუგუას მიმეტურ სურვილთან, ხოლო ყაზბეგის, როგორც მწერლის, ამოცანის სირთულეს ამ ორი ხასიათის დამოკიდებულების სწორად წარმართვა ქმნის. ონისე **საბედისწეროდ** ჩაანაცვლებს გუგუას და **ბედისწერის მარხილითვე** (რომელიც მას და ძიძიას მეტაფორულად მიაქანებს ნამქერში) და-ეშვება საკუთარი დაცემისაკენ. ყაზბეგის „სულიერი ძიება, მუდმივი მოუსვენრობა „ბედის წერით“ არის გამოწვეული, – აღნიშნავს ვ. კოტეტიშვილი, – ადამიანის სიცოცხლის მთელი ტრალიზმი და იმავე დროს სილამაზეც იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთსა და იმავე დროს ორფეხი ცხოველიც არის და სულიერი, თვითგამომრკვევი სუბსტანციაც; იგი სუსტიც არის, უბედურიც, მაგრამ დიადიც, რადგან აზროვნება აქვს და იცის რატომ იტანჯება. მასში ძნელი და მძიმე წინააღმდეგობანი ღრღნიან მუდამ მოუსვენარ სულს, და ამ საშინელ დრამის მწარმოებელი გონებაა, რომელიც ყოველთვის ვერ იმარჯვებს“ (კოტეტიშვილი 1925: 108). შეიძლება დავამატოთ, რომ მსხვერპლის ეს ანთროპოლოგიური მოდელი დაკავშირებულია როგორც არქაულ რელიგიურ პლასტებთან, ისე – ცხოველთა ბიოლოგიურ სამყაროსთან. ონისე საბედისწერო ჩაანაცვლების მსხვერპლია – მას ერგება ის, რაც სხვის-თვისაა განკუთვნილი, თუმცა, ანტიკური ტრაგედიებისაგან განსხვავებით, ონისე მშვენივრად გრძნობს შექმნილი ვითარების საფრთხეს და სრულიად გააზრებულად ერთვება ვნებათაღელვებში, რაც კიდევ მეტად

აღრმავებს შეცოდების სიმძიმეს და ქმნის ამ ქმედების დასჯის გარადაუგალობის მოლოდინს.

ვინ შეიძლება მოგვევლინოს დამსჯელად? გუგუა? საზოგადოება? მამა?

პასუხს ამ შეკითხვაზე ართულებს მეორე სამკუთხედის, ანუ მეორე კრიზისული მოდელის – **საზოგადოებრივი კრიზისის** – აღმოცენება, რომელიც უშუალოდ იკვეთება პირველთან. საზოგადოებრივი კრიზისის სამკუთხედი ასე გამოიყურება: ონისე/ხევისბერი გოჩა/თემი (საზოგადოება).

ხევისბერი გოჩაც იმთავითვე სოციალური ნიშნით გამორჩეული პერსონაჟია, **ხევის თავი**, დახატული „ჭეშმარიტი მონუმენტურობით“ (ქიქოძე 1963: 211), თუმცადა, მისი სოციალური გამორჩეულობა ტექსტში გადაფარულია: ა) ნუგზარ ერისთავის სოციალურივე გამორჩეულობით (თუნდაც ნეგატიურით); ბ) ონისეს სამსხვერპლო მარკერებით (იხ. ზემოთ).

„გათეთრებული, ლაზათიანის შეხედულებით, მბრძანებლის მიხვრა-მოხვრით და მედიდურის, მტკიცე სახის გამომეტყველებით“ (ყაზბეგი 1993: 177) შემკული გოჩა, „მშობელი მამა თავის ხალხისა“ (ყაზბეგი 1993: 180) მითოლოგიურ პერსონაჟებს უფრო წააგავს, ვიდრე ჩვეულებრივ, მიწიერ ადამიანს, მათსავით ძლიერი, ღირსეული და უკომპრომისოა. თხზულების ნარატივის დასაწყისიდანვე ცხადია, რომ გოჩა შვილზე უსაზღვროდ შეყვარებული მამაა, თუმცა, ეს **სიყვარული არ არის უპირობო!** მამის წინათგრძნობა თავიდანვე ჭვრეტს უბედურებას – „გოჩას აშკარად ეტყობოდა, რომ მისი მრავალგვარად გამოცდილი გული რაღაც უბედურების მოახლოვებასა ჰერძნობდა. მისი გამოცდილის თვალებისათვის შვილის ერთი დანახვა კმაროდა, რომ მის საქციელში ავადმყოფობის მაგიერ, სხვა მიზეზი დაენახა, მაგრამ რა იყო ეს მიზეზი, საიდანა ჰქონდა ნიავი, რომელიც მას, როგორც წადირს,

სუნს აყრიდა და აკრთობდა, – მოხუცი ვერ მიმხვდა-რიყო“ (ყაზბეგი 1993: 181). ეჭვი ღრღნის გოჩას და, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტ მიზეზს თავისი ეჭვისა ვერ ადგენს, სწორ გზას ადგას და გრძნობს, რომ შვილთან მისი თანხმობის მთავარი პირობა – **გვარის ლირსების შენარჩუნება და დაცვა** – შეიძლება დაირღვეს: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“ (ყაზბეგი 1993: 183). ამ სიტყვებით იწყება **არჩევანის ფაზა** თხზულების სიუჟეტში: არჩევანის წინაშე დგება კრიზისული სამკუთხედების მონაწილე თითოეული პერსონაჟი და კომპონენტი – ონისე, გუგუა, თემი, გოჩა, თუმცა, ყველაზე მძიმე არჩევანი გოჩას მოელის.

ონისეს ეძლევა არჩევანი, გონს მოეგოს და შეაჩეროს საკუთარი ვნებები, რასაც ის ვერ ართმევს თავს და, ძინიასთან განმარტოებული და ვნებასაყოლილი, დაივიწყებს რა თავის მოვალეობას, პრინციპულ ბრძოლაში, **უნებლიერ უდალატებს** საკუთარ ხალხს; გუგუას ეძლევა არჩევანი, გაუსწორდეს ონისეს, მაგრამ ნაცვლად ამისა, ონისეს ძებნისას, **უნებლიერ შეუძლება** მტერს თავისი ხალხის ბანაკში. აღსანიშნავია, რომ **ბედისწერით განსაზღვრული ეს უნებლიობაც**, გამოხატული სიუჟეტის კონკრეტული ეპიზოდით, **ჩანაცვლების რიტუალს** ეფუძნება, თუმცა უფრო გაღრმავებული ფუნქციით: ამ ეპიზოდში, ჩანაცვლების ხერხის შემოტანით, ყაზბეგი არქაული მითოლოგიური პლასტებიდან მომდინარე კიდევ ერთ მოდელს ააქტიურებს – **სუროგატი მსხვერპლის მოდელს**. სუროგატი მსხვერპლის უძველეს მოდელად რენე ჟირარი სამართლიანად მიიჩნევს ისაკის მიერ იაკობის დალოცვის ბიბლიურ ამბავს, როდესაც რებეკა იაკობით ჩაანაცვლებს მის ძმას, ესავს, ბრმა ისაკის წინაშე. ისაკი ვერ ხვდება ამ თვალთმაქცობას და, შედეგად, კურთხევას, რომელიც ესავისთვის არის განკუთვნილი, იღებს იაკო-

ბი¹. ვიდრე ონისე ანაცვლებს გუგუას მისსავე ცოლთან, შეურაცხყოფილი გუგუა გარბის შურის საძიებლად და უნებლიერ ანაცვლებს ონისეს მოღალატის როლში: მიუხედავად იმისა, რომ მტრის შემოსვლა მოხევეთა ბანაკში ონისეს უყურადღებობის ბრალია, სუროგატ მსხვერპლად გუგუა იქცევა – ონისეს ბრალეულობა დაფარულია, საზოგადოება-თემი ვერ ხვდება სიმართლეს და მისი ზიზღი და გაკიცხვა მიემართება გუგუას, როგორც მოღალატეს, და არა ონისეს, რომელსაც ის რეალურად უნდა მიემართებოდეს.

არჩევანის და, ზოგადად, ვითარების სიმწვავეს განაპირობებს ორივე ზემოთ განხილული კონფლიქტის – სასიყვარულოსა და საზოგადოებრივის – თავმოყრა (გნებავთ, შეხვედრა) საზოგადოებისათვის უმისოდაც კრიზისულ ვითარებაში: კრიზისი ეროვნული ხასიათოსაა – მოხევეებს ემუქრება ნუგზარ ერისთავი მათი დამორჩილების მიზნით. მეტიც, ერისთავი ცდილობს, ძმათაშორის ოში ჩაითრიოს მთიულები და მთიანი რეგიონის სხვა მცხოვრები. შექმნილ კრიზისთან საზოგადოების ერთსულოვანი მიმართება აღსავსეა მაღალი პაუხისმგებლობით, რისი სიმბოლური გამოხატულებაცაა ხევისბერი გოჩას პოზიცია, გამსჭვალული ღირსეული ლიდერისთვის ჩვეული უკომპრომისობითა და თავდადებით. სწორედ ამ დაძაბულ ვითარებაში იჩენს თავს სხვადასხვა ტიპის ანტაგონიზმი, რომელთაგანაც ერთ-ერთმა ცენტრალური სიუჟეტური ანტაგონიზმის ფუნქცია უნდა შეასრულოს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ანტაგონიზმი გოჩასა და ნუგზარ ერისთავს, მოხევეებსა და ნუგზარ ერისთავის ჯარს შორის უაღრესად პრინციპულია, ცენტრალური ანტაგონიზმის სივრცეს მთლიანად იპყრობს ხევისბერ გოჩასა და ონისეს, ანუ მამასა და შვილს შორის წარ-

1 ბიბლია, დაბადება, თ. 27. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, 1989, გვ. 34.

მოქმნილი ანტაგონიზმი: დაპირისპირება ეფუძნება ღირებულებითი პრინციპების გაზიარების შეუძლებლობას – ის, რაც ონისესათვის ბედისწერით თავსდატეხილი გრძნობა ან თუდაც მისი და საყვარელი ქალის პირადი არჩევანია, გოჩასათვის მამაკაცური ღირსების შელახვას უტოლდება; ის, რასაც ონისე სიყვარულის სახელით ჩადებილ შეცდომად (თუნდაც მძიმე შეცდომად) მიიჩნევს, გოჩასთვის უპატივებელი საზოგადოებრივი დანაშაულია. სად არის ამ დროს საზოგადოება? რას აკეთებს თემი, ესოდენ ერთსულოვანი და ერთაზროვანი საზოგადოება? როგორ ექცევა ის იდენტიფიცირებულ მსხვერპლს ონისეს სახით?

თემი, რომელზეც წერს ყაზბეგი „ხევისბერ გოჩაში“, ცალსახად არ არის ბრბო, არამედ საკუთარი ეთიკური კოდექსის მქონე ერთობაა, კოდექსისა, რომელიც ეფუძნება არა იურიდიულ კანონებს, არამედ – მყარ ტრადიციებსა და შეხედულებებს. მისი მიზანი ნებისმიერი სახის კრიზისის თავიდან აცილებაა. ანთროპოლოგ რობერტ ლოუის აზრით, სამართლის კანონების თვითდაწესება „პრიმიტიული საზოგადოებებისათვისაა“ დამახასიათებელი, თუმცალა მათ შორისაც არსებობს პირნციპული განსხვავება: არსებობს საზოგადოებები, რომლებიც ქმნის **სამართლის ავტორიტეტულ ინსტიტუტს** და არსებობს ისეთი საზოგადოებებიც, რომლებიც ამას არ ან ვერ აკეთებს და ბრბოს სტიქიაში რეალიზდება: **ბრბო აფასებს მოქმედებას და არ ეძებს მიზეზებს, ხოლო ინდივიდი ეძებს მიზეზებს, რომლებიც გაამართლებს მის მოქმედებას.** სახეზეა სრული ცთომილება, რაც აუცილებლად უნდა დასრულდეს ძალადობის აქტით. ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს კუსტარულ მოვლენასთან, რასაც საზოგადოება მიჰყავს პიროვნულ კონფრონტაციებამდე ადამიანების ცალკეულ ჯგუფებს შორის და ახდენს ისეთი ქმედების პროვოცირებას, როგორიცაა, მაგალითად,

სისხლის აღება (ვენდეტა) ანდა სხვა კრიმინალური აქტები (ჟირარი 1977: 15). სამართლის ავტორიტეტული ინსტიტუტი კი გამორიცხავს მსგავსი ტიპის პირად კონფრონტაციებს – ის საზოგადოების ინტერესებზეა ორიენტირებული და მისი კეთილდღეობის სახელით მოქმედებს (ლოუი 1970: 400). მას საქმე არა აქვს პირად შურისძიებასთან, არამედ საზოგადოების სახელით განხორციელებულ სამართალთან. ასეთ შემთხვევაში მსხვერპლის (რომელიც დამნაშავედაა შერაცხული) გასამართლება მიიჩნევა არა კრიმინალურ, არამედ – საკრალურ აქტად. სწორედ ამგვარ სამართლებლივ ინსტიტუციას მიეკუთვნება ყაზბეგის თემი თხზულებაში „ხევისბერი გოჩა“.

მაში, რატომ არ სჯის განრისხებული თემი ონისეს, რომელმაც შეურაცხყო მეგობარი, დაივინყა ძმობის კოდექსი, შეიყვარა ქალი, რომელიც არ უნდა შეეყვარებინა და, ვნებასაყოლილმა, უღალატა თავის ხალხს? რატომ მიმართავენ თემის თავნი გოჩას უცნაური ფრაზით: „გოჩავ! შენს შვილს ხევი არ გაუყიდნია... მხოლოდ ყმაწვილკაცობას გაუტაცნია და თავდავინყებაში ჩაუგდია...“ (ყაზბეგი 1993: 234). ნუთუ თემი დაიბნა? ან იქნებ ხევისბერის ავტორიტეტს შეუშინდა?.. მაგრამ ეს შეუძლებელია, ვინაიდან ყაზბეგის თემი ძლიერია, მონოლითური, ის არ ბარბაცებს (როგორც ვაჟა-ფშაველასთან, მოგვიანებით), არამედ მტკიცედ იცავს თავის კანონებს.

ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს **სამსახურპლო კრიზისის** აღბათობასთან, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია არამითოლოგიური სიუჟეტებისათვის. გართულებულია როგორც დამნაშავის, ისე დანაშაულის იდენტიფიკაცია, მით უფრო, რომ არსებობს სუროგატი მსხვერპლი გუგუას სახით. საზოგადოება-თემი თავს იკავებს აგრესიულობისგან, ვინაიდან დარწმუნებული არაა მსხვერპლშეწირვის

აუცილებლობაში: დიდია იმის რისკი, რომ მსხვერ-პლშენირვის საკრალური აქტი კრიმინალურმა ქმედებამ გადაფაროს – ონისეს დანაშაული არ არის ჩადენილი წინასწარი განზრახვით და, თანაც, მან ხომ გამოისყიდა თავისი უნებლივ შეცდომა თავისივე არნახული მამაცობით? მაში, რატომდღა უნდა არკვიოს თემმა გუგუასა და ონისეს პირადი უთანხმოება – პირადული ხომ ვერასოდეს გაუტოლდება საზოგადოებრივს?! აჯობებს თუ თემი მოარიგებს მათ (თავისსავე საკეთილდღეოდ) და ამით თავიდან აიცილებს კონფლიქტის ახალ კერას.

შესაბამისად, სწორედ თემი, რომელიც ვერ/არ იღებს გადაწყვეტილებას, უბიძებს გოჩას საბედის-წერო არჩევანისკენ. აქ კი სხვა კითხვები დაისმის: რატომ ასაჩივრებს ხევისბერი თემის განაჩენს? რატომ არ ეთანხმება და არ ემორჩილება მის გადაწყვეტილებას, რომ ეპატიოს ონისეს? ვინ მისცა გოჩას უფლება, ერთპიროვნულად გადაწყვიტოს შვილის ყოფნა-არყოფნის საკითხი?

პრიმიტიული პასუხი ამ კითხვებზე ასე გაიჟერებს: გოჩა მოძალადეა, ის კრიმინალურ დანაშაულს ჩადის – კლავს ადამიანს, რომელსაც დამნაშავედ არ სცნობს სამართლის ავტორიტეტული ინსტიტუტი – თემი და, მეტიც, თავისი ქმედებით იწვევს კიდევ ერთი ადამიანის, გუგუას, თვითმკვლელობას.

მაგრამ ყაზბეგი არ არის პრიმიტიული მწერალი. ის დიდი მწერალია, რომელსაც დიდი თემები აქვს, დატვირთული დიდი პრობლემებითა და არაპრიმიტიული პასუხებით. თხზულების ფინალი ნარატივის დასაწყისშივე კოდირებული ავისმომასწავებელი ტრაგიზმის ლოგიკური დასასრულია: ბედისწერით პროვოცირებული შემთხვევითობები და ჩანაცვლებები, რომელთაც ვერ უმკლავდება ონისე, იმთავითვე ერწყმის ტრაგიზმის ეთიკურ შრეს – ონისე მხოლოდ საკუთარი

თავისა და თემის წინაშე არ არის პასუხისმგებელი, ის
 მამის, **ხევისბერის**, წინაშეც აგებს პასუხს! მამის სიყვა-
 რული მკაცრი პირობითაა განსაზღვრული: „გახსოვ-
 დეს ვისი გორისა ხარ!“, „ვინძლო ქვეყანა არ გააცინო“,
 აფრთხილებს გოჩა შვილს და სწორედ ამ შეგონების
 შვილის მიერ დავიწყება იქცევა ტექსტის მთავარ ეთი-
 კურ ანტაგონიზმად. „ღმერთო, ჩემი შვილი პირნათ-
 ლად ატარე!.. ადრევე მოუსპე სიცოცხლე, სანამ გან-
 ბილდებოდეს, ქუდი მოეხდებოდეს!..“ (ყაზბეგი 1993:
 214), შესთხოვს მამა უფალს, ონისე კი განბილდა
 კიდევაც, სახელიც შეირცხვინა და ისიც დაივიწყა, ვისი
 გორისა იყო! თუ დაკვირვებით შევხედავთ საკითხს,
 თემის სამართალს მნიშვნელობა აღარ აქვს გოჩასთვის
 (გოჩა სავსებით დარწმუნებულია ონისეს დანაშაულში),
 თემის სამართალი მხოლოდ უკანასკნელი იმედია, რომ
 თავად მამამ არ აღასრულოს შეილისათვის გამოტა-
 ნილი განაჩენი! და ეს იმედიც ქრება – თემი უკან იხევს,
 გაუგებს ონისეს, შეუნდობს... მაშ, ჯერი გოჩაზეა. გოჩა
 საკუთარი ხელით კლავს ონისეს და ეს არის ერთად-
 ერთი გამოსავალი, რომელმაც შეიძლება მოარიგოს
 მამა-შვილი, წაშალოს ის ეთიკურ-ლირებულებითი ან-
 ტაგონიზმი, რომელიც მათ შორის ჩამოწვა. ანტიკური
 ტრაგედიებისათვის ნიშანდობლივი ეს მოტივაციური
 მოდელი (ხშირად სხვა თანმიმდევრობით წარმოდგე-
 ნილი) მოულოდნელი ენერგიითაა გააქტიურებული
 ყაზბეგის თხზულებაში, რაც გვაფიქრებინებს, რომ
 ალ. ყაზბეგი საგანგებოდ მიმართავს არამითოლოგი-
 ური სიუჟეტის მითოლოგიზების ხერხს: თუკი თემს
 გაუჭირდა დამნაშავის შეცნობა და დასვა, გოჩასათვის
 ონისე მისივე დანაშაულის უტყარი წაწილია და კავში-
 რი ონისეს დანაშაულსა და აღმოცენებულ კრიზისს შო-
 რის გოჩასათვის სავსებით ცხადია. შესაბამისად, გოჩა
 თვლის, რომ მსხვერპლშენირვის აქტი მისი საკრალუ-
 რი მოვალეობაა და არა კრიმინალური ქმედება. გოჩა

კლავს ონისეს იმ მოტივაციით, რომ: ა) წაშალოს ეთი-კურ-ლირებულებითი ანტაგონიზმი, რომელიც ჩამოწვა მასა და მის შვილს შორის; ბ) აღასრულოს თემის მიერ აღუსრულებელი სამართალი (სხვაგვარად, ბრმად არ დაემორჩილოს თემის გადაწყვეტილებას!).

ამრიგად, მსხვერპლის თეორია საშუალებას გვა-ძლევს ვივარაუდოთ, რომ „ხევისბერი გოჩას“ ავტორი თავს ართმევს თითქმის დაუძლეველ ამოცანას: **ახდენს** არამითოლოგიური სიუჟეტის განზავებას მითოლოგი-ური სიუჟეტისათვის ნიშანდობლივ მახასიათებლებ-თან. შედეგად, სახეზეა ანტიკური დრამის კანონებით დაწერილი მოთხოვნა, როგორც სუბჟანრული მოდე-ლი, სრულიად ინოვაციური მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურისათვის (და არა მარტო!).

თხზულების ფინალში არც ანტიკური ტრაგედიისა და არქაული მითოლოგიური პლასტებისათვის დამახა-სიათებელი კიდევ ერთი თემა იჩრდილება – **სუროგატი** მსხვერპლის გასამართლების თემა („ოიდიპოს მეფე“): გუგუა, რომელიც შეცდომით მიიჩნიეს მოღალატედ, და რომელსაც წილად ხვდა ნამდვილი დამნაშავისათ-ვის განკუთვნილი დევნა, შეპყრობა და გასამართლება, სახალხოდ იკლავს თავს. თუ არა სუროგატი მსხვერ-პლის როგორც არქეტიპული მოდელის ამოქმედება, გაუგებარი იქნებოდა გუგუას თვითმკვლელობის აქტი: რატომ? ხომ გაირკვა სიმართლე? მისი თვითმკვლელო-ბა დაუმსახურებელი ეჭვით შეურაცხყოფილი ვაჟება-ცის ქმედებაა („ერთხელ მაგვარის ცილის შენამების შემდეგ აღარ ვიცოცხლებ-მეთქი“) თუ სახალხოდ შერ-ცხვენილი ქმრის გადაწყვეტილება? გუგუა შეძრულია გოჩას განაჩენით: ონისე შეიძლებოდა სულაც არ ყო-ფილიყო მისი ხელისმომყიდვე, არ შეხვედროდა ძიძიას პირისპირ, ან გუგუას არ შეეტყო დალატის შესახებ ხევისათვის მძიმე დღეებში, არ გამოქცეულიყო მის მოსაკლავად და მტერს ეს არ გამოეყენებინა თავის

სასარგებლოდ... ახლა კი ონისე უმწეოდ ფართხალებს მიწაზე... გუგუა ვერ ხედავს გამოსავალს: ის ვეღარ იცხოვრებს უწინდელივით – თუნდაც უნებლიერ, მაგრამ ისიც დამნაშავეა. **გუგუას დანაშაული სუროვატი მსხვერპლის არქეტიპული მოდელისათვის ნიშანდობლივი ტრაგიული არცოდნაა, ვერმიხვედრა, ვერ-შეცნობა, სხვაგვარად – საბედისწერო სიბრძავე.**

ავტორი ვირტუოზული ოსტატობით დააბიჯებს მითოლოგიურისა და არამითოლოგიურის ზღვარზე: ის, რაც ცხადია გოჩასთვის, ბუნდოვანია თემისთვის; გოჩას მიერ ჩადენილი ქმედება, თემის პოზიციიდან, სულაც არ არის მიმართული საზოგადოებრივი კრიზისის განალმვისკენ – კრიზისი უკვე განალმულია მას შემდეგ, რაც ირკვევა გაუგებრობანი! გოჩას მიერ შვილის სასიკვდილოდ გამეტება მისი პირადი სამართლის აღსრულებაა და არა ანგარიშსნორება საზოგადოების ხსნის სახელით. შესაბამისად, ერთი და იგივე ეპიზოდი, სხვადასხვა პერსპექტივიდან ერთდროულად მითოლოგიზებულიცაა (გოჩას პერსპექტივა) და არამითოლოგიზებულიც (საზოგადოების პერსპექტივა).

სცენა – შვილის გვამზე გადამხობილი გოჩა –მკითხველს შექსპირის ტრაგედიის, „მეფე ლირის“, ბოლო სცენას მოაგონებს: შემლილი ლირი დამხობილია მის-სავე ხელებზე გადასვენებულ კორდილიას გვამზე. ფინალიდან გამომდინარე, მე-19 საუკუნის ინგლისურმა კრიტიკამ შექსპირის ამ ტრაგედიის თეოლოგიური ინტრაპეტაციის საკითხი დააყენა და მიიჩნია, რომ ტრაგედია „მეფე ლირი“ წარმოადგენს ლირის ხანგრძლივ **მოგზაურობას მონანიებისაკენ** (უოლესი 2009: 53). მოგვიანებით, ა. ს. ბრედლი დაწერს: „ლმერთების მიზანს ლირთან მიმართებაში შეადგენს არა ის, რომ გატანჯონ იგი ან თუნდაც „კეთილშობილი მრისხანების“ მარწუხებში ჩააგდონ, არამედ დაეხმარონ მას, რომ აშკარა უილბლობისა და მარცხის

მიღმა, შეიცნოს ცხოვრების დასასრული და მიზანი“ (ბრედლი 1985: 114). ლირი, რომლის ხელებზეც გადასვენებულია კორდილია, ბრედლიმ მიქელანჯელოს პიეტას შეადარა, იმ განსხვავებით, რომ დედისა და ვაჟის მოდელი შექსპირის ტრაგედიაში მამისა და ქალიშვილის მოდელითაა ჩანაცვლებული. პიეტას ჩამოჰკავს „ხევისბერის გოჩას“ დასასრულიც: მკვდარ შვილზე გადამხობილი მამა, მხოლოდ, შექსპირის ტრაგედიისან განსხვავებით, გოჩა თავისი ხელით აღასრულებს ონისეს სიკვდილს, რაც თხზულების ფინალს აბრაამისა და ისაკის არქაულ მითთან უფრო აახლოვებს, ვიდრე ღვთისმშობლისა და მისი ჯვარცმული ძის მითოლოგიურ მოდელთან.

მომხდარით შეძრული ხევისბერი გიუდება: „გაიარა კარგა ხანმა, ხევი დამშვიდდა... მხოლოდ სამტვეროს ტყე გადაიქცა ყველასათვის მოსარიდებლად, რადგანაც იქ ჩასახლდა ჭკუაზედ შემცდარი გოჩა“ (ყაზბეგი 1993: 235). გოჩას სიგიუე არც მხოლოდ ემოციური სტრესის შედეგია და არც მწერლის მიერ შერჩეული სტერეოტიპული დასასრული, არამედ – კათარისისის ტოლფასი ღვთიური სიგიუეა, რომლითაც გოჩა თავისი ქმედების მონანიებისაკენ მიისწრაფვის¹. გოჩას სიგიუე ეჭვქვეშ აყენებს მამის მიერ შვილის მოკვლის ზემოთ ჩამოთვლილ მოტივაციებს! „გამვლელ-გამომვლელს თავის შვილზედ ამბის კითხვით არ უსვენებდა. ის ყველას ეპატიუჯოდა თავის სახლში და უამბობდა, რომ შვილს მოელოდა შორის გზიდან“ (ყაზბეგი 1993: 235). ვფიქრობთ, აქ არცთუ უადგილო იქნება აგასფერის უძველესი მითის მოხმობა. მითის თანახმად, „მაცხოვარი, მიემართებოდა რა გოლგოთასაკენ,

¹ აღსანიშნავია, რომ „ღვთიური სიგიუეს“ მოდელს, რენესანსის ეპოქის მთაზროვნების კვლადაკვალ, აქტიურად მიმართავენ გვიანი რეალიზმისა და მოდერნიზმის ეპოქის მწერლები: დოსტოევსკი, ბულგაკოვი, ნაბოკოვი და სხვ.

სულის მოსათქმელად აგასფერის სახლთან შეჩერდა. მაგრამ ეს უკანასკნელი უხეშად მოექცა მას და არ მისცა ნება, მიახლოვებოდა მის საცხოვრებელს. „მე დავრჩები და შევისვენებ, – თქვა იესომ, – შენ კი წახვალ“. მართლაც, აგასფერი მყის გაუდგა გზას და მას შემდეგ აღარ გაჩერებულა“ (ბატიუშკოვი 1892: 676). თავისი შეცოდებისათვის აგასფერი მოკლებულია სიკვდილის პრივილეგიას და, ვიდრე მეორედ მოსვლამდე, განწირულია სამუდამო ხეტიალისთვის. აგასფერი მითოლოგიური სასჯელის მატარებელი პერსონაჟია, მისი უკვდავება კი შეჩვენებაა, წყევლა, უაზრო, გამანადგურებელი ერთფეროვნებისაგან მოგვრილი ტანჯვა. როგორც არ უნდა იხეტიალოს აგასფერმა, იგი ვერ შეცვლის საკუთარ ხვედრს, სწორედ ამიტომ, ზოგიერთი ვერსიის თანახმად, ფეხშიმველი და წვერმომვებული აგასფერი გამუდმებით გარს უვლის სვეტს და სვამს კითხვას: „ხომ არ მოდის კაცი, რომელიც ჯვარს ეზიდება?“ აგასფერის მოლოდინი მონანიების მოლოდინია, ასევეა გოჩას მოლოდინიც – ის ელის შვილს, რომელსაც უთუოდ უნდა თხოვოს პატიება. მაგრამ პატიება არ ჩანს: ყაზბეგი კვლავაც გადმოინაცვლებს არამითოლოგიზებურ რეალობაში – გოჩა, ყველასაგან დავიწყებული და მიტოვებული, მარტოდმარტო კვდება დათოვლილ ხევში. ნუთუ მაღალი ეთიკურ-ზნეობრივი მოტივაციის მიუხედავად, გოჩა მაინც დამნაშავეა? დამნაშავეა, რადგანაც: ა) არ დაემორჩილა თემის განაჩენს? ბ) არ იფიქრა იმაზე, რომ ადამიანები ხშირად ხდებიან საბედისწერო ვნებებისა და ლტოლვების მსხვერპლნი? გ) ხელი აღმართა კაცზე, რომელიც თავმოდრეკილი (იქნებ დაჩოქილიც?) იდგა მის წინაშე?

ონისე მსხვერპლია, ხოლო „**მსხვერპლი არის განტევების ვაცი**, – წერს უირარი, – ... განტევების ვაცი ერთდროულად გამოხატავს მსხვერპლის უდანაშაულობასა და კოლექტიურ პოლარიზაციას მის მიმართ, და კო-

ლექტივი წერტილს უსვამს ამ პოლარიზაციას“ (ჟირა-რი 1983: 39). მაგრამ, ონისეს ასამართლებს არა კო-ლექტივი – სამართლის ავტორიტეტული ინსტიტუტი საზოგადოება/თემის სახით, არამედ – მამა, რომლის-თვისაც ეთიკური ღირებულებანი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შვილისადმი სიყვარული ან თემისადმი პა-ტივისცემა. მამა, როგორც ბრალმდებელი ანაცვლებს კოლექტივს. გოჩას ქმედება იმ წინააღმდეგობრივი მოტივაციური მოდელების მხატვრული შედეგია, რომ-ლებიც თანამიმდევრულადაა აკინძული თხზულების სიუჟეტში: საბედისწერო წინასწარგანსაზღვრულობა, საზოგადოებრივი კრიზისი, რიტუალური ჩანაცვლება, სუროგატი მსხვერპლი, სამსხვერპლო კრიზისის სა-შიშროება, დაბოლოს – მსხვერპლშეწირვა საკრალური აქტის აღსრულების განზრახვით. მაგრამ, განა შეიძ-ლება, საკრალურ აქტად მივიჩნიოთ ერთი კაცის (თუნ-დაც მამის) მიერ გამოტანილი განაჩენი? მაშ, რაღატომ იკლავს თავს პაჯი უსუბი?! ხომ არ აჯობებდა, რომ ის ტყვია საფარ-ბეგს მოხვედროდა?..

1 იხ. აკაკი წერტილის პოემა „გამზრდელი“.

**ვაჟა ფშაველა –
„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.
მტკიცება თუ გაფრთხილება?**

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობა თავისი თემებითა და მიზნებით ევროპული გვიანი რეალიზმის ღირებული ქართული რეფლექსიაა, თუმცალა ქართული მწერლობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე დამკვიდრებული ტრადიციის მსგავსად, რეფლექსირების ეს მოდელიც ჩვეული ჩასწორებებითა და სქოლიობით გამოიჩინა – გვიანი რეალიზმის მიერ გამომუშავებული ახალი ტენდენციები ერწყმის არა მარტო კრიტიკული რეალიზმის წიაღში უკვე გამომუშავებულ ტრადიციას (როგორც ეს ევროპული რეალიზმის წიაღში მოხდა), არამედ ქართულ რეალურ კონტექსტსაც („ქართულ საკითხავს“) და პრობლემების ძალზე საინტერესო სპექტრს გამოკვეთს:

- ადამიანი და მისი მისია სამყაროში;
- სუბიექტის ინდივიდუალური ნება და საზოგადოება;
- „საკუთარი სივრცე“, როგორც ნაციონალური იდენტობის მარკერი.

თუკი ამ კუთხით მივუდგებით ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ცენტრალურ ტექსტებს – „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გოგოთურ და აფშინა“, „გველის მჭამელი“ და სხვ. – მოგვიწევს ვალიაროთ: მიუხედავად განსხვავებული სიუჟეტებისა, მათ ერთ-მანეთთან აკავშირებს და ადულაბებს უზარმაზარ სამყაროში გამოკეტილი ადამიანის მიერ თავისი მისის ძიების დაუმკებელი სურვილი, პიროვნული ღირსების დამკვიდრებისთვის პრძოლის გაუნელებელი ჟინი და „საკუთარ სივრცესთან“ ფატალური იდენტიფიკაციით მოგვრილი დაუმსახურებელი ტკივილი. ამ ტექსტების

მთავარი ხასიათები მრავალი მიზეზით იმსახურებენ ავტორის პატივისცემას: ისინი იშვიათი ღირსებებით შემკული ადამიანები არიან, რომელთათვისაც მნიშვნელობს, ერთი შეხედვით გაცვეთილი, მაგრამ სრულიად აუცილებელი ცნებები – „რწმენა“, „თავისუფლება“, „სიყვარული“, „ერთგულება“, „სულის სიმტკიცე“, „მშობლიური მიწა-წყლის განცდა“. მათ სწამთ, რომ ადამიანი ჯერ საკუთარ თავთან უნდა იყოს მართალი და მერე სხვასთან, ჯერ საკუთარ სინდისთან უნდა იყოს პირნათელი და მერე საზოგადოებრივთან, ჯერ საკუთარ მიწას უნდა უერთგულოს და მერე სხვისას. ალუდას, ჯოყოლას, მინდიას (და სხვათა) ხასიათები ქართული რეალური კონტექსტის წიაღში იძერწება, მაგრამ ისინი არ არიან მრავალთაგან ერთ-ერთი, არამედ ერთი – მრავალში, პიროვნების თავისუფლების ერთადერთ პროექციად სულიერი პროექცია იკვეთება, ხოლო სამშობლოს განცდა ეფუძნება არა მასის ხედვას, არამედ სუბიექტის ინდივიდუალურ ზნებრივ კრიტერიუმებს:

- სახლი მე ვარ, ჩემი ღირსებით;
- ჩემი ღირსება განსაზღვრავს ჩემს სახლს;
- მე დავდივარ სამყაროში ჩემი ღირსებით და, მაშასადამე, ჩემი სახლით.

მთავარი კი ისაა, რომ ასეთი ადამიანების ღვაწლი, ვაჟა-ფშაველას სიტყვებით რომ ვთქვათ, იმდენადვე სასარგებლოა კაცობრიობისათვის (სამყაროსთვის), რამდენადაც სასარგებლო და გონივრულია სამშობლოსათვის (სახლისთვის) („კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“).

მაშ, ვინ არის ვაჟა-ფშაველა? თავისი ეპოქის უდიდესი კოსმოპოლიტი თუ ნაციონალური თვითშეგნებით მოტივირებული გენიოსი?

გავიხსენოთ თუ როგორ ინტერპრეტაციას უძებნის იოპან ვოლფგანგ გოეთეს მიერ ერთ-ერთი ყველაზე კოსმოპოლიტური ტერმინის „*Weltliteratur*“, ანუ

„მსოფლიო ლიტერატურა“ შემოღებას (1827 წელი) მარკო იუვანი: „გოეთეს შემთხვევაში ლიტერატურის მსოფლიო მოდელის ისტორიულ ცნობიერებას, მიუხედავად მისი კოსმოპოლიტური გარსისა და უნივერსალიზმზე გაცხადებული პრეტენზისა, უფრო პერიფერიული, ნაწილობრივ ნაციონალური წარმომავლობით განსაზღვრული საფუძველი აქვს. იდეის ინტელექტუალურ ბაზას უდავოდ წარმოადგენს პოსტ-განმანათლებლური მნიშვნელობა კოსმოპოლიტიზმისა, რწმენა იმისა, რომ „პრინციპში“ ადამიანები არიან თანასწორი, მიუხედავად მათი ნაციონალობისა, ენობრივი, რელიგიური, კლასობრივი ან კულტურული კუთვნილებისა. XVIII საუკუნის შემდგომ კოსმოპოლიტიზმი ეზიარა ქალაქის ინტელექტუალური ელიტისა და კონცეპტუალურად შთაგონებული მორალისტების ცხოვრების წესს, აგრეთვე საერთაშორისო სამართალს, თავისუფალი ბაზრის ეკონომიკურ თეორიებს, პოლიტიკურ მეცნიერებებს, ხელოვნებასა და პუმანიტარულ აზროვნებას. ამკვიდრებდა რა ცნებას „Weltliteratur“, გოეთე, ისევე როგორც მოგვიანებით მარქსი და ენგელსი, – მოელოდა, რომ „მსოფლიო ლიტერატურა“ კოსმოპოლიტური კულტურული ურთიერთგაცვლების მეშვეობით გადალახავდა ნაციონალურ ახლომხედველობას... გოეთე ფიქრობდა, რომ სხვა ენებისა და ლიტერატურების ცოდნა, მათი სიღრმისეული გაგება, მათი გავლენების ქვეშ მოქცევის მზაობა სხვადასხვა ქვეყნების ხალხებს მიიყვანდა საერთო გაგებასა და მშვიდობასთან. პოსტ-ნაპოლეონურ ევროპაში მსოფლიო ლიტერატურის იდეოლოგებას უნდა აეცილებინა იმპერიალიზმის და სხვადასხვა ნაციას შორის გაჩაღებული კულტურული ომებისა და ეკონომიკური შეჯიბრებების საშიშროებანი. თუმცალა გოეთეს კოსმოპოლიტური იდეა ნაციონალისტური შიშებითა და მიზნებით საზრდოობდა; საბოლოო ჯამში, „Weltlitera-

tur” მიზნად ისახავდა ტრანსნაციონალურ აღზევებას გერმანული ლიტერატურისა, რომელიც განიცდიდა დიდ საერთაშორისო კონკურენციას და მუდმივად ეჯახებოდა ბრიტანული და ფრანგული კულტურების ჰეგემონიას. ფრთაშესხმულს თავისი შრომების საერთაშორისო წარმატებით და მოხიბლულს თავისი გავლენიანი პოზიციით კულტურულად დაწინაურებულ ვაიმარში, გოეთეს სჯეროდა, რომ: „ყალიბდება მსოფლიო ლიტერატურა, რომელშიც საპატიო ადგილი შენახულია გერმანელებისათვის. ყველა ხალხები ეცნობიან ჩვენს შრომებს; ისინი გვადიდებენ, გვაკრიტიკებენ, გვიღებენ და უარგვყოფენ, გვბაძავენ, და ხშირად არასწორად გვიღებენ ან გვიკეტავენ თავიანთ გულებს“ (იუვანი 2011: 45-46). როგორც ჩანს, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კოსმოპოლიტი მოაზროვნე და კოსმოპოლიტური, დღეს უკვე გლობალური ტერმინის “*Weltliteratur*” ფუძემდებელი, იოპან ვოლფგანგ გოეთეც კი, თავისი კოსმოპოლიტიზმის საფუძვლებს ნაციონალური ცნობიერების შრეებიდან აყალიბებს და ერთი წუთითაც არ ივიწყებს ეროვნული ლიტერატურის (მის შემთხვევაში, გერმანულის) მისიას ამ მასშტაბურ ლიტერატურულ მოდელში: ნაციონალურ ლიტერატურათაშორისი კომუნიკაციები, როგორც განსხვავებული ლინგვისტური და ცნობიერებითი მოდელების ცირკულაცია, წარმოადგენს გოეთეს კოსმოპოლიტური ექსპერიმენტის მთავარ სამიზნეს.

ვაჟა-ფშაველა გოეთესშემდგომი ეპოქის მოაზროვნეა. განსხვავებით გოეთესაგან, რომელმაც მხოლოდ ინტუიტიურ დონეზე შეიძლება ივარაუდოს თავისი ტერმინის განვითარების პერსპექტივები, ვაჟა-ფშაველა ზუსტად ხედავს, თუ რა შეიძლება მოპყვეს კოსმოპოლიტური მიდგომის არასწორ ინტერპრეტაციას. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა-ფშაველა რუსეთის გუბერნიად ქცეული საქართველოს მიუვალ

მთებში, ნახევრადდანგრეულ ქოხში ცხოვრობს ოჯახთან და მარჩენალ პირუტყვთან ერთად, იშვიათად ჩადის ქალაქად და მთელი ტკივილით შეიგრძნობს თავისი პატივაყრილი ქვეყნის კულტურულ უსუსურობას მსოფლიო კულტურული და ლიტერატურული პროცესების ფონზე, ის ინარჩუნებს რწმენას ქართული კულტურის პოტენციალისადმი და პატივს სცემს მის ჯიუტ სასიცოცხლო ენერგიას, არაერთხელ ჩანიხლულს ისტორიული ბედუკულმართობის გამო. XIX საუკუნის მინურულის საქართველო ნამდვილად არ არის გერმანია, ქართული კულტურის პოპულარიზაცია რუსეთის საიმპერატორო კარის გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული, ქართველ მნერლებს არ იცნობენ, არ თარგმნიან, ისინი არ წარმოადგენენ მიბაძვის ან გაკიცხვის ობიექტებს, არამედ იხარშებიან საკუთარ წვენში, რომელიც საკმაოდ მნარე და უგემურია. მაგრამ ისინი იხარშებიან არა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთს შეუძახონ ან გამოაფხილონ რუსეთის დროებითი ლიბერალური პოლიტიკით მოდუნებული ქართული საზოგადოება, არამედ იმიტომაც, რომ არ დაკარგონ კონტაქტი საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესთან და შექმნან მისი ორიგინალური, ქართული ფრთა, რომელსაც ადრე თუ გვიან ყურადღებას მიაქცევს მსოფლიო, როგორც ერთ-ერთ უძველესს, ერთ-ერთ ღირებულს, ერთ-ერთ მნიშვნელოვანს...

დრომ და ისტორიამ აჩვენა, რომ გოეთეს იდეა მიღრეკილი იყო გეოგრაფიული გაფართოებისაკენ, თუმცა გოეთეს ეპოქაში ის ცალსახად უდრიდა ევროპაცენტრიზმს, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა ევროპულ ლიტერატურას და, ცხადია, გერმანულ ლიტერატურას, როგორც მის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს. XIX საუკუნიდან გოეთესეულმა ტერმინმა მართლაც იწყო ისტორიულ-გეოგრაფიული მასშტაბების გაფართოება და თანდათან მსოფლიოს ყველა

კონტინენტი და კულტურები მოიცვა; კაპიტალიზმის აღზევებამ დააჩქარა ნაციონალური საზღვრების გახსნის პროცესი, რაც თანდათან ზრდიდა ნაციონალური ლიტერატურების ინტერაქციების შესაძლებლობებს თარგმანებისა და სხვადასხვა ტიპის კულტურული დიალოგების მეშვეობით. გოეთეს ჩანაფიქრით, ყველა ამ ღონისძიებას არათუ უნდა დაეჩაგრა რომელიმე ღირებული კულტურული მოდელი, არამედ, პირიქით, გაეთანაბრებინა ისინი, მიუხედავად მათი ლინგვისტური თუ ნაციონალური კუთვნილებისა.

მაგრამ ცნობიერების სწორედ ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის ნიველირების საშიშროება აფორიაქებდა ვაჟა-ფშაველას, ქართველ მწერალსა და მოაზროვნეს, რომელიც: ა) ორმაგი საზღვრებით იყო იზოლირებული მსოფლიო კულტურული სივრცისაგან – ნაციონალური და იმპერიალისტური საზღვრებით; ბ) ცხოვრობდა აღმავალი კაპიტალიზმისა და მზარდი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრაგმატულ ეპოქაში; გ) აკვირდებოდა თავისი თანამედროვე საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების სწრაფ დევალვაციას; დ) აწყდებოდა ნიპილიზმსა და რწმენის დეფიციტს; ე) წუხდა მოდასაყოლილი ქართული საზოგადოების პატრიოტული მუხტის მოდუნების გამო.

საფუძველი შიშისათვის ნამდვილად არსებობდა. XIX საუკუნეში გოეთეს თეორიას პირველი კარლ მარქსი და ფრიდრიქ ენგელსი გამოეხმაურნენ თავიანთი „ზიარი საკუთრების თეორიით“ და გენიალური გერმანელის ნააზრევი ოსტატურად გამოიყენეს მარქსისტული იდეოლოგიის ძირითადი პრინციპის დასანერგად. გოეთეს კოსმოპოლიტიზმისათვის ნიშანდობლივი ნაციონალური კულტურების ახლომხედველობის დაძლევის პრინციპი მარქსისა და ენგელსის ნააზრევში კლასობრივ განსხვავებათა მოსპობის

თეორიად გარდაიქმნა და ახდენილი უტოპიის რეალურ საშიშროებად დაემუქრა კაცობრიობას. აღარავის ასლვდა, რომ გოეთეს კოსმოპოლიტური იდეა, ნაციონალური ცნობიერებიდან მომდინარეობდა და მისი აღზევების პირობით იყო მიმართული „საერთო-საყოველთაო ჰუმანიზმისკენ“...

რენე უელეკი და ოსტინ უორენი მხოლოდ ათეული წლების შემდეგ დაუბრუნდებიან ნაციონალურ ცნობიერებასა და კულტურულ-ლიტერატურულ ღირებულებებთან დაკავშირებულ გოეთესეულ კოსმოპოლიტურ თეორიას, მანამდე კი, 1905 წელს, კოსმოპოლიტიზმის იდეის დამახინჯებული ინტერპრეტაციის სამიშროება ხელშესახები რეალობაა და გასაკვირია არაა, რომ წითელ ზოლად გასდევს ქართველი ჰუმანისტის შრომას – „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.

საგულისხმოა, რომ ქართველი მკითხველისათვის განკუთვნილი ეს ნარკვევი ასეთივე წარმატებით მიემართება მთელ თანამედროვე მსოფლიოს, „მკვდარი ღმერთის“ (ნიცშე) დროების მოქალაქეებს, რევოლუციების, ომების, დიდი მოლოდინებისა და დიდი იმედგაცრუებების ზღურბლთან მდგარ მსოფლიო საზოგადოებას. ვაჟა-ფშაველა აუცილებლად მიმართავდა ყველას, აბსოლუტურად ყველას და არა მარტო რუსეთის პროვინციად ქცეულ თავდახრილ საქართველოს. „ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) – პატრიოტია. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავისი სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილ-

დღეობას“ (ვაჟა-ფშაველა 2011: 104). ეროვნული ენერგია ვაჟა-ფშაველას ნარკვევის საყრდენი წერტილია, ბჯენი, რომელზეც დაშენებულია ყველა სხვა ღირებულება. პასკალე კასანოვა თითქმის ას ორმოცდაათი წლის შემდეგ დაწერს: „ყოველი მწერლის პოზიცია ორგემაგეა, ორჯერადადა განსაზღვრული. მწერალი ჯერ იდენტიფიცირდება ნაციონალურ სივრცეში, ხოლო შემდგომ – მსოფლიო სივრცეში“ (კასანოვა), ვაჟა-ფშაველამ კი უკვე 1905 წელს ზუსტად იცის, რომ „ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც პპოვეს სამშობლო“... (ვაჟა-ფშაველა 2011: 104). აქამდე ყველაფერი რიგზეა: ვაჟა-ფშაველას აზრის პროექცია თანხმობაშია გოეთესეულ ხედვასთან და კოსმოპოლიტიზმის მისეულ გაგებასთან, მაგრამ მოგვიანებით ქართველი ავტორის აზრთა დინება რამდენადმე სხვა კალაპოტში გადაინაცვლებს: „მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „პამლეტით, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკებება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურ ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს რად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკებება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? – არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს – არა, ვინაიდან ის მთელ კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება“... (ვაჟა-ფშაველა 2011: 105). ერთი მხრივ, ვაჟა-ფშაველა არ აღიარებს თარგმანის ყოვლისშემძლეობას, თუმცა, მეორე

მხრივ, აღიარებს მის საჭიროებას, რათა ტექსტი იქცეს მსოფლიოს კუთვნილებად! თუ გოეთეს ყოველდღიური ცხოვრების რიტმიც კი განსაზღვრული იყო ლინგვისტური მოღვაწეობით – სხვადასხვა ენებზე კითხვით, თარგმანებით, კულტურული დისტანციების შესწავლით, საკუთარი ნაწარმოებების საერთაშორისო რეცეფციების მონიტორინგით და ინტერტექსტუალური ძიებებითაც კი, სადაც არსებითი ფუნქცია უნივერსალური ლიტერატურული სივრცის შექმნაში ეკისრება თარგმანს, ვაჟა-ფშაველა ნაკლებადაა დაკავებული მსგავსი ღონისძიებებით: ის თარგმანში უფრო კომუნიკაციურ საჭიროებას ჭვრეტს, ვიდრე პრეტენზიას უნივერსალური ლიტერატურული სივრცის შექმნაზე: თარგმანი აძლევს შანსს ნებისმიერ ნაციონალურ მწერლობას, ხელმისაწვდომი გახდეს სხვა ქვეყნების მკითხველებისთვის, სწორედ თარგმანის მეშვეობით შედიან ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტში სხვადასხვა ნაციონალური ლიტერატურები, მაგრამ კითხვის ხარისხი ჭეშმარიტად მაღალი მხოლოდ ნაციონალურ ენაზეა შესაძლებელი. თუ გავიხსენებთ დიალოგური კრიტიკის ფუძემდებლის, მიხაილ ბახტინის ერთ ფრაზას, მით უფრო გასაოცრად მოგვეჩენება ვაჟა-ფშაველას აზრის სიღრმე: „უცხო კულტურა მხოლოდ სხვა კულტურის თვალში წარმოაჩენს თავის თავს უფრო სრულყოფილად და ღრმად... ერთი აზრი/არსი სხვა, უცხო აზრთან/არსთან შეხვედრისა და შეხების შემდეგ წარმოაჩენს თავის სიღრმეებს: მათ შორის თითქოს დიალოგი იწყება, რომელიც სძლევს ამ აზრების/არსის, ამ კულტურების ჩაკეტილობასა და ცალმხრივობას... მაგრამ ორი კულუტურის დიალოგური შეხვედრისას ისინი არ ერწყმიან ერთურთს, არამედ თითოეული მათგანი ინარჩუნებს თავის ერთიანობასა და ღია მთლიანობას, ისინი ამდიდრებენ ერთმანეთს“ (ბახტინ 1979: 334-335). ზღვარი არსებობს და ის დაცულია

ღირებული დიალოგის პირობებში. სრულიად ცხადია, რომ კულტურის ქმნილება, ბახტინის აზრით, არ განეკუთვნება მხოლოდ იმ კულტურას, რომლის წიაღშიც ის შეიქმნა, არამედ გამლილ კულტურათაშორის სივრცეს, რომელიც ისტორიის „დიდი დროის“ ტოლფასია და საშუალებას აძლევს კულტურის ნებისმიერ ნიმუშს, განიცადოს მრავალჯერადი რეკონსტრუქცია და განახლება (როგორც აზრობრივი, ისე აღქმითი) კულტურის ისტორიის ყოველ ეტაპზე. ვაჟა-ფშაველას პოზიცია სწორედ რომ ამ ფიქრებითაა გაჯერებული: ერთი მხრივ, აუცილებელია კულტურათაშორისი დიალოგის წარმოება, ხოლო, მეორე მხრივ, ამთავითვე უნდა ვალიაროთ მოსალოდნელი დანაკარგების საფრთხეები, რაც, ცხადია, თარგმანის არასრულყოფილების, უფრო სწორად კი, ერთი ტიპის მენტალობის მიერ მეორის ზუსტი რეფლექსირების შეუძლებლობითაა გამოწვეული.

პატრიოტიზმი ვაჟა-ფშაველასთვის ძალზე მკვეთრი მარკერებით დატვირთული ცნებაა: დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი, ეროვნული ტერიტორია, ეროვნული მწერლობა, მშობლიური ენა, ბავშვობა, ანუ ყველაფერი ის, რასაც წლების შემდეგ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე „გლობალური ავტორი“, ვლადდიმირ ნაბოკოვი, „თანდაყოლილ მეხსიერებას“ უწოდებს.

პატრიოტიზმი განცდაა, კოსმოპოლიტიზმი – ფიქრის შედეგი და ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს ფიქრი სწორად იქნას წარმართული: „ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჲყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის

პატრონი, თვითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ლონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნება-თა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“ (ვაჟა-ფშაველა 2011: 106).

ვაჟა-ფშაველას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ ერთდროულად მტკიცებაც იყო გაფრთხილებაც, რომელსაც არა მხოლოდ ქვეყნის ტკივილი ამოძრავებდა, არამედ ღირებულებათა საყოველთაო კრიზისის ტრაგიკული განცდა.

ნოველის ხიბლი. ჟანრის ქართველი კლასიკოსი – რევაზ ინანიშვილი

რევაზ ინანიშვილს ურთულეს ეპოქაში მოუხდა მოღვაწეობა. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ფესვგამდგარი და წელგამართული საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში გმირობის ტოლფასი იყო მაღალი რანგის ლიტერატურის შექმნა და მაინც, მწერალმა გაიმარჯვა ყველაფერზე – სტალინურ დიქტატურაზე, მოჩვენებით „დათბობაზე“, „უძრაობის ხანაზე“, ათას-გვარ მახესა და საფრთხეზე, და ქართველ მკითხველს შეაგრძნობინა ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობებისა და განცდების სიდიადე. მისი პერსონაჟები ერთნაირად გაუხუნარი ღირსებით დააბიჯებენ ქუჩებსა და ორლობებში, ფიქრიანები, კაცომოყვარენი, თან დაატარებენ სამყაროს ინტელექტუალური შემეცნების სურვილს, სამშობლოს ტკივილიან განცდას, რაინდულ სიყვარულს, სევდას, მარტოობას, გულუბრყვილო ოცნებებს და კიდევ: მზეს, მთებს, მოწმენდილ ცას, წყალ-ჭალის ხმებსა და ზამთრისპირა ბინდს...

... „ბავშვს მშვიდად სძინავს და უთუოდ კუდაპრეხილ ციყვსა და ლამაზად მოფარფატე თოვლის ფანტელებს ხედავს. რომ ეღიმება, ვარდი გადასდის პირზე. / დედმამას სიხარულის ცრემლებით უბრნეყინავს თვალები. / ოთახში ნელ-ნელა შემოდის ზამთრისპირის ლბილი, ლბილი ბინდი... / – ლმერთო, ულხინე ყველა ბავშვს ქვეყანაზე!“ („ზამთრისპირა ბინდი“);

„ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის ოცდაექვს წოებერს ნელში მოხრილი ქალიშვილი მიდის ვაჟის სანახავად. ნახავს ერთი წუთით და მერე კმაყოფილი იქნება კიდევ ერთ თვეს... მერე... მერე აღარ ვიცი. მე ჯერ ეს მჭირდება მხოლოდ. მაჩვენეთ ერთი წუთით და

წაიყვანეთ მაშინვე. დაარქვით ამას, რაც გინდოდეთ, ის. მე კი ერთი წუთით მაჩვენეთ და წაიყვანეთ მაშინვე. თქვენი იყოს დიდ-დიდი სიამენი ამა ქვეყნისა. მე მარტო ეს პანაზინა სურვილი ამისრულეთ. დაარქვით ამას, რაც თქვენ გინდათ ის, ოღონდ ეს პანაზინა სურვილი ამის-რულეთ ეხლა...“ („ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“).

„აყეფდება ძალლი. / ვიღაც ცხრა მთის გადაღმა ხმელ ხეს შემოჰკრავს ცულს და აქ ყვითელ ფოთლებზე დახუჭავენ ცვრის წვეთები თვალებს... / საღამოობით ნისლი დაბლა ჩამოდის. ცრას იწყებს. სოფლის ბოლოზე ნახირ გამოჩნდება. ზანტი ნაბიჯებით ამოვლენ ტან-დაბალი შავი ძროხები და თავთავიანთ ბაკებს მი-აბლავლებენ. / ჩემი მეგობარი აივანზე გადმოდგება და მისი ეზო-ყურესკენ შემობრუნებულ ძროხას და ბო-ჩილას ალერსით ეხმაურება: / – ო, დედო! ოო, დედო!“ („ჩემი მეგობარი“);

„მიდიოდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქო მატარებელს ჩამორჩენოდეს და ფეხით დასდგომოდეს სწორ, ერთფეროვან, მტვრიან, სიცხის ალმურში გახ-ვეულ გზას, სადაც არაფერი არ ჩანს, არავისი შეხვედ-რის იმედი არ არის, არასოდეს გამოჩნდება ბოლო. / ბევრჯერ დამართია ასე, მაგრამ დღევანდელი დღის ეს წუთები მაინც მეტისმეტად ემძიმა. / და, ვინ იცის, რომ მართლაც ეს არ იყო იმ გზის დასასყისი, რომელზედაც ბოლოს ყველა ადამიანი უნდა შედგეს და სადღაც სევ-დიან გორაკზე დატოვოს ძონძებში გამოხვეული საკუ-თარი ძვლები“ („ფასანაური“);

„უცებ მოეჩენა, რომ მათ გარდა ოთახში სხვა ვიღა-ცაც იყო და შეშინებულმა მიმოიხედა. კედელზე ძველე-ბური შავი საათი ეკიდა და ბებერი ბულალტერივით გამწყრალი ანგარიშობდა რაღაცას... უყურებდა ამ საათს და ეღიმებოდა. მაგრამ მაინც ვეღარ დაეშოშმინებინა გული. / – აი, ჩემი დიდი სიმშვიდე... რისა შემეშინდა ასე? ქურდისა, თუ იმისა, რომ სხვას არ გაეგონა ჩვე-

ნი ნალაპარაკევი?.. რატომ გავურბივართ მოყვარული გულის გამოჩენას სხვები თანდასწრებით?.. რატომ გავურბივართ საქუთარ სიყვარულზე ლაპარაკს სხვებთან?.. / მთის ჩაბნელებულ ხეობიდან რომ ამოდიან ხოლმე ნისლები – ისე ამოდიოდნენ ფიქრები საიდან-ლაც და პირთამდე ავსებდნენ პატარა ოთახის მყუდროებას“ („ერთი ბოთლი შამპანური“)...

სითბო, თანაგრძნობა (ლესინგისეული), სიყვარული (თუნდაც უპასუხო), ყოველდღიურობის რუტინაში პატარ-პატარა სიხარულების აღმოჩენისა და გაზიარების სურვილი უშურველად იღვრება რევაზ ინანიშვილის ყოველი ტექსტიდან. მისი მწერლობა ორიენტირებულია საზოგადოების არა მარტო სულიერ-ინტელექტუალურ თუ ფსიქოლოგიურ, არამედ ყოფით-სოციალურ პრობლემებსა და ცვლილებებზე. ორდინარული, თუმცა ხშირად არაორდინარული სიტუაციებიც, სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემები, ეთიკური დილემები, ღირსეული გამოსავლის მუდმივი ძიება – ამ თემების რეალიზაციისათვის მწერალი წარმატებით იყენებს მცირე პროზაულ ფორმატს – მოთხოვობისა და, უპირატესად, ნოველის ჟანრს. ინანიშვილი ვირტუოზულად ფლობს ნოველის ტექნილოგიას, სრულად შეიგრძნობს ჟანრის კანონს და ქმნის შეუდარებელი მწერლური ალლოთი და გემოვნებით გამორჩეულ ქართულ შედევრებს – იქნება ეს „დავითის ხმალი“, „კაცი და ქალი“, „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი“, „უკულმა დაჭედილი“, თუ სხვა. წერის მანერა ძალზე დინამიურია, ხშირად ალსავსე იუმორით და პაროდიითაც კი, თემები – ჰუმანური, სიუჟეტები – დახვეწილი, მორგებული ნოველის საუკუნოვან ტრადიციებს.

ნოველისტობა არასოდეს ყოფილა მარტივი საქმე. მსოფლიოს პირველ ნოველისტს, ჯოვანი ბოკაჩის, თავისი კრებულის „დეკამერონის“ გამო არაერთი უსია-

მოვნების გადალახვა მოუხდა, მაგრამ, კულტურული თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესო (გარკვეულ-წილად, უარყოფითი) მაინც ის დამოკიდებულება იყო, რომელიც უანრის მიმართ ჩამოყალიბდა: თითქმის XIX საუკუნეში კლასიკურ ნოველას აღარც მიმდევრები ჰყოლია და აღარც გულშემატკივრები (გუარდატის, ბანდელოსა და რამდენიმე ინგლისელი ავტორის ტექ-სტებს უანრულად რომანებს ან ემბრიონულ რომანებს უფრო აკუთვნებენ, ვიდრე ნოველას). კითხვას – რა-ტომ? – სხვადასხვაგვარი პასუხი შეიძლება გაეცეს, თუმცა დაბეჯითებით მიგვაჩნია, რომ პასუხი ასახვის რეალისტური მანერის მკვეთრ დეფიციტში უნდა ვეძიოთ. ბოკაჩი რენესანსის ეპოქის მწერალია, იმ ეპოქისა, რომელმაც, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად,¹ ადამიანი იძულებით დააყენა სარკესთან და თავისი ნამდვილი სახე დაანახა (ხშირად რადიკალური სატი-რის ფონზე). რენესანსის მომდევნო ლიტერატურულ ეპოქებში – ნეოკლასიციზმის, სენტიმენტალიზმის, რომანტიზმისა – რეალისტური მეთოდი აღარ წარმოადგენდა კულტურულ და ესთეტიკურ პრიორიტეტს, შესაბამისად, აღარც ნოველის საჭიროება იყო, უან-რისა, რომელსაც ესოდენი ეფექტურობით ეხერხებოდა მოლოდინების გაცრუება ან სულაც – გამათრახება. ნოველის აღორძინება XIX საუკუნიდან შეინიშნება, როდესაც ასახვის რეალისტური მეთოდი დაუინებით ეძებს უანრულ სიახლეებს და ნარჩუნდება მაღალი მოდერნიზმის პირობებში, სადაც უმაღლესი ღირებულებების ძიება გარდაუვალად იკვეთება კონტექს-ტთან. XX საუკუნის 20-იან წლებში, ერთ-ერთი წამყვანი თეორიული სკოლის – რუსული ფორმალიზმის ფუძემ-დებლებმა, გააქტიურეს რა მოტივის როლი ლიტერა-ტურული სიუჟეტის ფორმირებაში, ნოველა რომანის

1 იხ. პ. ბურკი, რენესანსი. თბ., 2000 (თარგმანი გაგა ლომიძისა).

უანრის საბაზისო მოდელადაც კი მიიჩნიეს. ამ მიზნით ვიქტორ შკლოვსკის ყურადღების ცენტრში ექცევა მოტივის პრინციპული კავშირი სტილისტურ ხერხთან: ტექსტების ანალიზი ხორციელდება სპეციფიკური მე-თოდოლოგიური მოდელით – **ფაბულა (მასალა)** განიხილება, როგორც **სიუჟეტის (კონსტრუქცია)** შესწავლისა და დადგენის პირველწყარო. მაგალითად, „დონ კიხოტი განიხილება როგორც **გარდამავალი მომენტი ნოველების კრებულიდან („დეკამერონის“ ტიპის)** ერთი გმირის რომანამდე, რომელიც აგებულია აკინძვის, **აწყობის (наиизычание)** ხერხზე, რის მოტივაციასაც, თავის მხრივ, მოგზაურობა წარმოადგენს“ (ეიხენბაუმი: http://www.opojaz.ru/method/method_intro.htm). მოდელის მექანიზმი ასეთია: მოგზაურობის მოტივი, რომელსაც ეფუძნება ფაბულა (მასალა), აკინძვის სტილისტური ხერხის მეშვეობით ტრანსფორმირდება სიუჟეტის (კონსტრუქციის) სტრუქტურულ ქარგაში; ტექსტის აგების ნოველისტური პრინციპი ტრანსფორმირდება რომანისტულში. ფორმალისტების თეორიის აღნიშნულმა მუხლმა მწვავე კამათი გამოიწვია. მიხაილ ბახტინმა მკაცრად და, ვფიქრობთ, სამართლიანადაც, გააკრიტიკა ფორმალისტების პოზიცია¹, არ გაიზიარა იგი, თუმცა, მიუხედავად დავის თეორიული შედეგებისა, აკადემიური პოლემიკის უკვე არსებობის ფაქტი თავისთავად ხაზს უსვამს XX საუკუნის კულტურული სივრცის ძალზე სერიოზულ დამოკიდებულებას ნო-

1 ბახტინის უანრის თეორია დაეფუძნა ტრანსმისიურ კავშირს სოციალურ და ლინგვისტურ სტრუქტურებს შორის. მან, ტრადიციის წინააღმდეგ, უანრები განიხილა არა ლიტერატურულ-მხატვრული სპეციფიკის ჭრილში დიფერენციალურ განსხვავებათა (ლიტერატურის ფარგლებში) თვალსაზრისით, არამედ როგორც გამოთქმათა გარეული ტიპები, რომელებიც განსხვავდება ერთმანეთისა-გან, მაგრამ ინარჩუნებს საერთო სიტყვიერ (ენობრივ) სივრცეს (იხ. ი. რატიანი, მიხალ ბახტინის თეორიული კონცეფცია. დიალოგური კრიტიკა // ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები. თბ.: 2008).

ველისადმი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდისათვის ნოველა ორგანულად არის დამკვიდრებული ისეთი სახელოვანი ავტორების მხატვრულ არსენალში, როგორებიც არიან: გოეთე, კლაისტი, ჰოფმანი, ტოლსტიო, ზოშჩენკო, ო'ჰენრი, ჰესსე, თომას მანი; ქართველი ავტორები ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი და სხვანი.

ამრიგად, „განსაცვიფრებელი“ და „მოულოდნელი“ დასასრულისაკენ მიმართული დინამიური სიუჟეტი და ასახვის რეალისტური მანერა ნოველის, ამ „მსოფლიო ჟანრის“, უმთავრესი მახასიათებელია: ამბავი უნდა იყოს ძალზე კომპაქტური და დამაჯერებელი, რათა არა მარტო წარმოაჩინოს თხრობის დინამიურობა, არა-მედ გაამართლოს ფინალის მოულოდნელობაც. „ლიტერატურათმცოდნეობის ცნებათა“ თანამედროვე ლექსიკონში ვკითხულობთ: „ნოველა მცირე ფორმატის ჟანრია, ორიენტირებული ერთ კონკრეტულ მოვლენაზე, სიტუაციასა ან კონფლიქტზე, რომლის წიაღშიც იქმნება ინტრიგა. ინტრიგის ამოხსნა მოულოდნელობის ეფექტით ხასიათდება: ნოველის დასასრული ყოველთვის მოულოდნელია, როგორი ლოგიკურიც არ უნდა იყოს იგი“ (ქუდონი 1999: 600-601). ნოველა უნიკალური ლიტერატურული მოდელია, რომელიც იმთავითვე მიისწრაფვის, დასკვნით ნაწილში კი სრულად წარმოაჩენს მკითხველის მოლოდინის შეუსაბამობას ტექსტის დასასრულთან. მკითხველი, რომელსაც გზადაგზა აღეძვრება „კარგად ნაცნობი ამბის“ განცდა, საბოლოო ჯამში სრულიად სხვა ფინალის პირისპირ აღმოჩნდება იმდენად, რომ დასკვნის გამოტანაც შეიძლება გაჭირდეს. ნოველის სწორედ ამ ოქროს წესს იცავენ XIX-XX საუკუნეების უდიდესი ნოველისტები, რომელთა რიგს უდავოდ განეკუთვნება რევაზ ინანიშვილი.

ძნელად თუ მოიძებნება მწერალი, რომელიც ისეთი სიზუსტით ათავსებდეს ტექსტს უანრის განმარტებაში, როგორც ამას „აკეთებს“ რევაზ ინანიშვილი. მისი ნოველების სიუჟეტებიცა და ფინალებიც უანრისათვის ნიშანდობლივი მოქნილობით, მაღალი კონცენტრაციით, თხრობის დინამიური მანერითა და, რასაკვირველია, მოულოდნელი დასასრულებით არის გამორჩეული. რად ლირს თუნდაც ნოველა „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?“, რომლის ინტერპრეტაციის არაერთი ვერსია შეიძლება ჩამოვაყალიბოთ.

რატომ იჭრება ნოველის სიუჟეტის დასკვნით ეტაპზე მწერლის ქალიშვილი შეკითხვით – „ვითომ დაფრთხებოდნენ დამბაჩის ხმაზე ყვავები, მამა?“ სად გადაჰყავს ახალგაზრდა ვიტგენშტეინის სიკვდილზე დაფიქრებული მკითხველი მწერალს? რას ელოდა მკითხველი და რა მიიღო?

ამ შესანიშნავი ნოველის ფინალის წაკითხვა, თუნდაც წინააღმდეგობრივ ჭრილში, სიუჟეტთან უშუალო კონტაქტში უნდა წარიმართოს. სიუჟეტური მინიშნებანი ერთ (და მხოლოდ ერთ) შესაძლებლობას იძლევა ტექსტის დასასრულისა – ვიტგენშტეინი უნდა მოკვდეს:

„ვიტგენშტეინმა მოწყვეტით სტკიცა სილა (გენერალს). / – პირველსავე სადგურში ჩავალთ და ვესვრით ერთმანეთს... – ნაუმოვი ვარ, ტყვიას ტყვიაში ვსვამ. / – მე თქვენ უთუოდ მოგელავთ. / ვიტგენშტეინმა აღარაფერი უპასუხა. თავისი კუპისკენ წავიდა. / – რენკონტრ?! – იკითხა გენერალმა. / – რენკონტრ“.

სიუჟეტური კვანძის მოსალოდნელი გახსნის მიუხედავად, განსხვავებულია პერსონაჟის სიკვდილის მოტივაციები. რატომ გააწნა სილა გენერალს ახალგაზრდა კაცმა? საკუთარი მამაკაცური თავმოყვარეობა დაიცვა, გენერლის თანმხლები ქალის ღირსება თუ

სრულიად უტაქტოდ ჩაერია სხვის საქმეში? ეს კითხვები არსებითია.

ვერსია პირველი:

ვიტგენშტეინმა „შეამჩნია, გენერალმა ჩახრილ ქალს უადგილო ადგილას მიუწყაპუნა ხელი... / უკეთესი ხომ არ იქნებოდა, მეტი თავშეკავებულობა გამოგეჩინათ, გენერალო? / ... – მე, მამაკაცი, ვიდექი თქვენ გვერდით. / გენერალმა ვიტგენშტეინის თვალებს ვერ გაუძლო. / – მამაკაცი? – გაელიმა დაბნეულს“. სავსებით სავრაუდოა, რომ ვიტგენშტეინი გენერლის ცინიკურმა შეკითხვამ აღაშფოთა და შელახული მამაკაცური თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად „სტკიცა სილა“ ჩინოსანს. მისი საქციელი გასაგები და მოტივირებულია.

ვერსია მეორე:

ვიტგენშტეინმა „შეამჩნია, გენერალმა ჩახრილ ქალს უადგილო ადგილას მიუწყაპუნა ხელი. ქალი შეკრთა, გასწორდა. ჯერ ვერ გაბედა, მერე შეშფოთებული მზერა გამოაპარა ვიტგენშტეინისკენ“. შესაძლოა, ვიტგენშტეინს ქალის „შეშფოთებულმა მზერამ“ დააკარგინა წონასწორობა და ქალის დასაცავად „სტკიცა სილა“ თავგასულ მამაკაცს. მაგრამ, „შეშფოთებული“ თანაბარი წარმატებით შეიძლება ნიშნავდეს „შეურაცხყოფილსაც“ და „დარცხვენილსაც“ – გააჩნია, როგორ აღიქვამს ამას, ერთი მხრივ, ვიტგენშტეინის პერსონაჟი და, მეორე მხრივ, მკითხველი. გამომდინარე აქედან, პერსონაჟის მოქმედება შეიძლება განვიხილოთ, როგორც: ა) მამაკაცური ღირსებისა და ქალისადმი პატივისცემის დადასტურება (მიუხედავად იმისა, ლირს თუ არა „იმ ქალის გულისთვის“ თავის გამოდება); ბ) არამკითხე მოამბეობა (მეტიჩრობა, სხვის ცხოვრებაში დაუკითხავად ჩარევა). ცხადია, რომ ამ ორი წაკითხვიდან თავად პერსონაჟისათვის მხოლოდ პირველი მნიშვნელობს – ქალის პატივისცემა, ლირსება, ზოგადად, მაღალი ეთიკური სტანდარტი (ამ ვერსი-

ას ადასტურებს ახალგაზრდა კაცის ბოლო სურვილიც: „თვითონ ამოილო უბიდან გენერლის სავიზიტო ბარათი, მუხლთან დაიდო, აკანკალებული ხელით დაწერა: „ძვირფასო ნიკ! ყველაფერი წესის ფარგლებში მოხდა. ჩემი უკანასკნელი თხოვნაა, არ დაისაჯოს გერ...“ ხელი დაუდუნდა, ძირს ჩამოუვარდა“). მეორე წაკითხვა ნიპილისტი მკითხველის დამატებაა, რომელსაც არ ესმის, რატომ ამწვავებს ვითარებას პერსონაჟი და, მიუხედავად მეტოქის – გენერლის – გაფრთხილებისა, რატომ ეძებს სიკვდილს ასე მონდომებით (ამ ვერსიას ამყარებს დრამატიზმით აღსავსე მუნჯი სცენა: ვიტგენშტეინის ცხედართან „**დარბაზში უძრავად**“ მდგომი გაოგნებული და თავზარდაცემული გენერალი, რომელსაც „ტყვით გახვრეტილი ქუდი ორივე ხელით ეჭირა წინ“).

ასე თუ ისე, ერთი თუ მეორე ვერსიით, ვიტგენშტეინი კვდება: „ვიტგენშტეინი შეტორტმანდა, მარცხენა ხელი მკერდზე მიიკრა, დავარდა, მაგრამ არ წაქცეულა, მუხლებზე დადგა. მუხლებზე მდგარმავე ასწია დამბაჩა. გენერალმა თავი აიღო, თითქოს ცას მიაჩერდა. ვიტგენშტეინმა ესროლა. გენერალს ქუდი გადაუვარდა. ვიტგენშტეინი **იდაყვებით ჩაემხოთოვლში. / – მოჰკლეს! მოჰკლეს! – იძახდნენ ვიღაცები.**“

ვიტგენშტეინი კვდება, მაგრამ, საქმეც ისაა, რომ ტექსტი აქ არ მთავრდება! სიუჟეტის ფინალის ბედს წყვეტს არა ვიტგენშტეინისა და გენერლის დუელი, როგორც კვანძის გახსნის ერთადერთი ლოგიკური გამოსავალი, არამედ მწერლის ქალიშვილის მიერ შემოთავაზებული ახალი გამოსავალი: უნებლიერ შეკითხვა. ქალიშვილის შეკითხვის ორივე კომპონენტი – **დამბაჩა/ყვავები** – ნოველის ძირითადი ტექსტიდან გადმოდის ფინალურ კონტექსტში („გენერალმა დამბაჩა ნელა დაუშვა ძირს და ისროლა. ხებზე ყვავები აფათ-

ქუნდნენ, აჩხავლდნენ“), რომელიც არც ერთი სხვა ნიშნით აღარ ენათესავება ძირითად ტექსტს.

შეკითხვა – „ვითომ დაფრთხებოდნენ დამბაჩის ხმაზე ყვავები, მამა?“ – ერთი მხრივ, ამართლებს ნოველის კლასიკურ კომპოზიციურ ჩარჩოს: სახეზეა გარკვეული ემოციებით დატვირთული მკითხველის გაოცება (თუ გაოგნება არა). მაგრამ, მეორე მხრივ, შეკითხვა, შესაძლოა, ნაკარნახევი იყოს ინტერპრეტაციული დილემით: ნოველაში გადმოცემული ამბის მწერლისმიერი ინტერპრეტაციის შეუძლებლობით – მწერალი ვერ ადგენს (თუ ვერ ირჩევს) ვიტგენშტეინის სიკვდილის მოტივაციის სწორ ვერსიას და ფინალური შეკითხვით თავს აღწევს ამ დილემას. შედეგად, ნოველის მთავარი მოლოდინი აღარ არის პერსონაჟის სიკვდილი ან არ სიკვდილი, არამედ – მისი შეფასების შეუძლებლობა. მსგავსი ფინალი მხოლოდ ნოველის ჟანრის კლასიკოსის პრივილეგიაა.

„ეგ იყო და ეგ“.

ვინ იცის, ეგებ მომავალში, რომელიმე დაკვირვებული რეჟისორი (სავარაუდო, ახალგაზრდა) სულ სხვაგვარად დაამონტაჟებს ამ ნოველის ფრაგმენტებს – რაღაცას წინ გადაახვევს, რაღაცას უკან დააბრუნებს, დასვამს პროვოკაციულ შეკითხვებს... მთავარი კი ისაა, რომ ტექსტი ყველაფერს გაუძლებს – ინანიშვილი ხომ ყვება და ადუღაბებს, ყვება და ადუღაბებს... უმაღლეს ღირებულებებს.

ბოლოთქმა

ქართული მწერლობის (და პუბლიცისტიკის) კვლევა საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესებთან კომპარატივისტულ ჭრილში, თანამედროვე ფილოლოგიური მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით, შედარებით ახალი პრაქტიკაა ქართულ ლიტერატურათმცოდნობით სივრცეში. დარწმუნებულნი ვართ, რომ კვლევები ამ მიმართულებით მეტი ინტენსივობითა და ეფექტურობით გაგრძელდება, ხოლო წინამდებარენიგნი ხელს არ შეუშლის ამ პროცესს...

დამოწმებული ლიტერატურა

ნაწილი პირველი თეორიული პრეამბულა

ამირხანაშვილი 2006: ამირხანაშვილი ი. აგიოგრაფია და ისტორიის კომპოზიცია. ქ. სჯანი, № 7, თბილისი: 2006.

არისტოტელე 1981: არისტოტელე. რიტორიკა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981.

ბაგნი 2014: Багно, В. Е. *Миф, Образ, Мотив*. В кн: Русская литература в контексте мировой. Издательство Пушкинского дома, Издательство Вита Нова, 2014.

ბახტინი 1979: Бахтин М.М. *Эстетика словесного творчества* (Сб. избр. тр.). Москва: Искусство, 1979.

ბახტინი 1972: Бахтин М.М. *Проблемы поэтики Достоевского*. Изд. 3-тье. Москва: 1972.

ბეიკერი 1990: Baker R. S *Brave New World: history, science and dystopia*. G.K.Hall & Co: 1990.

ბერდიაევი 2001: ბერდიაევი ბ. ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში. თბილისი: ლოგოს პრესი, 2001.

ბლუმი 1994: Bloom, H. 1994. *The Western Canon*. New York, San Diego, London: Harcourt Brace & Company.

ბორევი 2001ა: Борев, Ю. *Ампир*. В кн: Теория литературы, т. IV. Литературный процесс. Москва: ИМЛИ РАН, «Наследие», 2001.

ბორევი 2001ბ: Борев, Ю. *Критический реализм XIX века...* В кн: Теория литературы, т. IV. Литературный процесс. Москва: ИМЛИ РАН, «Наследие», 2001.

ბორევი 2001გ: Борев, Ю. *Социалистический реализм ...* В кн: Теория литературы, т. IV. Литературный процесс. Москва: ИМЛИ РАН, «Наследие», 2001.

ბორევი 2001დ: Борев, Ю. *Особенности процесса литературного развития*. В кн: Теория литературы, т. IV. Литературный процесс. Москва: ИМЛИ РАН, «Наследие», 2001.

ბორევი 2001ე: Борев, Ю. *Магический реализм*. В кн: Теория литературы, т. IV. Литературный процесс. Москва: ИМЛИ РАН, «Наследие», 2001.

ბორევი 2001გ: Борев, Ю. *Неоабстракционизм*. В кн: Теория литературы, т. IV. Литературный процесс. Москва: ИМЛИ РАН, «Наследие», 2001.

ბრეი 1974: Brey, R. *La Formation de la Doctrine Classique en Franc.* Nizet, 1974.

ბუაჩიძე 1986: ბუაჩიძე თ. თანამედროვე ბურჯუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან. თბილისი: მეცნიერება, 1986.

ბუაჩიძე 1970: ბუაჩიძე თ. ფრიდრიხ ნიცშე. წგ-ში: XX საუკუნის ბურჯუაზიული ფილოსოფია. თბილისი: განათლება, 1970.

გასტევი 1919: Гастев А. *О тенденциях пролетарской культуры*. В кн: Пролетарская культура, 1919, № 9.

გაჩეჩილაძე 2009: გაჩეჩილაძე გ. რენესანსი და ბაროკო. წგ-ში: სულხან-საბა ორბელიანი 350. საიუბილეო კრებული. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

გურევიჩი 1988: Гуревич А.Я. *Историческая наука и историческая антропология*. В кн: *Вопросы философии*. 1988.

დამროში 2014: Damrosch, D. *Introduction. World Literature in Theory and Practice*. In the book: *World Literature in Theory*. Ed. By David Damrosch. John Wiley&Sons, Ltd., 2014.

დამროში 2003: Damrosch, D. *What is world literature?* Princeton (N. J.) - Princeton University Press: 2003.

დიდრო 1935-1947: Дидро, Д. *Сочинения в 10 томах*. Т. VI. М.-Л.: 1935-1947.

დოიაშვილი 2012: დოიაშვილი თ. „იგი, თანამგზავრი, ხშირად მეჩვენება“. წგ-ში: გალაკტიონნოლოგია, VII. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.

დოიაშვილი 2009: დოიაშვილი თ. თვალსაზრისი. ჟ. კრიტიკა, N 4, 2009.

დოიაშვილი, ბრეგაძე 2001: დოიაშვილი თ., ბრეგაძე ლ. „პოლემიკას რა უნდა“. თბილისი: გამომცემლობა ლომისი, 2001.

დრაიდენი 1974: Dryden. *The Critical Heritage*. Ed. By James Kinsley and Hellen Kinsley. London: Routhledge& Kegan Paul, 1974.

ეკერმანი 1986: Eckermann, J. P., *Conversations with Goethe in the Last Years of His Life*. 2. Auflage. Berlin, Weimar: Aufbau-Verlag, 1986.

ელბაქიძე 2007: ელბაქიძე მ. ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი შუასუეუნების ფრანგულ რაინდულ რომანთან ტიპოლოგიურ მიმართებაში. თბილისი: თბილის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007

ენგელსი 1972: ენგელსი ფ. კომუნიზმის პრინციპები. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1972.

ეტიაბბლი 2014: Etiemble, R. *Should We Rethink the Notion of World Literature? (1974).* In the book: *World Literature in Theory.* Ed. By David Damrosch. John Wiley&Sons, Ltd., 2014.

ვოროჟბიტოვა 2000: Vorozhbítova, A. A. *The “Official Soviet Language” of the Period of the Great Patriotic War: Linguorhetoric Interpretation.* 2000. Web.

თვარაძე 1985: თვარაძე რ. თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1985.

იამპოლსკი 1998: Ямпольский, М. *Литературный канон и теория «сильного» автора* <http://magazines.russ.ru/intostran/1998/12/iamp.html>

იუვანი 2011: Iuvan, M. *Literary Studies in Reconstruction. An Introduction to Literature.* Peter Lang GmbH: 2011.

კალანდარიშვილი 2009: კალანდარიშვილი ე. „ბიბლიის განმარტების მეთოდები“. წგ-ში: სჯანი, 9, 2009.

კასანოვა 2005: Casanova, P., 2005. *Literature as a World. New Left Review*, 31, Jan-Feb, pp. 71-90.

კეკელიძე 1951: კეკელიძე კ. მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი. ლიტერატურული ძიებანი, VII, 1951.

კენჭოშვილი 2007: კენჭოშვილი ი. გარდამავალი მეგაპერიოდი ქართულ ლიტერატურაში. წგ-ში: საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურათმცოდენობის თანამედროვე პრობლემები“. მასალები. თბილისი: გამომცემლობა ნეკერი, 2007.

კონრადი 1972: Конрад, Н. И. *К вопросу о литературных связях.* В кн: *Запад и восток.* Москва: Главная редакция восточной литературы, 1972.

კუმარი 1991: Kumar K. *Utopia and Anti-utopia in Modern Times.* T.J. Press Ltd, Padstow: 1991.

ლარმი 2011: Larm, P.R. *The Scissors of the Literary Canon: On the Example of Estonian Literature at the End of 19th Century. Marginality in/of Literature.* Boyan Penef Press, Sofia, 2011.

ლობეანიძე 2012: ლობეანიძე გ. „ქართულ-აღმოსავლური მხატვრული გემოვნება და ლიტერატურული უნივერსალური XVI-XVIII საუკუნეებში“. წგ-ში: XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა. აღმოსავლური და დასავლური კულტურულ-ლიტერატურული პროცესების გზაშესაყარზე. თბილისი: უნივერსალი, 2012.

ლომიძე 2016: Lomidze, G. *Gagarin Generation. Six Georgian Poets (New Voices from Europe and Beyond).* Arc Publications, London, 2016.

ლომიძე 1969: ლომიძე გ. კომედიის უანრობრივი თავისებურებების პრობლემა. თბილისი: მეცნიერება, 1969.

ლონგქსი 2014: Longxi, Z. Epilogue. *The Changing Concept of World Literature.* In the book: World Literature in Theory. Ed. By David Damrosch. John Wiley&Sons, Ltd., 2014.

ლოტმანი 1996: Лотман, Ю. М. *Внутри мыслящих миров.* Москва: Языки русской культуры, 1996. <http://booksshare.net/index.php?id1=4&category=seotika&author=lotman-yum&book=1996>.

ლუკაჩი 1923: Lukács, G. 1978. *Die Geschichte der Beziehung des modernen Dramas.* <http://phoenix.blogsport.de/images/lukacs geschichteklassenbewusstsein.pdf>

მარინი 2009: მარინი ა. კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, Press Universitaires de France – PUF, 2010.

მათაჩი 2010: Matajc, V. *Tha Trans-national Literary Canon and Shared Literary History between Supra-national and National Dimensions, Ideologies and Literariness.* Interlitteraria, 15 (1), p.p. 97-122.8

მორეტი 2014: Moretti, F. *Conjectures on World Literature (2000) and more Conjectures (2003).* In the book: World Literature in Theory. Ed. By David Damrosch. John Wiley&Sons, Ltd., 2014.

მორეტი 2013: Moretti, F. *The Bourgeois. Between History and Literature.* Verso, London, New York. 2013.

მორეტი 2000: Moretti, F. “*The Slaughterhouse of Literature*”. Modern Language Quarterly, March, Vol. 61, Issue 1, p.p. 207-227.

ნაჭყებია 2009: ნაჭყებია მ. ქართული ბაროკოს საკითხები. თბილისი: მერანი, 2009.

პოკიკი 1980: Pocock, G. *Boileau adn the Nature of Neo-Classicism*. Cambridge: Cambridge University Press, 1980.

პოჯიოლი 2011: Poggiali, R. *The Theory of the Avant-Garde*. The Belknap Press of Harvard University Press. Cambridge, Massachusetts London, England, 2011.

ჟენეტი 1988: Genette, G. *Narrative Discourse Revisited*. Translated by Jane E. Lewin. Ithaca, New York: Cornell University Press, 1988.

რატიანი 2010ა: რატიანი ი. ტექსტი და ქრონოტოპი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.

რატიანი 2010ბ: რატიანი ი. ნაციონალური ლიტერატურებისა და შედარებითი ლიტერატურისმცოდნეობის საზღვრები. წახნაგი, 2, 2010.

რატიანი 2007: რატიანი ი. „ილია და მისი მკითხველი“. წგ-ში: ილია ჭავჭავაძე 170. საიუბილეო კრებული. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2007.

რატიანი 2005: რატიანი ი. ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში. ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ინტერპრეტაციისათვის. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.

რიჩერი 2005: Richter, S. *German Classical Tragedy: Lessing, Goethe, Schiller, Kleist, and Buchner. A companion to Tragedy*. Ed. By Rebecca Bushnell. Blackwell Publishing LTD. 2005.

სიდნეი 1962: Sidney, P. *The Defence of Poetry*. Literary Criticism. Plato to Dryden. Ed. By Allan H. Gilbert. Detroit, 1962.

უელეკი, უორენი 1986: Wellek, R. Warren, A. *Theory of Literature*. Harmondsworth (etc.): Penguin Books. 1986.

ფამუქი 2012-2013: ფამუქი ო. სტამბოლი. მოგონებები და ქალაქი. თბილისი: გამომცემლობა დიოგენე, 2012-2013.

ფარულავა 1982: ფარულავა გ. მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში. თბილისი: განათლება, 1982.

ფოულერი 1982: Fowler, A. *Kinds of Literature. An Introduction to the Theory of Genres and Modes*. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 1982.

ფრანკი 1992: Франк С. Л. *Смысл жизни*. Минск.: Полифакт, 1992.

ფრომი 1998: ფრომი ე. ავტორიტარული სინდისი. თბილისი: ლოგოსი, 1998.

ქუდონი 1999: Cuddon, J. A. *Dictionary of Literary Terms & Literary Theory*. Penguin Books, 1999.

შერმანი 2004: Sherman, S. Dryden and the Theatrical Imagination. *The Cambridge Companion to John Dryden*. Cambridge: University Press, 2004.

შილერი 1967: Schiller, F. *On the Aesthetic Education of man*. Series of Letters. Oxford: 1967.

შტაინერი 1961: Steiner, G. *The Death of Tragedy*. Faber and Faber 24 Russell Square. London: 1961.

ჩეთმენი 1978: Chatman, S. *Story and Discourse. Narrative Structure in Fiction and Film*. Cornell University Press, 1978.

ციციშვილი, მოდებაძე 2013: ციციშვილი თ., მოდებაძე ი. ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემური შესწავლა XIX საუკუნის კრიტიკულ აზროვნებაში. წგ-ში: ლიტერატურული ძიებანი, XXXIV. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.

ნიფურია 2012: ნიფურია ბ. ცისფერი ყანები “და ავანგარდი. წგ-ში: ლექსმოდნეობა. IV. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.

ნიფურია 2010: ნიფურია ბ. მოდერნისტული გამოცდილება საქართველოში. წგ-ში: ქართული ლიტერატურა მოდერნიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

ნიფურია 2008: ნიფურია ბ. „პოსტმოდერნიზმი“. წგ-ში: ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.

ნიქარიშვილი 2001: ნიქარიშვილი ლ. სინმინდეთა დესაკრალიზება, როგორც განსახოვნების ერთ-ერთი ასპექტი მიხეილ ჯავახიშვილის „ჯავახს ხიზნების“ მიხედვით. წგ-ში: ლიტერატურული მედიტაციების სამყაროში. თბილისი: 2001.

ხინთიბიძე 2013: ხინთიბიძე ე. ათონის ლიტერატურული სკოლა და ახალი მხატვრული სტილი ქართულ აგიოგრაფიაში. წგ-ში: ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.

ხრუშჩინვი 1956: <http://histrf.ru/ru/lenta-vremeni/event/view/xx-siezd-kpss-doklad-khrushchieva-o-kul-tie-lichnosti-stalina> web.

ჯირალდი 1968: Giraldi, J. B. *Cinthio on Romances*. Translation of the Discorso intorno al comporro dei romanzi, with introduction and notes by Henry L. Snuggs. University of Kentucky Press, 1968.

ჯონსონი 1947: Jonson, B. The Poems, vol. VIII. // B. Jonson, *The Prose Works*. Ed. by C.H. Herford and Percy Simson. Oxford: Clarendon Press, 1947.

ნაწილი მეორე ინტერპრეტაციული ცდები

ტექსტის ინტერპრეტაციული შესაძლებლობები

ბახტინი 1979: Бахтин М.М. *Эстетика словесного творчества* (Сб. избр. пр.). М.: Искусство, 1979.

ბახტინი 1972: Бахтин М.М., *Проблемы поэтики Достоевского*. Изд. 3-тье. Москва: 1972.

ელიოტი 2005: ელიოტი ტ. ს. კრიტიკის საზღვრები. წგ-ში: საჯანი, 6, 2005.

ვაჟა-ფშაველა 2011: ვაჟა-ფშაველა. რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა: 2011.

იუვანი 2011: Juvan, M. *Literary Studies in Reconstruction. An Introduction to Literature*. Peter Lang Publishing: 2011.

კიკნაძე 1978: კიკნაძე გრ. ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა. წგ-ში: ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა: 1978.

ლიტერატურის თეორია 2001: Теория литературы. Литературный процесс. Москва: ИМЛИ РАН, Наледие, 2001.

მარინმ 2010: მარინმ ა. კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა: 2010

რატიანი 2005: რატიანი ი. ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში. ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ინტერპრეტაციისათვის. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.

რატიანი 2014: რატიანი ი. ვაჟა-ფშაველა – „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. მტკიცება თუ გაფრთხილება? წგ-ში: VIII საერთაშორისო სიმპოზიუმი. ლიტერატურათმცოდნების თანამედროვე პრობლემები ნაციონალური ლიტერატურები და კულტურული გლობალიზაციის პროცესი. მასალები. ნაწილი I. თბილისი: თსუს გამომცემლობა, 2014.

ტემპორალური ალტერნატივა მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“

ახალი აღთქმა 1990: ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ფსალმუნი. 1990.

ბატიუშკოვი 1892: Батюшков Ф. Вечный Жид. В кн: Энциклопедический словарь. Изд. Ф.А. Брокгауз и И.А. Ефрон, т.14. -СПб, 1892.

ბერდიაევი 1995: Бердяев Н. А. Царство духа и царство кесаря. Москва: Республика, 1995.

დომერგე 1985: Domergue S. "Vladimir Nabokov. Mixed Doubles". Canadian-American Slavic Studies, vol. 19, №3. Fall, 1985.

კამიუ 1996: კამიუ ა. სიზიფეს მითი. თბილისი: ლომისი, 1996.

კიკნაძე 2001: კიკნაძე ზ. „სამსახურის ასკეზისა“. სჯანი, II. თბილისი: 2001.

ლოტმანი 1887: Лотман Ю.М. О метаязыке топологических описаний культуры. // Лотман Ю. М. Избранные статьи. М.: Наука, 1887.

ნაბოკოვი 1980: Nabokov V. *Lectures on Literature*. New York: 1980.

რუდვინი 1931: Rudwin M. *The Devil in Legend and Literature*. The Open Court Publishing Company, 1931.

ჯავახიშვილი 1959: ჯავახიშვილი მ. „ჯაყოს ხიზნები“. წგ-ში: ჯავახიშვილი მ. რჩეული თხზულებანი ექვს ტომად. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1959.

ჯავახიშვილი 1984: ჯავახიშვილი ქ. მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი: მერანი, 1984.

**ქართველი ტრაგიკოსი – მსხვერპლის თეორია
და ალექსანდრე ყაზბეგის პროზა
(„ხევისბერი გოჩა“)**

ბატიუშკოვი 1892: Батюшков Ф. *Вечный Жид*. В кн: Энциклопедический словарь. Изд. Ф.А. Брокгауз и И.А. Ефрон, т.14. - СПб, 1892.

ბრედლი 1985: Bradley, A.C. *Shakespearian Tragedy*. Basingstone: Macmillan, 1985.

კოტეტიშვილი 1925: კოტეტიშვილი ვ. ალექსანდრე ყაზბეგი. თბილისი: მთავლიტი, № 12, ამიერ კავკასიის რკინის გზების სტამბა-ლიტოგრაფია, 1925.

ლოუი 1970: Lowie, R. *Primitive Society*. New York, 1970.

ჟირარი 1977: Girard, R. *Violence and the Sacred, trans. Patrick Gre-gory*. Baltimore: Johns Hopkins University Press, 1977.

ჟირარი 1982: Girard, R. *The Scapegoat, trans. Yvonne Freccero*. Baltimore: Johns Hopkins University Press, 1982.

უოლესი 2009: Wallace, J., *The Cambridge Introduction to Tragedy*. Camrridge: University Press, 2009.

ქიქოძე 1963: ქიქოძე გ. რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. I. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1963.

ყაზბეგი 1993: ყაზბეგი ა. თხზულებანი ორ ტომად. ტ. 2. თბილისი: საქართველო, 1993.

**ვაჟა-ფშაველა –
„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.
მტკიცება თუ გაფრთხილება?**

ბახტინ 1979: Бахтин М.М. *Эстетика словесного творчества*: (Сб. избр. пр.). М.: Искусство, 1979.

ბახტინ 1972: Бахтин М.М., *Проблемы поэтики Достоевского*. Изд. 3-тье. М.: 1972;

ვაჟა-ფშაველა 2011: ვაჟა-ფშაველა. რჩეული თხზულებანი სამ ტომად. ტ. III. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა: 2011.

იუვანი 2011: Juvan, M. *Literary Studies in Reconstruction. An Introduction to Literature*. Peter Lang Publishing: 2011.

კიკნაძე 1978: კიკნაძე გრ. ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა. წერ-ში: ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა: 1978.

ლიტერატურის თეორია 2001: *Теория литературы. Литературный процесс*. М.:ИМЛИ РАН, Наледие:2001.

მარინო 2010: მარინო ა. კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა: 2010

**ნოველის ხიბლი.
უანრის ქართველი კლასიკოსი –
რევაზ ინანიშვილი**

ეიხენბაუმი: Эйхенбаум Б. *Теория «формального метода»*.
http://www.opojaz.ru/method/method_intro.htm)

ქუდონი 1999: Cudon, J. A. (revised by C.E.Preston) *Dictionary of Literary Terms and Literary Theory*. Penguin Books, 1999.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

სტატია – „ტექსტის ინტერპრეტაციული შესაძლებლობები“, სათაურით – „ტექსტის ინტერპრეტაციული შესაძლებლობები. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ – პირველად დაიბეჭდა სამეცნიერო კრებულში „ქართული ლიტერატურა მოდერნიზმის და რეალიზმის მიჯნაზე“. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011;

სტატია – „ქართველი ტრაგიკოსი – მსხვერპლის თეორია და ალექსანდრე ყაზბეგის პროზა“ („ხევისბერი გოჩა“), სათაურით — „მსხვერპლის თეორია და ალექსანდრე ყაზბეგის პროზა“ („ხევისბერი გოჩა“) პირველად დაიბეჭდა უურნალში „ლიტერატურული ძიებანი“, XXXIII, 2012;

სტატია „ვაჟა-ფშაველა – კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ მტკიცება თუ გაფრთხილება?“, – უფრო ვრცელი სახით, პირველად დაიბეჭდა მე-8 საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალების კრებულში – „ნაციონალური ლიტერატურები და კულტურული გლობალიზაციის პროცესი“. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014;

სტატია – „წოველის ხიბლი. უანრის ქართველი კლასიკოსი – რევაზ ინანიშვილი“, სათაურით „უანრის კლასიკოსი“ პირველად დაიბეჭდა კრებულში – „რევაზ ინანიშვილი. მწერალი და დრო“. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.

Georgian Literature and the World Literary Process

The book “Georgian Literature and the World Literary Process” consists of two parts. The first part - “Theoretical Preamble” is a methodological attempt to comprehend Georgian Literature in a broad cultural-literary perspective, within the context of world literary process, conceptual and methodological intersections and contradictions; terms - “World Literature”, “Georgian Canon” and “Periodization” – are of a first importance. The second part of the book - “Interpretations” deals with the practical analyze of some of Georgian classic text in the contexts of international literary process: five essays are presented.

PART I

Theoretical Preamble

Summary

During fifteen long centuries (V- XXI) of its history Georgian literature developed against the background of diverse historical stages and mentalities, alongside with different ideological-political and religious-cultural trials. For the most of the time it was a significant part of world cultural and literary process.

In 1827 Johann Wolfgang von Goethe, in his letter to Eckermann, introduced the term “*Weltliteratur*” or “World Literature”. Goethe’s term, for the first time, was adopted by Karl Marx and Freidrich Engels in the light of the theory of

“shared property”, but theoretically was investigated later, by Rene Wellek and Austin Warren in their “Theory of Literature” (1948). Since then the ideal concept and term of “*Weltliteratur*” is widely being talked about. Some critics suggest that it is time to return back to Goethe’s “*Weltliteratur*” aspiration to save national literatures from the “great unread problem”; some critics imply that the idea of “*Weltliteratur*” is something that world literature has not realized to date, because there always exist two different models of literary space - national and international (Casanova). We are tended to suggest that the idea of national literatures remains predominant. Therefore, the idea of Wellek and Warren about the world literature crossing the borders of national literatures through “great books” and some other expressions of universal canon is also acceptable. In this case, world literature might be widely regarded as a system of literary interactions and interference, that shape international literary processes (Damrosch), reception of which is possible only through the system of national literatures; whereas each national literature is considered as a model with distinct cultural memory - an individual “version” of the world literature, which widens aesthetical possibilities of world literary process by means of its originality. The World literature and National literatures, Georgian among them, stipulate each other and create a general literary paradigm.

Therefore it is important to illustrate the establishment of Georgian canon and to display the diversity of relations between the World literature and Georgian literature as a specific national literary model. The matter of first importance is to define the relation of Georgian national literary canon with the supranational and transnational literary canons.

The formation of Georgian canon is strongly connected with the valuable periods of Georgian literary history and almost equally dependent upon the criteria of national identity and literary identity. All three models of Georgian canon, estab-

lished respectively in the epochs of Middle Ages, Romanticism and Post soviet era, were formed on the background of these two criteria.

Georgian literature, Christiane in its essence, was always disposed inwardly towards the western canon, but, due to its historical fate and geographical location, understanding of the “World Literature” in Georgia has been very specific all the time: the already assimilated western canon from time by time was facing the replacement by eastern, and eastern – by western one; furthermore, quite often, Georgian literature appeared at the intersection of eastern and western cultural and literary realities, characterized by different cultural trends and ideologies; herewith, the reception of international literary process was always very particular, derived from Georgian national ethics and characteristics and tightly linked with ongoing political, social and cultural problems.

Georgian literature is one of the ancient literatures in the world and Georgian alphabet is one among the 14 existing alphabetic systems of the world. The beginning of the history of Georgian literature is dated back to IV century, to the epoch, when Georgia was converted to Christianity and the first extant piece of Georgian Literature is “The Life of Saint Nino”. Despite the declared connection of development of Georgian literature with Christianity, while talking about Georgian Literature we should take into consideration the richest inheritance coming from the pagan period. Except the patterns of materialistic culture it includes the remains of ancient writings preserved in the later literary works, the patterns of folklore and mythos, traditions and the information about the existence of philosophical school in Kolkheti. But, it should be noted that the adoption of Christianity played a vital role in the formation of Georgian national culture as it is a Christian culture in its essence. Apostle Andrew the First-called was the first to preach Christianity in Georgia, later, in 326 St. Nino enlightened Georgia - Georgia became a Christian country.

In the Early Medieval period Georgia was already included in the European net of Christian writing. The two most vivid medieval genres of Georgian literature were Hagiography and Hymnography. Georgian Hagiographic writings are documentary by nature and often have poly-generic structure. In Georgian hagiographic works the reflections of all types of ecclesiastic writings are visible. As for Hymnography, it gave birth to Georgian verse. From 11th – 12th centuries, with the formation of the United Georgian Kingdom, Secular writing began to develop. It was the heyday of fame for Georgian National Literature as it was the epoch of Shota Rustaveli, the author of the poem “The Knight in the Panther’s Skin”. This text reflected the clash of two huge universes in Georgian culture - The West and the East. The West implies the Christian culture, while the East - Persian Poetry. But in spite of these stylistic syntheses, conceptually and philosophically, the poem belongs to Christian culture, reflecting the Georgian reality. “The Knight in the Panther’s Skin”, written in the late Middle Ages, belongs to a chivalry romance from the standpoint of genre. Conceptually it represents the worthy reintegration of Mediaeval Georgian literary processes in European literary traditions. But the natural development of Georgian literature, as well as of the culture in general, was broken by the tragic historical events – invention of the Mongolian invaders and their 3 century reign in Georgia, which, lately, in 15th century was replaced by Persian rule. Georgian culture began to fall down and the revival was noted only from the 16th century by the emergence of Eastern themes in literature.

From the 18th century Georgian scholars and writers, as well as politicians, were trying to return Georgian political and cultural life back within the European frame. The outstanding figures of this epoch are Priest, Sulkhan Saba Orbeliani, who played an important role in the development of Georgian Prose with the influence of the European Enlightenment, and

poet David Guramishvili, who articulated the natural aspiration of Georgian poetry towards the European literary processes. Though, in the same period the poetry of Besik Gabashvili is flourished, and despite his sympathy towards the western forms of verse, his poetry is influenced by an eastern poetical law as well.

Thus, at the end of the 18th and the beginning of the 19th centuries, Georgian literature, Christian in its essence, due to the historical fate of Georgia, appeared at the intersection of eastern and western cultural realities, characterized by different cultural trends and ideologies. Correspondingly, during this period, Georgian consciousness regarded “World Literature” not as “Western” or “Eastern” system, as it was traditionally considered, but as a synthetically “Eastern-Western” one, although its compassion to western cultural and literary processes is clearly visible.

From 19th century the new era in the history of Georgian Literature has been started: Georgia falls under the oppression of Russian imperialism, which is later turned into the Soviet regime, and simultaneously reflects contradictory cultural-literary processes of “New Colonialism”; as for literary context – the alternation of various tendencies and methods – romanticism, realism, modernism, symbolism and others are observed; It is an almost two hundred years, marked by the constant cultural clash against the Russian imperialistic ideology and Soviet totalitarianism; During this period Georgian literature undergoes through hazardous phases and regularly gets in and out of World literary processes. The formation and evolution of European literary schools in 19th century Georgia was a very specific process, developing between and betwixt the political and national hopes and disappointments, constantly searching for independence and new national identity. For instance, in the poetry of remarkable Georgian Romantic poet, Nikoloz Baratashvili, except the main concepts of matured Romanti-

cism, one can view the activation of one of Romanticism's key ideas and most enduring legacies - the assertion of nationalism, which was very important issue for Georgia, overlapped by Russian rule, and soon became one of a central theme of Baratashvili's Romantic art and philosophy. Baratashvili's spirit was especially valid from the 1860th, in the art and fiction of Georgian realist writers despite the fact that their art was very much influenced by the best streams of European and Russian critical realism.

The more paradoxical it is to note that the "Problem of National Identity" – so ripe and intellectually prepared in 19th century – cardinally alters its perspective in 20th century Georgian literature when, owing to the historical and political cataclysms of Soviet totalitarianism, the attitude to the issue changes. The beginning of the 20th century was marked by the fatal clash of Modernistic tendencies in Georgian literature with newly born Soviet principles. If we bear in mind the inherent aspiration of literature to intellectual and representative freedom, we may form a clear idea of the contradiction that arises in conditions of a totalitarian regime between the artistic text and the actual context. The primary feature of totalitarianism as enforced rule is the creation of ideological dictatorship, forming of clichés and their implementation. This obviously restricts considerably the frame of literary freedom. This is clearly exemplified by the 1920s, when the modernistic trends established in Georgian literature found themselves in conceptual antagonism with the ideological principles of Soviet dictatorship. By destroying spiritual values, the cited political course of Soviets came into antagonism with the literary process informed with inner spiritual quest which, for its part reflected precisely the crisis of the times – the common skepticism and nihilism that existed in a society oppressed by intellectual terror. Georgian modernist writing as the initial model of anti-Soviet discourse with its diverse forms and tributaries, for it was high modernism, char-

acterized by a striving for representational freedom, the artistic tendencies of quest for truth and establishment of individuality that constituted the main threat to Soviet demagogues. Modernism was an organic part of the overall development of Georgian, as well as of European literature in the 1920s-30s of 20th century, though in Georgia it was marked by anti-Soviet mood. Avant-garde art and literature create no less threat for Soviet culture. The opposition between totalitarian regime and modernistic artistic-literary thought accounted for decades of painful experience, creating a major stage of the history of Georgian culture. As a result, at the end of 30-ies, after the big political and cultural “cleaning”, Georgian literature, as well as literatures of other Soviet countries, became isolated from the world literary process: new Soviet canon was emerged to replace the universal one. Main streams of the world literature were abolished in Soviet Georgia.

Changes occurred later, when the war World War II was over, Stalin was dead and the “Cult of personality was condemned”. Newly recreated pro-Western models of writing were obviously the result of political liberalization. Literature was given the chance of “taking a glance” at Western trends and conceptions. Very significant steps towards the establishment of Neorealism, Existentialism, Magic Realism and many other world literary trends were made. “Differently minded” Georgian writers were activating important topics of their contemporary World writing: devaluation of spiritual values; moral crisis of the society; intellectual and ethical deficit; loneliness, estrangement and searching for the “self”. These themes were intersected with the local Georgian problems, like: aspiration for the self-representative freedom; search for the mechanisms to escape from the Soviet ideological clichés; struggle for the National identity.

The Soviet dictatorship collapsed in 1991. Nations that were part of the Soviet Union received long-desired indepen-

dence. However, the path leading to independence proved to be complicated and thorny. The tense political and economic environment aggravated the toponymy of ethnos, Soviet dictatorship was coming to the end of its existence, while the ethnic units were approaching the phase of recognition anew, though as expected, with a negative interpretation: the policy of “Soviet unity” is buried in the ruins of the empire, but the way is cleared for no less hazardous open ethnic confrontation in the Caucasus region. Georgia itself faced number of rigorous trials - civil war, war in Abkhazia, - result of which was blood, death, the loss of the territory. The country was involved in economic crisis, corruption and political chaos. Georgian culture, art and literature, alongside the political and economic crisis, also found itself in the phase of deep crisis.

One of the strongest markers of those political processes in Georgian literature space became the Post-modernistic discourse which was already very well developed in many branches of World culture. It can be said that as a specific model of representation, the Post-modernist discourse was fully in place in Post-colonial Georgian literature and was a strong sign of reunion of Georgian writing with the world literary trends. Georgian Post-modernist literature has accumulated all important artistic methods in this trend: simulacrum, double coding, irony, disguise, paranoia, liberalization of the artistic language, excessive use of jargon, and etc. Thanks to these artistic methods, Georgian authors successfully coped with such Post-modernist issues as crisis, distrust, simulation, re [de]construction of classical texts with the effect of parody, and so forth. Post-Modernism became such a substantial and dimensional trend in Georgia that it generated various stylistic models that were different from each other; several trends became outlined: narrative, anti-narrative, ironical, parodist, fragmented and etc.

In November 2003, a group of young politicians prepared and carried out a peaceful revolution that became known as the Rose Revolution. Unlike the Bolshevik revolution, it was a peaceful demonstration that aimed at helping this country to emerge from the psychological remissions of the Soviet past and taking it along the path of decisive economic, social, and political reforms. Georgia found itself facing significant changes, which had a major impact on arts and literature. One of the most positive results of the Rose revolution was the enlarging of cultural process. The Rose Revolution boded open borders - end to cultural isolation, and the start of free creative work. The desire of Georgian literature to return back to global trends of literature with the status of a full-fledged member, became applicable evident. Along the Post-modernist discourse, there emerged new group of authors, who fitted in the Post-modernist canons only partially, because they were searching for new issues and forms. Numerous original thematic and stylistic experiments could be seen in their texts against the background of seemingly ordinary and everyday stories. Neo-realist and naive narratives have been also introduced alongside with subjectivist discourse, comprising streams of consciousness with a profound effect, and some other models of fiction: artistic-documentary, autobiographical, historic, publicist, biographical, and philosophic prose. Georgian literature of post-Rose Revolution period became varied, dynamic, and vigorous, full of generic and stylistic innovations. Essential changes were observed in poetry as well. Poetry of the new generations, stylistic radicalism merged with comparatively traditional forms of poetic thinking, and the thematic spectrum became obviously broad, presenting different trends and directions: philosophic investigation, crisis of spiritual values, ironic perception of reality, sense of absurdity, alienation, search for archetypes, and mythological images. It is important to note that not only Western

literary trends and styles were accepted and adapted to Georgian literature of the post-Rose Revolution period, but acute local problems and the Georgian national narrative as well, which conventionally enables Georgian literature to maintain the status of an original landscape for thinking.

In August of 2008 Georgia, once again, another part of the country - Samachablo, so called South Ossetia was isolated from the Georgian State. This political event was also widely reflected in Georgian writing. The throbbing problem of South Ossetia, alongside with the problem of Abkhazia, was logically moved towards the Georgian fiction, where the search for national identity and the protection of national values as well the definition of the attitude towards the lost territories became vital.

As it is shown by the literary history of Georgia, despite the fact that Georgia suffered from different types of dictatorships and regimes, the country managed to preserve its own culture and literature, primarily within the frame of western cultural and literary traditions. Due to Georgia's geographical location and political fate Georgian literature was opened to eastern poetical canon as well, however, this was conditioned with external terms rather than with internal demands. Except of some, very damaged by politics periods, Georgian literature as well as Georgian literary canon was linked to the world literary process. Though, leading European literary schools and trends, shaped in Georgia, were always marked by specific local problems and themes, underlying the "national ethics and national characteristics" of Georgian people as well as political, social and cultural peculiarities of Georgian life. We can summarize the following: New Georgian Literature is an original national literary model, occupying its special place among other literary works in the world. World literature was crossing the boarders of New Georgian literature through masterpieces and some oth-

er expressions of universal canon, but was always transforming into the specific national model with distinct cultural memory - an individual “version” of the world literature, which widens aesthetical possibilities of world literary process by means of its originality. The World literature and Georgian literature have been stipulating and widening each other throughout the centuries.

PART II

Interpretations

Interpretative Abilities of the Text

Summary

Key words: Interpretation, Methodology, Author’s will.

Interpretation, if it is motivated with the idea of “understanding” the text, is a regulated system, which produces or re-produces already existing text.

For this reason paper deals with theoretical views of Schleiermacher, Gadamer, Ingarden, Heidegger and Elliot.

The charm of interpretation is freedom, but not a disordered one, but logical one, based on particular methodological saws and intended to understand of “what is hided”. The aim of interpretation is to understand “what is hided” through consideration of the facts and figures protected in the text as well as through aesthetical experience, liberated from ideological cliché.

The valuable process of interpretation demonstrates the cognitive abilities of the interpretation preserving the authors’ rights and will.

Temporal Alternative in Mikheil Javakhlishvili's Novel "Jaqo's Dispossessed"

Summary

Key words: Eschatology, Alternative world, Escape

Georgian classic writer Mikheil Javakhishvili's negative attitude to the real model of time demonstrates the writer's striving to leave the existing world – to an alternative reality. Writer sees a way out in a subject lit up only with an individual ego – in a person that wakes up, sets out his own cosmogony marked by eschatological depth, and works out an alternative reality beyond the valuable boundary, ambivalent liminal zone and most involved painful transformations. Against the background of a detailed analysis of material, the following characteristics typical of artistic time and space models are identified and analyzed in the above novel:

All parameters indicative of real time constitute a configurative element of a chronologically ordered model, being rigid temporally. The flow of objective time is irreversible. It speeds along to an end, this end being death.

The ordered structure of objective time is opposed by internal time, distinguished for its uneven pulsation, which is inversely reversible, or projects memory and imagination in the present.

Subjective time is worked out by the non-conformist hero, who internalizes the world into a single whole beyond "cosmic synchronizing": he adopts it, destroys it, restores it, colors it with subjective imaginings and gives shape to an absolutely new, alternative reality.

In the process of forming an alternative reality the character breaks away from real time, transfers into the liminal phase of time – into the ambivalent zone where, at the cost of extreme

spiritual concentration, he works out an alternative temporal model.

Anti-temporality is the only alternative of real time – a quality free from the quantitative framework of time, or supra-temporal eternity.

Javakhishvili's flourishing in the period of totalitarianism permanently direct his efforts towards transforming the countable and measurable parameters of objective time into an internal texture in which the process of individual cognition of the temporal world consciously develops into its rejection, or contradictory perception of death. Death is an end to the extent it is the last boundary beyond which the other world's alternative duration spreads that is free from time and, accordingly of fear, torture, captivity and death.

In the complex compositional structure of the novel spatial structure undeviatingly performs the function of a multi-aspectual and in-depth layer.

In general spatial model is characterized by “extra spatial” and “intra-spatial” hierarchic quality: the former is a micro-model of the real world, while the latter the personal spatial field growing up in the character's consciousness.

The “outer space” is a metaphoric realization of a geometrically ordered Euclidian world. It bears the character of artificially illustrated entourage, being distinguished for pseudo-carnival meaning. “Outer space” is a zone closed on all sides.

“Inner space” constitutes an alternative model of “outer space”. Cardinal spatial oppositions emerge; “here/there”, hell/paradise, non-sacral/sacral, static/dynamic. Their conflict is demonstrated by the arbitrary interrelationship of binary spatial oppositions;

“Inner space” is the result of the complex spiritual transformation of the character, essentially adapted to the sacred model of liminal space.

I believe that the hierarchy of the time and space structures characteristic of the world view of Javakhishvili constitutes an internalized, subjective form of the outer world. Against the background of the developing structure of subjective reality, a sensation of continuity and simultaneity, conditioned by individual coordination of temporal and spatial coordinates, characteristic of the mind are created.

Georgian Tragedian -
Theory of Sacrifice and Al. Qazbegi's Fiction
(“Khevisberi Gocha”)

Summary

Key words: Alexandre Qazbegi, Rene Girard, Sacrifice/Scapegoat

Alexandre Qazbegi is an outstanding Georgian writer and the inclusion of his literary inheritance into the international literary process is an urgent matter. Qazbegi alongside some other Georgian writers verifies the thesis that each national literature, connected with the world literary process at the same time widens its aesthetical possibilities by means of individual originality. But to prove any literary thesis it is not enough to interpret the text from the historical or aesthetical standpoint, but it is important to put the text within the concrete theoretical methodology and find the proper arguments. This kind of methodological approach already was experienced towards the Qazbegi's fiction by an excellent Georgian literary critic, Vakhtang Kotetishvili, who succeeded to interpret Qazbegi's fiction in the frames of Physiological and Ethical Criticism. As much as

the qualitative literary text is supposed to be a complicated system with numerous layers, we are encouraged to move to the new level of theoretical research and to interpret Qazbegi's fiction in the context of anthropological theory, particularly in the context of Rene Girard's "Theory of Sacrifice".

Girard's theory derives from the Biblical Myth of Abraham and Isaac and methodologically is based on several terms: the Sacrifice/ to Sacrifice/ Scapegoat. The theory aims to interpret those terms not only within the Mythological standard, but within the more widen standpoint of "Individual" and "Society". We suggest that Qazbegi's fiction, which is generally oriented on the painful relationships of personalities, as well as person and society, is perfectly fitting Girard's theoretical considerations.

This new interpretation of Qazbegi's fiction, especially of his novel "Khevisberi Gocha" will carry some interesting diversity in the history of Qazbegi's criticism and, also, will extend the level of participation of Georgian literature in the world interpretational system.

,,Cosmopolitism and Patriotism" by Vaja-Pshavela – Declaration or Warning?

Summary

Key words: Cosmopolitism, Patriotism, Values.

A very important publicist work by Vaja-Pshavela – "Cosmopolitism and Patriotism" was published in 1905 and became one of the most discussed topics among the intellectual society of Georgia. The publication of the essay with this kind of con-

tent was a considerable fact in the beginning of 20th century when the controversy between the different countries and people revealed other types of essential controversies like: National and Colonialist determinations, Free thinking and Ideology, Spirituality and Scientific-Technical progress. Due to all these circumstances Vaja-Pshavela's idea was assessed as a declaration of writer's strong position. But, was it just a declaration? Maybe it was a prophetic warning of the danger which was going to threaten regularly not only Georgia, but other countries throughout the world? What was the attitude of Georgian society towards the writer's position and are there any analogies in the western thinking?

The Charm of Novella. Revaz Inanishvili – Classic of the Genre

Summary

Key words: Genre, Novella, Georgian novella.

Novella is one of the most successful literary genres, which was established by Giovanni Boccaccio in the epoch of early renaissance. From 18th century novella was very well adopted by well-known writers and, due its fame, in 20th century it became the subject for discussions among the theoretical circles.

Novella is a very special genre, which demonstrates the inconsistency between the reader's expectation and the final of the text. Reader who is awaiting for "something familiar", on the end is pushed to face completely different final, so that it is very difficult for him to make any conclusions. The fiction of

Georgian writer - Revaz Inanishvili perfectly reflects all these genre peculiarities of novella. In Revaz Inanishvili's novellas one can view the best traditions of Georgian novella as well, shaped by outstanding writers - Niko Lortkipanidze, Konstantine Gamsakhurdia, Leo Kiacheli.

Revaz Inanishvili's novellas are distinguished by stylistic innovations and well-organized narrative. His novella – “Are Ravens Afraid of Gunshot? “ – is confirmation of this.

Translated to English by †**Ariane Tchanturia**.

პირთა საძიებელი

- პბაშიძე გრიგოლ 184, 192
აბაშიძე ირაკლი 184
აბაშიძე კიტა 46, 51
აბაშიძე მერაბ 192
აბზიანიძე ზაზა 112
ალ-აბედინი ზეინ 153
ალხაზიშვილი გივი გივი 194, 217
ამაღლობელი რატი 221
ამაშუკელი რეზო 183
ამირეჯიბი ჭაბუა 185, 186, 188, 190
ამირხანაშვილი ივანე 68, 311
ანტონ I კათალიკოსი 99
ანტონოვი ზურაბ 117, 119
არდაზიანი ლავრენტი 117, 123
არისტოტელე 64, 66, 71, 76, 94, 97, 248, 265, 267, 268, 269,
270, 272, 311
არსენიშვილი ზაირა 195, 197
არჩილი (იხ. ბაგრატიონი არჩილ)
ასათიანი ლადო 170, 171
ასტურისი მიგელ ანხელ 187
აფხაძე შალვა 151
ახვლედიანი ერლომ 177, 178, 191, 195
ახვლედიანი გორგი (იხ. მორჩილაძე აკა)
- ბაგნო ვსევოლოდ 79, 311
ბაგრატიონი არჩილ 83
ბაგრატიონი ვახტანგ 83
ბაგრატიონი თეიმურაზ 83
ბაგრატიონი იოანე 95
ბაირონი ჯორჯ გორდონ 107, 111, 112
ბალზაკი ონორე დე 116, 121, 122
ბანდელო 303
ბარათაშვილი მამუკა 99
ბარათაშვილი ნიკოლოზ 107, 108, 111, 113, 114, 200

- ბარბაქაძე დათო 210, 221, 222
 ბართაია თამარ 215, 218
 ბარნოვი ვასილ 150, 189
 ბატიუშკოვი ფიოდორ 246, 287, 318, 319
 ბაქანიძე გიორგი 192
 ბაქრაძე აკაკი 185, 255
 ბაძალუა თამაზ 194
 ბახტინი მიხაილ 20, 21, 122, 131, 265, 297, 298, 304, 311, 317,
 320
 ბეთჰოვენი ლუდვიგ ვან 95
 ბეიკერი რ. ს. 129, 311
 ბენვენისტი 69
 ბერდიაევი ნიკოლაი 137, 138, 258, 311, 318
 ბერია ლავრენტი 146
 ბესიერე 26
 ბესიკი (იხ. გაბაშვილი ბესარიონ)
 ბექიშვილი თედო 194
 ბიბილური თამაზ 190
 ბლუმი ჰაროლდ 34, 35, 36, 311
 ბოდლერი შარლ 129, 155
 ბოკაჩიო ჯოვანი 302, 303
 ბორევი იური 93, 115, 116 141, 182, 187, 204, 311, 312
 ბრეგაძე ლევან 67, 68, 269, 312
 ბრედლი ენდტიუ სესილ 285, 286, 319
 ბრეი რენე 92, 312
 ბუალო ნიკოლა 85, 87, 88, 89, 90
 ბუაჩიძე თამაზ 129, 312
 ბულგაკოვი მიხაილ 14, 2868
 ბურკე პ. 85, 96, 303
 ბურჭულაძე ზაზა 209, 215, 218
 ბუღაძე ლაშა 210, 218
- გაბაშვილი ბესარიონ** 83, 84, 99, 154, 155
 გაბრიაძე რეზო 195
 გაგარინი იური 205
 გადამერი ჰანს გეორგ 230

- გამსახურდია ზეიად 193
 გამსახურდია კონსტანტინე 149, 150, 151, 181, 305
 გასტევი ა. 312
 გაფრინდაშვილი ვალერიან 151
 გაჩეჩილაძე გიორგი 101, 312
 გეგეშიძე გურამ 185, 186, 189
 გეგეჭკორი გივი 183
 გელაშვილი ნაირა 196
 გელოვანი მირზა 170
 გიგაშვილი ვაჟა 190
 გიორგი მთაწმინდელი (ათონელი) 62, 72
 გოგებაშვილი იაკობ 125, 218
 გოგოლი ნიკოლაი 120, 121, 198
 გოეთე იოპან ვოლფგანგ 15, 16, 17, 18, 19, 22, 23, 25, 37, 94,
 95, 155, 290, 291, 292, 293, 294, 295, 296, 297, 305
 გოთუა ლევან 192
 გორგი მაქსიმ 140, 141
 გოტიე თეოფილ 154
 გოჩიაშვილი ელა 194
 გრანელი ტერენტი 151
 გრიშაშვილი იოსებ 155
 გრუზინსკი პეტრე 193
 გუარდატი 303
 გურამიშვილი დავით 83, 84, 99, 100, 101
 გურევიჩი ა. 21, 312
 გურმონი რემი დე 129
- დ**ამროში დევიდ 15, 23, 24, 25, 28, 312
 დანელია ბათუ 194
 დანელია გიორგი 199, 200
 დანტე ალიგიერი 65, 77
 დარბაისელი ნინო 221
 დარვინი ჩარლზ 129
 დეკარტი რენე 86
 დეჟავი ლიჟანა 192
 დეხრავე ინგრიდ 191

დიდრო დენი 93, 94, 312
დიკენსი ჩარლზ 116, 121, 122
დრეიდენი ჯონ 84, 96, 97, 98
დოდაშვილი სოლომონ 45, 51, 56
დოიაშვილი თეიმურაზ 10, 67, 68, 151, 152, 180, 312
დოიაშვილი მანანა 218
დოლენჯაშვილი თეონა 219
დომერგე 318
დოსტოევსკი ფიოდორ 120, 122, 127, 130, 131, 286
დოჩანაშვილი გურამ 185, 186, 188, 190, 192, 217
დრაიდენი ჯონ 84, 96, 97, 98, 312
დუმბაძე ნოდარ 179, 190, 192

ქვენ-ზოპარი იტამარ 24, 25, 26
ეიხენბაუმი ბ. 304, 320
ეკერმანი 1, 312
ეკო უმბერტო 182
ელბაქიძე მაკა 10, 73, 74, 75, 313
ელიოზიშვილი მერაბ 195
ელიოტი ტომას 86, 234, 235, 317
ენგელსი ფრიდრიხ 16, 18, 129, 136, 137, 291, 294, 313
ერენბურგი ილია 173
ერისთავი გიორგი 117, 119, 123
ესაძე რეზო 195
ექვთიმე მთაწმინდელი (ათონელი) 62, 72
ეტიამბლი რენე 18, 19, 313

ჰაუ-ფშაველა 121, 122, 125, 132, 133, 169, 235, 281, 289, 290,
292, 292, 294, 295, 296, 297, 298, 299, 317, 320
ვალტერშტეინი იმანუილ 117, 119
ვახტანგ IV (იხ. ბაგრატიონი ვახტანგ)
ვერგილიუსი 74
ვერლენი 154
ვილკელმანი 85, 93
ვილმენი 17
ვოლტერი 93
ვოროჟბიტოვა 140, 313

- ზამიატინი ევგენი** 175
ზოლა ემილ 121
ზოშჩენკო 305
- თაბუკაშვილი ლაშა** 195, 196
თანფინარი აპმედ ჰამდი 154
თეიმურაზ I (იხ. ბაგრატიონი თეიმურაზ)
თვარაძე ზაზა 198
თვარაძე რევაზ 29, 52, 53, 55, 60, 61, 313
თოფურიძე ჯემალ 192
თუთბერიძე ლევან 208
- იათაშვილი შოთა** 221
იაკოვლევი ა. 172
იამპოლსკი მ. 35, 36, 313
იაშვილი ბაოლო 151, 152, 160
იაჭია ქემალი 154
იგლესიასი მონსერატ 25
იმედაშვილი ლაშა 211
ინანიშვილი რევაზ 190, 191, 235, 300, 302, 306, 309, 321
ინგარდენი რომან 232, 261
იოანე მთაწმინდელი 62
იოანე მინჩხი
იოანე მტბევარი
ისკანდერი ფაზილ 182
იოსელიანი ოტია 195
იუვანი მარკო 16, 17, 26, 27, 36, 291, 292, 313, 317, 320
- ქაკაბაძე პოლიკარპე** 165
კალანდარიშვილი ელისო 65, 66, 313
კალანდაძე ანა 182, 183
კალდერონი 78
კამიუ ალბერ 251, 318
კანტი ემანუილ 35, 109
კარმელი შალვა 151
კარპენტერი ალექს 187
კასანოვა პასკალე 23, 24, 26, 296, 313

კაფეა ფრანც 148
კეაელიძე კორნელი 51, 52, 55, 82, 313
კენჭოშვილი ირაკლი 45, 54, 55, 101, 313
კვინიკაძე ნესტან (ნენე) 219
კვირიკაძე ირაკლი 195
კვიტაიშვილი ემზარ 183
კიკვიძე ყარაბან 192
კიერაძე გრიგოლ 317, 320
კიკნაძე ზურაბ 257, 258, 318
კირკევორი სიორენ 128
კიტსი ჯონ 111
კლაისტი არტურ 305
კლდიაშვილი დავით 131, 132, 162, 163, 164
კობახია ბათალ 216
კოკა იურგენ 117, 119
კოლრიჯი სემუელ 109
კონრადი ნიკოლაი 20, 153, 313
კორნელი პიერ 90, 91
კორტასარი ხულიო 187
კორძაია-სამადაშვილი ანა 219
კორძაია ჯანსულ 217
კოსტავა მერაბ 193
კოტეტიშვილი ვახტანგ 160, 261, 274, 276, 319
კოჯიმა იასუპირო 192
კუმარი კ. 313 130
კურციუსი ე. 20

ლააკი მარინ 31
ლარმი პ. რ. 31, 42, 314
ლაფონტენი ჟან 90, 91
ლებანიძე მურმან 183
ლევიტანი იური 168
ლენინი ვლადიმერ 172, 173
ლეონიძე გიორგი 151, 171, 181
ლეზავა ზურაბ 212
ლერმონტოვი მიხაილ 111

- ლესინგი გოტჰოლდ ეფრაიმ 85, 93, 94, 302
ლიოსა მარიო ვარგას 187
ლობუანიძე გიორგი 82, 221, 22, 3142
ლოკოპო შანგო 24, 26
ლომიძე გაგა 10, 205, 206
ლომიძე გივი 87, 314
ლომოური ირაკლი 197, 211
ლონგქსი ჟან 18, 39
ლოპე დე ვეგა 78
ლორთქიფანიძე ნიკო 150, 305
ლოჭმანი იური 33, 250, 314, 318
ლოუი რ. 281, 319
ლუკარი ჯორჯ 33, 314
- მ**აკიაველი ნიკოლო 91
მალარმე სტეფან 154
მალკოლმი მირზა 153
მამარდაშვილი მერაბ 20, 111
მანი თომას 305
მანი ჰაინრიხ 189
მარგველაშვილი გივი 191
მარინეტი ტომაზო 156
მარინო ადრიან 15, 17, 18, 19, 24, 318, 320
მარკესი გაბრიელ გარსია 187
მარქსი კარლ 16, 18, 25, 33, 54, 119, 129, 136, 141, 172, 291, 294
მაღრაძე დავით 221
მატარი ვანესა 31, 32, 42, 43, 314
მაძინი ჯუზეპე 17
მაჭავარიანი მუხრან 183, 184
მელაშვილი თამთა 215
მილი ჯეიმს 119
მიქელაძე მაკა 220
მიცევევიჩი ადამ 107
მიწიშვილი ნიკოლო 151
მოდებაძე ირინე 50, 51, 56, 316
მოლიერი ჟან ბატისტ 90, 91
მოლინა დე ტირსო 78

მოპასანი გი დე 127
მორეტი ფრანკო 24, 25, 26, 27, 28, 38, 39, 40, 41, 58, 59, 117,
118, 224, 314
მორჩილაძე აკა 207, 208, 209
მოსულიშვილი მიხო 218
მჭედლური დავით 194
მხეიძე ანა 196

ნაბოკოვი ვლადიმირ 148, 259, 286, 298, 319
ნადირაძე კოლაუ 151
ნაპოლეონი 16, 291
ნაჭყებია მაია 101, 315
ნახუცრიშვილი გაგა 221
ნეკრასოვი ნიკოლაი 121
ნეტარი ავგუსტინე 65
ნიუარაძე ქეთი 197
ნიშნიანიძე შოთა 183
ნიცშე ფრიდრიხ 128, 129, 206, 268, 269, 295
ნოვალისი 15, 111
ნონეშვილი ოოსებ 184

ოდიშარია გურამ 215, 216
ორბელიანი ალექსანდრე 218
ორბელიანი გრიგოლ 100, 106, 124
ორბელიანი სულხან-საბა 83, 84, 99, 100, 101
ორჯონიკიძე იზა 194
ო'ჰენრი 305

პაგლე მოცაიქული 65
პაიჭაძე სოსო 192
პასკალი ბლეზ 95
პასტერნაკი ბორის 144
პეტრიაშვილი გურამ 192
პიკასო პაბლო 182
პოკოკი გორდონ 88, 89, 315
პორფირიუსი 65
პოუპი ალექსანდრ 96

- პოვიოლი რენატო 157, 315
 პროკლე 65
 პრუდომი 154, 155
 პრუსტი მარსელ 154, 238, 264
 პუშკინი ალექსანდრ 111, 113
- ჭენეტი ჟერარ** 68, 69, 70, 71, 315
 ჟიდი ანდრე 154
 ჟირარი რენე 262, 263, 264, 265, 267, 269, 270, 271, 273, 278, 281, 287, 288, 319
- რაბლე ფრანსუა** 115, 162, 176, 188
 რასელი ბერტრან 129
 რასინი ჟაკ 90, 91
 რატიანი ზვიად 221, 222
 რატიანი ირმა 10, 29, 39, 40, 45, 53, 57, 65, 70, 74, 92, 106, 109, 127, 129, 139, 142, 145, 146, 148, 161, 181, 214, 244, 247, 261, 263, 264, 267, 272, 304, 315, 318
 რთველიაშვილი ზურაბ 221
 რიკიორი პოლ 231
 რიფატერი მაიკლ 36
 რიშელიე 91
 რიხტერი საიმონ 94, 315
 რობაქიძე გრიგოლ 150, 151, 160, 183
 რუდვინი მაქსიმილიან 243, 244, 245, 243, 244, 245, 319
 რუსთაველი შოთა 45, 46, 75, 112
 რუსო ჟან ჟაკ 94
 რჩეულიშვილი გურამ 177, 178
- სააკაშვილი მიხეილ** 216
 სამადაშვილი ზაალ 197, 211
 სამადაშვილი ნიკო 160
 სამსონაძე ირაკლი 195, 196, 198
 სანანოისძე სტეფანე 72
 სარიშვილი მაია 221
 საროიანი უილიამ 189

- სარტრი პოლ 238
სერვანტესი მიგელ 76, 162
სვიფტი ჯონათან 94
სიდნეი ფილიპ 77, 84, 315
სირაძე რევაზ 45
სიხარულიძე ვლადიმერ (ვოვა) 192
სოკრატე 255,
სტალი (მადამ დე სტალი) 33
სტალინი 146, 171, 300
სტეინი გერტრუდა 202
სტენდალი 116
სტურუჟა ლია 194
სულაკაური არჩილ 177, 178, 179, 183, 190
სულაკაური გიგი 221
- ტაბიძე გალაკტიონ 151, 152, 171, 180
ტაბიძე ტიციან 151, 154, 155, 160
ტოლსტიო ლევ 120, 121, 122, 305
ტროცკი ლევ 153
ტურაშვილი დათო 212, 218
ტურგენევი ივან 120, 121
ტურნერი ვიქტორ 263
- 彙**ელევი რენე 19, 22, 23, 37, 38, 43, 49, 223, 295, 315
უოლესი ჯენიფერ 285, 319
უორენი ოსტინ 18, 22, 23, 37, 38, 43, 49, 223, 295, 315
- ც**ამუქი ორჰან 154, 315
ფანჯიკიძე გურამ 192
ფარულავა გრივერი 67
ფთაბათეი ჰასეგავა 153
ფირალიშვილი ზაზა 80
ფლობერი გუსტავ 116
ფოულერი ა. 90, 91, 96, 315
ფოცხიშვილი მორის 183
ფრაი ნორთონ 39, 254
ფრანკი ს. ლ. 139, 316

ფროიდი ზიგმუნდ 265, 269
ფრომი ერიხ 140, 160, 316
ფუენტესი კარლოს 187
ფხაკაძე თამრი 219
ფხოველი ჯარჯი 194

ქართველიშვილი გურამ 218
ქარუმიძე ზურაბ 209
ქარჩხაძე ჯემალ 185, 186, 187, 189, 192
ქვლივიძე მიხეილ 183
ქიაჩელი ლეო 149, 150, 151, 18, 305
ქიქოძე არჩილ 219
ქიქოძე გერონტი 277, 319
ქოჩუ რიშათ აქრემ 154
ქუდონი 30, 305, 316, 320

ჭვინჯილია ჯანსულ 217

ყაზბეგი ალექსანდრე 100, 122, 124, 125, 169, 218, 235, 261, 262, 263, 273, 274, 275, 276, 277, 278, 280, 281, 283, 286, 287, 319, 321
ყიფიანი ედიშერ 192
ყუბანეიშვილი კოტე 205

შამანაძე შადიმან 195
შატაიძე ნუგზარ 190, 192
შელი მერი 127
შელი პერსი ბიში 107, 109, 111
შელინგი 109
შენგელაია ნიკოლოზ 156
შერმანი ს. 97, 316
შექსპირი უილიამ 30, 78, 285, 286
შილერი ფრიდრიჰ 85, 94, 95, 108, 109
შინა აბდულჟაქ 154
შკლოვსკი ვიქტორ 304
შლაიერმახერი ფრიდრიჰ 228
შლეგელი ფრიდრიჰ 15, 33

შოპენჰაუერი არტურ 128
შტაინერი გეორგ 95, 316

ჩაილდსი მერი 192
ჩანტლაძე შოთა 183, 194
ჩარკვიანი ირაკლი 205, 221
ჩარკვიანი ჯანსულ 183
ჩეთმენი სეიმორ 68, 316
ჩეხოვი ანტონ 120, 127, 162
ჩიქოვანი სიმონ 15
ჩიხლაძე დათო 221
ჩოლოყაშვილი ქაქუცა 218
ჩოხელი გოდერძი 1986, 171, 181
ჩოსერი ჯეფრი 54
ჩქვანავა გელა 215
ჩხეიძე ოთარ 185, 186, 188, 189, 217
ჩხეიძე როსტომ 218

გაგარელი ალექსანდრე 45, 51, 52, 56
ციციშვილი თამარ 50, 51, 56, 316
ცუბოუტი შორ 153

ცერეთელი აკაკი 122, 124, 125, 169, 288
ცერეთელი მიხაკო 218
წიკლაური მამუკა 194
წიფურია ბელა 145, 146, 152, 155, 156, 185, 316
წიქარიშვილი ლელა 147, 316
წულეისკირი ნოდარ

ჭავჭავაძე ალექსანდრე 106
ჭავჭავაძე ილია 46, 51, 56, 100, 105, 114, 122, 123, 124, 126,
131, 132, 169, 206
ჭანტურია არიანე 10
ჭანტურია ტარიელ 183
ჭეიშვილი რეზო 190, 192, 195, 217
ჭილაძე თამაზ 183, 195
ჭილაძე ოთარ 183, 185, 186, 187, 189, 190, 192

- ხარანაული** ბესიკ 194, 220, 221
ხახანაშვილი ალექსანდრე 45, 51
ხვედელიძე ბესო 219
ხიმშიაშვილი კოტე 170
ხინთიბიძე ელგუჯა 62, 317
ხრუშჩოვი ნიკიტა 172, 317
- ჯავახაძე** ვახტანგ 183
ჯავახაძე ირაკლი 219
ჯავახიშვილი ივანე 10, 82
ჯავახიშვილი მიხეილ 146, 147, 148, 149, 160, 189, 235, 237, 239, 240, 241, 241, 243, 244, 245, 247, 248, 249, 251, 252, 253, 255, 256, 258, 259, 319, 321
ჯავახიშვილი ქეთევან 319
ჯანდიერი კოტე 197, 211
ჯანიკაშვილი ბასა 215, 218
ჯაფარიძე ალექსანდრე 170, 171
ჯირალდი ჯოვანი ბატისტა 76, 77, 317
ჯონსონი ბენ 85, 96, 97, 317
ჯორჯაძე არჩილ 218
ჯოხაძე მაკა 197
ჯულაშვილი იოსებ (იხ. სტალინი)
- ჰაიდეგერი** მარტინ 229
ჰასეგავა 153
ჰაფიზი 154, 155
ჰეგელი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ 109, 265, 267, 268, 269, 272
ჰემინგუეი ერნესტ 174
ჰენოსტე ტიტ 41, 42, 49
ჰერდერი იოჰან გოტფრიდ 33, 110
ჰესე ჰერმან 305
ჰირში 230, 231
ჰიუგო ვიქტორ 94
ჰოფმანი ერნსტ თეოდორ ამადეუს 305

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavchavadze Avenue, Tbilisi 0179
www.press.tsu.edu.ge

